

საერთო სოციალურ მუნიციპალიტეტის  
მაცნეობაზე აკადემია

თამაზ კუნჭულია  
შოთა გრეგორიშვილი  
გურაბ ბუკია

ეპოული  
მაჩათეობა  
(ეპლი დანსული)

თბილისი

2017

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

თამაზ კუნძულია შოთა კიკალიშვილი  
ზურაბ ბუკია

## ქართული მარაიონება

(უახლესი წარსული)



გამომცემლობა „მწიგნობარი“  
თბილისი, 2017

რედაქტორი:

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

რეცენზიონები:

აკადემიკოსი ვალერიან ცანავა  
აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
**როლანდ კოპალიანი**

**ISBN** 978-9941-27-298-1

**UDC** (უაკ) 633.72(479.22)  
კ-909

ISBN 978-9941-473-10-4

## რედაქტორისაგან

საქართველოში მეჩაიეობა, სახელმწიფოს ძალისხმევით, მოკლე პერიოდში იქცა ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან ინდუსტრიულ დარგად.

ჩაის პირველი ბუჩქები საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემოიტანეს გამოსაცდელად, ხოლო სამრეწველო პლანტაციების გაშენება გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. 1940 წლისათვის პლანტაციების ფართობი 47,0 ათას ჰექტარს შეადგენდა, ხოლო 1985 წლისათვის კი იგი 67,7 ათას ჰექტარს აღემატებოდა.

მეჩაიეობის დარგი უზრუნველყოფილი იყო სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო უმაღლესი და სამუალო სპეციალური სასწავლებლების, სამეცნიერო ლაბორატორიების, საკონსტრუქტორო ბიუროების, მანქანათმშენებელი და სარემონტო ქარხების, ჩაის გადამამუშავებელი ავტომატიზებული საწარმოების ფართო ქსელით, შრომის ანაზღაურების მოწესრიგებული სისტემით. დარგში დასაქმებული იყო 180 ათას ადამიანზე მეტი. მეჩაიეობა ოჯახების, რაიონების, ქვეყნის ბიუჯეტების შევსების გარანტირებულ წყაროს წარმოადგენდა.

საქართველოში სერიოზული შეცდომები დაუშვეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, როცა მთავარ ამოცანად გამოცხადდა სახელმწიფოს კუთვნილი ქონების სასწავლო პრივატიზაცია, მიუხედავად დარგების თავისებურებებისა. არავინ ყურადღება არ მიაქცია მსოფლიოს კომპეტენტური ორგანიზაციების რჩევებს იმის თაობაზე, რომ პოსტსოციალისტურ სახელ-წიფოებში საზოგადოებრივი წარმოების წესის შეცვლა უნდა მომხდარიყო თანდათანობით, უმკაცრესი საშემსრულებლო დისციპლინის პირობებში. პირიქით, ხელისუფლებამ პროცესების მართვა მიანდო ბაზარს, რომელიც არ არსებობდა. პრივატიზებისას, შოკური მეთოდების გამოყენებით, ყველაზე მეტად დაზარალდა მეჩაიეობა. პროცესების უმართაობის გამო განსახელმწიფოებული ჩაის ფაბრიკები ჯართად გაიყიდა. მეჩაიეობისაგან მაღალ

შემოსავლებს მიჩვეულმა მოსახლეობამ ხელი მიჰყო ჩაის პლანტაციების ამოძირკვას , გადაწვას, მიუხედავად მასზე საკუთრების ფორმისა და თხილის უსისტემოდ გაშენებას. შედეგმაც არ დააყოვნა და თხილის ნარგაობის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად, გაჩნდა მანამდე საქართველოში უცნობი მავნებელ- და- ავადებები, რომლებიც ყველა სასოფლო- სამეურნეო კულტუ- რას აზიანებენ. სახელმწიფო იძულებულია გასწიოს სერიოზული ხარჯები სანარმოო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად და, როგორც ჩანს, ეს არ არის ერთი და ორი წლის საქმე. სახელმწი- ფოს მოუწევს სერიოზული ხარჯების გაწვა იმ ლიბერალიზმის გამო ,რომელიც მან მეჩაიერობის მიმართ გამოიჩინა. ჩაის ბუჩქს, რომელიც 25 წელია უპატრონოდა მიტოვებული, ჯერჯერობით არავითარი დაავადება და მავნებელი არ გასჩენია.

გულდასაწყვეტია, რომ მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ხანგრძლივვადიანი ტენდენციის ჩამოყალიბების პირო- ბებში, რის გავლენითაც გაიზარდა ჩაის მწარმოებელი ქვეყნე- ბის რიცხვი ორჯერ და მეტად, ჩაის ნარგაობა, პროდუქციის წარმოება და ექსპორტი - საქართველო აღმოჩნდა მეჩაიერობის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ამ პერიოდში მკვეთრად შეამ- ცირა არა მარტო ჩაის ნარგაობა, არამედ პროდუქციის წარმო- ება და ექსპორტიც.

საქართველოს ყველა პირობა გააჩნია ჩაის წარმოებისა და პროდუქციის ქვეყნიდან გატანის გასაზრდელად, რადგან იგი მიეკუთვნება მსოფლიოში ჩაის მწარმოებელი ქვეყნების იმ მცირე ჯგუფს, რომლებიც წარმოებული პროდუქციიდან ად- გილზე მას მცირე რაოდენობით მოიხმარენ. აღსანიშნავია, რომ ქართული ჩაი მსოფლიოში მიჩნეულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტად, რადგან ბუჩქებს, განსხვავებით ჩაის მწარმოებე- ლი კლასიკური ქვეყნებისაგან, ქიმიური საშუალებებით რამდე- ნიმეჯერ დამუშავება არ სჭირდებათ. გარდა ამისა, ჩაის ბუჩქი ღრმად განვითარებული ფესვთა სისტემის გამო, წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საუკეთესო საშუალებას წარ- მოადგენს.

მეჩაიეობა, წარმოების პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით, წარმოადგენს დარგს, რომელიც ყველაზე მეტად ასაქმებს ხალხს და ინტეგრირებული წარმოების პროცესში შესაძლებელს ხდის ყველაზე მაღალი ანაზღაურების მიღებას.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მეჩაიეობა არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე არ განვითარებულა, რაც ძირითადად, გამოწვეულია კერძო ინვესტორების მეჩაიეობით ნაკლებად დაინტერესებით - ინვესტიციის ჩადებასა და მისი ამოგების დროს შორის დიდი სხვაობის გამო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეჩაიეობა კაპიტალტევადი დარგია და მისი რეაბილიტაცია არც ერთ ქვეყანაში, მით უფრო საქართველოში, სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული დაბანდებების გარეშე ვერ განხორციელდება.

ნინამდებარე ნაშრომში მოცემულია სერიოზული ახსნა იმისა, თუ რამ გამოიწვია მეჩაიეობის დეგრადაცია, რა გახდა მისი კონკრეტული მიზეზი და რა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ერთიანობამ განაპირობა იგი. დასაბუთებულია მეჩაიეობის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზანშეწონილობა. რაც მთავარია, ავტორების მიერ შემუშავებულია დარგის რეაბილიტაციის კონცეპტუალური ხედვები, რაც გამორიცხავს შეცდომების დაშვებას მისი განხორციელებისას.

მიგვაჩნია, რომ წიგნის წაკითხვისას, ზოგადი აგრარული ეკონომიკით, კონკრეტულად კი - მეჩაიეობის რეაბილიტაციით დაინტერესებული მკითხველი ბევრ საინტერესო კითხვაზე მიიღებს ამომწურავ პასუხს, რისთვისაც ავტორები მადლობას იმსახურებენ.

გურამ ალექსიძე  
საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

## შესავალი

საქართველო მეჩაიეობის ყველაზე ჩრდილოეთი ქვეყანაა. მიუხედავად ამისა, ქართული ჩაი გამოირჩევა მისთვის დამასასიათებელი განსხვავებული თვისებებით, რასაც ქართველი მეცნიერები დღისა და ღამის ტემპერატურას შორის დიდი სხვაობით ხსნიან. რაც მთავარია, საქართველოში ჩაის ბურქებს, განსხვავებით მეჩაიეობის კლასიკური ქვეყნებისაგან, არ სჭირდება მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად ქიმიური საშუალებების მრავალჯერ გამოყენება. ქართული მეჩაიეობა იმითაცაა განსხვავებული, რომ კლიმატური პირობების გამო, ჩაი ექვსი თვის განმავლობაში იკრიფება. ჩაის ბურქი, რომლის ფესვებიც ღრმად ჩადის ნიადაგში, იცავს მას წყლისმიერი ეროზისაგან.

საქართველოში მეჩაიეობა ეკონომიკური შედეგების გამო მაღე გახდა პოპულარული. ჩაის ინტენსიური გაშენება სახელმწიფოს ინიციატივითა და ეკონომიკური წახალისების გამოყენებით დაიწყო გასული საუკუნის 30-იან წლებში. წელიწადში საშუალოდ 7,5 ათასი ჰექტარი შენდებოდა. 1940 წელს ჩაის ნარგაობამ 47, ხოლო 1985 წელს - 67,7 ათასი ჰექტარი შეადგინა. ჩაის პირველადი ფაბრიკების რიცხვი შესაბამისად - 37 და 79 იყო.

ჩვენთან ძირითადად ჩაის ჩინური ჯიშები შენდებოდა. ქართულ სელექციურ ჯიშებს საერთო ფართობის 20-22% ეკავა. შესაბამისად ვითარდებოდა ჩაის ინდუსტრია. საქართველოში შეიქმნა პირველად ჩაის საკრეფი მობილური მანქანები მსოფლიოში -, „საქართველო“ და „ჩა-900“. ფართობების მნიშვნელოვანი წილი იკრიფებიდა ხელის საკრეფი აპარატებით, რომლებიც საქართველოში იყო დამზადებული.

70-იან წლებში საქართველოში ფაქტობრივად ამოინურა ჩაის გასაშენებლად ვარგისი ფართობები.

დარგს ემსახურებოდა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და ლაბორატორიების ფართო ქსელი. ქართველი მეცნიერები და სპეცი-

ალისტები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მეჩაიეობის ქვეყნებში.

მეჩაიეობა საზოგადოებრივ მეურნეობებში, მაღალი შემოსავლიანობის გამო, სხვა დარგების მიმართ ლოკომოტივის როლს ასრულებდა.

საქართველოში 1972 წლამდე, საშუალოდ წელიწადში, იკრიფებოდა 160-180 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. 1972 წელს მეჩაიეობას მიზნად დაუსახეს ჩაიზე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, რამაც გამოიწვია მოსავლიანობის გაზრდა უხეში ფოთლის კრეფის ხარჯზე. მკვეთრად დაეცა მზა პროდუქციის ხარისხი, თუმცა გაიზარდა მეჩაიეობიდან მიღებული შემოსავლები, რადგან ერთეული მოკრეფილი ფოთლისათვის ანაზღაურება წინანდელ დონეზე შენარჩუნდა.

საქართველოში ყოველწლიურად იკრიფებოდა 450-500 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ჩაის პლანტაციების წინანდელ ფართობებზე. გასული საუკუნის 80-იან წლებში კენიაში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ქართული ჩაი ცოცხიდან წარმოებულს შეადარეს. შეიქმნა უაღრესად ხელსაყრელი პირობები სხვადასხვა სახის კორუფციული გარიგებებისათვის.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მკვეთრად დაეცა ინტერესი მეჩაიეობისადმი, რადგან საბჭოთა კავშირის დახურული ბაზრის გარდა, ქართული ჩაი კონკურენტუნარიანი არ აღმოჩნდა.

ეროვნული მთავრობის მიერ მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის განეულმა დახმარებებმა, სხვადასხვა მიზეზების გამო, მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოილო. დაინტერესი შეუქცევადი პროცესი ჩაის ადგილზე თხილის გაშენებისა, რომლის ფართობები ოპერატორიული მონაცემებით საქართველოში - 60 ათას ჰექტარს აღემატება.

მეჩაიეობიდან შემოსავლების შემცარების გამო გაძლიერდა მიგრაციული პროცესები ქვეყნის გარეთ თუ შიგნით, მუდმივად თუ სეზონურად.

მეჩაიეობის რეგიონებიდან ყოველწლიურად თურქეთში ჩაის საკრეფად გადის 12-15 ათასი ადამიანი. სოფლებში უმძიმესი მდგომარეობაა - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციის გამო. რთულია დემოგრაფიული სიტუაციაც - სიკვდილიანობის მაჩვენებელი ბევრად აღმატება დაბადებულთა რიცხვს.

ოპერატიული მონაცემებით ჩაის ფართობები 67,7 ათასი ჰექტარიდან შემცირდა 9 ათას ჰექტარამდე, საიდანაც აღდგენას ეკვემდებარება 7,5 ათასი ჰექტარი.

ჩაის მსხვილი ფაბრიკებიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი. დანარჩენი, მათი პრივატიზების მიუხედავად, დაიშალა და გაიყიდა ჯართად.

მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის პირობებში, რომელიც წელიწადში 2,2 %-ს აღმატება, იზრდება ჩაის მნარმოებელი ქვეყნების რიცხვი და მან ბოლო მონაცემებით 43-ს გადააჭარბა.

მეჩაიეობის თითქმის ყველა ქვეყანამ ჩაიზე მოთხოვნის ზრდის ტენდენციას მძლავრი სახელმწიფო და კერძო პროგრამების განხორციელებით უპასუხა.

მეჩაიეობის ქვეყნებს შორის მხოლოდ საქართველო აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც უმნიშნელოვანეს გამონვევას, როგორც ჩაის პლანტაციების, ისე პროდუქციის წარმოების მკვეთრი შემცირებით უპასუხა.

საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 16 იანვარს მიიღო დადგენილება (N20) -, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა - „ქართული ჩაი“, რომლის საერთო ღირებულება 3,5 მილიონი ლარია. სამწუხაროდ, დადგენილება რეალობისაგან იმდენად შორს აღმოჩნდა, რომ მან ქმედითი შედეგები ვერ გამოიღო.

ჩაიზე მსოფლიო მოთხოვნის ზრდის ტენდენცია და ჩაის გასაშენებლად ვარგისი ფართობების შეზღუდულობა გვაფიქრებინებს, რომ საქართველო არ დარჩება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიღმა. უკვე ჩინელები აყენებენ საკითხს საქართველოში 12 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციების გრძელვადიანი

იჯარით აღების თაობაზე, რაშიც საქართველოს საპარტნიორო ფონდთან ერთად, განახორციელებენ ნახევარი მიღიარდი აშშ დოლარის ინვესტიციას.

ჩინელებს ამ განცხადების გაკეთების საფუძველს აძლევს ექსპერიმენტი, რომელსაც ისინი მეორე წელია ახორციელებენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში - შ.პ.ს.-„ლაზის“ ჩაის პლანტაციებში. მათ მიერ წარმოებული უმაღლესი სტანდარტის ჩაი ჩინეთში იყიდება 800 აშშ დოლარად, ხოლო მასიური წარმოების პროდუქცია - 350-450 აშშ დოლარად. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის დამზადების ყველა ოპერაციას ჩინეთიდან ჩამოტანილ დანადგარებზე ასრულებდნენ ჩინელი მუშები და სპეციალისტები. ქართველების შრომა გამოყენებული იყო მხოლოდ ჩაის კრეფტაზე, რაშიც მათ ძალიან მაღალ ანაზღაურებას აძლევდნენ.

## თავი. მეჩაიეობის განვითარების თანამაღლოვა ტეცეციები

1.1- საქართველოში ჩაის (**Thea Sinensis.Thea Assamica.**)  
გავრცელების მოკლე ისტორია და მეჩაიეობის დარგის  
ცნობილი მოღვაწეები

ჩაი ეკუთვნის ჩაისებრთა - Theaceae ოჯახსა და ჩაის -Thea გვარს. ეს ოჯახი აერთიანებს 23 გვარსა და 380 სახეობას. ამ სახეობათა შემადგენლობაში შედის კამელია და ჩაის მცენარე. ამ უკანასკნელის ბოტანიკური აღნერა ეკუთვნის კარლ ლინეის - 1753 წელს. ჩაის მცენარის მრავალი ბოტანიკური სინონიმიდან შედარებით უფრო გავრცელებულია : Thea Sinensis L., Camelia Sinensis L.,Camelia Theifera (Griff.) და Camelia Thea L.

განასხვავებენ ორ სახეობას - ჩინური ჩაი - Thea Sinensis და ასამის ჩაი- Thea Assamica.

პირველის ბუნება ჩამოყალიბდა სუბტროპიკული, ხოლო მეორისა კი - ტროპიკული კლიმატის პირობებში და ამის გამო მათი ბიოლოგიური თავისებურებანი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

საქართველოში სანარმოო გავრცელება აქვს ჩინური ჩაის ორ სახესხვაობას -ჩინურსა და იაპონურს, ხოლო სელექციაში იყენებენ ასამის სახესხვაობიდან -მანიპურსა და ცეილონის ჰიბრიდებს.

ჩაის მცენარის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება. მისი გენიალოგია აქ უკავშირდება სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მაღალ-მთიან რაიონებს: იუნანს, სიჩუანს, გუიჯოუსა და სხვა პროვინციებს.

ჩაის ნაწარმი ჩინეთს გასცდა და საერთაშორისო ვაჭრობის საგანი გახდა, მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისიდან. აქედან ჩაის მცენარე მეტნაკლებად გავრცელდა დედამიწის ხუთივე კონტინენტზე, მაგრამ მისი პლანტაციების უფრო მეტი რაოდენობა მაინც აზიის მატერიკზე მოდის.

საქართველოში ჩაის მოხმარების საწყისად მკვლევარები მე-16-18 საუკუნეებს მიიჩნევენ, რადგან ამ პერიოდში იწყება სავაჭრო ურთიერთობა ინდოეთთან.

ჩვენთან ჩაის მცენარის შემოტანის საწყისად- 1815 წელი ითვლება (ნიკიტის ბოტანიკური ბაღი).

საქართველოში ჩაის მცენარის შემოტანის პერიოდად რამდენიმე თარიღია დასახელებული ლიტერატურაში - 1830,1833,1842, 1845,1848 წელი.

ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში დაცული შრომების მიხედვით ჩაის ნერგი ნიკიტის ბოტანიკური ბაღიდან შემოიტანა სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა -1842 წელს, ხოლო 1847 წელს კი ჩაის რამდენიმე სახესხვაობა გაუკავნიათ ოზურგეთის საკლიმატიზაციო სადგურში, სადაც მათ კარგად იხარეს.

აღნიშნული სადგურიდან ჩაის ნერგები გადაუტანიათ 1857 წელს -გორაბერეჟოულში ( ჩოხატაურის რაიონი) -მიხეილ ერის-თავის ბაღში.

სოხუმის ბოტანიკური ბაღიდან 1840-49 წლებში, ნერგები ნაუღიათ ზუგდიდში-დავით დადიანის ბაღში.

საქართველოში ჩაის კულტურის პერსპექტივებზე ყველაზე სწორი, პირველი დასკვნა მოგვცა მიხეილ ერისთავმა -1860 წელს. მანვე საკუთარი წარმოების ჩაის ნიმუშები წარადგინა პეტერბურგში - რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე -1861,1862,1863 წლებში და თბილისში - კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში -1862,1863,1864 წლებში.

ქართული ჩაის დამზადების შემდეგი ცდა ეკუთვნის გამოჩენილ რუს მეცნიერს - ა. ბუტლეროვს -1885 წელს და ა. სოლოვ-ცოვს -1890 წელს, ჩაქვში მიღებული ნედლეულიდან.

1872 წელს საქართველოში, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მხარდაჭერით, ჩამოყალიბდა სააქციონერო ამხანაგობა, რომელმაც კალკულიდან მოიწვია ჩაის ცნობილი სპეციალისტი - ვალტერ ლაიელი. მან თან ჩამოიტანა ჩაის რამდენიმე სახეობისა და ფორმის თესლი და ნერგები.

საქართველოში ჩაის პლანტაციის გაშენების პარალეულ რად ეწყობა ნედლეულის გადამამუშავებელი პატარა ქარხანა - სალიბაურში.

ჩვენში ჩაის ფართობების გაზრდით დაინტერესდა საუფლის-ნულო უწყება და მისი სახსრებით 1895-96 წლებში მოეწყო ექსპე-დიცია პროფესორ ა. კრასნოვისა და აგრონომ ი. კლინგენის ხელ-მძღვანელობით - ინდოეთში, შრილანკაზე, ჩინეთსა და იაპონიაში. ექსპედიციამ, სხვა კულტურებთან ერთად, ჩამოიტანა 6000 ცა-ლი ჩაის ნერგი და რამდენიმე ტონა თესლი. ნერგები დარგეს და თესლი დათესეს ჩაქვში - საუფლისნულო მამულში. ნელი ტემ-პით, მაგრამ მაინც გაიზარდა ჩაის პლანტაციის ფართობი საუფ-ლისნულო მამულში და მან - 546 ჰექტარს მიაღწია.

საქართველოში მეჩაიერბის დარგში დიდი დამსახურება მი-უძღვის ერმილე ნაკაშიძეს, რომელიც 1896 -1905 წლებში მუშა-ობდა მინათმოქმედების დეპარტამენტში - აგრონომ -ინსპექტო-რად და ხელმძღვანელობდა ჩაის გავრცელებას საქართველოში, ხოლო 1905 წლიდან მუშაობდა ოზურგეთის საცდელ სადგურში.

ამ სადგურის ბაზაზე ,1930 წელს, შეიქმნა სრულიად საკავ-შირო სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც ფასდაუ-დებელი როლი შეასრულა ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულ-ტურების კვლევის, წარმოებაში დანერგვისა და პოპულარიზა-ციის საქმეში- საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი სსრკ - ახალი რაიონი იყო მეჩაიერბისა მსოფლიოში - მან პირველი ადგილი დაიკავა ჩა-ის კულტურის აგროტექნიკის, სელექციის, მექანიზაციისა და გადამუშავების ტექნოლოგიის დამუშავების საქმეში. ბუნებრი-ვია, ძირითადი ხევდრითი წილი საქართველოზე მოდიოდა.

საქართველოში გამოიყვანეს ჩაის მშობლიური, მაღალმო-სავლიანი ქართული ჯიშები - ქართული 1 და N2, N8 და სხვა, რო-მელთა ავტორია -მსოფლიოში განთქმული სელექციონერი, აკა-დემიკოსი ქ.ბახტაძე.

შეიქმნა მსოფლიოში ჩაის საკრეფი პირველი მანქანა - „სა-ქართველო“ (ავტორი - აკადემიკოსი შ. კერესელიძე) და „ჩა-900“ (ავტორი გ. კოსტავა). ანასეულში, ცნობილი ინსტიტუტის უშუა-ლო მეთაურობით, შეიქმნა ჩაის მსოფლიოში აღიარებული ჯიში - „კოლხეთი“, რომელიც მოსავლიანობითა და ორგანოლეპტიკუ-რი მაჩვენებლებით საუკეთესო იყო სხვა ჯიშებთან შედარებით.

„კოლხეთის“ პოპულარიზაციაში განუზომელია - ვ.ჯაყელის, ვ. ცანავას, ზ.გაბრიჩიძისა და სხვათა როლი.

ჩაის სელექციაში წარმატებით მოღვაწეობდნენ - ვ.კოლელიშვილი, ტ. მუტოვკინა, ვ.კუტუბიძე.

ჩაის კულტურის აგროტექნიკის საკითხებს ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ცნობილმა მეცნიერებმა - პროფესორებმა მ. დარასელიამ, ს. ფირცხალაიშვილმა, დ.პატარავამ, ირ. ჩხაიძემ, შ.გიგიძერიამ, გ. ჩხაიძემ, ა.მიქელაძემ და სხვებმა.

ცნობილმა აგროქიმიკოსებმა დიდი წვლილი შეიტანეს ამ კულტურის განვითარების მეთოდების დამუშავებაში. ესენია ცნობილი მეცნიერები: მ.გაბისონია, გ.გოძიაშვილი, მ.ბზიავა, ვ.ცანავა და სხვები.

განუზომელია ჩაის ბიოქიმიის სპეციალისტების- მ. ბოკუჩავას, კ.ჯამუხაძის, გ.სარჯველაძის, შ. კობახიძის და სხვათა როლი.

მეჩაიობას უძლვნეს ნაშრომები ცნობილმა სპეციალისტებმა: ა. ჯანაშიამ, შ.ზალდასტანიშვილმა, ვ. გვასალიამ, ნ. კოვალენკომ, ვლ.სანიკიძემ, ზ. სანიკიძემ.

მეჩაიობის მომსახურე სხვა დარგის მეცნიერთა ერთობლივი მოღვაწეობით მეჩაიობა საქართველოში - მსოფლიო სტანდარტების დონეზე იყო.

## 1.2 - მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენციები

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), აგრეთვე მეჩაიობის აღიარებული საექსპერტო ფირმების (Pomar International) მონაცემებით, მოსახლეობის ზრდისა და სხვა ფაქტორების, პირველ რიგში მუსულმანურ სამყაროში ნავთობიდან შემოსავლების ზრდის გამო, მოსალოდნელია ჩაიზე მოთხოვნილების ზრდა. პროგნოზით, განვითარებულ ქვეყნებში, მოსახლეობის ზრდა არ მოხდება და იგი შენარჩუნებული იქნება 0,9 მილიარდი სულის დონეზე. ამის გამო ჩაიზე მოთხოვნილება გადაინაცვლებს მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპე-

ბის მქონე ისეთ რეგიონებში, როგორიცაა აფრიკა, ახლო აღმო-სავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ინდოეთი, ჩინეთი.

მოსახლეობის რიცხვი დედამიწაზე, რომელმაც 1999 წლის ოქტომბერში 6 მილიარდს მიაღწია, 2010 წლისათვის 7 მილიარ-დი იყო, ხოლო 2020 წელს- 8 მილიარდს გადააჭარბებს.

მსოფლიოში ჩაის მწარმოებელი ყველა ქვეყანა ცდილობს გამოიყენოს ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენცია - გაზარდოს პროდუქციის წარმოება (ცხრილი N1).

### ცხრილი N1

#### ჩაის წარმოება და ექსპორტი მეჩაიერების ქვეყნების მიერ (ათასი ტონა)

ქვეყანა	1983-1985	1983-1985	1993-1995	1993-1995	2005-2008	2005-2008
	წარმოება	ექსპორტი	წარმოება	ექსპორტი	წარმოება	ექსპორტი
ინდოეთი	618	213	749	159	1015	165
კენია	128	106	222	203	300	276
შრი ლანკა	200	187	240	222	285	263
ჩინეთი	199	91	180	103	220	192
თურქეთი	117	1	122	16	170	25
ინდონეზია	92	78	105	89	160	140
ირანი	44	1	53	2	85	0
საქართველო	120		16		80	78
ბანგლადეში	41	28	49	27	55	32
არგენტინა	36	44	51	43	54	42
სულ მსოფლიოში	1858	929	1970	985	2681	1292

X) ცხრილი შედგენილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის(FAO) მონაცემების მიხედვით.

ჩაის წარმოებისა და ექსპორტის სამი პერიოდის მონაცემების მიხედვით ინდოეთში ჩაის წარმოება თითქმის 400 ათასი ტონით, კენიაში 172, შრი- ლანკაში 85 ათასი ტონით გაიზარდა. მთლიანად მსოფლიოში კი 823 ათასი ტონით გაიზრდება. აღნიშნულიდან გამონაკლისია მხოლოდ საქართველო, სადაც შესაძრის წლებში აღინიშნება ჩაის წარმოების შემცირება. რაც შეეხება საპროგნოზო გაანგარიშებებს, იგი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მსოფლიო ბაზარზე შეუძლია გაიტანოს 72-78 ათასი ტონა პროდუქცია, რაც 310-320 ათასი ტონა ჩაის ფოთლის ტოლფასია.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო წლებში, ჩაის ექსპორტი ინდოეთიდან შემცირდება თითქმის 48 ათასი ტონით, რაც მისი ადგილობრივი მოხმარების ზრდითაა გამოწვეული.

პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდება კენიიდან-170 ათასი ტონა, შრი - ლანკადან-76, ჩინეთიდან- 101 ათასი, ინდონეზიიდან 62 ათასი ტონა.

მთლიანად მსოფლიოში ჩაის ექსპორტი გაიზრდება 352 ათასი ტონით, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ 1985-1995 წლებში ექსპორტის ყოველწლიური მატება 0,6%-ს არ აღემატებოდა, ბოლო წლებში მისი ყოველწლიური ზრდა 3,5% იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდება იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც მისი მოხმარება, პროდუქციის წარმოებასთან შედარებით, მცირეა.

ასეთ ქვეყნებს ეკუთვნის კენია, რომელიც მსოფლიოში ჩაის ყველაზე დიდი ექსპორტიორია. ჩაის წარმოება და ექსპორტი გაიზრდება აფრიკის მეჩაიერების სხვა ქვეყნებიდანაც (უგანდა, ტანზანია, მალავი). ბოლო დროს ჩაის ექსპორტი იზრდება შრი-ლანკიდან.

უახლოეს ათწლეულში და შემდგომ პერიოდში ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენციას მეჩაიერების ყველა ქვეყა-

ნა ადეკვატური ღონისძიებებით პასუხობს, რაც ნათლად ჩანს ფართობის, მოსავლიანობისა, პროდუქციის წარმოების მაჩვენებლებიდან (ცხრილი N2).

ცხრილი N2

**მეჩაიეობის ქვეყნებში ჩაის პლანტაციების ფართობების,  
საჰექტარო მოსავლიანობისა და წლიური  
წარმოების მაჩვენებლები**

N	ქვეყანა	ფართო ბი(ათა- სი ჸა)	ფართო ბი(ათა- სი ჸა)	მოსავ- ლიანობა (ჸგ-ჸა)	მოსავ- ლიანობა (ჸგ-ჸა)	წარმო- ება(ათასი ტონა)	წარმო- ება(ათასი ტონა)
		1989-91	1996-98	1989-91	1996-98	1989-91	1996-98
1.	ჩინეთი	847	880	662	720	561	634
2.	ინდოეთი	415	445	1693	1843	703	820
3.	შრილანქა	222	189	1023	1434	227	272
4.	კენია	95	115	2045	2238	194	257
5.	ინდონე-ზია	93	113	1565	1382	146	156
6.	თურქეთი	90	78	1475	1603	132	125
7.	ვაეტნამი	59	70	536	701	32	49
8.	მიანმარი	57	63	235	513	14	34
9.	იაპონია	58	52	1532	1734	89	90
10.	ბანგლადეში	47	48	902	1046	43	51
11.	საქართველო	65	47	1653	722	120	32
12.	არგენტინა	3	38	1280	1193	49	46
13.	ირანი	32	35	1115	1918	36	67
14.	უგანდა	11	21	601	1015	7	21
15.	მალავი	18	20	2146	2124	40	42
16.	ტანზანია	15	19	1263	1181	19	22
17.	ტაილანდი	17	17	304	300	5	5
18.	სამხრეთი აფრიკა	9	11	1333	1129	12	12
	სულ მსოფლიოში	2265	2324	1113	1212	2521	2818

X) ცხრილი შედგენილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის(FAO) მონაცემების მიხედვით.

მეჩაიეობის 18 ქვეყნიდან, რომელზეც მსოფლიოში წარმოებული ჩაის 97% მოდის, საანალიზო ნლებში მხოლოდ 2 ქვეყანაში (საქართველო, თურქეთი) შეინიშნება ჩაის პლანტაციების ფართობების შემცირება.

საქართველოში მას სტიქიური ხასიათი აქვს. თურქეთი კვლავ იწყებს ჩაის პლანტაციების ზრდას, თხილის ნარგაობის შემცირების ხარჯზე, რაც ამ ქვეყანაში განვითარებული ფინანსური კრიზისის გამო, სახელმწიფოს მიერ თხილის წარმოების სუბსიდირების შეწყვეტის აუცილებლობითა და ჩაიზე მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების ამოცანითაა განპირობებული.

N2 ცხრილის მონაცემები მიუთითებენ, რომ მსოფლიოში ჩაის პლანტაციების ფართობები, ბოლო 7 წელიწადში, 59 ათასი ჰექტარით გაიზარდა, რაც 2,6%-ს შეადგენს. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 100 კგ-ით, ხოლო მზა პროდუქციის წარმოებამ - 297 ათასი ტონით მოიმატა.

ზემოთ მოტანილი ძვრები ძირითადად ჩინეთში, ინდოეთში, კენიასა და ინდონეზიაში მოხდა.

ბოლო მონაცემებით, ჩაის პლანტაციების გაფართოების სერიოზული პროცესები ხორციელდება ვიეტნამსა და აფრიკის ქვეყნებში. ჩაის წარმოების დაწყებას და მის გაფართოებას გეგმავს სამხრეთ ამერიკა, მათ შორის - ბრაზილიაც.

ქვეყნების მიხედვით ჩაის ადგილობრივი წარმოების, იმპორტისა და მოხმარების დინამიკა მიუთითებს იმაზე, რომ 2005-2008 წლებში, ლათინურ ამერიკაში მოსალოდნელი იყო ჩაის მოხმარების 18 ათასი ტონიდან 41 ათას ტონამდე, ახლო აღმოსავლეთში - 282 ათასი ტონიდან - 584 ათას ტონამდე გაზრდა. მათ შორის ირანში - სამჯერზე მეტად.

ინდოეთში ჩაის მოხმარება 413 ათასი ტონიდან - 832 ათას ტონამდე გაიზრდება. საანგარიშო პერიოდში ჩაი დაკარგავს

წამყვან პოზიციებს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბრიტანეთის დიდი სამეფო და კანადა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ცნობილი მიზეზების გამო, 1985 წლიდან 1995 წლამდე, ჩაის მოხმარება 218 ათასი ტონიდან- 154 ათას ტონამდე შემცირდა. შემდგომ წლებში საექსპერტო შეფასებით მოსალოდნელი იყო ჩაის მოხმარების ზრდა და მან 2005-2008 წლებისათვის 250 ათას ტონას მიაღწია.

მოსახლეობის ზრდის გეოგრაფიულ გაადგილებასთან ერთად, მოხდება ჩაიზე მოთხოვნილების გადანაცვლება და უახლეს 20 წელიწადში განვითარებად ქვეყნებში ჩაის მოხმარება -1235 ათასი ტონიდან-1950 ათას ტონამდე გაიზრდება. განვითარებულ ქვეყნებში, პირველ ათ წელიწადში, იგი 641 ათასი ტონიდან, 566 ათას ტონამდე შემცირდება.

ჩაის მოხმარების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა რუსეთში, სადაც საქართველოს ჩაის მიწოდების დიდი გამოცდილება აქვს. ჩაიზე მოთხოვნილების ზრდაა მოსალოდნელი აზერბაიჯანსა და ერაყში.

სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით, ქართულ მეჩაიეობას გარანტირებული პერსპექტივები აქვს (ცხრილი N 3).

### ცხრილი N3.

#### ჩაის იმპორტისა და მოხმარების დინამიკა ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	1983-85 საშუალო იმპორტი	1983-85 საშუალო მოხმარება	1993-95 საშუალო იმპორტი	1993-95 საშუალო მოხმარება	2005-პრო- გნოზი, იმპორტი	2005- პროგნოზი, მოხმარება
დასთ	69	218	139	154	180	250
პაკისტანი	87	87	113	113	140	160
დიდი ბრიტანეთი	165	165	148	148	135	135
ეგვიპტი	71	70	62	62	100	90
აშშ	79	79	83	83	92	92

ერაყი	41	41	1	1	54	54
ირანი	30	43	34	85	37	122
გერმანია	16		17		32	
ოკეანია	27	28	20	21	28	28
ნიდერ-ლანდი	10		15		16	
მაროკო			33			
სირია			21			
სულ მსოფლიოში:	911	1876	986	1970	1268	2669

**შენიშვნა:** ცხრილი შედგენილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით.

მასში შეტანილი არაა იაპონიის მონაცემები, სადაც ადგი-ლობრივი წარმოება 91 ათას ტონას შეადგენს, ხოლო იმპორტი -52 ათას ტონას.

ჩაის მოხმარების ზრდის საერთო ტენდენციის პარალელურად, ჩაის აუქციონებზე შეინიშნება საბითუმო ფასების გარკვეული სტაბილიზაცია (ზოგჯერ ზრდა), ხოლო მის კონკუ-რენტ პროდუქციაზე (კაკაო, ყავა), ფასების დაცემის ტენდენცია (ცხრილი N4).

ცხრილი N4

**ჩაიზე კაკაოსა და ყავაზე საბითუმო ფასების დინამიკა 1975-2001  
ნლებში (1კგ/აშშ დოლარი)**

პროდუქციის დასახლება	1975	1985	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ჩინ ბაიბის, 3აუქციონი	2.53	2.55	1.25	1.62	1.90	1.96	1.84	1.88	1.66
ჩია, ლონდონის აუქციონი		2.89	1.38	1.76	2.07	1.89	1.90		
კაკაო	2.76	3.29	1.20	1.55	1.49	1.61	1.14	0.91	1.02
ყავა დაუთქვავი	2.98	3.86	2.32	1.84	1.60	1.75	1.49	0.91	0.66

**X) ცხრილი შედგენილია მოცემული სახის პროდუქციის მსოფლიო აუქციონების მონაცემების მიხედვით. მასალები მოპოვებულია ინტერნეტის მეშვეობით.**

ბოლო მონაცემებით ჩაის ნარგაობამ 3 მილიონ ჰექტარს გადაჭარბა და განაგრძობს ზრდის ტენდენციას, ძირითადად აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ხარჯზე. ჩაის წარმოება 3,5 მილიონ ტონას გასცდა. ყოველწლიურად ექსპორტზე გადის 1,7 მილიონ ტონაზე მეტი ჩაი.

მწვანე ჩაის ექსპორტში ლიდერია ჩინეთი (75%).

ჩაის კლასიკურ ქვეყნებს, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი და სხვა, ექსპორტის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალება არა აქვთ, ჩაის კულტურისათვის ვარგისი ფართობების ამონურვისა და ადგილობრივი მოხმარების ზრდის გამო.

მეჩაიერობის ცნობილი საექსპერტო ფირმების შეფასებით, ჩაის ექსპორტის გაზრდის ყველაზე მეტი პერსპექტივები აქვთ ჩაის მნარმოებელ იმ ქვეყნებს, რომლებიც ადგილზე მას მცირე რაოდენობით მოიხმარენ. ასეთებია კენია, ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნები, საქართველო, რომელსაც იმავე ფირმების შეფასებით, ჩაის წარმოების ძველი პარამეტრების შენარჩუნების პირობებში, მსოფლიო ბაზარზე შეეძლო გაეტანა 72-75 ათასი ტონა პროდუქცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის პარალელურად, იზრდება ჩაის მნარმოებელი ქვეყნების რიცხვი და მან ბოლო მონაცემებით - 43-ს გადააჭარბა. აქედან-19 ქვეყანა აფრიკაშია, 16-აზიაში, 5- სამხრეთ ამერიკაში, 2- ევროპაში და 1- ოკეანის ქვეყნებში.

ჩვენ მიერ, მსოფლიო მეჩაიერობის განვითარების ტენდენციების შესახებ მოყვანილი მონაცემები სრულებით არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ფაქტორების გავლენით გარკვეული, ზოგჯერ სერიოზული, ცვლილებები არ მოხდება იმ ექსპერტულ შეფასებებში, რომელსაც ჩვენი პროგნოზები ეყრდნობა. საკმარისია აღინიშნოს სირიაში განვითარებული მოვლენები, რაც იმის

საფუძველს გვაძლევს, რომ პროგნოზის საწინააღმდეგოდ, იქ ,უახლეს წლებში ჩაის მოხმარების ზრდა არ მოხდება. იგივე გავლენა შესაძლოა იქონიოს ჩაის მოხმარებაზე ნავთობზე მსოფლიო ფასების დაცემამ, რაც მოსახლეობის მიერ ყველა სახის სასურსათო პროდუქტის, მათ შორის ჩაის, მოხმარების შემცირებას გამოიწვევს. ჩაის წარმოების, მისი მოხმარებისა და ექსპორტის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს ჩაის გასაყიდი ფასების იმდენად დაცემა, რომ მისი წარმოება არარენტაბელური გახდეს. ასეთ ფაქტი დაფიქსირდა ინდოეთში 2000 წელს, როცა ჩაის პლანტაციების ასოციაციის კომიტეტმა (ჩპკი) მიიღო გადაწყვეტილება, დეკემბრის შუა რიცხვებიდან, ჩაის ფოთლის კრეფის მთლიანდ შეწყვეტის შესახებ.

ამით მათ სურდათ შეემსუბუქებინათ რუსეთის მიერ ინდური ჩაის დიდი პარტიების შესყიდვის შეწყვეტით გამოწყვეული ზიანი, რაც ჩაის პროდუქციის ჭარბწარმოებასა და და მასზე ფასების დაცემაში აისახა.

ჩაის წარმოებაზე შესაძლებელია გავლენა სხვა ფაქტორებმაც იქონიოს. მაგალითად, ისეთი გლობალური სტიქიური მოვლენა, როგორც 2004 წლის დეკემბერში განვითარდა ცეილონსა და ინდოეთის სანაპირო ზოლში ცუნამის სახით, ან დღგ-ს შემოღებამ ან სხვა სახის ფისკალური ხასიათის გადაწყვეტილებებმა. ასეთი იყო რუსეთის ფედერაციის მიერ ჩაიზე შემოღებული საიმპორტო მოსაკრებელი, რომელიც საკონტრაქტო ფასის 20% -ს შეადგენდა.

ცხადია, ცალკეული ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები შემდგომშიც შეიტანენ გარკვეულ კორექტივებს მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილების ჩამოყალიბებაში, მაგრამ, როგორც ექსპერტები მიუთითებენ, ზრდის ძირითადი ტენდენციები შენარჩუნებული იქნება. შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მისი გეოგრაფიულ სივრცეში გადაადგილება. ცხადია ისიც, რომ ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენციები განსაკუთრებით ხელსაყრელია საქართველოსთვის. თუ საქართველო ვერ შეძლებს მეჩაიეობაში ჩამოყალიბებული ხელსაყრელი გარემოს გამოყე-

ნებას,მის ადგილს დაიკავებს სხვა ქვეყნები. ეს მოხდება იმ მიზეზის გამო ,რომ მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის ტენდენციის მიუხედავად, მრავალი ფაქტორის გამო, თითოეული სახის პროდუქციის, მათ შორის ჩაის, ეფექტიანად წარმოების არეალი შეზღუდულია და თუ ამ ტენდენციაში დროზე ვერ ჩაეწერე, შემდგომ მისი მიღწევა ძნელი ან შეუძლებელი იქნება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კენის მსგავსად, საქართველო განეკუთვნება მეჩაიეობის ისეთი ქვეყნების რიცხვს, სადაც ჩაის ადგილობრივი მოხმარება მცირეა და პროდუქციას ძირითადად საექსპორტო დანიშნულება აქვს.

### **1.3-საქართველოს მეჩაიეობა ეკონომიკური რეფორმების პერიოდში**

ეკონომიკური რეფორმების პერიოდი მეჩაიეობაში 1994-95 წლებს ემთხვევა.მიწის რეფორმა, რომელიც უფრო ადრე ჩატარდა (1992 წელს), მეჩაიეობას არ შეხებია. მისი განკურძოება მოხდა მცირემინიან რეგიონებში. ამის გათვალისწინებით პრივატიზებული აღმოჩნდა მხოლოდ 9 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ანუ მთლიანი ფართობის 11%, ისიც ძირითადად გურიის რეგიონში. შემდგომ, ეს პროცესი არ გაგრძელებულა, მცირე გამონაკლისის გარდა (ჩხოროწყუს რაიონი). ამ რაიონის ინიციატივა -მოსახლეობისათვის დამატებით ჩაის პლანტაციების საკუთრებაში გადაცემის შესახებ, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ უარყოფილიქნა იმ მოტივით, რომ მუნიციპალიტეტში მოსახლეობას უკვე შევსებული პქონდა საკარმოდამო ნაკვეთები დადგენილი ნორმების მიხედვით და მათთვის გამონაკლისის დაშვება მთელს ქვეყანაში მიწის ხელახლი განაწილების ტალღას ააგორებდა, რაც უამრავ პრობლემასთან,მათ შორის მიწების შემდგომ პარცელაციასთან იქნებოდა დაკავშირებული.

ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე პრივატიზებულიქნა პირველადი და მეორადი ჩაის ფაბრიკების უმეტესი ნაწი-

ლი, ხოლო დანარჩენი, მოგვიანებით, ნულოვან აუქციონზე გაიყიდა. დღეს, ჩაის ფაბრიკების უმეტესობა გაძარცულია, ხოლო რომელიც მუშაობს, მისი საწარმოო სიმძლავრე 10-15%-ით არის დატვირთული.

უარესი მდგომარეობაა ჩაის მეორად ფაბრიკებთან დაკავშირებით. უმეტესი მათგანი პრაქტიკულად აღარ არსებობს, რადგან საქართველოში არ ხდება სხვადასხვა რეგიონებში წარმოებული ჩაის ცენტრში, ერთ ადგილას კუპაჟირება, წვრილად დაფასოება და გაყიდვა.

ჩაი, როგორც წესი, ცალკეული ფირმების მიერ იყიდება. საზღვარგარეთ გაიყიდა თბილისისა და ზუგდიდის გადამწნონ ფაბრიკებში დამონტაჟებული ჩაის ერთჯერადი დაფასოებისა და სხვა დანადგარ- მოწყობილობები, რითაც დაირღვა ობიექტის პრივატიზებისას სახელმწიფოსა და მესაკუთრეს შორის დადებული ხელშეკრულება - საწარმოო პროფილის შენარჩუნების, მუშახელის დასაქმების შესახებ.

დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო აძნელებს ჩვენს ინტეგრაციას მეჩაიეობაში მიმდინარე მსოფლიო პროცესებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ საქართველო მსოფლიო მეჩაიეობაში მიმდინარე დადებითი მოვლენების მიღმა დარჩეს.

მეჩაიეობაში დაგროვილი პრობლემების უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, შევეცდებით თუნდაც რამდენიმე მაჩვენებლის მიხედვით, რეფორმის შემდგომ პერიოდში, მეჩაიეობაში განვითარებული მოვლენების დახასიათებას.

საქართველოში 1994 წელს მოიკრიფა - 60,7 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი და რეფორმის შემდგომ პერიოდში ეს მაჩვენებელი განმეორდა მხოლოდ 1999 წელს. შემდგომ წლებში აღინიშნა წარმოების სერიოზული ვარდნა და იგი ბოლო წლებში, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან სუბვენციების გამოყოფისა, 23-24 ათასი ტონის დონეზე გაჩერდა, ხოლო 2015-2016 წლებში 2-3 ათას ტონამდე შემცირდა (ცხრილი N5).

ცხრილი N5

### ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში 1994-2001 ნლებში

1994წ	1995წ	1996წ	1997წ	1998წ	1999წ	2000წ	2001წ
60.7	38.5	34.0	33.2	47.2	60.0	24.0	23.0
% წინა ნეოთან	-36.6	-11.7	-2.3	42.2	27.1	-60.0	-4,2

**შენიშვნა:** 2015 წელს მოიკრიფა 2,0 ტონა.ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ბუნებრივია, განვლილ ნლებში შემცირდა საქართველოს წილი ჩაის მსოფლიო წარმოებაში, რაც იმავდროულად, ბაზრების დაკარგვის მაჩვენებელიცაა. ბოლო ორი წლის მონაცემებით საქართველო ფაქტიურად არ იხსენიება ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის (ცხრილი N6):

ცხრილი N6

### ჩაის ფოთლის წარმოება მსოფლიოსა და საქართველოში 1994-2001 ნლებში

შინა- არსი	1994წ	1995წ	1996წ	1997წ	1998	1999წ	2000წ	2001წ
ჩაის ფოთ- ლის წარმო- ება შოთავლი ოში	2633.2	2618.0	2689.4	2764.9	2990.4	3088.6	3086.4	3081.2
ჩაის ფოთ- ლის წარმო- ება საქართვე- ლოში	60.7	38.5	34.0	33.2	47.2	60.0	24.0	23.0
საქართველოს წილი ჩაის მსოფლიო წარმოებაში	2.3	1.5	1.3	1.2	1.6	2.0	0.8	1.0
საქართველოს წილი ჩაის მსოფლიო წარმოებაში	8	12	13	13	12	10	4	13

**შენიშვნა:** 2016 წელს მსოფლიოში წარმოებულიქნა 3570,0 ათასი ტონა ფოთოლი. ჩვენში კი-30 ათასი ტონა. ცხრილი შედგენილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

რეფორმის წლებში, ნაცვლად მოსალოდნელი ზრდისა, ჩაის ფოთლის წარმოებაში საქართველომ მერვედან მეორმოცე ადგილზე გადაინაცვლა. აშკარა გახდა ჩვენს მიერ გამოთქმული შიში იმის შესახებ, რომ მსოფლიო ჩაის ბაზარზე შესაძლებელია საქართველოს სხვა ქვეყანა ჩაენაცვლოს და ვერ იქნას გამოყენებული ის შანსი, რომელსაც მას მეჩაიეობის ექსპერტები უნინასწარმეტყველებდნენ - მეექვსე ადგილს ჩაის მნარმოებელ ქვეყნებს შორის.

ბოლო წლებში საქართველოდან ჩაის ექსპორტის მაჩვენებები კლების ტენდენციით ხასიათდება. უფრო მეტიც, დაიკარგა არა მარტო საზღვრგარეთის ქვეყნების, არამედ ადგილობრივი ბაზარიც და იგი ჩაის იმპორტიორი ქვეყანა გახდა, სადაც ძირითადად, ფალსიფიცირებული, დაბალხარისხიანი, მცირე და ერთჯერადი განწონვის პროდუქტია იყიდება.

საქართველოში ბოლო წლების (1994-2016 წლები) ექსპორტ-იმპორტის დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა (ცხრილი N7).

ცხრილი N7

**საქართველოში ჩაის ექსპორტ- იმპორტის დინამიკა  
1994-2001 წლებში (ათასი ტონა).**

შინაარსი	1994წ	1995წ	1996წ	1997წ	1998წ	1999წ	2000წ	2001წ
ექსპორტი	11.6	8.4	16.8	13.9	8.9	11.4	6.1	5.8
იმპორტი	0.01	0.15	0.15	0.3	0.4	0.4	0.5	0.5

X) 2016 წელს ექსპორტმა 1,2 ათასი ტონა შეადგინა იმპორტმა კი-1,9. ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ადრეულ წლებთან შედარებით, როცა ქართული ჩაი საბჭოთა კავშირის დახურული ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ინარმოებოდა, რეფორმის შემდგომ წლებში, საქართველო მსოფლიო ბაზრის სუბიექტად იქცა, მიუხედავად პროდუქციის წარმოების შემცირებისა, შესამჩნევად გაიზარდა ექსპორტის გეოგრაფია და მან აშშ-ში, აგრეთვე მეჩინევე კლასიკურ ქვეყნებში - ინდოეთსა და შრი - ლანკაში შეაღწია.

ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც ქართული ჩაი მიეწოდებოდა, ასე გამოიყურება (ცხრილი N8):

ცხრილი N8

ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც მიეწოდება ქართული ჩაი

1994	17
1995	16
1996	18
1997	21
1998	28
1999	20
2000	24
2001	20
2016	17

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ამ პოლო დროს ქვეყნების ჯგუფს  
მიემატა პოლონეთი, სადაც ჩაის ექსპორტზე პრეფერენციათა  
გენერალიზებული სისტემა იქნა გამოყენებული.

მსოფლიოში ძირითადად შავი და მწვანე ბაიხის ჩაია  
აღიარებული. ინდოეთში დიდი რაოდენობით სიტისის ტიპის  
ჩაისაც აწარმოებენ(მარცვლოვანი ჩაი, რომელსაც დაფლეთილი  
ფოთლებისაგან ამზადებენ).თანდათან მოდაში შემოდის თხიერი  
ჩაის წარმოება. არსებობს ფოთლებიდან მწვანე ჩაის ნაყენის  
მიღების ტექნოლოგია. ელიტარული საზოგადოებისათვის უნა-  
ზესი ფოთლებისაგან ბუკეტად შეკრულ ჩაისაც ამზადებენ.  
პოპულარულია ცივი ჩაის ნაყენიც.

ჩაის ფოთლის გადამუშავებისათვის ტექნოლოგიურ  
დანადგარებს ძირითადად ჩინეთში, ინდოეთსა და იაპონიაში  
ამზადებენ. ყველაზე იაფი ჩინური დანადგარ- მოწყობილობებია.

მიხედავად იმისა, რომ საქართველო ვაჭრობის მსოფლიო  
ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი ვერ იყენებს სოფლის მე-  
ურნეობის შეთანხმების შედეგად მიღწეულ უფლებებს, რაც  
უპირველესად პროდუქციის დაბალი ხარისხის ბრალია. ქართული პროდუქცია ვერ პასუხობს განვითარებულ  
ქვეყნებში ჩაიზე მოქმედ სტანდარტებს. გარდა ამისა, სერი-  
ოზული შემაფერხებელი ფაქტორია ვაჭრობის წესების და-  
რღვევა. აშკარაა, რომ იმ ფონზე, როცა მეჩაიერების ქვეყნები  
განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მსოფლიო მეჩაიერებაში  
ჩამოყალიბებული ხელსაყრელი ტენდენციების მაქსიმალურად  
გამოყენების საკითხებს, ქართულ მეჩაიერებას, როგორც  
ჩაის ექსპორტის, ისე პროდუქციის ფასების თვალსაზრისით,  
სერიოზული პრობლემები აქვს.

პარლამენტმა გააუქმა 1996 წლის 19 აპრილს მიღებული  
კანონი (N197-116) „დამატებითი ღირებულების გადასახადის  
შესახებ“ და „საგადასახადო სისტემების საფუძვლების შე-  
სახებ“ საქართველოს კანონებში დამატებების შეტანისა და  
ზოგიერთი დარგის საწარმოების ეკონომიკური მდგომარეობის

გაუმჯობესების თაობაზე, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებული იყო ჩაის ფაბრიკებისგან ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე არსებული დავალიანების ჩამოწერა, რომელიც მაშინ 3 მილიონ ლარს არ აღემატებოდა. ეს ფაქტი რომ არა, დღეს ასეთი კატასტროფული სურათი არ გვექნებოდა. მთავარი ისაა, რომ დავალიანების მქონე ჩაის 148 ფაბრიკიდან უმეტესობა პრაქტიკულად გაჩერებული ან გაძარცულია. დანარჩენებიდან ვალის ამოღება ნაწილობრივ, მხოლოდ მათი ჯართად გაყიდვით მოხდა. ეს პროცესი, რომელიც დაწყებულია, მიგვიყვანს იქამდე, რომ ტექნოლოგიურად გამართული ჩაის ფაბრიკები აღარ შეგვრჩება, როგორც ეს მოხდა ოზურგეთის რაიონის ნარუჯის ჩაის ფაბრიკის მაგალითზე, რომელიც 70-იან წლებში იყო აშენებული. ჩაის ფაბრიკების დავალიანებებას ფინანსთა სამინისტრო ითვლის ბიუჯეტის ნარჩენ შემოსავლებში. შეიძლება ითქვას, რომ დავალიანების ექვივალენტური თანხის ამოღება ვერასდროს ვერ მოხერხდება (ცხრილი N9).

(ცხრილი N9

ჩაის ფაბრიკების დავალიანება ბიუჯეტისა და სახელმწიფო  
ფონდების წინაშე 01.01.2001 წლის მდგომარეობით

რიცხვ	ონგბი	მო	აქცი	საშემო-საკულტო.	ქართველის გადასახლება	სამეცნიერო არტიტო საწმის ანგაბა	ნედლით სარჩევას და ეპოლი.	მიწის (არსას, ჯულის-ნულის)	სოციალური დაურის ფაქტორი	დასაქ-ტექნიკური დაუცველი	სახვა-დაზიანების	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ვანი	2.2	4.7						2.4	3.8	0.7	0.5		14.3
სამურავდა	115.5	17.5			25.7	6.5		5.8	229.5	35.0		4.1	439.4
თერჯოვანი	2.2				0.7	0.2		2.9				1.2	7.2
კიათერია	99.6	20.2	91.0		3.9			5.6	26.7	4.3	0.7		25.2
ტეიშეული	149.8	65.3	180.2		50.2	7.2	7.9	12.1	302.0	39.3		47.5	861.5
ჩიხატაური	12.7	9.0			84.0	1.2		8.2	67.4	3.2	9.7		195.4
ზემოულეთი	1533.1	199.2			331.3	24.6	18.4	142.7	1138.5	132.8	107.3		3627.9
აბაშეს	4.4				0.5		1.4	5.5		0.9			12.7
ნეალუნებისა	29.7	9.6			136.5	25.0		17.9	266.6	32.9	44.0		562.2
ჭიათურისაც	197.1	34.9			52.6	15.8	50.1		0.8	2.8		24.0	378.1
ოშიურისილი	657.6	9.3			395.2	16.8		246.2	1393.9	161.0	304.2		3184.2
ლაგებეული	692.6	21.9	6.9	15.7	203.2	16.0		75.3	183.8	17.8		1005.6	2238.8
სენაკი	72.8	300.4			30.3	3.0	2.9	27.5	65.7	7.4	20.9		530.9
ხონი	66.1	10.0			17.7	32.0	0.6	18.3	150.6	25.9	12.7		334.5
მარნეული	37.3	42.4							21.9	75.3			176.9
წყლიურები	72.8	18.4			35.4	0.3		9.4	100.5	5.1			241.9
აჭარისარ	193.3	87.5	137.4	10.4	38.6		4.0	40.5	224.9	14.5	8.5		759.6
ხობი	63.9	20.6	63.4					30.5	102.2			50.5	331.1
სულ:	4002.7	870.9	478.9	43.8	1420.1	117.2	85.3	672.7	6332.9	482.7	508.5	1132.9	14148.6

**შენიშვნა: ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო  
დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.**

გარდამავალ პერიოდში მეჩაიეობაში ფინანსური კრიზისის წარმოშობის ძირითადი მიზეზი გახდა მთავრობის დადგენილებით თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის ვალის დასაფარად მიწოდებული ჩაის ღირებულების ანაზღაურებისას წარმოშობილი გაუგებრობები. 1994-1995 წლებში თურქმენეთს ჩაის სხვადასხვა ფაბრიკის მიერ, მიეწოდა 12 ათას ტონამდე პროდუქცია.

მეჩაიეობის დარგში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას მრავალი შეცდომა იქნა დაშვებული, რომელთაგან აღსანიშნავია:

-ჩაის ფაბრიკების განსახელმწიფოებრიობის სწრაფი ტემპი, პირველ ეტაპზე ჩაის ფაბრიკების ნულოვან აუქციონზე გაყიდვა.

-ჩაის ფაბრიკების პრივატიზებისას წედლეულის მიმწოდებლების ინტერესების გაუთვალისწინებლობა.

-ჩაის რეალიზაციის ტრადიციული ბაზრების დაკარგვის მიუხედავად, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ღონისძიების გაუტარებლობა.

-ჩაის ფოთლის გადამუშავებისათვის საჭირო მასალების გაძვირების გამო, არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება.

-დარგის მართვის პრინციპების რადიკალურად შეცვლა, რამაც დადებითი მოლოდინის ნაცვლად, უარყოფითი შედეგები გამოიღო.

-დიდი ხნის მანძილზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის ღონისძიებების გაუტარებლობა, რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად, დარგის სრული დეგრადაცია გამოიწვია.

-მეჩაიეობისადმი სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოლიტიკის გაუტარებლობა. ჩაის სანაცვლოდ, მენარმეებისათვის სხვა კულტურების შეთავაზება, მიუხედავად მოვლა- მოყვანის ტექნოლოგიების უცოდინრობისა და ფინანსური რესურსების უქონლობისა.

-ჩაის პლანტაციების თხილის კულტურით სტიქიურად ჩა-  
ნაცვლება, შორს მიმავალი შედეგების გათვალისწინების გარეშე.

- ჩაის პლანტაციების ფართობების მინიმუმამდე შემცირე-  
ბა, სხვა კულტურებთან შედარებით, ეკონომიკური ეფექტიანო-  
ბისა და ბუნებრივი კატაკლიზმების პირობებში მოსალოდნელი  
შედეგების გათვალისწინების გარეშე.

#### **1.4-გარდამავალ პერიოდში მეჩაიეობაში ჩამოყალიბებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები**

ჩვენს უშუალო მიზანს არ შეადგენს ისტორიულ ასპექტში  
მეჩაიეობის სოციალურ- ეკონომიკური, თუ გნებავთ პოლიტი-  
კური მნიშვნელობის დახასიათება. ამ თემას მრავალი ნაშრომი  
მიეძღვნა და სამეცნიერო ხარისხიც იქნა მინიჭებული.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნისვნელოვანია გარდამავა-  
ლი პერიოდის მეჩაიეობისადმი მიძღვნილი შრომები. მიგვაჩნია,  
რომ თითოეულმა მკვლევარმა გარკვეული წვლილი შეიტანა იმ  
პრობლემების გენეზისისა და მისი გადაწყვეტის გზების ძიება-  
ში, რომელიც ბოლო დროს მეჩაიეობაში განვითარდა. ცხადია  
ისიც, რომ ყველა პრობლემა ერთდროულად წარმოჩნდილი ვერ  
იქნებოდა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნაშრომების  
დიდ ნაწილში გარდამავალი პერიოდის მეჩაიეობა რეგიონულ  
ჭრილშია განხილული. აქედან გამომდინარე, ბოლო ოცდახუთ  
წელიწადში, მეჩაიეობაში დაგროვილი პრობლემების კონცენტ-  
რირებულ წარმოჩნდას, მათი კავშირის დადგენას ქვეყანაში გან-  
ხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებთან, გარკვეული მეც-  
ნიერული ღირებულება გააჩნია. გასათვალისწინებელია ისიც,  
რომ დარგში დაგროვილ ბევრ პრობლემას საერთო მიზეზი გა-  
აჩნია, ამიტომ ასეთი ხასიათის პრობლემები და მათი გადაჭრის  
გზები მხოლოდ სეგმენტალური სახიათის ვერ იქნება.

მეჩაიეობაში გავნითარებულმა კრიზისმა აპოგეას 2015-  
2016 წლებში მიაღწია, როცა ქუეყნაში წარმოებულიქნა 2-3 ათა-

სი ტონა მზა პროდუქცია. ბუნებრივია, ეს ჩვენი პლანტაციების შესაძლებლობების ის რაოდენობაა ,რომელსაც გასული საუკუნის მიჯნაზე ანარმობდა მეჩაიეობის ერთი ან ორი მსხვილი სანარმო.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მეჩაიეობის აღდგენისათვის გამოყოფილმა სახსრებმა დარგში კვლავწარმოებადი პროცესის ფორმირება ვერ შეძლო. ეს არც იყო მოსალოდნელი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების სეზონის წინ, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მოკლევადიანი კრედიტების მოცულობა 220-250 მილიონ რუბლს შეადგენდა, ხოლო კრედიტის წლიური პროცენტი -1-1,5 -ს არ აღემატებოდა .

ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების არაეფექტურიანობა, მის სიმცირესთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ მისი გამოყენების წესი და გამანაწილებელი სუბიექტები რამდენჯერმე შეიცვალა. უფრო მეტიც, ბოლო სამ წელს(2001-2002-2003) მათი გამოყენება განახორციელეს არაპროფილურმა ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროებმა.

მეჩაიეობაში სისტემური კრიზისის ჩამოყალიბება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, რომელთაგან აღსანიშნავია: სამეურნეო- კოოპერაციული კავშირების რღვევა (ჩვენ, ამ მიზეზებს კიდევ დაუბრუნდებით), ბაზრების დაკარგვა, საბაზრო გარემოში წარმოების მართვის უცოდინრობა, მსოფლიოში მეჩაიეობის განვითარების ტენდენციების, პროდუქციაზე მოთხოვნებისა და ფასების შესახებ საიმედო და სისტემური ინფორმაციის უქონლობა, ჩაის ფაბრიკების ცალმხრივი პრივატიზება, პრივატიზებისას ნედლეულის მწარმოებლების ინტერესების გაუთვალისწინებლობა, ინტეგრირებული სანარმოების, კოოპერაციული საზოგადოებების ჩამოყალიბების სრული იგნორირება. ჩაის ფოთლის გადამუშავება არა მარტო ფიზიკურად გაცვეთილ ტექნოლოგიურ საზებზე, რომელზეც შეუძლებელია კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება, არათუ ორთოდოქსალური ტექნოლოგით,

არამედ ბოლო დროს მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილების მქონე წვრილი ჩაის, სიტისისა და სხვათა წარმოება.

აღნიშნულს კიდევ ერთი გარემოებაც დაემატა- ჩაის ფაბრიკების დიდი ენერგოტევადობა, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების უქონლობა, ენერგომატარებლების გაძვირება, მათი იმპორტის აუცილებლობა.

ჩაის ფაბრიკებისა და ჩაის პლანტაციების მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის სანარმოო ინფრასტრუქტურის სრული მოშლა, მათზე ხანგრძლივი დროის მანძილზე მოთხოვნილების უქონლობის გამო.

აგროტექნიკური ლონისძიებების (მას ქვემოთ შემოგთავაზებთ) გაუტარებლობის გამო, ჩაის პლანტაციების გატყევება და ექსპლუატაციისათვის ვარგისი ფართობების შემცირება, ნიდადაგის გაუნაყოფიერებლობის გამო დუყის წარმოქმნის ინტენსივობის შემცირება და მისი ორგანოლეპტიკური მახასიათებლების შემცირება.

მეჩაიეობის რეგიონებში ნიადაგურ- კლიმატური პირობების, რელიეფის თავისებურებების გაუთვალისწინებლობა და ჩაის სხვა კულტურებით მასობრივად ჩანაცვლება.

ფასების დისპარიტეტი და მისი ზრდის ტენდენცია, ჩაის მზა პროდუქციასა და მეჩაიეობაში გამოყენებულ სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე, რამაც თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობებში, სხვა შემზღვდავი ან წამახალისებელი ლონისძიების გაუტარებლობის გამო, გაართულა კონკურენტუნარიანი სამამულო პროდუქციის გამოშვება.

სახელმწიფოს დავალებით თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის სანაცვლოდ 1994-95 წლებში გადატვირთული ჩაის პროდუქციის ღირებულების დიდი დაგვიანებით, ნაწილობრივ ნატურით ანაზღაურება.

მეჩაიეობის დეგრადაცია, ხელსაყრელი საკრედიტო რესურსებისა და საგირავნო ქონების უქონლობა, ჩაის ფაბრიკების ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე დავალიანების, სასესხო ვალდებულებების, მათზე დარიცხული საურავების გა-

მო, ძველი, ინერციული აზროვნების შედეგად, ყველა სახის ჩა-ის ფაბრიკის, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების ნულოვან აუქციონზე გატანა, ეკონომიკური მოტივაციის უქონ-ლობის გამო, ამავე ჩაის ფაბრიკების აქციების ფასიანი ქაღალ-დების მეორედ ბაზარზე გამოტანის შეუძლებლობა, საინვესტი-ციონ გარემოს გაუარესება.

მეჩაიეობაში განვითარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებ-მა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ იგი სხვა თანაბარ პირო-ბებში, წარმოების ეფექტიანი განვითარების საშუალებაა და არა მიზანი. საბაზრო გარემოს არარსებობის შემთხვევაში, წარმოე-ბის, პროდუქციის რეალიზაციის დივერსიფიკაცია, რაც გარდუ-ვალად სდევს ეკონომიკურ რეფორმებს, უკუეფექტს იძლევა. ეს ნათლად გამოჩნდა ჩაის მაგალითზე.

ერთ დროს მეჩაიეობის დაწინაურებულ რაიონებში, მკვეთ-რად გაუარესდა საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები და იგი ბევრად ჩამორჩა, როგორც საქართველოს საშუალო, ისე რო-გორც პარადოქსალურად არ უნდა ქლერდეს, მთის რაიონების მაჩველებლებსაც კი.

ეს ჩამორჩენა განსაკუთრებით საგრძნობია ჩაის წარმოება-ზე ღრმად დასპეციალებულ რეგიონებში. ანლოგიურად ამისა, მკვეთრად გაუარესდა საერთო და ფულადი შემოსავლების მაჩ-ვენებელი, ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით, ოჯახის კვე-ბის ულფა და მისი სტრუქტურა. გამწვავდა დემოგრაფიული სიტუაცია. შობადობას ბევრად გადააჭარბა სიკვდილიანობამ.

შემოსავლების ძიების მოტივაციით გაძლიერდა ეკონომიკუ-რად აქტიური მოსახლეობის მიგრაცია. აღნიშნული ტენდენციის გალრმავებამ გამოიწვია მუშახელის დეფიციტი, რაც აუცილე-ბელს გახდის ჩაის წარმოების იაპონურ მექანიზებულ მეთოდზე გადასვლას. ეს დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

თუ მოვლენები ასეთი პესიმისტური სცენარით განვითარდა, არადა ყველაფერი აქეთკენ მიდის, მეჩაიეობა, როგორც ეკონო-მიკური განვითარების სფერო, საბოლოოდ მოისპობა და მასთან ერთად სერიოზული პრობლემების წინაშე დადგება დასავლეთ

საქართველოს მოსახლეობაც. დღევანდელი კოლხეთის დაბლობზე სიმინდის, თხილის, ზოგიერთი სუბტროპიკული კულტურისა და ექსტენსიური გზით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებით, სერიოზული ეკონომიკური გარღვევა შეუძლებელი იქნება.

მეჩაიეობაში დაგროვილი პრობლემების განხილვისა და მათი გადაწყვეტის გზების ძიებისას, საქართველის აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ მხედველობაში უნდა მიიღოს რეალურად შექმნილი მდგომარეობა და მისი გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილებები.

მონეტარული თეორიისადმი ბრმად მიყოლა, რასაც ასე ერთგულებს ხელისუფლება, აუცილებლად მიგვიყვანს მძიმე შედეგებამდე. მაშინ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის მოშველიება ქვეყანას ვერ იხსნის. მიგვაჩნია, რომ ჩვენ უნდა გვაშინებდეს მონეტარულ ალბანეთში, ინდონეზიასა და არგენტინაში განვითარებული მოვლენები.

გამომდინარე ყოველივე აღნიშნულიდან, მეჩაიეობა უნდა იქნას განხილული არა როგორც აგროსასუსათო სექტორის ერთ-ერთი დარგი, არამედ როგორც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის არსებობის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი.

## 1.5 -გარდამავალ პერიოდში მეჩაიეობაში განვითარებული ფინანსური კრიზისის მიზეზები

მეჩაიეობაში განვითარებულ სეგმენტალურ კრიზისს, რომელმაც ბოლო წლებში სისტემური ხასიათი შეიძინა, აქვს, როგორც ეროვნულ ეკონომიკაში კრიზისის გამომწვევი ისეთი საერთო მიზეზები, როგორიცაა ბაზრის დაკარგვა, სამეურნეო -კომპერაციული კავშირების რღვევა, ახალ გარემოში სამეურნეო- საწარმოო და ფინანსური საქმიანობის უცოდინრობა, ტექნოლოგიური დანადგარების ფიზიკური მოძველება, მათი განახლებისათვის ფინანსური რესურსების უქონლობა, ლიბერალურ-სავაჭრო გარემოში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შეუძლებლობა და მრავალი სხვა.

მეჩიაირობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზეზები, რომლებიც გარდამავალ პერიოდში განვითარდა, მათი თავი-დან აცილება ჩვენი აზრით შესაძლებელი იყო.

ამ წლებში საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ რამდენიმე ბრძანებულება და დადგენილება იქნა მიღებული - თურქმენეთში ჩაის ორგანიზებულად გადატვირთვის თაობაზე.

იმის გამო, რომ „საქაზმა“ ვერ მოახერხა თურქმენეთში გადატვირთული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება, ჩაის ფაბრიკებს წარმოეშვათ დავალიანებები ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე, რადგან გადასახადების ამოღება სახელმწიფოს სასარგებლოდ, მაშინ მოქმედი წესით, პროდუქციის გადატვირთვიდან 90 დღის განმავლობაში ხდებოდა. გამოდიოდა, რომ პროდუქციის გადატვირთვა დოკუმენტაციურად დაფიქსირებული იყო, ხოლო თანხა -აუნაზღაურებელი. უფრო მეტიც პროდუქციის გადატვირთვიდან 90 დღის შემდეგ, ჩაის ფაბრიკების ბიუჯეტის წინაშე არსებულ დავალიანებებს საურავები ერიცხებოდა.

მდგომარეობის ნაწილობრივ განმუხტვის მიზნით - „თურქმენეთში გადატვირთული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ“, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 14 თებერვლის N 39 ბრძანებულებით, დეპარტამენტ „საქაზს“ გამოეყო 1100 მილიარდი კუპონის ღირებულების სასურსათო პროდუქტი (ფქვილი-430 ტონა, კარაქი-100 ტონა,) ჩაის გადამტვირთავ ორგანიზაციებზე გასანაწილებლად. ამავე ბრძანებულებით, თურქმენეთში მიწოდებული პროდუქციის ღირებულება 400 მილიარდი კუპონის ოდენობით, აუნაზღაურდა კომერციულ ფირმა „აისს“. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 20 თებერვლის N92,93,94 დადგენილებით „საქაზს“, „საქენერგოს“, სს „ქიმკომპინატსა“ და სკგ „საქართველოპიკს“ შორის განხორციელებული ურთიერთჩათვლით დაიფარა მთელი რიგი დავალიანებები: 1994 წლის სოფლის მეურნეობისათვის აზოტი-

ანი სასუქების მიწოდებით წარმოშობილი დავალიანება -1.083 მილიარდი კუპონის, ელექტროენერგიის ღირებულება-304 მილიარდი კუპონის, თურქმენეთში გადატვირთული პროდუქტის ღირებულება გაუნაღდდა რამდენიმე ფირმას-412 მილიარდი კუპონის ოდენობით. ადრე, 1994 წლის ივლისში, დეპარტამენტ „საქვაზისგან“, მეჩაიეთა შრომის ასანაზღაურებლად, ავანსად იქნა მიღებული 500 მილიარდი კუპონი.

ამრიგად, ალნიშნული პერიოდისათვის თურქმენეთში გადატვირთული პროდუქტის ღირებულების ანგარიშში სულ გაცემულიქნა 3806 მილიარდი კუპონი. მიუხედავად ამისა, „საქვაზ“ ასანაზღაურებელი დარჩა თურქმენეთში გადატვირთული ჩაის ღირებულება - 3557 მილიარდი კუპონის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით გამოყოფილი პროდუქტებით ნაწილობრივ დაიფარა 1994 წელს თურქმენეთში მიწოდებული ჩაის დავალიანების გარკვეული ნაწილი.

ასანიშნავია ის, რომ ეს ოპერაცია განხორციელდა 1995 წლის ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის წინ, ამიტომ ვალის ანგარიშში გამოყოფილი სასურსათო პროდუქტები გაუნაწილდათ იმ მუნიციპალიტეტებსა და ჩაის ფაბრიკებსაც, რომლებსაც თურქმენეთში ჩაის გადატვირთვაში მონაწილეობა არ მიუღიათ, იმ იმედით, რომ წლის ბოლოს შეძლებდნენ პროდუქტის ღირებულების დაბრუნებას, რაც ფაქტიურად არ მოხდა. მეორე შეცდომა ალბათ ის იყო, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ვალის ანგარიშში გამოყოფილი პროდუქტები გასანაწილებლად გადაეცათ არა უშუალოდ ჩაის ფაბრიკებს, არამედ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მუნიციპალურ სამმართველოებს.

ამავე პერიოდში თურქმენეთში გადატვირთული პროდუქტის აუნაზღაურებლობით ურთიერთდავალიანების მქონე ორგანიზაციათა შორის, ჩაერთო სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო კომერციული გაერთიანება - „საქსოფლნაყოფიერება“, რომელიც სასუქებს იღებდა სს „ქიმკომბინატისაგან“. 1995 წლის ჩაის კრეფისა და

გადამუშავების სეზონისათვის მზადების მიზნით „საგაზაფხულო სამუშაოების დროულად ჩატარების ზოგიერთ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 22 თებერვლის N 27 ბრძანებულების საფუძველზე - „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მიწოდების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 5 ივნისის N326 დადგენილებით სს „ქიმკომბინატს“ დაევალა, სკვ „საქსოფლნაყოფიერებისათვის“ შედავათიან ფასებში 25 ათასი ტონა სასუქის მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის სკვ „საქსოფლნაყოფიერებას“ უკვე ჰქონდა სს „ქიმკომბინატისადმი“ 1994 წელს მიღებული სასუქების დავალიანება 1682 მილიარდი კუპონი. ამ დავალიანების, აგრეთვე, მოსანოდებული 25.0 ათასი ტონა სასუქის ლირებულების დაფარვა მოხდა დეპარტამენტ „საქგაზს“, სკვ საქჩაისუბტროპიკს“, და სს „ქიმკომბინატს“ შორის არსებული ვალების ურთიერთჩათვლის წესით.

ფაქტურად თანხა, რომელიც სკვ, „საქჩაისუბტროპიკს“ უნდა მიეღო დეპარტამენტ „საქგაზისაგან“, გამოყენებულიქნა სს „ქიმკომბინატის“ მიმართ სკვ „საქსოფლნაყოფიერების“ დავალიანების დასაფარად. ამრიგად, ფაქტიურად თურქმენეთში გადატვირთული ჩაის ლირებულება, რომელიც სახელმწიფოს უნდა გადაეხადა, გადმოფორმებულიქნა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების შიგა ვალად, რაც ჩვენი აზრით, მორიგი შეცდომა იყო.

„საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემისა და სხვა საწარმოებისათვის, თურქმენეთისათვის მიწოდებული პროდუქციის ანაზღაურებისა და ბიუჯეტის კუთვნილი თანხის გადახდის გადავადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 27 თებერვლის N192 ბრძანებულებით, თურქმენეთში გადატვირთული პროდუქციის ლირებულების ასანაზღაურებლად, დეპარტამენტ „საქგაზს“ გამოეყო 1489.9 ათასი ლარი, მათ შორის ფირმა „ვაზიანისათვის“ -690.0 ათასი ლარი, გაერთიანება „საქაონსერვისათვის“ -424.9 ათასი

ლარი, გაერთიანება „არესათვის“-375 ათასი ლარი. სკგ,,საქაი-სუბტროპიკს“ იმის გამო, რომ თურქმენეთში ჩაის მიმწოდებელ ფაბრიკებს გააჩნდათ დავალიანებები, ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე, 1996 წლის 1 სექტემბრამდე გამოეყო საბიჯეტო სესხი 598 ათასი ლარი, საიდანაც 425,0 ათასი ლარით დაფარული იქნა ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანებები, ხოლო 179.0 ათასი ლარის სესხი დარჩა სკგ „საქაისუბტროპიკს“.

ვიდრე ამ ოპერაციების შეფასებებს გავაკეთებთ აღვნიშნავთ, რომ ბოლო გადარისხვით ფინანსთა სამინისტრომ ფაქტიურად გაისტუმრა თურქმენეთში გადატვირთული ჩაის ღირებულება.

მიუხედავად ამისა, ადრე განხორციელებული ურთიერთჩათვლების გამო, 1997 წლის 1 ივნისის მდგომარეობით თურქმენეთში ჩაის მიმწოდებელი ორგანიზაციებისადმი გაუნაღდებელი დარჩა 1092.4 ათასი ლარი.

ამავე დროს მეჩაიეობის მუნიციპალიტეტების საწარმოებისა და ორგანიზაციებს გადაუხდელი ჰქონდათ „თურქმენეთში გადატვირთული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 14 თებერვლის N 39 ბრძანებულებით გამოყოფილი სურსათის ღირებულება.

საუბარია სურსათის იმ ღირებულებაზე, რომელიც მიეცათ ჩაის ფაბრიკებსა და მუნიციპალიტეტებს, რომელთაც თურქმენეთში პროდუქცია არ გადაუტვირთავთ და „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის მინისტრო სასუქების მიწოდების შესახებ“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 5 ივნისის N326 დადგენილებით, მიღებული სასუქების ღირებულება 649.8 ათასი ლარის ოდენობით.

ჩვენ მიერ აღნიშნული ურთიერთჩათვლების შედეგად, რომელიც „1995 წლის ჩაის ფოთლის წარმოება- დამზადების, გადამუშავებისა და პროდუქციის რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 20 თებერვლის N93 დადგენილებით იქნა დამტკიცებული, მეჩაიეობის

მუნიციპალიტეტების საწარმოებისა და ორგანიზაციების (პრო-დუქტების დასაბრუნებელი ღირებულება) აგრეთვე სკგ „საქ-სოფლნაყოფიერების“ დავალიანებამ სკგ „საქართველოპიკის“ მიმართ შეადგინა 1471.1 ათასი ლარი. ამავე დროს გადასახდე-ლი იყო დმანისის რაიონის ჩაის გადამწონი ფაბრიკის დავალი-ანება -30.9 ათასი ლარი, საწარმოო ფირმა „ნაციონალის“, -581.7 ათასი ლარი , მცირე საწარმო „პალმის“ -44.7 ათასი ლარი და აშ.

კუთვნილი თანხის მიუღებლობის გამო, სკგ „საქართველოპი-როპიკს“ გასასტუმრებელი დარჩა ბიზნეს- ცენტრი -, „თემური“, რომლის მიმართ დავალიანება სხვა სახით იყო წარმოშობილი და შეადგენდა 264.0 ათას ლარს.

მდგომარეობა დამძიმა იმან, რომ „სახელმწიფო კომერციული გაერთიანება „საქართველოპიკის“ სალიკვიდაციო კომი-სიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს სოფლის მე-ურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1998 წლის N2-57 ბრძანე-ბით, სკგ „საქართველოპიკის“ სალიკვიდაციო კომისიამ შეწყ-ვიტა მუშაობა და (სკგ „საქართველოპიკი“ ლიკვიდირებულიქნა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1997 წლის N 2-244 ბრძანებით) ბრძანების მეხუთე პუნქტით „თურქმენეთში 1994-95 წლებში გაგზავნილი ჩაის პროდუქციის ღირებულების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის N267 განკარ-გულების მეორე მუხლის, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1997 წლის 9 ივლისის N2-244 ბრძანე-ბის მესამე და მეოთხე პუნქტების შესაბამისად სკგ „საქართველოპიკის“, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები გადაეცა სს „საქართველოს სერვისს“ (ყოფილი სკგ „საქსოფლნაყოფიერება“). ამდენად, ზემოთაღნიშნული დავალიანების სამარ-თალმემკვიდრედ გამოცხადდა სს „საქართველოს სერვისი“, რომლიც ამ დროისათვის განკერძოებული იყო.

ჩვენი აზრით, ყველა ზემოთჩამოთვლილი გადაწყვეტილე-ბის მიღების დროს დაშვებული იქნა შეცდომები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დარგში ფინანსური კრიზისის წარმოშობას, სა-

ხელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანების დაგროვებას, მეჩაიერების მიერ შრომის ანაზღაურების მიუღებლობას, სახელმწიფოსადმი მეჩაიეთა და მეწარმეთა უნდობლობის სინდრომის ჩამოყალებებას. რაც მთავარია, დღემდე გაუსტუმრებელია მილიონ ლარზე მეტი, ხოლო სს „საქართველოს“, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა მათი დაფარვა, ამისი არვითარი საშუალება არა გააჩნდა.

მისი ქონებაც იმდენად არალიკვიდურია, რომ ჯერ არ გაიყიდება, და რომც გაიყიდოს, ერთ მევალესაც ვერ გაისტუმრებს. ფირმების პატრონები, რომლებსაც თანხა ეკუთვნით, როგორც იტყვიან, კარდაკარ დადიან, მაგრამ საშველი არ ჩანს.

ყველა ხელს იშვერს გაკოტრებული „საქართველოსისაკენ“, რომელსაც ვალს (მხედველობაშია სასუქების ლირებულება, რომელიც მას მაჩაიერობის რაიონებმაუნდა ჩაურიცხონ) არავინ უბრუნებს და თვითონაც არაფრის გამცემი არაა.

ჩვენი აზრით, ყველა ამ ოპერაციების დროს დაშვებული შეცდომა წარმოიშვა იმ გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც საბაზრო გარემოში მოქმედ პრინციპებს პრაქტიკულად ეწინააღმდეგებოდა.

თურქების ჩაის გადატვირთვა მოწოდებული აირის ვალის დაფარვის ანგარიშში წინასწარი გადახდის, ან უარეს შემთხვევაში, პროდუქციის მიწოდებიდან დათქმულ ვადაში ანაზღაურების გარეშე არ უნდა მომხდარიყო.

შეცდომა იყო ურთიერთდავალიანების ჩათვლა და სოფლის მეურნეობისათვის სასუქის მიწოდების მოტივით დავალიანებებში მეოთხე სუბიექტის -სკვ, „საქსოფლნაყოფირების“ შემოყვანა, რითაც სახელმწიფო ვალი გადმოტანილიქნა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შიგა ვალად. ვალების წარმოშობის ინიციატორი იყო სახელმწიფო და იგი ბოლომდე უნდა დარჩენილიყო ვალებზე პასუხისმგებლად.

შეცდომა იყო სკვ „საქართველოს სამართლებრივის“ ლიკვიდაცია და მისი დებიტორული და კრედიტორული დავალიანების კერძო სს „საქართველოს სამართლება“, რომელსაც იმ დროისათვის ფაქტიურად არალიკვიდური ბალანსი ჰქონდა.

ასევე შეცდომა იყო სკგ „საქართველნაყოფიერების“ მიერ საქართველოს მეჩაიეობის რაიონებისა და ფირმებისათვის მინერალური სასუქების წინასწარ გადახდის გარეშე მიცემა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაში, რომლითაც სოფლის მეურნეობას გამოეყო 25.0 ათასი ტონა სასუქი, აღნიშნულია, რომ სასუქის გაცემა მოხდეს მხოლოდ წინასწარი ანაზღაურების შემთხვევაში ან თურქმენეთში გადატვირთული ჩაის ღირებულების სანაცვლოდ.

ასევე შეცდომა იყო 1994 წელს თურქმენეთში გადატვირთული ჩაის ღირებულების სანაცვლოდ გამოყოფილი სასურსათო პროდუქტის მეჩაიეობის ყველა სუბიექტზე განაწილება - ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მომზადების მოტივით.

„თურქმენეთში 1994-95 წლებში გაგზავნილი ჩაის პროდუქციის ღირებულების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 ივლისის N267 განკარგულებით მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, ფინანსთა, შს სამინისტროებს დაევალათ, ამოედოთ თანხა იმ ორგანიზაციებიდან, რომლებმაც დაუმსახურებლად მიიღეს პროდუქტები და ჩაირიცხათ იმ მუნიციპალიტეტის შიგნითვე იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც ჩაი გადატვირთეს თურქმენეთში, ხოლო ურთიერთანგარიშსწორების შემდეგ, დარჩენილი თანხა 1997 წლის ოქტომბრამდე ჩაერიცხათ სს „საქართველოს სერვისს“ ჩაის გადამტვირთავ ფაბრიკებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე სხვა მევალეებთან ანგარიშსწორების მიზნით.

ჩვენი აზრით, რჩებოდა მხოლოდ ერთი გამოსავალი - ყველა ამ დარღვევის ინიციატორი იყო სახელმწიფო და მას უნდა აეანაზღაურებინა ის დავალიანებები, რომლებიც თურქმენეთში ჩაის გადამტვირთავი ფირმების მიმართ იყო წარმოშობილი.

## თავი II. მეჩაიერების საბაზრო გარემოსადმი ადაპტირების პროცესი

### 2.1-მეჩაიერების საბაზრო გარემოსადმი ადაპტირების აუცილებლობა

„მეჩაიერებაში საბაზრო გარემოს ფორმირების ხელშემწყობი პირობების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 მარტის N336 განკარგულება, რომლითაც დამტკიცდა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა - „ჩაი“, უშუალოდ მიუთითებდა მეჩაიერებაში საბაზრო გარემოს ფორმირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის აუცილებლობაზე და ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ღონისძიებებზე. ამ თვალსაზრისით პრეზიდენტის განკარგულება განსხვავებულია ანალოგიურ საკითხებზე გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტებისაგან და მიანიშნებს მეჩაიერებაში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე.

ეს მიანიშნებს აგრეთვე მისი გამოსწორებისათვის საბაზრო ურთიერთობების განვითარების აუცილებლობაზეც.

განკარგულებით დამტკიცებული პროგრამიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში მეჩაიერების განვითარების პრობლემები არ შეიძლება განსილული იქნეს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ზოგადი კანონებისა და კატეგორიების კონტექსტში. იგი განსაკუთრებულ, გამორჩეულ მიდგომას საჭიროებს მრავალი მეზეზის გამო:

მსოფლიო ბაზარზე ჩაის სარეალიზაციო ფასის, მართალია ნელი, მაგრამ მაინც ზრდის ფონზე, ქართული ჩაის ფასი, ძირითადად უხარისხობისა და არაორგანიზებული გაყიდვის გამო, შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. ერთი ტონა მსხვილად დაფასოებული შეავი ბაზის ჩაის ფასი 1996 წელს - 1200 აშშ დოლარამდე შემცირდა, თუმცა ბოლო წლებში შეინიშნება ქართულ ჩაიზე მოთხოვნილებისა, და შესაბამისად, ფასის რამდენჯერმე ზრდა.

დასავლეთ საქართველოში მეჩაიეობა იყო დარგი, რომელ-  
მაც მოსახლეობა უკიდურესი სიდუხჭირიდან გამოიყვანა. დღეს,  
წმინდა სოციალ- ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩაის წარმო-  
ებაზე ღრმად დასპეციალიზებული მუნიციპალიტეტების მო-  
სახლეობა საუკუნის წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა იმ  
განსხვავებით, რომ გორაკებსა და ბორცვებზე, სადაც ჩაი გა-  
შენდა, ძვირფასმერქნიანი ტყე იდგა, რომელიც საზღვარგარეთ  
გაჰქინდა.

მეჩაიეობაში უაღრესად არახელსაყრელი საინვესტიციო  
გარემოა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გერმანულ ფირ-  
მას- შპს „მარტინ ბაუერს“, რომელმაც მეჩაიეობაში სხვადასხ-  
ვა ფორმით 30 მილიონზე მეტი გერმანული მარკა დააბანდა და  
ამერიკულ კომპანიას „ენ-სი- ეიჩს“, რომელმაც პორტფელური  
ინვესტიციები განახორციელა - ფასიანი ქაღალდების მეორად  
ბაზარზე გადაყიდვის იმედით. სხვა უცხოური და ადგილობრი-  
ვი ხელშესახები ინვესტიციები პრაქტიკულად არ განხორცი-  
ელებულა და უახლეს მომავალში არც არის მოსალოდნელი.  
ინვესტიციების შემოდინების ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი  
იყო 1998-1999 წლები, როცა კომერციული ბანკებიც კი დაინტე-  
რესდნენ მეჩაიეობაში ინვესტიციების განხორციელებით. მან  
განვითარება ვერ პოვა რამდენიმე მიზეზის გამო, რომელთა  
შორის აღსანიშნავია 1999 წელს მეჩაიებისადმი სახელმწიფოს  
დახმარების შეწყვეტა (მიუხედევად იმისა, რომ,,მეჩაიეობის  
დარგის აღდგენისა და რეაბილიტაციის შესახებ“ საქართველოს  
პრეზიდენტის 1998 წლის 25 აპრილის N166 ბრძანებულების მე-4  
პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი - 10 მილიონი ლარის გამოყოფას ითვა-  
ლისწინებდა).

1998 წელს სუბვენციების გაცემა მოხდა ისე, რომ ჩაის ხარის-  
ხის გაუმჯობესებაზე აქცენტი გაკეთებული არ ყოფილა. რუ-  
სეთთან ურთიერთობის გაუარესებამ შეაფერხა ამ ქვეყანაში ჩაის  
ექსპორტი. რუსეთი დღესაც იმ სახელმწიფოთა ათეულში შედის,  
სადაც ქართული ჩაი ყველაზე მეტი რაოდენობით იყიდებოდა.

ზემოთ მოტანილი მოკლე ჩამონათვალიდან ნათლად ჩანს,  
რომ სერიოზული ღონისძიებების გატარების გარეშე მეჩაიეო-

ბაში საბაზრო გარემოს ფორმირება შეუძლებელი იქნება. გა-  
სათვალისწინებელია ისიც, რომ საბაზრო ეკონომიკის სუბიექტი  
ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო არასდროს არ ყოფილა,  
ანუ იგი არასდროს ყოფილა ყოვლისმომცველი და მიისწრაფვო-  
და მომგებიანი სეგმენტებისაკენ.

საქართველოს მეჩაიეობა დღეისათვის, მთელი რიგი პარა-  
მეტრების მიხედვით, ამ მოთხოვნებს ვერ პასუხობს და სპეცი-  
ალური ღონისძიებების გატარების გარეშე, ვერც მომავალში  
უპასუხებს. როგორც ,რამდენიმეჯერ აღვნიშნეთ, მას უდიდე-  
სი სოციალ- ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა აქვს.  
ამ ფაქტის გამო დარგი სახელმწიფოს ყურადღების გარეშე ვერ  
დარჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს მეჩა-  
იეობის რაიონებში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების  
საკითხი და მასთან ერთად, აქ მცხოვრები მოსახლეობის სიღა-  
რიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის ამოცანები უნდა  
გადაწყდეს იმ გზებისა და მეთოდების გამოყენებით, რასაც ობი-  
ექტური რეალობა გვკარნახობს.

## **2.2-ქართული მეჩაიეობის რეაბილიტაციის ხელშემწყობი პირობები**

ქართულმა ჩაიმ მსოფლიო ბაზარზე, არგენტინული ჩაის  
მსგავსად, დაბახარისხიანი პროდუქციის იმიჯი დაიმკვიდრა,  
რაც სხვა ხელისშემსლელ პირობებთან ერთად, გააძნელებს მის  
ბაზარზე დაბრუნებას.

უხარისხო ქართული ჩაის წარმოებას დიდად უწყობდა ხელს  
მისი მრავალი სუბიექტის მიერ უკონტროლო გატანა. შეიძლე-  
ბა შეგვედაონ იმაში, რომ არსებობს პროდუქციის გატანის წესი,  
რომლის დაცვა ყველა სუბიექტის მიერ აუცილებელია. ამის უარ-  
ყოფას არავინ აპირებს, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ვერც  
ვერავინ დაგვიმტკიცებს იმას, რომ ყოველგვარი საბუთის მიღება  
შეუძლებელია. მთავარია პროდუქცია მომნამვლელი არ იყოს.

განვითარებულ ქვეყნებშიც ხერხდება ასეთი საბუთის გა-  
ცემა. სხვანაირად, ამდენი ფალსიფიცირებული და საეჭვო წარ-

მოშობის პროდუქცია საქართველოს ბაზარს არ მოაწყდებოდა. შემოგვედავებიან იმაშიც, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ყველას აქვს თავისუფალი მოქმედების საშუალება და შეუძლია პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა - სამინისტროს ან რომელიმე სახელმწიფო უწყებისაგან განსაკუთრებული ნებართვის მიღების გარეშე.

სხვათაშორის, რამდენიმე წლის წინ, საზღვარგარეთ პროდუქციის გატანის შესახებ ლიცენზიის გაუქმება დიდ მიღწევად იქნა აღიარებული. შედეგად მივიღეთ ის, რომ XX საუკუნის ბოლოს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, ჩაის ექსპორტიორი ფირმებისა და ფიზიკური პირების რაოდენობა 250 მდე გაიზარდა. ეს მაშინ, როცა ბოლო წლებში, საშუალოდ ერთ ქვეყანაზე გაანგარიშებით, ქართული ჩაის ექსპორტი 50 ტონას არ აღემატებოდა.

ჩაის ექსპორტისას პროდუქციის წარმოშობის შესახებ სერ-თიფიკატის გაცემის უფლება დეპარტამენტი, „საქსდანდარტის“ მიერ აკრედიტებულ ყველა ლაბორატორიას ჰქონდა, მათ შორის ისეთსაც, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე იყო დარეგისტრირებული და ერთი მენზურაც არ გააჩნდა. იმის დასადასტურებლად, რომ ექსპორტის ლიცენზიის გაუქმება ყველა აკრედიტებული ლაბორატორიისათვის

შესაბამისობის სეტფიკიატის გაცემის უფლების მინიჭება, ჩვენის აზრით დროსგასწრებული გადაწყვეტილება იყო.

ჩვენ არ ვაყენებთ საკითხს პროდუქციის ექსპორტზე სამინისტროს მიერ ნებართვის გაცემის აღდგენის შესახებ. მიგვაჩნია, რომ ჩაის საქსპორტო პროდუქციაზე დოკუმენტაცია უნდა გასცეს მხოლოდ აგრარული უნივერსიტეტის ანასეულის ინსტიტუტის ლაბორატორიამ. ეს ენინააღმდეგება დღეს მოქმედ წესს, მაგრამ არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამის გაკეთება აუცილებელია მსოფლიო ბაზარზე ქართული ჩაის იმიჯის აღსადგენად.

სხვა ღონისძიებებიდან, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქართული ჩაის რეალიზაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე

საზღვარგარეთ, კვლავ არაორდინალური და ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი.

მხედველობაში გვაქვს ძალოვანი და სხვა ორგანიზებული სტრუქტურების მიერ ქართული ჩაის უპირატესი შესყიდვა, რაც უნდა იქნას მიღწეული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად ჩატარებული ტენდერებით, ჩაის ქართული მწარმოებლებისათვის უპირატესობის მინიჭებით. აღნიშნული შესაძლებელია ამ საკითხზე ძალოვანი და სხვა ორგანიზებული სტრუქტურებისადმი სამთავრობო რეკომენდაციის საფუძველზე.

სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულებებში, როგორც წესი, დასახელებულია ურთიერთმისაწოდებელი პროდუქციის სახეები და რაოდენობა. ადრე, ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკის პირობებში, მისი შესრულება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა.

ამჟამად, როცა წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია დივერსიფიცირებულია, ხოლო ფასები ლიბერალიზებული და უმეტეს ქვეყნებში მოქმედებს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, ანალოგიური ხელშეკრულებები სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით ყოველგვარ აზრს მოკლებულია. აქ, შესაძლებელია იყოს ორგვარი მიდგომა: ერთი, რომელსაც აყენებს სომხეთის ხელისუფლება. ესაა ის, რომ ხელშეკრულებებში აღინიშნოს არა პროდუქციის რაოდენობა, არამედ პროდუქციის ექსპორტ- იმპორტის ხელშემწყობი პირობები, კონკრეტული ფირმების დასახელებითა და შეღავათების მოქმედების ვალის ჩვენებით, ან სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებში, ან მის დანართებში უნდა მიეთითოს პროდუქციის მიმწოდებელი და მიმღები ფირმები.

ცხადია, ასეთი ჩანაწერის გასაკეთებლად ხელმომწერი სახელმწიფოების მხრიდან, უნდა შესრულდეს სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები.

ზემოთ აღნიშნული მიდგომების აუცილებლობაზე მეტყველებს თუნდაც ერთი ფაქტი. უკრაინასა და საქართველოს შორის 90-იანი წლების მეორე ნახევარში გაფორმებული ხელშეკ-

რულებებში გათვალისწინებული იყო 8,0 ათასი ტონა ჩაის მიწოდება. მიუხედავად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს მცდელობისა, ხელშეკულების ქვეშ ვერცერთი კილოგრამი ჩაის მიწოდება ვერ მოხერხდა.

მსოფლიო პრაქტიკაში ბევრია სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე ამა თუ იმ სახის პროდუქციის ურთიერთმიწოდების საკითხის გადაწყვეტა. ამისი საუკეთესო მაგალითია რუსეთის ფედერაციისათვის ინდური ჩაის მიწოდება, სამხედრო იარაღის სანაცვლოდ. ასეთი შეთანხმებების დროს, სახელმწიფოები არჩევენ (ტენდერი, კონკურსი თუ სხვა, ეს მათი გადასაწყვეტია) მიმწოდებელ და მიმღებ ფირმებს, პროდუქციის რაოდენობას, მის სახესა და ფასებს.

ხელი უნდა შეეწყოს მეჩაიერობის ერთობლივი საწარმოების, მათ შორის მეორე ქვეყნების ტერიტორიაზე ჩაის დამფასოებელი ფაბრიკების მშენებლობლობას. ამ მხრივ განსაკუთრებულად პერსპექტიულია ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, სადაც დღემდე შემორჩენილია ნოსტალგია ქართულ ჩაიზე და მისი დიდი რაოდენობით გაყიდვის პერსპექტივები არსებობს.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩაის ყოფილი ბაზრები, თუნდაც დსთ-ს სივრცეში, თავიდან ასათვისებელია( პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის წესთან ერთად), სახელმწიფომ ხელშეწყობი პირობების შექმნით უნდა დაარეგულიროს ამა თუ იმ ბაზარზე მომუშავე ფირმების რაოდენობა.

თავიდან ბაზრის ათვისებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოცემულ ქვეყანაში ბაზრის გაჯერების, ბაზარზე ჩაის შემომტანი ფირმების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, იმის ცოდნას, თუ რომელი სახის ჩაიზეა მეტი მოთხოვნილება, რა ფასში იყიდება ესა თუ ის პროდუქცია, ვინ არის პროდუქციის რეალიზატორი - კერძო ფირმა, თუ სახელმწიფო, ბაზრის რა სეგმენტია დარჩენილი, რომელიც შესაძლებელია დაკავებული იქნას ქართული პროდუქციით.

სხვადასხვა ქართული ფირმები, რომლებიც შეეცდებიან ერთდროულად შევიდნენ ახალ ბაზარზე, მათ შორის არსებუ-

ლი კონკურენციის გამო, უპრალოდ ვერ მოახერხებენ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესწავლას. აღნიშნულის გარეშე წარუმატებლობა გარანტირებულია. ამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითი არსებობს- ცენტრალური აზიის ქვეყნების (უზბეკეთი, თურქმენეთი) მაგალითზე.

პრაქტიკია გვიჩვენებს, რომ ახალ ბაზარზე ჯერ უნდა შევიდეს სახელმწიფოს მხარდაჭერის (თუნდაც სიტყვიერის) მქონე ერთი ფირმა და ვიდრე იგი მოცემული ბაზრის მნიშვნელოვან სეგმენტს არ დაიკავებს, სხვა ფირმებმა პროდუქციის მიწოდება მხოლოდ მისი მეშვეობითა და ზედამხედველობით უნდა განახორციელონ.

ზემოთ ნათქვამი სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ახალ ბაზარზე, მხოლოდ ერთმა ფირმამ დაიწყოს ფუნქციონირება. მათი რიცხვი დამოკიდებული იქნება ბაზრის მოცულობისაგან. ფირმების საიმედობასა და კეთისლინდისიერებაზე სახელმწიფო, ჩვენს შემთხვევაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, უნდა იყოს პასუხისმგებელი.

მოცემულ ეტაპზე ქართული ჩაის ბაზრის მოპოვებისათვის აუცილებელია გაგრძელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბვენციების გამოყოფის პრაქტიკა იმ მოცულობით, როგორც ეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაითაა“ გათვალისწინებული. აღნიშნული პრაქტიკა პროდუქციის წარმოების გაზრდასთან ერთად გამოიწვევს მის გაიაფებას, ანუ მსოფლიო ბაზარზე ქართული ჩაის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

უმთავრესი, რაც უნდა გაკეთდეს ადგილობრივ ბაზარზე დასაბრუნებლად, არის პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. ამ ფაქტის დამადასტურებელი მაგალითებიც არსებობს, მაგრამ ასეთ საწარმოებს ამ ეტაპზე სჭირდებათ სახელმწიფოს მხარდაჭერა.

სახელმწიფომ მეტი ინტენსივობით უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები ვმო-ს წევრ სახელმწიფოებთან, ქართული ჩაისათვის ხელსაყრელი საექსპორტო პირობების შექმნის შესახებ. თავის დროზე ძალზე წარმატებული იყო პოლონეთთან მიღწეული

შეთანხმება, რომლის დროსაც პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის გამოყენებით ქართული ჩაის ექსპორტი გათვალისწილდა ყოველგვარი გადასახადისაგან.

ბუნებრივია, მომავლის საქმეა ის ფაქტი, რომ უნდა გაგრძელდეს მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოებთან, მიწოდებული პროდუქციის ორმაგი დაბეგვრისაგან გათავისუფლების შესახებ, იმ პირობით, რომ ე.წ. ამოღების ჩამონათვალში, როცა ასეთი არსებობს, ჩაი შეტანილი არ იქნება.

ისიც მომავლის საქმეა, რომ ვმო-ს დირექტორატის განსახილველად უნდა წარედგინოს ანალიტიკური მასალა ჩაიზე საბაჟო ტარიფის მკვეთრად გაზრდის შესახებ იმ მოტივით, რომ იმპორტი ანგრევს ჩაის ეროვნულ ბაზარს.

ვმო-ს დირექტორატის მიერ საქართველოს წინადადების გაზიარების შემთხვევაში, შესაძლებელია ოთხი წლით საბაჟო ტარიფის თუნდაც 100%-ით აწევა, დღეს არსებული 20%-ის ნაცვლად და ოთხი წლის შემდეგ, თუ სასურველი შედეგები მიღწეული არ იქნება, მისი კიდევ 4 წლით გაგრძელება.

აღნიშნულის მისაღწევად სულ მცირე ორი პირობაა შესასრულებელი. პირველი- საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონები ანტიდემპინგური საქმიანობის, კომპენსაციებისა და დაცვის შესახებ და მეორე- უნდა არსებობდეს ბაზრის ქართული პროდუქციით უზრუნველყოფის გარანტიები.

ცხადია, ქართული ბაზრის დასაცავად გატარებული ღონისძიებები მაშინ გამოიღებს შედეგს, თუ იგი დაცული იქნება კონტრაბანდული პროდუქციის შემოღწევისაგან, რომლის წილიც დღეის მდგომარეობით, მნიშვნელოვანია. ამას ადასტურებს თუნდაც ქვეყანაში იმპორტირებული ჩაის დეკლარირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები.

1994-2001 წლებში, საქართველოში აღრიცხულია სულ 2510.7 ტონა პროდუქციის იმპორტი, ანუ საშუალოდ ერთ წელზე გაანგარიშებით 313.8 ტონა მაშინ, როცა ადგილობრივი ბაზრის მოცულობა, სულ მცირე 1.5-2.0 ათას ტონას შეადგენს. სანალიზო პერიოდში ყველაზე მეტი პროდუქცია შემოტანილია

1998,2000,2001 წლებში - შესაბამისად- 434.8,536.7 და 544.5 ტონა. თუ ვიგულისხმებთ, რომ პროდუქციის შემოტანის მაჩვენებელი თანდათანობით გაიზარდა (იგი, დღეს 1,9 ათასი ტონაა), აშკარაა, რომ ძლიერდება ადგილობრივი ბაზრის დაკარგვის ტენდენცია.

ქართული პროდუქციის რეალიზაციისათვის აუცილებელია საქართველოში, კერძოდ თბილისში, ჩაის სახლის აღდგენა, რომელიც მრავალფუნქციური დაწესებულება იქნება. სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩაის სახლი შესაძლებელია დაარსოს კერძო სტრუქტურამაც, სადაც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ვალდებულებები და ხელშემწყობი პირობები იქნება გათვალისწინებული. როცა ჩაის სახლზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის შეცდომები, რომელიც სახელმწიფო ობიექტების პრივატიზებისას იქნა დაშვებული, როცა არ აიკრძალა სტრატეგიული თუ სპეციალიზებული ობიექტების პრივატიზება.

ყოფილი ჩაის სახლის მესაკუთრეები ისეა დივერსიფიცირებული, რომ სახელმწიფოს საშუალებაც რომ ჰქონდეს, მისი გამოსყიდვა წარმოუდგენელია.

ჩაის წარმატებით რეალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო- საკონსულტაციო ცენტრის სწავლება - კონსულტირებას სისტემის დანერგვას, იმ ფირმების საქმიანობის განზოგადოებას, რომლებიც წარმატებით განახორციელებენ ჩაის ექსპორტს.

სერიოზულ მიდგომას მოთხოვს მეჩაიერების შესახებ საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, რომელსაც ორგანიზაცია უნდა გაუწიოს საქართველოში მეჩაიერების დარგის მართვის მომავალმა სტრუქტურამ, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ცალკეული, გათითოვაცებული ფირმები ამას ვერ შეძლებენ. თავის დროს ეს ფუნქცია ვერც მეჩაიერთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ასოციაციამ შეძლო, რომელიც დაფუძნდა არა შინაგანი მოტივაციის საფუძველზე, არამედ გარედან ინიციატივით. ასეთი გაერთიანებების ცხოველმყოფელი საქმიანობის დრო აუცილებლად მოვა, მაგრამ მანამდე დიდი გზაა გასავლელი.

## **2.3-მეჩაიეობისადმი განხორციელებული სახელმწიფო დახმარებები**

ობიექტური არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება ზომებს არ ღებულობდა მეჩაიეობაში მოსალოდნელი კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

დარგის განვითარებაზე სახელმწიფო ზრუნვა იწყება 1993 წლიდან, როცა მიიღეს მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე დადგენილება მეჩაიეობის განვითარების სხვადასხვა საკითხებზე.

1995 წელს, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მოსამზადებლად, ეროვნულ ბანკს დაევალა 5 ტრილიონი კუპონის მოკლევადიანი კრედიტის გამოყოფა.

შემდგომი ლონისძიებებიდან აღსანიშნავია ნებართვის მიცემა ჩაის ფაბრიკებისათვის პროდუქციის საბაზრო ფასში გაყიდვის შესახებ. მანამდე (1995 წლამდე), ჩაის ფაბრიკებს უფლება არ ჰქონდათ პროდუქცია გაეყიდათ მისი წარმოების თვითლირებულებაზე დაბლა, რადგან საგადასახადო სამსახური გადასახადის დარიცხვის ქვედა ზღვრად, პროდუქციის თვითლირებულებას მიიჩნევდა.

შემდეგი ნაბიჯი იყო ჩაის აქციზისაგან გათავისუფლება (1995 წელი). მანამდე იგი სასმელებთან და თამბაქოსთან ერთად, აქციზურ პროდუქციად ითვლებოდა. ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო ძველი ინერციით, როცა ქართული ჩაი შეუფერხებლად იყიდებოდა დსტ-ს სივრცეში. აქციზის გაუქმების შედეგად გაიაფდა პროდუქცია და ამაღლდა მისი კონკურენტუნარიანობა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1994-95 წლებში თურქმენეთიდან მონოდებული აირის დავალიანების დასაფარად, კლირინგის წესით, ქართული ჩაის მიწოდებას, რომლის ღირებულება ადგილზე „საქაზს“უნდა აენაზღაურებინა.

1994-96 წლებში ვალის ანგარიშში თურქმენეთისათვის ჩაის მიწოდებას ახორციელებდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო-კომერციული გაერ-

თიანება - „საქართველოს ტროპიკი“, ცალკე ფირმები და, როგორც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ფინანსთა სამინისტრო. ამ უკანასკნელს, 1996 წლის დასაწყისში, გადაეცა თურქმენეთში მისაწოდებელი ჩაის კვოტები, იმ მოტივით, რომ მიწოდებული პროდუქციის ღირებულება მას უნდა აენაზღაურებინა.

საგარეო ვალში ჩაის მიწოდებამ, რომელიც თურქმენეთი-დან განხორციელდა, და საერთო ჯამში 12 ათასი ტონა შეადგინა, საინტერესო თემაა იმ თვალსაზრისით, რომ საგარეო ვალები ჩვენ სხვა სახელმწიფოებთანაც გვქონდა. სამწუხაროდ, 1996 წლის ბოლოს, თურქმენეთში ამ დანიშნულებით ჩაის მიწოდება შეწყდა. ფინანსთა სამინისტროსა და ჩაის მიმწოდებელ ფირმებს შორის წარმოშობილი გაუგებრობის, აგრეთვე სხვადასხვა ფირმების მიერ უხარისხო პროდუქციის მიწოდების გამო.

კლირინგის პირობები გულისხმობდა, რომ ჩვენს მიერ მიწოდებულ ყოველ კილოგრამ ჩაის თურქმენეთის მხარე ითვლიდა 2.5 აშშ დოლარად, ხოლო ჩაის მიმწოდებელ ფირმებს ჯერ „საქ-გაზი“, ხოლო შემდგომ, ფინანსთა სამინისტრო 1 კგ ჩაიში უხდიდა 1.20 აშშ დოლარს. საგარეო ვალის დაფარვის ამ სქემის განახლების მცდელობა საქართველოს მხრიდან იყო, რაც თურქმენეთის მხარის მიერ უარყოფილიერა.

მიუხედავად ამისა, „მეჩაიერობაში საბაზრო გარემოს ფორმირების ხელშემწყობი პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 მარტის N336 განკარგულების მესამე პუნქტით დაევალა ფინანსთა, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად, წინადადების მომზადება ჩაის პროდუქციით კრედიტორი ქვეყნებისადმი საქართველოს საგარეო ვალის დაფარვის შესაძლებლობის შესახებ.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ მიზნით საქართველოში სპეციალური ფირმაც კი შეიქმნა, იმ განსხვავებით, რომ მას უფლება მიეცა ვალის დასაფარად, ჩაისთან ერთად, სხვა პროდუქციის გამოყენებისა. სამწუხაროდ, იგი დადებითად ვერ გადაწყდა.

შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა გაეტარებინა ზომები მეჩაიერაში კრიზისის ჩამოყალიბების საწინააღმდეგოდ, რომელიც ძირითადად შემდეგი მიმართულებით ხორციელდებოდა: ეკონომიკურ- ფინანსური -ჩაიზე აქციზის გაუქმება, პროდუქციაზე თავისუფალი ფასწარმოქმნის დაშვება, გადასახადის გადავადება, სახელმწიფო დაკვეთით პროდუქციის გადატვირთვა და გადატვირთული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება და ტექნოლოგიური -მეჩაიერობის რეგიონებისათვის სასუქების გამოყოფა, ენერგომატარებლებით (მაზუთი, ელექტროენერგია) ჩაის ფაბრიკების უზრუნველყოფა.

ყოველივე ეს ნაკარნახევი იყო მხოლოდ დარგის გადარჩენის სურვილით, მაგრამ სამწუხაროდ, იგი კეთდებოდა ძველი, გეგმური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით, რამაც ბაზრების დაკარგვის, მეჩაიერობაში გამოყენებული მრეწველობის პროდუქციასა და მზა ჩაიზე, ფასების დისპარიტეტის პირობებში, მდგომარეობის ხსნა ვერ შეძლო, პირიქით - გამოიწვია არგადახდების კასკადი.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ხელისუფლებამ შეცვალა მეჩაიერობის დარგისადმი დახმარების სტრატეგია და იგი ნატურის ნაცვლად, ფულადი დახმარებით ჩაანაცვლა.

,მეჩაიერობის დარგის გადარჩენისა და რეაბილიტაციისათვის ფინანსური დახმარების შესახებ“ საქართველის პრეზიდენტის 1997 წლის 10 აპრილის N177 ბრძანებულებით პრეზიდენტის ფონდიდან სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გამოეყო ერთი მილიონი ლარი ფინანსური დახმარების სახით, რასაც მოგვანებით დაემატა საბერძნეთიდან უსასყიდლოდ მონადებული ხორბლის რეალიზაციიდან ამონაგები 495 ათასი ლარი.

ბრძანებულებით აღნიშნული თანხის ბიუჯეტში დაბრუნება გათვალისწინებული იყო 1999 წლის 1 აპრილისათვის. ამდენად, ეს იყო პირველი, ორნლიანი უპროცენტო სესხი, რომელიც მეჩაიერობის რეაბილიტაციისათვის იქნა გამოყოფილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ იმავე წელსვე თანხა ტენდერის საფუძველზე გადასცა სააქციო საზოგადოება „ქართულ ჩაის“. იმ დროისათვის მეჩაიონბაში იმდენად მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ თანხის განაწილებამ პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. იგი სააქციო საზოგადოების მიერ ჩაის ფაბრიკებზე განაწილდა ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ფაბრიკებისათვის ძირითადად მაზუთისა და სასუქების შესყიდვას ითვალისწინებდა. ღირებულება მათ უნდა დაებრუნებინათ პროდუქციით ან ფულით. სარგებლობის წლიური განაკვეთი 2%-ის ტოლი იყო.

სულ, პროგრამაში, თავდაპირველად, ჩართული იქნა ჩაის 42 ფაბრიკა, ხოლო შემდეგ, გარკვეული ზეწოლის გამო, მათი რიცხვი ორით გაიზარდა.

თუ რეალურად ვიმეჯელებთ, ამ თანხით შესაძლებელი იყო მაქსიმუმ ჩაის ორი ფაბრიკის ამუშავება, თანაც ისეთის, რომელსაც გააჩნდა გარკვეული რაოდენობის საკუთარი საპრუნავი საშუალებები და პროდუქციის გაყიდვის უპირობო გარანტია. სამწუხაროდ ასეთი მიდგომის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, თანხას მიეცა პოლიტიკური დატვირთვა. იგი რაიონების ხელმძღვანელებმა ჩათვალეს არა სააქციო საზოგადოება „ქართულ ჩაის“, არამედ სახელმწიფო საკუთრებად და მოითხოვეს მისი განაწილება ისე, როგორც ეს ადრე ხდებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ თანხა გამოყოფილიქნა დაგვიანებით.

სააქციო საზოგადოებას პირველი ტრანში მხოლოდ 15 ივნისს ჩაერიცხა, როცა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი თვენახევრის დაწყებული იყო. ასევე დაგვიანებით ჩაირიცხა დანარჩენი თანხაც. შედეგად მივიღეთ ის, რომ თანხა არ დაბრუნდა. ჩაის ფაბრიკებმა დაარღვიეს სახელშეკრულებო პირობები. უმეტესი მათგანის მიმართ სააქციო საზოგადოების მიერ წაყენებული იქნა სარჩელი, რაც სასამართლოებმა დააკმაყოფილეს. თანხის დიდი ნაწილი ამოუღებელი დარჩა, იგი ბიუჯეტს არ დაბრუნებია და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განვადებული იყო 2004 წლის 31 დეკემბრამდე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თანხის განაწილებისას დაშვებული შეცდომის მიუხედავად, მან მაინც შეასრულა გარკვეული ფუნქცია და დარგის გამოცოცხლება გამოიწვია.

„მეჩაიეობის დარგის აღდგენისა და რეაბილიტაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 აპრილის N266 ბრძანებულებით, ბიუჯეტიდან გამოიყო 3 მილიონი ლარი, დაბრუნების გარეშე-22.4 ათას ჰექტარზე, ჩაის პლანტაციაში აგროტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად, 2 მილიონი ლარი საკრედიტო რესურსი გამოიყო 1997 წელს, აშშ- დან შემოტანილი ხორბლის რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან წლიური 15%-იანი განაკვეთით.

თანხა გამოეყო სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, რომელმაც იგი გაანანილა რეგიონების მიხედვით ჩაის ფართობების პროპორციულად და ჩაატარა ტენდერი. ტენდერში გამარჯვებულზე თანხის გაცემა ხდებოდა სპეციალური რაიონული და სამხარეო კომისიების დასკვნის საფუძველზე. დასკვნები ჩაის პლანტაციებში სამუშაოს შესრულებას ადასტურებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც ფინანსთა სამინისტროს მიერ თანხა გამოყოფილი იქნა დიდი დაგვიანებით და ტენდერში გამარჯვებულ ზოგიერთ ფირმას, იგი სრულად არ მიუღიათ, შესანიშნავი შედეგი იქნა მიღებული. იმ წელს 48.2 ათასი ტონა ნედლეული იქნა მოკრეფილი, ხოლო 1999 წელს - 60.0 ათასი ტონა, იმ იმედით, რომ რომ ამ წელსაც მეჩაიეობს გამოეყოფოდათ პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული 10.0 მილიონი ლარი, ხოლო 2000 წლისათვის 12-15 მილიონი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „მეჩაიეობის აღორძინების სახელმწიფო პროგრამის (2000-2003 წლების პერიოდისათვის) შესახებ“, რომელიც 2000 წლისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4.0 მილიონი ლარის გამოყოფას ითვალისწინებდა. მთლიანად, პროგრამის ღირებულება 40.0 მილიონ ლარს შეადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წელს თანხის გამოუყოფლობამ სერიოზულად შეაფერხა მეჩაიეობის განვითარება და ადრე

დაწყებული სამუშაოები, რომლებიც აღნიშნული თანხით, აგრეთვე, გაეროს პროგრამით-, „სურსათი შრომისათვის“, ჩატარდა ჩაის პლანტაციების ეკალ- ბარდებისაგან გასაწმენდად, უშედეგო აღმოჩნდა. ასევე შესამჩნევი ეფექტი არ მოგვცა 1.5 მილიონმა ლარმა, რომელიც 1999 წელს დაგვიანებით იქნა გაცემული სესხის სახით.

ბოლო სამ წელს შეიცვალა, როგორც თანხის გამოყენების დანიშნულება, ასევე მისი გამანაწილებელი სუბიექტები.

2001-2002 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები (3 მილიონი ლარი თითოეულ წელს) „ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის N205 ბრძანებულებით, ჩაის ექსპორტის წასახალისებლად იქნა გამოყენებული.

თანხის განაწილება ტენდერის საფუძველზე მიენდო ფინანსთა სამინისტროს. გამარჯვებული კომპანიას თითოეულ კილოგრამ გადატვირთულ პროდუქციაზე, რომლის მყიდველის მიერ განაღდებას ადასტურებდა საქართველოს ეროვნული ბანკი, ეძლეოდა 40 თეთრი. ამით ხელოვნურად ხდებოდა მენარმის მიერ განეული ხარჯების შემცირება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. 2001 წელს აღნიშნული პროგრამით 7.8 ათას ტონაზე მეტი ჩაი გადაიტვირთა, გაფართოვდა მისი გეოგრაფია. ქართულმა ჩაიმ შეაღწია ინდოეთში, ინდონეზიასა და მეჩიაეობის სხვა კლასიკურ ქვეყნებში, აშშ-ში.

ამ ფორმით თანხის განაწილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რომელთაგანაც მთავარი ის იყო, რომ ვმო-ში განევრიანებისას საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ იგი არ მოახდენს ექსპორტის სუბსიდირებას.

მეორე არგუმენტი გახლდათ ის, რომ პროგრამა არ ითვალისწინებდა ჩაის პლანტაციების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. ამ არგუმენტის მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ თუ ეს პროგრამა მუდვივად იმუშავებს, მენარმეები იძულებული იქნებიან იზრუნონ პლანტაციების აღდგენაზეც, სხვა შემთხვევაში, ნედლეული არ ექნებათ.

დღეს, როცა გარკვეული პერიოდი გავიდა პროგრამის განხორციელებიდან, შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა. თანხა იმდენად მცირე იყო, რომ პროგრამით გათვალისწინებული მოცულობების უზრუნველყოფა ნედლეულით (დაახლოებით 23 ათასი ტონა) ჩაის პლანტაციების გაუმჯობესების სამუშაოების ჩატარების გარეშეც, გახდა შესაძლებელი. გარდა ამისა, ისევ განმეორდა წინა პროექტებისათვის დამახასიათებელი ნაკლი-თანხსის დაგვიანებით გაცემა. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს, ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულებს 700 ათასი ლარი 2004 წელს აუნაზღაურეს.

ორი წლის შემდეგ პროგრამის განხორციელება ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულ ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს მიანდეს, რომელმაც თანხსის განაწილების ახალი წესი შემოიღო , რომლის მიხედვითაც კონკურსში (და, არა ტედნერში) გამარჯვებულ ფირმებს უფლება მიეცათ სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, თითოეული კილოგრამ ჩაის ფოთოლზე, მიეღოთ ორი თეთრი, ხოლო გადატვირთულ კილოგრამ ჩაიზე- 12 თეთრი.

2003 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სააგენტოს ამ დანიშნულებით, ფინანსთა სამინისტროდან მისაღები 2.3 მილიონი ლარიდან, მიღებული ჰქონდა მხოლოდ 700 ათასი ლარი (ამ პროგრამის ქვეშ გამოყოფილი 3.0 მილიონი ლარიდან ,700 ათასი ლარი 2002 წლის დავალიანების გასტუმრებას უნდა მოხმარებოდა), ისე როგორც 2001 და 2002 წლებში, 2003 წელსაც მოკრეფილი ფოთლის მოცულობა 23.0 ათასი ტონის დონეზე დარჩა.

ზემოთ დასახელებული ფინანსური დახმარებების პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტის საინვესტიციო პროგრამით - „ მეჩაიეობის დარგის პრიორიტეტული განვითარების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 აპრილის N134 ბრძანებულებით, ინვესტიციების მხარდაჭერის, სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგებისა და მატერიალური- ტექნიკური ბაზის რეანიმაციის მიზნით, შეიქმნა საქართველოს პრეზი-

დენტის საინვესტიციო პროგრამა, რომლის უპირველეს პრიო-  
რიტეტად ჩაითვალა სოფლის მეურნეობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ინვესტიციები მე-  
ჩაიეობის დარგის განვითარებისათვის - 5.0 მილიონი ლარის  
ოდენობით . ამ მიზნით, გამოყენებულიქნა იაპონიის მთავრო-  
ბასა და საქართველოს მთავრობას შორის, ნოტების ურთიერთ  
გაცვლის საფუძველზე, იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფი-  
ლი არასაპროექტო რესურსის სოფლის მეურნეობის ნაწილი.

პროგრამა განახორციელა საგარეო ეკონომიკური ურთიერ-  
თობის სამინისტრომ. ეს არ იყო პირდაპირი ფულადი დახმარება.   
აქ, ტენდერის საფუძველზე შეიძლებოდა დანადგარ- მოწყობი-  
ლობების , სასუქების, მაზუთის შეძენა, რომელსაც შემოიტანდა  
იაპონიის მთავრობის მიერ დაქირავებული აგენტი. საქონლის  
შემოტანა ისე გაჭიანურდა, რომ განეულმა ხარჯებმა პრაქტი-  
კულად შედეგი ვერ გამოიღო. შეძენილი საქონლის ღირებულე-  
ბა უკან იყო დასაბრუნებელი, რაც ბევრ ფირმას დღემდე არ გა-  
უკეთებია.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1997-2003 წლებში, სა-  
ხელმწიფოს მიერ მეჩაიეობის აღდგენისა და რეაბილიტაციისათ-  
ვის, გამოყოფილი სუბვენციებიდან, ყველაზე ეფექტიანად 1998  
წელს გამოყოფილი - 3.0 მილიონი ლარი იქნა გამოყენებული.

სახელმწიფოს ღონისძიება ეფექტიანი იყო თუ არა? რა თქმა  
უნდა- არა. სხვა საკითხია, რომ მათი მიზნობრიობის უფრო ნათ-  
ლად განსაზღვის შემთხვევაში სხვა შედეგის მიღწევა იყო შესაძ-  
ლებელი, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია. აქ, კი უნდა აღი-  
ნიშნოს, რომ განხორციელებული დახმარებებით შესაძლებელი  
გახდა დარგის სიცოცხლიუნარიანობის შენარჩუნება, რაც იმის  
საფუძველს გვაძლევდა, რომ სერიოზულად გვეფიქრა ფართო-  
მასშტაბიანი პროგრამების განხორციელებაზე.

2004 წელს მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის 3.5 მილიო-  
ნი ლარი გამოიყო, საიდანაც დაახლოებით 3.0 მილიონი ლარი  
მოხმარდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას, რომლის ფარ-  
თობმა 6000 ათასი ჰა შეადგინა. აქედან-2100 ჰა ტარზე ჩატარდა

მძიმე და ნახევრადმძიმე, ხოლო 3900 ჰექტარზე - შპალერული გასხვლის სამუშაოები. მთელ ფართობზე შეტანილიქნა რთული სასუქი - 500 კგ-ის ოდენობით, რომელიც ძირითადად, ფოსფო-როგორი და კალიუმიანი სასუქებისაგან შედგებოდა. აზოტიანი სასუქების რაოდენობა 10% იყო.

500 ათასი ლარი მოხმარდა მცირე და საშუალო წარმადობის ფაბრიკების მომზადებას. სულ, შეძენილიქნა 16 მიკროფაბრიკა, რომლის ტექნოლოგია მხოლოდ მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებაზეა გათვლილი. გაკეთდა და ტენდერში გამარჯვებულებს გაუნანილდა ჩაის მძიმე და ნახევრადმძიმე სასხლავი აპარატი, რომელიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო - კვლევით ინსტიტურის მიერაა შექმნილი.

ტენდერის პირობებით დამზადდა 20 ტონა იოდიზირებული ჩაი, რაზეც 22 ათასი ლარი დაიხარჯა.

ტენდერი ჩაატარა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ, რომლის დროსაც პირველად მოხერხდა პლანტაციების რეაბილიტირება და მისი მიბმა მაღალი ხარისხის ჩაის მწარმოებელ ფაბრიკებზე.

მეჩაიერაში აღნიშნული მიმართულების არჩევა ნიშნავდა ქართული მეჩაიერის გაძლიერების იაპონურ გზაზე გადაყვანას, რაც ენერგომატარებლების დეფიციტის, ჩაის გადამუშავების ძველი ტექნოლოგიების არსებობისა და ხარისხიანი ჩაის წარმოების აუცილებლობის პირობებში, გამართლებული ნაბიჯად მიგვაჩნია. ინსტიტუციურად იგი შეიძლებოდა ყოფილიყო - ოჯახური, კოოპერაციული, ხელშეკრულებით - ვერტიკალურად ინტეგრირებული, ხოლო სტრუქტურულად - მაღალი ხარისხის პროდუქციის მწარმოებელი საწარმო.

სასურველი იყო აღნიშნული მიმართულების შემდგომშიც გაგრძელება, რაც გარკვეული წლების შემდეგ დადებით შედეგს მოგვცემდა.

სწორედ ამ ფორმის საწარმოები უნდა დაპირისპირებოდა ჩაის მსხვილ ფაბრიკებს, რომელთაც მხოლოდ დაბალი და უკეთეს შემთხვევაში, საშუალო ხარისხის ჩაის წარმოება შეეძლოთ, სამესამედოდ დატვირთული სიმძლავრის პირობებში.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით მიღებული თანხებით (2001წლის ჩათვლით) მეჩაიეობის ფირმებმა პირდაპირი და ირიბი გადასახადების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტს, 18.5 მილიონ ლარზე მეტი დაუბრუნეს.

გურიის, სამეგრელოს, იმერეთის მხარის, აჭარის არ ბიუჯეტებში მრეწველობიდან მიღებული შემოსავლების 80% ჩაის ფირმების წილად მოდიოდა. 1996 წლიდან გაიყიდა 72 ათას ტონაზე მეტი პროდუქცია. სავალუტო შემოსავლების სახით ქვეყანაში 68 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მიიღო. თუ, შიდა ეროვნულ პროდუქტში ჩაის მოცულობა 0.2-0.5 %-ს შეადგენდა, ქვეყნის ექსპორტის მოცულობაში 2000-2003 წლებში მისი წილი 5.5-8%-ი იყო. ამ მაჩვენელბლის მიხედვით მეჩაიეობას ეროვნულ ეკონომიკაში ანალოგი არა ჰყავდა. განსაკუთებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩაის ექსპორტმა დადგებითი გავლენა იქნია სავაჭრო ბალანსზე. რაც მთავარია, შესაძლებელი გახდა ასეულობით ადამიანის დასაქმება და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესება.

## 2.4-მეჩაიეობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები

საქართველოს მეჩაიეობა მსოფლიო მეჩაიეობის უკიდურესი ჩრდილოეთ ნაწილია. ამ ფაქტის გამო ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი , განსხვავებით მეჩაიეობის კლასიკური ქვეყნებისაგან, მხოლოდ 6 თვე გრძელდება. ამ მახასიათებლებით იგი წამგებიან მდგომარეობაში იმყოფება. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა ქვეყანა მსოფლიო ბაზრის სუბიექტად იქცა.

გარდა ამისა, ქართულ მეჩაიეობას, რომელიც ორიენტირებული იყო საბჭოთა კავშირის დახურული ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ამას სრულად ვერ ახერხებდა, გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ამოცანად დაუსახეს პროდუქციის წარმოების რამდენჯერმე გაზრდა.ამან,

პროდუქციის ხარისხის გაუარესება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ქართველ მეჩაიერებს, რომელთაც ქვეყნაში მონოპოლიური მდგომარეობა ეჭირათ, საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას აძლევდნენ. ასეთი დამოკიდებულება აწყობდა როგორც მწარმოებელს, ისე მომხმარებელს, რომელსაც იგი ცენტრალიზებული განაწილების გზით იღებდა. ასეთ სიტუაციაში წარმოებული პროდუქციის გაყიდვა გარანტირებული იყო, განსხვავებით საბაზრო ურთიერთობის პირობებისაგან.

ჩაის მზა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიები მორგებული იყო არასტანდარტული ფოთლის გადამუშავებაზე, რომელიც დიდი ოდენობით შეიცავდა უხეშ მასას. წარმოებული პროდუქციის გარანტირებული გაყიდვის გამო ტექნოლოგიური აზროვნება მიმართული იყო არა ფოთლისა და წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისაკენ, არამედ უხეში და უხარისხო პროდუქციის ანარჩენების მაქსიმალურად გამოყენების, უანარჩენო წარმოების ორგანიზაციისაკენ. ამ მიმართულებით განხორციელებული მეცნიერული და პრაქიკული ხასიათის მცდელობების შედეგად შეიქმნა ჩაის ჯოხებისაგან მოსაპირკეთებელი მასალებისა და ჩვეულებრივი საწვავის (ჯოხების შეწებების გზით), გამონაცერისა და ნამცეცებისაგან (აგრეთვე ,ჩაის მტვრისაგან, რომელიც დიდი რაოდენობით გროვდებოდა) ე.ნ. გრანულირებული ჩაისა (პირველი ასეთი წარმოება შეიქმნა ხობის რაიონში) და უხეში მასის გამოხარშვით კონცენტრატისა (ნაყენის) წარმოება, რომლის საფუძველზე სხვადასხვა სახის უალკოჰოლო სასმელების ჩამოსხმა ხდებოდა (პირველი ასეთი სამრეწველო პროდუქცია იყო „ბახმარო“). იგი იყიდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

პროდუქციის რაოდენობაზე მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია ჩაის მობილური და ხელით საკრეფი აპარატების ტექნოლოგიის დარღვევით გამოყენების აუცილებლობა. ჩაი იკრიფებოდა არა შერჩევით, როგორც ეს მეჩაიერების კლასიკურ ქვეყნებშია, არამედ პირნმინდად - ბუჩქზე ყველა სახის ფოთლის გადაკრეფის პრინციპით .ჩაის ფოთლის კრეფის ჯერადობაა 2-3 კრეფამდე, უფრო სწორად, გადაკრეფამდე შემცირდა.

გურიაში, ხშირად გაიგონებდით ასეთ ხუმრობას: „ჩაი მოვკრიფე და ბახმაროდან დაბრუნების შემდეგ, როგორც წესი, ერთი თვის შემდეგ, ისევ მოსაკრეფი დამხვდებაო“. ხელით საკრეფი აპარატების ასეთმა გამოყენებამ მოსახლეობას უბიძგა იქეთკენ, რომ ჩაის კრეფისას მასიურად დაიწყება ჩაის კრეფა, უფრო სწორად, გასხვლა, ნამგლების, ბამბუკის ჯოხების, ალუმინის ნაჭრების, დანების გამოყენებით.

საზოგადოებრივი მეურნეობების, აგრეთვე, რაიონული დონის მრავალრიცხოვანი ადმინისტრაციების მცდელობა, აეკრძალათ უხეში ფოთლის, უხეში მეთოდებით კრეფა- უფრო ქარის ნისქვილებთან ბრძოლას ჰგავდა, რადგან, ერთის მხრივ, ძალიან მაღალი იყო ჩაის დამზადების გეგმა (გეგმას, მაშინ, კანონის ძალა ჰქონდა). მეორეს მხრივ - მაღალი იყო პროდუქციის შესყიდვის ფასი. 1986 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით დაწყებულმა მოძრაობამ - ჩაის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შესახებ, რაიონული კომიტეტების მხრიდან, ძირითადად ადმინისტრაციული ზეწოლის შედეგად, მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. შეიძლება ითქვას, რომ მოხერხდა ხარისხისათვის ბრძოლის ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა. სამაგიეროდ, მკვეთრად შემცირდა პროდუქციის წარმოება. როგორც იმ წლის სტატისტიკური ანალიზიდან ჩანს, აგვისტოს თვის 22 რიცხვისათვის, ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 45%-ით იყო შესრულებული, ხოლო მეჩაიერობის ისეთი მსხვილი რაონების მიხედვით, როგორიც იყო ოზურგეთის, ზუგდიდის, ქობულეთის, გალის რაიონები- წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი 40-42%-ს არ აღემატებოდა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩაის ფოთლის კრეფის შემცირებაზე ივლის- აგვისტოს არნახულმა გვალვებ-მაც იქონიეს გავლენა (როგორც წყაროებშია აღნიშნული, ხშირი იყო სიცხისაგან ბუჩქებზე ახლადნამოსული დუყების გადაწვის ფაქტები).

ბრძოლა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დამთავრდა იმით, რომ 22 აგვისტოს ქ. ზუგდიდში ჩატარდა მეჩაიერობის რაი-

ონების პარტიული კომიტეტების პირველი მდივნების შეკრება, სადაც გაცხადებულიქნა, რომ ქვეყანას (სსრკ-ს) ჩაი უჭირს და გეგმა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ( მაშინ როგორც ჩანს, ხშირად იხმარებოდა ეს ტერმინი), უნდა შესრულდეს. ასე დამთავრდა საქართველოში ჩაის ხარისხისათვის დაწყებული ბრძოლა. როგორი გავლენაც არ უნდა მოეხდინა მაშინდელ პირობებს ქართული ჩაის განვითარებაზე, ფაქტი ერთია- იკრიფებოდა, მუშავდებოდა და იყიდებოდა ის პროდუქცია, რომელზეც მოთხოვნილება იყო (ძირითადად, ძალოვანი სტრუქტურები, პენიტენციალური სისტემა და მრავალი სხვა).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ იმ წლებში ქართული მეჩაიერბა მუშაობდა მოთხოვნა- მიწოდების პრინციპის დაცვით. სხვა შემთხვევაში, 70-იანი წლების დასაწყისში, ორთოდოქსალური ტექნოლოგით მაღალ-ხარისხოვანი ჩაის წარმოება არ შეწყდებოდა. სხვა საკითხია, რომ მოთხოვნა- მიწოდების პრინციპით მუშაობას განაპირობებდა პროდუქციის რეალიზაცია საპჭოთა კავშირის დახურულ ბაზარზე, მისი განაწილების წესი და სხვა. მაგრამ ეს ის კომპონენტებია, რომლებიც თანამედროვე საბაზრო პირობებშიც უნდა იქნეს გამოყენებული, თუ ამის შესაძლებლობა იარსებებს.

ქართული მეჩაიერბისათვის, განსხვავებით სხვა ქვეყნები- საგან, დამახასიათებელი იყო შრომის მაღალი ანაზღაურება. ეს მოთხოვნილება დიდხანს იყო შემორჩენილი და ცხადია მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, გავლენას მოახდენდა ხარისხიანი ნედლეულის დამზადებაზე.

90-იანი წლების პირველ ნახევარში მრავალი შეცდომა იქნა დაშვებული ქართული მეჩაიერბის მიმართ, რამაც დაამძიმა სურათი.

ამრიგად, ძველი ტექნოლოგიების სიჭარბის, ძირითადად უხარისხო პროდუქციის წარმოების, ფინანსური დავალიანებების, საკრედიტო რესურსების უქონლობის, საბაზრო გარემოში დამოუკიდებლად ფუნქციონირების უცოდინრობის, პროდუქციის რეალიზაციის ბაზრების დაკარგვის, კომპერაციული კავშირების

მოშლის, აგრეთვე საკავშირო ბაზარზე, ძირითადად, მსხვილად დაფასოებული, პროდუქციის მიწოდების პრაქტიკას, ენერგეტიკული რესურსების გაძვირების გამო ქართული ჩაის პროდუქცია მცირე გამინაკლისის გარდა (მწვანე აგურა ჩაის წარმოება), მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა.

მდგომარეობა დაამძიმა დარგის მართვის სტრუქტურების მოშლამ, რაც ძირითადად საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რომლის თანახმადაც არჩეული იქნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ლიბერალური კურსი. ამ კურსის არსი მაშინ ბევრს არ ესმოდა და იგი ისე იყო გაგებული, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო საწარმოთა საქმიანობაში. მაშინ ამ კურსს ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა.

მიუხედავად იმ დიდი ნგრევისა, რაც ქართულმა ეკონომიკამ ბოლო ათწლეულში განიცადა, ამ კურსს დღესაც მრავალი მიმდევარი ჰყავს. აღნიშნულმა კურსმა დამანგრეველი გავლენა იქონია საქართველოში მეჩაიერის განვითარებაზე.

2001 წელს, 1990 წელთან შედარებით, ჩაის მზა პროდუქციის წარმოება საქართველოში 19.3-ჯერ შემცირდა (ცხრილი N10).

ცხრილი N10  
საქართველოში ჩაის მზა პროდუქციის წარმოება 1999-2001 წლებში

1990	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
125.8	40.9	31.1	15.5	7.5	9.5	9.27	10.0	12.9	6.5

**შენიშვნა: 2015 წელს წარმოება -0.5 ათას ტონას შეადგენდა.**

ცხადია, ასეთ პირობებში არა თუ უცხოური, არამედ ადგილობრივი ინვესტიციების შემოდინება არ მიმდინარეობდა. სწრაფად გაიარა ეიფორიამ, რომელიც ჩაის ფაბრიკების პრივატიზებას ახლდა.

გერმანული ფირმის-,,მარტინ ბაუერ თბილისის“ ინვესტიციებს წმინდა პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, რაც ფედერაციული გერმანის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა კინკელმა საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით განახორციელა. მას შემდეგ, რაც „მარტინ ბაუერმა“ პირველ წელსვე საქართველოში 2.6 მილიონი აშშ დოლარი იზარალა. მან რამდენჯერმე დააპირა საქართველოდან წასვლა და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით გააგრძელა მუშაობა, გამოიყენა გერმანული მენეჯმენტიც, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ბოლოს საქართველოში შექმნა, მარტინ ბაუერ თბილისი“, რომელმაც უკვე დაბანდებული კაპიტალით განაგრძო მუშაობა, გერმანიიდან დამატებითი ინვესტიციების მოწოდების გარეშე.

მეორე კომპანია, რომელმაც საქართველოში მხოლოდ პორტფელური ინვესტიციები განახორციელა, იყო ამერიკული კომპანია - „ენ-სი-ეიჩი“. კომპანიამ ჩაის ფაბრიკების აქციების შესყიდვა ქართველი შუამავლების მეშვეობით განახორციელა, რომლებმაც, როგორც ჩანს, ისევ ძველი აზროვნების გავლენით, რამდენიმე ჩაის ფაბრიკა შეისყიდეს ხობის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ზუგდიდის რაიონებში. კომპანია იმედოვნებდა აქციების მომგებიანად გადაყიდვას, რაც ,ცხადია, ვერ შეძლო. უფრო მეტიც, კომპანიის კუთვნილი რამდენიმე ფაბრიკა, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების დაუფარობის გამო, ჯართად გაიყიდა, მათ შორის ჩოხატაურის რაიონის ფინური მოდულის ქვეშ აშენებული საწარმო. იგივე ბეჭდი გაიზიარეს ოზურგეთის რაიონის ნასაკირალისა და სხვა ჩაის ფაბრიკებმა.

მიუხედავად საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად ედო ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოლიტიკა, ქართულ ჩაის იმ წლებში მაინც ჰქონდა შერჩენილი გარკვეული საინვესტიციო მიზიდულობა, რასაც ადასტურებს ცალკეული უცხოური ფირმების ლტოლვა ქართულ მეჩაიერბაში კაპიტალი დაბანდებისადმი. როგორც ირკვევა ამ მიზიდულობის ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის ფედერაციისა და

სხვა რესპუბლიკების ბაზარი ფაქტიურად აღმოჩნდა ქართული ჩაის გარეშე და საქართველოში საქმიანობის დაწყების მსურველი უკლებლივ ყველა ფირმა სწორედ ამ ბაზარზე შესვლას გეგმავდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, მოგვიანებით (1996) „ენ-სი-ეიჩის“ მიერ საქართველოში მოწყობილი ექსპედიცია ქართული ჩაის პოტენციალის შესწავლის მიზნით და მათ მიერ გაკეთებული იმედისმომცემი დასკვნა.

შეცდომა, რომელიც ექსპერტებმა დაუშვეს იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ვერ წარმოიდგინეს, რომ ხელისუფლება, რომელიც ფლობს ჩაის შესანიშნავ პლანტაციებს (მაშინ ბევრი მათგანი გატყევებული არ იყო), ჩაის დიდ და მცირე ფაბრიკებს, გამოცდილ მუშახელსა და სპეციალისტებს, მეჩაიერობის საწარმოო ინდუსტრიას, სპეციალიზებულ სასწავლო ინსტიტუტებს, შესანიშნავ მეცნიერულ პოტენციალს, რაღაც ვირტუალური ეკონომიკური ეფექტიანობის მოლოდინით პასუხისმგებლობას მოიხსნიდა და, რაც მთავარია, მეჩაიერობის რეგიონებში მცხოვრები ნახევარი მილიონი მოსახლეობის მიმართ და დამანგრევებული პროცესებს თავის ნებაზე მიუშვებდა.

1995 წლის ბოლოს საქართველოში, სპეციალისტების ჯფუფის თანხლებით, ჩამოვიდა სინგაპურში რეგისტრირებული ინდური ფირმის „ჯი-ეი-აის“ ჯგუფი. სხვათაშორის ფირმის პრეზიდენტი - ბატონი ჩომარი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს და ესაუბრა ფირმის ვიზიტის შესახებ, რაც პრეზედენტის მიერ მოწყობული იქნა.

ფირმის სპეციალისტებმა ქართული მეჩაიერობის ღრმა გამოკვლევების საფუძველზე დაადგინეს, რომ თუ არ განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ხელშემწყობი ღონისძიებებისა, ქართული ჩაი რუსეთისა და დსთ-ს წევრი სახელმწიფოების ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი იქნება. ამავე აზრს იზიარებდა ფირმა - „მარტინ ბაუერ თბილისიც“.

ლომის წილი შეღავათების დაწესების აუცილებლობის დასაბუთებაში გაილო მაშინდელმა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო-კომერციულმა გაერთიანებამ - „საქართველოს სამინისტრო“.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინიცი-ატივითა და დასახელებული ორგანიზაციების მეცადინეობით მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი - „დამატებიტი ღი-რებულების გადასახადის შესახებ“ და „საგადასახადო სისტე-მის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანო-ნებში დამატებების შეტანისა და ზოგიერთი დარგის საწარმო-ების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულიქნა 1996 წლის 19 აპრილის (N197-116). უფრო დეტალურად კანონი ითვა-ლისწინებდა მეჩაიეობის დარგისათვის საჭირო საწარმო და-ნიშნულების ხედლეულის, ნახევარბაბრიკატების, ტარა და შესა-ფუთი მასალის იმპორტის გათავისუფლებას საბაჟო და დამატე-ბითი ღირებულების გადასახადისაგან; საქართველოდან დსტ-ს სივრცეში ექსპორტირებულ ჩაიზე, შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად, ნულოვანი რეჟიმის დაწესებას ჩაის ფაბ-რიკებისა და ჩაის მწარმოებელი სასოფლო- სამეურნეო საწარ-მოების გათავისუფლებას ბიუჯეტისა და სხვა არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდების წინაშე დავალინებებისაგან და მასთან გათანაბრებული სანქციებისაგან. ამასთან, ფირმებს, სამი წლით განევადათ შრომის ანაზღაურების ფონდის ანარიცხების გადა-სახადები - მომდევნო სამ წელიწადში მათი თანაბარ ნაწილებად დაფარვის პირობებით, ინფლაციის გათვალისწინებით.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა და-დებითი რეაქცია გამოიწვია როგორც ქართული, ისე უცხოური ფირმების მხრიდან. „ჯი-ეი-აიმ“ შეიმუშავა საქართველოში საქ-მიანობის ფართო პროგრამა.

ქართული მეჩაიეობით დაინტერესება გამოხატა ცნობილმა ინდურმა ფირმამ - „ტატა-თიმ“, ჩაის რეალიზატორმა ჰოლან-დიურმა კომპანიებმა და სხვებმა.

ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ 1996 წელი გამხ-დარიყო გარდატეხის წელი დამოუკიდებელი საქართველოს მე-ჩაიეობაში. სამწუხაროდ, კანონის მიღებიდან ორი თვის თავზე ,საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ზეწოლით, იმ მოტი-

ვით, რომ დაუშვებელია შეღავათების სექტორალური გატარება, კანონი პარლამენტმა გააუქმა. ეს არსებულ სინამდვილეს იმდენად ეწინააღმდეგებოდა, რომ უცხოურმა ფირმებმა ჩათვალეს რაღაც დროებით ღონისძიებად, შეცდომად და ყოველდღიურად ელოდებოდნენ მის გამოსწორებას. მიუხედავად მომხდარისა,,ჯი-ეი-აიმ“ წარმომადგენლობაც კი გახსნა საქართველოში და ელოდებოდა სამართლიანობის აღდგენას. თუ რა შედეგი მოიტანა აღნიშნული კანონის გაუქმებამ, ამის შესახებ საქართველოს მეჩაიერობაში შექმნილი მდგომარეობაც მეტყველებს, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

საფურეალმენდაციას გვაძლევს, რომ შეღავათები კი არ დავაწესოთ, არამედ დარგს ბიუჯეტიდან დავეხმაროთ. იმ ბიუჯეტიდან, რომელსაც ამის შესაძლებლობა არ გააჩნია. თუ დარგის გადარჩენა გვინდოვდა, ერთი ან მეორე გზით უნდა გვევლო. მესამე გზა არ არსებობდა. არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაში შეღავათების შემოღებისადმი მხარდაჭერა სწორი იყო.

მეჩაიერობაში ინვესტიციების შემოდინების სხვა ხელშემშელი პირობებიდან შეიძლება დავასახელოთ:

ინვესტორებისათვის შეღავათიანი პირობების გაუქმება, რომელიც 2000 წლამდე მოქმედებდა,

დარგის სანარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლა, ჩამორჩენილ ტექნოლოგიურ გარემოში წარმოებული პროდუქციის მაღალი თვითლირებულება, მისი არაკონკურენტუნარიანობა, ქართული ჩაის მიმართ დაბალხარისხიანი იმიჯის დამკვიდრება,

გადასახადების გაანგარიშების რთული სქემები, მაღლი განაკვეთები, საკუთარი ბაზრის დაკარგვა, წარმოებული პროდუქციის გაყიდვის გარანტიის უქონლობა.

მიზეზი იყო აგრეთვე - მეჩაიერობის რეგიონებიდან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაცია, რომლის შენარჩუნების პირობებში აუცილებელი გახდებოდა ჩაის წარმოების მექანიზაციის დონის მკვეთრად ამაღლება, რაც დამატებით კაპიტალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული,

დარგის ენერგოტევადობა, ენერგომატარებლების მაღალი ფასი;

ჩაის პლანტაციებისა და ჩაის ფაბრიკების მოსამზადებელი საექსპლოატაციო ხარჯებისა და ქართული ჩაის გასაყიდვი ფასის გათვალისწინებით, პირველ წლებში, მისი წარმოების მოსალოდნელი დაბალი რენტაბელობა და სხვა.

რომელიმე დარგისადმი საინვესტიციო გარემოს ფორმირების საკითხის განხილვა, საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილად, თითქმის შეუძლებლად ითვლებოდა. მით უფრო, როცა ასეთ სიტუაციაში აუქმებ შენს მიერვე დაკანონებულ სექტორალურ შეღავათებს. უცხოელმა ინვესტორებს მხოლოდ ის შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ ქართველებს მოცემული დარგის აღორძინება არ უნდოდათ.

შექმნილ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული (როცა, 1997-2004 წლებში, მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა თანხები), რის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ. თუმცა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცებული სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამა - „ჩაი“-თ დარგის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული იყო 2004 წელს-11,1,2005 წელს-8,2,ხოლო 2006 წელს-2,2 მილიონი ლარის გამოყოფა.

მეჩაიეობაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სერიოზული ინვესტიციების გარეშე დარგის აღდგენა შეუძლებელი იყო, ხოლო იმისათვის რომ წახალისებულიყო მეჩაიეობაში მისი შემოდინება, არაორდინალური გადაწყვეტილებები იყო მისაღები.

ჩვენი აზრით, სპეციალურმა გადაწყვეტილებებს უნდა ემოქმედა მანამ, სანამ საბაზო გარემო არ ჩამოყლიბდებოდა. ჩვენ აქ არ ვიხილავთ ინვესტიციების მოცულობებსა და მათ ხასიათს, რადგან მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში იგი საკმაოდ იყო ჩამოყალიბებული და ჩვენ მას ვიზიარებდით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მოსაზრებას არ ვეთანხმებოდით.

ჩვენის აზრით, მეჩაიეობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის აუცილებელია:

სასამართლოებში საქმეების გახსნა გაკოტრებისა და სანაციის შესახებ იმ ჩაის ფაბრიკებისა და სხვა საწარმოების მიმართ, რომელთაგანაც სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა სახელმწიფო ფონდების წინაშე დავალიანებების ამოღება შეუძლებელი გახდა. ამავე დროს უნდა მომხდარიყო სპეციალური კრიტრეიუმების მიხედვით შერჩეული პერსპექტიული ჩაის ფაბრიკების დავალიანების რესტრუქტურიზება ( ხოლო, მათ შორის, ყველაზე პერსპექტიულისათვის ვალების ჩამონერა). ასეთი მიდგომით შესაძლებელი იქნებოდა პრინციპის განხორციელება-, ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ ყველაზე ძლიერს“.

ჩაის ფაბრიკების, როგორც მცირე და საშუალო საწარმოების დაბეგვრა უნდა განხორციელებულიყო წლიური ბრუნვის მოცულობიდან, რომლის განაკვეთი იქნებოდა - 2-3%-ს.

მეჩაიობბის სასოფლო- სამეურნეო საწარმოებს უნდა მოხსნოდათ ბრუნვის ზედა ზღვარი ,რომელიც 200 ათას ლარს შეადგენდა და რომლის ზევით საწარმოო გადახდის ჩვეულებრივ რეჟიმში დგება. მანამდე კი მხოლოდ მინის გადასახადს იხდის.

მეჩაიობბის დარგის ტექნოლოგიური დანადგარების, ტარაშესაფუთი მასალების, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების იმპორტი, რამდენიმე წლით უნდა გათავისუფლდეს სხვადასხვა გადასახადებისაგან. ძალაში უნდა დარჩეს მხოლოდ საბაჟო მოსაკრებელი.

პირველ ეტაპზე უნდა გაიმართოს მოლაპარაკებები ჩაის ტექნიკის მწარმოებელ უცხოურ ფირმებთან, შეკეთებული ტექნიკის უფასოდ გადმოცემის შესახებ, იმ პირობით, რომ მისი ტრანსპორტირებისა და განბაჟების ხარჯებს ქართული ფირმები გაიღებდნენ. შემდგომ შესაძლებელი იქნებოდა მოლაპარაკების წარმოება ახალი ტექნიკის შეძენაზე.

ხუთი წლის მანძილზე, ამოძირკული და მძიმედგასხლული პლანტაციების მფლობელები (განმკარგველები) უნდა გათავისუფლდენ მინის (საიჯარო ქირის) გადასახადისაგან, თუ მოიჯარის მიერ განეული იქნება ხარჯები ჩაის პლანტაციების აღდგენისა, ამოძირკვისა, ან სხვა კულტურით ჩანაცვლებისათვის.

აუცილებელი იყო სახელმწიფო- მიზნობრივი პროგრამა- „ჩაის“ დამტკიცებული ოდენობით ბიუჯეტიდან დაფინანსება, ტენდერში გამარჯვებულ ფირმებზე - სუბვენციების გაცემის მიზნით.

დროულად იქნას განხილული და გათვალისწინებული შენიშვნები, რომელიც გამოითქვა ჩაის პლანტაციების სახელმწიფო პროგრამაზე-„ქართული ჩაი“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 16 იანვარს (N20).

შესწავლილიქნეს, რამდენად მისაღებია ის წინადადებები, რომლებსაც აყენებენ ჩინელები, საქართველოში ჩაის პლანტაციების იჯარით აღებაზე, შესაბამისი ინვესტიციების განხორციელების გათვალისწინებით.

### თავი III. ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებები მარაგობაში

#### 3.1-სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი“

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 მარტის N336 განკარგულებით –,, მეჩაიეობაში საბაზრო გარემოს ფორმირების ხელშემწყობი პირობების შექმნის შესახებ“.

ბოლო წლებში მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეული დახმარების ეფექტიანობა ეჭვის ქვეშ დააყენა საქართველოს კონტროლის პალატამ და თავისი დამოკიდებულება მეჩაიეობის სუბვენცირების პოლიტიკისადმი საქართველოს პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში გამოხატა.

ჩვენის აზრით ყველაზე საყურადღებო, რაც საქართველოს პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში იყო გამოთქმული, შეეხებოდა მეჩაიეობისადმი მცირე და მოკლევადიანი დახმარების პრაქტიკის მეჩაიეობის რეაბილიტაციის გრძელვადიანი პროგრამით შეცვლას, სადაც წლების მიხედვით განერილი იქნებოდა მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხები, თვით ფირმების მიერ მოსაძიებელი სახსრები და მათი ეკონომიკური ეფექტიანობა.

საქართველოს კონტროლის პალატის მოსაზრება გაიზიარეს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებმა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ, ანასეული ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო- საწარმოო გაერთიანებასთან ერთად, პროგრამაზე მუშაობა დაიწყო 2002 წლის დასაწყისში. შეადგინეს პროგრამის რამდენიმე ვარიანტი, რომლის საბოლოო ვერსია ჩამოყალიბდა 2002 წლის ბოლოს. პარალელურად მზადდებოდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი.

პროგრამისა და პრეზიდენტის განკარგულების პროექტის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებამდე, პროექტები რამდენ-

ჯერმე იქნა გაგზავნილი დაინტერესებულ უწყებებში და მათი შენიშვნების კვლობაზე მიმდინარეობდა შესაბამისი ჩასწორებები. 2002 წლის აგვისტოში პროგრამა განიხილეს ქ. ზუგდიდში მეჩაიერების რაიონების მეჩაიერების, ჩაის მრეწველობის მუშაკების, მეჩაიერებაში მომუშავე ფირმების, ადგილობრივი მრეწველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენლების, მეცნიერების მონაწილეობით. განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადდა პროგრამის საბოლოო ვარიანტი, რომელიც 2003 წლის 18 თებერვალს ყველა დაინტერესებული უწყების მონაწილეობით, განიხილეს საქართველოს პრეზიდენტთან.

განხილვას ესწრებოდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. განხილვის შედეგების საფუძველზე გამოიცა,, მეჩაიერებაში საბაზრო გარემოს ფორმირების ხელშეწყობი პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 მარტის N336 განკარგულება. მოვიტანთ რამდენიმე პუნქტს.

პუნქტი1. დამტკიცდეს 2004-2008 წლების სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამა - „ჩაი“. დანართის თანახმად, რომელშიც გათვალისწინებულია დარგში სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო ხელშეწყობის მოცულობა 2004-2006 წლებში, შესაბამისად - 11.0-8.2-2.2 მილიონი ლარი.

პუნქტი2.საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ.გოგიაშვილი), ეკონომიკის,მრეწველობისა ვაჭრობის სამინისტრომ(გ. გაჩეჩილაძე) 2004 წლისა და შემდგომი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას, უზრუნველყონ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 24 დეკემბრის N711 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, წარდგენილი სახელმწიფო- მიზნობრივი პროგრამა - „ჩაის“დაფინანსება,რომელშიც სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებასთან ერთად გათვალისწინებული იქნება მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვა, ჩაის ფაბრიკებისა და პლანტაციების ინვენტარიზაცია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროგრამების განმხილველი კომისიის მიერ დაფინანსების მოცულობა 2004

წლისათვის, ნაცვლად 11.0 მილიონი ლარისა, განისაზღვრა 7.0 მილიონი ლარის მოცულობით. ამავე მოცულობით აისახა იგი 2004 წლისათვის დასაფინანსებელი პროგრამების ნუსხაში, რომელიც დართული აქვს,,საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამას“.

თუ გავითვალისწინებთ იმ წლების პრაქტიკას, როგორ აფინანსებდა ფინანსთა სამინისტრო აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს, 7.0 მილიონი ლარით პროგრამის დაფინანსება სერიოზულ ეჭვს იწვევდა. ეს ეხებოდა გათვალისწინებული თანხით სრულად დაფინანსებას, არამედ დაფინანსების დროულობას.

საფინანსო წლის დასაწყისში თანხის გამოყოფა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, როცა ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულოსამუშაოებია შესასრულებელი, ხოლო ჩაის ფაბრიკები ნედლეულის გადამუშავებისთვისაა მოსამზადებელი.

როგორც ალვინშენეთ, პროგრამა - „ჩაი“ გათვლილი იყო -2004-2008 წლებზე. ამ პერიოდში სახელმწიფო დახმარებისა და მისი გამოყენების სწორი პოლიტიკის პირობებში, შესაძლებელი უნდა გამხდარიყო საბაზრო გარემოს იმ დონით ფორმირება, რომ დარგს შემდგომი თვითუზრუნველყოფის პირობებში შეძლებოდა ფუნქციონირება.

შევეხებით მხოლოდ მეჩაიერობის განვითარების პროგრამით განსაზღვრულ პარამეტრებს და შევეცდებით გამოვთქვათ ჩვენი დამოკიდებულება პროგრამისადმი.

პროგრამა - „ჩაი“ ეყრდნობოდა ექსპერტულ შეფასებებს. პროგრამის მიხედვით, საქართველოში ირიცხებოდა 47.3 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია (აფხაზეთის ჩათვლით, სადაც 10.0 ათასი ჰექტარი იყო). ჩამოსაწერი იყო - 7.9 ათასი ჰექტარი პლანტაცია, რომელიც გაშენებულია არატიპურ ნიადაგებზე და ისე იყო დაკინებული, რომ მისი აღდგენა არ ღირდა.

პერსპექტიული ჩაის პლანტაციები შეადგენდა -39.4 ათას ჰექტარს, საიდანაც ექსპლუატაციისათვის ვარგისი იყო - 22.9 ათასი ჰექტარი. გამოსაყვანი იყო - 11.0 ათასი ჰექტარი. მძიმე

და ნახევრადმძიმე გასხვლის სამუშაოები ჩასატარებელი იყო - 5.5 ათას ჰექტარზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მოქმედი ნორმატივებით, ყოველწლიურად უნდა გასხლულიყო ჩაის პლანტაციების - 2.5%, ნახევრადმძიმედ - 5.0%, ხოლო ახლის გასაშენებლად ამოსაძირკვი იყო - 1%, 2008 წლიდან სამრეწველო ფოთოლსაკრეფი პლანტაციების საშუალო წლიური ფართობი იქნებოდა - 35.0 ათასი ჰექტარი. აქედან აჭარაში - 3.4, ხოლო აფხაზეთში 8.5 ათასი ჰექტარი.

სახელმწიფოს მხრიდან დაგეგმილი სუბვენციების განხორციელების შემთხვევაში 2004 წელს დაგეგმილი იყო - 63.6 ათასი ტონა ფოთლის მოკრეფა და 15.9 ათასი ტონა შავი და მწვანე ბაიხის ჩაის გამოშვება. შესაბამისად, 2005 წელს - 76.0 და 10.9, 2006 წელს - 96.0 და 24.0, 2007 წელს 123.5 და 30.9, 2008 წელს 159.0 და 39.7 ათასი ტონა. წარმოებისა და ყველა სხვა მაჩვენებელი, რომელიც პროგრამაში იყო მოცემული, გაანგარიშებული იყო აჭარისა და აფხაზეთის რეგიონებისა და მეჩაიერბის ყველა რაიონის მიხედვით.

პროგრამით გათვალისწინებული წლების მიხედვით გამოყვანილია ფინანსური შედეგები, რომელიც გაანგარიშებულია პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებისა და განეული ხარჯების შეჯერების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ერთეული პროდუქციის სარეალიზაციო ფასი, რომელმაც 2004 წელს შეადგინა 1კგ ჩაიზე - 1.3 ლარი, 2005 წელს - 1.5, 2006 წელს - 1.7, 2007 წელს - 1.9, 2008 წელს - 2.2 ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2004-2005 წლებში მეჩაიერბა იყო ზარალიანი, ხოლო მომგებიანად მუშაობა შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ 2006 წლიდან.

პროგნოზის მიხედვით, 2004 წელს მოსალოდნელი იყო 7, ხოლ 2005 წელს - 4 მილიონი ლარის ზარალი. 2006 წელს მოგება შეადგენდა 1.1 მილიონი ლარს, ხოლო შემდგომ მომდევნო ორ წელს, შესაბამისად - 7.7 და 22.5 მილიონ ლარს.

სწორედ ამ წლებში იქმნებოდა დარგში გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობა. 2004-2006

წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები უნდა მოხმარებოდა კაპიტალური ხარჯებისა და პირველ წლებში მიღებული ზარალის დაფარვას. სხვა ხარჯები უნდა დაფარულიყო მოკლევადიანი კრედიტებითა და საკუთარი შემოსავლებით. ამ თანხებმა 2004 წლისათვის შეადგინა -27.7 მილიონი ლარი, 2005 წელს-32.4, 2006 წელს-39.7, 2007 წელს-50.8 და 2008 წელს- 64.9 მლნ ლარი.

პროგრამის მიხედვით 2004-2008 წლებში ბიუჯეტში შენატანები, სხვადასხვა გადასახადების სახით, შეადგენდა-29876.7 ათასი ლარს. მათ შორის 2004 წელს-2822.0 ათას ლარს, 2005 წელს-3278.5 ,2006-3901.7, 2007 წელს-4800.8, 2008 წელს-6073.7 ათას ლარს.

შემოსავლები გაანგარიშებულია გადასახადების სახეების მიხედვით, რომელიც შედგებოდა მიწის, ქონების, სამენარმეო საქმიანობის, საგზაო ფონდის, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადებისაგან, აგრეთვე საწარმოთა მუშაკების ხელფასებზე დანარიცხებისა და პროდუქციის ადგილობრივ რეალიზაციაზე დღგ-ს დანარიცხებისაგან.

ნაანგარიშევი არ იყო მოგების გადასახადი, რომელიც 20%-ს შეადგენდა. მისი ამოღება ბიუჯეტში 2006 წლიდან უნდა დაწყებულიყო და მაქსიმუმი 2008 წელს უნდა ყოფილიყო.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა -,,ჩაი“ აგროსასურსათო სექტორში ბოლო დროს შემუშავებულ პროგრამებს შორის ყველაზე წარმატებულად ითვლებოდა. ეს დასტურდება არა მარტო პროგრამის შინაარსით, არამედ იქიდანაც, რომ მისი განხილვა მოეწყო საქართველოს პრეზიდენტთან და მისივე განკარგულებით იქნა დამტკიცებული.

ჩვენი აზრით, პროგრამის ძირითადი ღირსებას ის შეადგენდა, რომ მასში მოცემული იყო დარგის განვითარებისათვის აუცილებელი ყველა კომპონენტი და სტრუქტურულად ისე იყო აგებული, რომ საწყისი გეგმური მაჩვენებლების შეცვლის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდებოდა შესაბამისი ცვლილების შეტანა ყველა მის შემადგენელში, ფინანსური შედეგების ჩათვლით.

აღსანიშნავია პროგრამის განსაკუთრებული მნიშვნელობა უცხოელი ინვესტორებისათვის, რომელთაც თვალნათლივ შეეძლოთ დაენახათ ქართული მეჩაიერების შესაძლებლობები და დარწმუნებულიყვნენ ინვესტიციების განხორციელების მიზან-შეწონილობაში.

პროგრამის ამ კუთხით შეფასებას აქვს არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც, თუნდაც იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში, საქართველოში მოქმედ არცერთ უცხოურ პროექტს, მათ შორის არც - „ტასის“ და არც მსოფლიო ბანკს(მბ), რომელთაც საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნეს საქართველოს აგრძასაურსათო სექტორის მეცნიერულ ანალიზს, ეკონომიკური რეფორმების განხორციელების სტრატეგიასა და ტაქტიკას, სექტორის განვითარების პარამეტრებს, არასდროს არ გაუმახვილებიათ ყურადღება საქართველოში მეჩაიერების განვითარების პერსპექტივებზე და არ შეუყვანიათ მეჩაიერება იმ დარგების ჩამონათცალში, რომელშიც კაპიტალის დაბანდებას ურჩევდნენ უცხოელ ინვესტორებს. ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო.

როცა პროგრამის ღირსებებზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ პროგრამა, როგორც იტყვიან, ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილა და მას თავისი წინამორბედები ჰყავდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, უფრო სწორად, ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პირველი ეტაპის შემდგომ პერიოდში, მეჩაიერების განვითარების პირველი პროგრამა შეიქმნა ანასულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო- საწარმოო გაერთიანებისა და გურიის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით და მას საქართველოში მეჩაიერების განვითარების ეროვნული პროგრამა ეწოდა.

შემდგომი პროგრამა დამუშავდა შპს - „მარტინ ბაუერ თბილისის“ დაკვეთით, რომელშიც ქართველი და უცხოელი ექსპერტები მონაწილეობდნენ. ამ პროგრამას უპირატესად აგრონომიული და ტექნოლოგიური მიმართულება ჰქონდა.

ყველა ეს პროგრამები დამუშავებული იყო 1999 წლამდე და ცხადია, არ იყო აგებული იმ წესით, რომელსაც პროგრამებისა

და საპროგრამო წინადადებების დამუშავების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 24 დეკემბრის N711 ბრძანებულება ითვალისწინებს.

ჩვენს მიერ განხილული პროგრამის შედგენისას, ყველა დასახელებული პროგრამიდან, გამოყენებულიქნა ის რაციონალური წინადადებები, რომლებიც გარდამავალ პერიოდში საქართველოში მეჩაიერბის განვითარებას შეეხებოდა.

### **3.2 -ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა – „ქართული ჩაი“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 16 იანვარს, №20**

გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, დიდი ზიანი მიადგა სოფლის მეურნეობას საერთოდ, და განსაკუთრებით, ექსპორტზე ორიენტირებულ მის წამყვან დარგებს-მეჩაიერბას, მევენახეობა-მეღვინეობას, მეხილეობასა და მეციტრუსეობას.

ტრადიციული სამომხმარებლო ბაზრების დაკარგვამ, წარმოების მატერიალურ- ტექნიკური და ფინანსური რესურსების გაძვირებამ, შეუძლებელი გახადა მაღალი სტანდარტის პროდუქციის მომგებიანად წარმოება, რასაც დაემატა მეწარმე სუბიექტების მიერ საბაზო პირობების უცვლინრობა.

მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნის ზრდის ტენდენციაზე მეჩაიეობის ქვეყნების შესაბამისი რეაგირების პირობებში, რაც ჩაის ნარგაობის, პროდუქციის წარმოებისა და მეჩაიეობის ქვეყნების რიცხვის ზრდაში გამოიხატა, საქართველო აღმოჩნდა მეჩაიეობის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ამ პერიოდში, დარგის ყველა მაჩვენებელი გაუარესდა- ჩაის პლანტაციები 67,8 ათასი ჰა-დან შემცირდა 8,5 ათას ჰა-მდე. 170-მდე მეტი პირველადი და მეორადი ჩაის ფაბრიკიდან მხოლოდ რამდენიმე შემორჩა. მზა პროდუქციის წარმოება 100-120 ათასი ტონიდან 0,3-0,5 ათას ტონამდე დაეცა. მეჩაიეობის დარგში დასაქმებულთა რიცხვი 180

ათასიდან 700-1000 კაცამდე შემცირდა. აღარ ფუნქციონირებენ მეჩაიეობის დარგის ინდუსტრიის უზრუნველმყოფი სამრეწველო საწარმოები. დაკნინებულია მეცნიერება, რომელსაც მეჩაიეობის მსოფლიო ქვეყნების მეცნიერებათა შორის, წამყვანი პოზიციები ეკავა. დაიკარგა მეჩაიერ იჯახების, მეჩაიეობის რეგიონებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყარო. ყოველწლიურად 12-15 ათასი ქართველი თურქეთში გადის ჩაის საკრეფად. მეჩაიეობის რეგიონების მოსახლეობაში, სადაც ჩაი ძირითადი კულტურა იყო, დარგისადმი უყურადღებობის გამო, დაისადგურა ნიჰილიზმა და უპერსპექტივობის განცდამ.

თხილის კულტურა, რომელმაც ნაწილობრივ ჩაანაცვლა ჩაი, ვერც შემოსავლებითა და ვერც ადამიანების დასაქმებით, დარგის ალტერნატივად ვერ იქცა, განსაკუთრებით თხილის ნარგაობის კონცენტრაციის ზრდის პირობებში გავრცელებული სხვადასხვა დაავადებების გამო.

25 წლის მანძილზე უპატრონოდ მიტოვებულ ჩაის პლანტაციებს კი არავითარი დაავადება არ გასჩენია და ეკოლოგიური სისუფთავე ქართული ჩაის სავიზიტო ბარათად იქცა.

ქვეყანაში ჩაის წარმოება ფაქტობრივად დარჩენილია ცალკეული ენთუზიასტების ამარა, რომლებიც თავდაუზოგავად ცდილობენ მსოფლიოს შეახსენონ ქართული ჩაის საუკეთესო თვისებები.

დარგში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის პირობებში, საქართველოს მთავრობის მიერ, მიღებულიქნა მეჩაიეობის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელმაც, სამწუხაროდ, მეჩაიეთა მოლოდინები ვერ გაამართლა.

1. პროგრამის მუხლი 3,პუნქტი 4-ის მიხედვით, 1 ჰაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია 2500 ლარის ოდენობით(დღგ-ს ჩათვლით). ამასთან, კომპანიას უფლება აქვს დახარჯოს ამ თანხის 60,ხოლო კონკრეტივს- 80%, ანუ შესაბამისად 1500 და 2000 ლარი. გაუგებარია, რა უდევს საფუძვლად სარეაბილიტაციო თანხის ასეთ გაანგა-

რიშებას, რადგან იგი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე. მითუმე-ტეს, როცა სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულდება გაველუ-რებულ, თუ ფოთოლსაკრეფ პლანტაციებში, ჩასატარებელია მძიმედ, თუ ნახევრადმძიმე გასხვლის სამუშაოები. შრომითი ოპერაციები ტარდება ხელით, თუ მექანიზმების გამოყენებით და ა.შ.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: 1 ჰა ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება, სა-მუშაოების ხელით შესრულებისას, შეადგენს (დღგ-ს ჩათვლით) პირველ წელს-5426 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წელს-2790 ლარს. ამავე პლანტაციაში სამუშაოების მექანიზმებით შესრუ-ლებისას, სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება შეად-გენს- პირველ წელს-4250 ლარს, მეორე და მესამე წელს, შესაბა-მისად-1830 ლარს. გაველურებულ პლანტაციაში, სამუშაოების ხელით შესრულებისას, მძიმედ გასხვლის ღირებულება, 1 ჰა-ზე შეადგენს 6542 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წელს შესაბამი-სად-2400 ლარს, ხოლო სამუშაოების მექანიზმებით შესრულე-ბისას-1 ჰა-ზე დანახარჯი შეადგენს- პირველ წელს-3740 ლარს. მეორე წელს-2300ლარს, ხოლო მესამე წელს-1755 ლარს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ მოტანილ გაანგარიშებებში გათვალისწინებული არ არის პლანტაციებში საწრეტი არხების მოწყობა, ხოლო შემოღობვის სამუშაოების ღირებულება გათ-ვლილია 100 გრძივ მეტრზე და შეადგენს-1270 ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

პროგრამა, როგორც ირკვევა, გათვლილია ერთ წელზე, მა-შინ, როცა სარეაბილიტაციო სამუშაოები სულ მცირე 4-5 წელი გრძელდება, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ რეაბილიტაციას დაქვემდებარებული პლანტაციიდან ფოთლის გაყიდვით შესაძ-ლებელი არ გახდება იმ წელს განეული ხარჯების ანაზღაურება. მძიმედ გასხლულ პლანტაციაში ამ რაოდენობის ფოთლის მოკ-რეფა შესაძლებელია მეოთხე წელს.

პროგრამით, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული და ფაქტიურად საჭირო თანხის შედარები-

დან შეიძლება დავასკვნათ, რომ 1 ჰაის პლანტაციის რეაბილიტაციისათვის სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული თანხა იმდენად მცირეა, რომ იგი უკარგავს მიმზიდველობას მთელ პროგრამას და არავინ არ დაინტერესდება.

2. პროგრამის მუხლი 5-ის პუნქტი 1-ის მიხედვით ბენეფიციარი შეიძლება გახდეს კომპანია, თუ მას ბანკის ანგარიშზე განთავსებული აქვს სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 40%, ხოლო კომპერატივის შემთხვევაში 20%, რაც კომპანიისათვის 1 ჰა-ზე გაანგარიშებით შეადგენს 1000, ხოლო კომპერატივისათვის 500 ლარს. ამ თანხის გამოყენების უფლება მათ არა აქვთ. ვინც იცნობს მეჩაიერობის რეგიონების შინამეურნეობების ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურას, დაგვემოწმება, რომ დასახელებული თანხების ბანკის ანგარიშზე გამოყენების უფლების გარეშე განთავსების შესაძლებლობა მეჩაიერობის უმეტეს კომპანიებს, და მით უფრო ახლად შექმნილ კომპერატივებს, არ ექნებათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამუშაოების ასანაზღაურებლად მათ სხვა ფინასური წყარო უნდა მოძებნონ. აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენს მიერ დაყენებული ალტერნატიული წინადაღების სისწორეში, რომლითაც ნაღდი ფულის ბანკის ანგარიშზე განთავსების სანაცვლოდ ბენეფიციარს უნდა ჩათვლოდა მის მიერ პლანტაციის რეაბილიტაციაზე განეული ფიზიკური შრომის ღირებულება.

3. მუხლი 5-ის პუნქტი 3-ის მიხედვით, პროგრამის ბენეფიციარად გახდომა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ იგი საკუთრებაში ფლობს არანაკლებ 5 ჰა ჩაის პლანტაციას. ასევე, დაწესებულია ზედა ზღვარიც. მოგვაჩნია, რომ ბენეფიციარად გახდომა უნდა შეეძლოს ყველას, მიუხედავად მის საკუთრებაში არსებული პლანტაციის სიდიდისა. 5-ჰა-ზე ნაკლები პლანტაციის მქონე კომპანია თუ კომპერატივი, ძალიან ბევრი იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში ხშირი იყო ჩაის პლანტაციების უნებართვოდ ამოძირკვის შემთხვევები, რის გამოც ისე-დაც ბუნებრივად დანანევრებული ჩაის პლანტაციების ფართობები კიდევ უფლებად დაქუცმაცდა.

4. მუხლი 5, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“, პარაფრაფი 2, ქვეპუნქტი „ა“. მსოფლიოში ჩაის მოთხოვნის სტაბილურად ზრდის, ჩაის გასაშენებლად ვარგისი ნიადაგების შეზღუდულობის, საქართველოში მეჩაიერობის რეგიონებში, ხალხის დასაქმების მძიმე პრობლემების პირობებში, ყოვლად გაუმართლებელია პროგრამაში მონაწილეობისათვის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების მინიმალური საზღვრის დაწესება.

5. მუხლი 5, პარაგრაფი 4, ქვეპუნქტი „ბ“ გაუმართლებელია კოოპერატივის წევრების მინიმუმ 70%-ის მიერ, კოოპერატივის საკუთრებაში ჩაის პლანტაციების მინიმუმ 0,2 ჰა-ს გადაცემა.

მეჩაიერობის კოოპერატივი ვერ შეიქმნება ისე, თუ მის წევრებს საკუთრებაში არა აქვთ ჩაის პლანტაცია, რომელსაც მთლიანობაში განკარგავს კოოპერატივის გამგეობა. ასეთ სიტუაციაში, გაუგებარია, რა საჭიროა პლანტაციის საკუთრების გარკვეული ნაწილის კოოპერატივის საერთო საკუთრებაში გადაცემა. თანაც, გარკვეული არაა, კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში, ექნება თუ არა მას თან გაიტანოს საერთო საკუთრებაში გადაცემული ჩაის პლანტაცია.

6. მუხლი 5, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ლ“ - გაუგებარია, რატომ არის აუცილებელი ბენეფიციარისათვის გადამამუშავებელი საწარმოს ქონა ან გეგმის წარდგენა იმის თაობაზე, რომ იგი შეძლებს ასეთი საწარმოს აგებას 36 თვის განმავლობაში. ჩვენი აზრით, საკმარისია ბენეფიციარს გააჩნდეს ხელშეკრულება სხვა საწარმოსთან, ან ჩაის ფოთლის შემსყიდველ კომპანიასთან, მის მიერ მოკრეფილი ფოთლის შესყიდვის შესახებ. ფოთლის გაყიდვის პირობები, მეწარმე სუბიექტების მიერ გადასაწყვეტი საკითხია.

7. მუხლი 7. კარგია, რომ სახელმწიფო ითვალისწინებს კოოპერატივებისათვის ჩაის ფოთლის პირველადი გაგამამუშავებელი დანადგარების უფასოდ მიწოდებას, სათანადო შენობის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, მიგვაჩნია, რომ თითოეულ კოოპერატივში (მიუხედავად ნედლეულის მოცულობისა) გადამუშავებელი საწარმოს მოწყობა საჭირო არ არის. უფრო სწო-

რი იქნება ამის გადაწყვეტის უფლება დავუტოვოთ თვით კონკრეტული გადამუშავდეს და რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მოუტანოს მენარმეს. მოსალოდნელია, რომ კონკრეტული მხარს დაუჭერენ ერთობლივად მეორადი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას, რაც გაუადვილებს მათ დამაარსებელ კონკრეტული გადანაწილებას.

**8. მუხლი 6.** მისასალმებელია, რომ სახელმწიფომ 1 ჰაის პლანტაციის საიჯარო ქირა დააწესა 50 ლარის ოდენობით და განსაზღვრა შესაძლო ცვლილებების ვადები. სამაგიროდ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების იჯარით გაცემის წესი იმდენადაა გართულებული, რომ საეჭვოა მისი გავლა რომელიმე კონკრეტული ან კომპანიამ შეძლოს. ყოვლად გაუგებარია თანადაფინანსების 10%-ის თანხის უპირობოდ და გამოუხმობად საბანკო ანგარიშზე გირაოდ განავსების მოთხოვნა.

მეჩიაობაში შექმნილი რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მისი რეაბილიტაციის წესები და პირობები გართულების ნაცვლად, უნდა გამარტივებულიყო. ეს, სამწუხაროდ არ მოხდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პროგრამა მიზნად ისახავს პროცესის დამუხრუჭებას, თითქოს მასში მონაწილეობის მსურველთა გრძელი რიგი გვედგას.

პროფრამა ზედმეტადაა ცენტრალიზებული, მაშინ, როცა მისი დეცენტრალიზაცია აუცილებლად დადებით შედეგს გამოიღებს.

**8. მუხლი 7.** პროგრამაში ჩაის პლანტაციების შემოღობვის სამუშაოები გათვალისწინებული არ არის, რაც ყოვლად დაუშვებელია. რამდენადაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ღირებულება განსხვავებული იქნება. სწორია, პროგრამაში მოცემული იყოს თანხა, რომელსაც სახელმწიფო გადაიხდის, ყოველი 100 გრძივი მეტრი ღობის მოწყობისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩაის პლანტაციები ყოველთვის იღობებოდა, არა მხოლოდ დუების, არამედ ცხოველების შეხებისაგან ბუჩქების დაცვის მიზნით.

9. მუხლი 3. ჩვენი აზრით, პროგრამა მეჩაიეობის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, უნდა განეხორციელებინა დამოუკიდებელ მმართველ სტრუქტურას და არა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს. ასევე, არასწორად მიგვაჩნია მეჩაიეობის რაიონების მონაწილეობის გაუთვალიშინებლობა პროგრამის განხორციელების მართვაში. საკითხისადმი არასწორი მიდგომის გამო, მკვეთრად შენელდა აგილობრივი ხელისუფლების ინტერესი, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისადმი. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ პროგრამას განახორციელებდა დამოუკიდებელი მმართველი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შემდგომ, გარდაიქმნებოდა შპს-დ, ან სააქციო საზოგადოებად და რომელიც თავის თავზე აიღებდა პასუხისმგებლობას, როგორც მიმდინარე, ისე მომავალში განსახორციელებელ სამუშაოებზე.

საქართველოში მეჩაიეობა განიხილება, როგორც მოსახლეობის ფართოდ დასაქმების, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებისა და პროდუქციის ექსპორტიდან სერიოზული შემოსავალების მიღების წყარო. პროგრამის განხილვიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

პროგრამა შედგენილია პირის (პირების) მიერ, რომელთაც სამწუხაროდ არა აქვთ გააზრებული ის როლი, რომელიც მეჩაიეობამ შეასრულა და მომავალში შეუძლია შეასრულოს მოსახლეობისა და ქართული სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

პროგრამა ზედმეტად „გაფინანსებული“, „გაბანკებული“ და ცენტრალიზებულია. იგნორირებულია იმ ორგანოების როლი, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებული სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმატებით განხორციელებაში.

ეს ხდება იმ დროს, როცა მეჩაიეობის სამშობლოს- ჩინეთის სპეციალისტები და ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები, აღიარებენ ბევრ კომპონენტში, ჩინურ ჩაისთან შედარებით, ქართული ჩაის უპირატესობას და რეალურად ფიქრობენ საქართველოში მეჩაიეობის რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებას - თუნდაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის

წარმოების მიზნით. ისინი საქართველოს ჩაის სექტორში ჯერ-ჯერობით 500 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადებას აპირებენ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მუშაობისას პრაქტიკული საქმიანობით დარწმუნდნენ საქართველოში წარმოებული ჩაის უნიკალურ თვისებებში.

### **3.3- მეჩაიეობის რეაბილიტაციის პროგრამა საქართველოში (პროგრამა განხილული იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროში)**

#### **მეჩაიეობის მსოფლიო ტენდენციები**

XX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის გრძელვადიანი ტენდენცია, რასაც მეჩაიეობის ქვეყნებმა ძვირადღირებული პროგრამებით უპასუხეს. ჩაის წარმოებაში დაწინაურდნენ კენია, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, ვიეტნამი, ინდონეზია.

მეჩაიეობაში ლიდერი კვლავ ჩინეთია (1,3 მლრდ. ტონა), მეორე ადგილი ინდოეთს უჭირავს - (8,5-9,0 მლნ ტონა).

მეჩაიეობის კლასიკურმა ქვეყნებმა ამონურეს ჩაის გასაშენებლად ვარგისი მინის ფართობები. ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის გამო მნარმოებელი ქვეყნების რიცხვი 43-მდე გაიზარდა.

#### **ჩაის წარმოების ტექნოლოგია და ჩაის სმა**

არსებობს ჩაის სმის რიტუალი, განსაკუთრებით იაპონიაში. გურმანები ფინჯანში ჩაის ფოთლების გაშლის პროცესს აკვირდებიან.

ჩაის სმის განსაკუთრებული კულტურით გამოირჩევიან მუსულმანები. ბოლო დროს, ჩაის სმა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ნაკთობით მდიდარ ქვეყნებში, რასაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას უკავშირებენ.

#### **სახელმწიფო და მეჩაიეობა**

სხვა დარგებთან შედარებით, სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მეჩაიეობისადმი. შესაძლოა იგი

დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ჩაი, როგორც სასმელი, სამკურნალო კულტურაცაა.

ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. არც ისაა გამორიცხული, რომ ჩაი სახალხო კულტურაა და მას შემოსავლებისა და დასაქმების თვალსაზრისით კონკურენტი არ ჰყავს.

ინდოეთში მეჩაიეობის დარგს კურირებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ჩაის ექსპორტი მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებულ ფირმებს შეუძლიათ. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა სავალდებულოა ჩაის ყველა კერძო ფაბრიკისათვის.

შრი- ლანკაში პრივატიზებული ჩაის პლანტაციები და ფაბრიკები სახელმწიფომ უკან გამოისყიდა, აღადგინა წესრიგი, დააწესა კერძო მეწარმეების შემზღვდავი რეგულაციები და ისევ გაყიდა კერძო პირებზე.

თურქეთში ჩაის ფაბრიკების 90% სახელმწიფოს საკუთრებაშია. მეჩაიეობის დარგს ხელმძღვანელობს სახელწიფო გაერთიანება – „ჩაიკური“. კერძო სექტორში განლაგებულ ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფო აკონტროლებს (სასუქების შესყიდვა, შეტანა, ჩაის კრეფა და სხვა). ჩაის ექსპორტ- იმპორტს სახელმწიფო ზედამხედველობს.

ვიეტნამში მეჩაიეობის რეაბილიტაცია და გაფართოება სახელმწიფო სახსრებით მოხდა.

კენიასა და ჩრდილოეთ აფრიკის სხვა სახელმწიფოებში ჩაის პლანტაციების გაშენების სამუშაოებს სახელმწიფო აფინანსებს.

## ქართული მეჩაიეობა გარდამავალ პერიოდში

### ნედლეულის წარმოება

საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებში 450-500 ათასი ტონა ფოთოლი და 100-120 ათასი ტონა მზა პროდუქცია იწარმოებოდა. ქართული ჩაის გასაკეთილშობილებლად, რომლის ხარისხიც 70-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად გაუარეს-

და - 20-25 ათასი ტონა ინდური ჩაი შემოჰქონდათ. ქართული ჩაი ძირითადად სსრკ დახურულ სივრცეს მიეწოდებოდა.

ტრადიციული ბაზრის დაკარგვისა და იმდროინდელ ქართულ მეჩაიერბაზე გადაჭარბებული შეხედულების გამო, ქართულ მეჩაიერბას გამოეცალა სამეურნეო, საწარმოო და ფინანსური საყრდენები. 90-იან წლებში მცირე რაოდენობით სხვა-დასხვა დანიშნულებითა და არათანაბრად განხორციელებულმა სუბსიდირებამ შედეგი ვერ გამოიღო. იმ დროს განხორციელებული დახმარების სუკეთე დღემდე შემორჩენილ 2 ათასამდე ჰექტარამდე ფოთოლსაკრეფ პლანტაციაზე აისახა.

საქართველოში გავრერანდა ჩაის პლანტაციები, ნაწილი თხილმა ჩაანაცვლა. ჩაის ფაბრიკები სახელმწიფოს წინაშე დავალიანების დასაფარად გაიყიდა, ნაწილი კი ჯართად ჩაბარდა. მათ შორის ვარგისი დანადგარ- მოწყობილობები (ელექტროძრავები, როლერები, დამხარისხებლები ძირითადად თურქებმა და ირანელებმა შეიძინეს.

განადგურდა მეჩაიერბის მანქანათმშენებლობა, სარემონტო ბაზა. საქართველოში ჩაის ფაბრიკის დეტალის დამზადებაც კი შეუძლებელია. ფუნქციონირებს მხოლოდ ჩაის 3 მსხვილი ფაბრიკა, ისიც არასრული დატვირთვით. არის ,აგრეთვე, რამდენიმე მიკროფაბრიკა, რომელიც ძველი ფაბრიკების ნაწილებისგანაა აწყობილი.

არნახულად გაძვირდა სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სამრეწველო წარმოშობის პროდუქცია (დანადგარ- მოწყობილობები, საწვავი, შესაფუთი მასალები, სასუქები და სხვა).

გრძელდება ჩაის პლანტაციების უზებართვოდ ხელყოფის ფაქტები. ოპერატორული მონაცემებით, საქართველოში, შემორჩენილია 7 ათას ჰექტარზე მეტი პლანტაცია. აქედან, პერსპექტიულია- 6500 ჰა, საიდანაც ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაშია -1965, ხოლო გადაზრდილი და გატყევებულია- 5535 ჰექტარი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაი უაღრესად პერსპექტიული კულტურაა, ინვესტორებს ნაკლებად იზიდავს- თანხის ჩადების დროსა და სრულად ამოგების პერიოდს შორის დროის დიდი სხვაობის გამო.

თხილისათვის გამოსადეგი ფართობები თითქმის ათვისებულია. რაც შეეხება ლურჯ მოცვს, მისი გასაშენებელი ფართობები შეზღუდულია და იგი ამოძირული პლანტაციების ადგილზე უნდა გაშენდეს, რაც კიდევ უფრო გაზრდის გაშენების ხარჯებს, თანაც აგროტექნიკური ღონისძიებების სრულად დაცვის გარანტიას ვერავინ მისცემს- მოსახლეობის მხრიდან ამ პროდუქციის წარმოების გამოცდილების უქონლობის გამო.

მოსახლეობას ბოლო დრომდე არ ჰქონდა ციტრუსების გაყიდვის გარანტია, რაც მეორე მომგებიანი კულტურა იყო. მეჩაიეობის დეგრადაციამ, ციტრუსების წარმოების შემცირებამ, ხელი შეუწყო წატურალური მეურნეობის ჩამოყალიბებას, მოსახლეობის დაუსაქმებლობას, მიგრაციული პროცესების განვითარებას.

ყველაზე ღარიბი გლეხობა გურიასა და იმერეთშია, შემდეგ ქვემო აჭარასა და სამეგრელოში.

### ჩაის გადამუშავება

საქართველოში ჩაის 3 მსხვილი ფაბრიკა და ათიოდე მიკროფაბრიკა მუშაობს, რომლებიც ჩაის ძელი ფაბრიკის ნაწილებისაგანაა აწყობილი. ჩაის მანქანათმშენებლობა იმდენადაა მოშლილი, რომ რაიმე სერიოზული დანადგარის, დეტალის დამზადებაც კი შეუძლებელია.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემთხვევაში, აქცენტი მცირე და საშუალო წარმადობის ჩაის მაღალტექნოლოგიური ფაბრიკების მშენებლობაზე უნდა გაკეთდეს, რომლებიც მორგებულნი იქნებიან შავი და მწვანე ბაიხის ჩაის წარმოებაზე.

ქართველი და უცხოელი სპეციალისტების გათვლებით, საქართველო ძირითადად მწვანე ჩაის წარმოებაზე უნდა დასპეციალდეს. შესაძლებელია სხვა სქემის გამოყენებაც. აპრილსა და მაისში წარმოებულიქნას შავი ბაიხის ჩაი, ხოლო სეზონის დანარჩენ დროს- მწვანე ჩაი, რომელზეც დიდი მოთხოვნაა საზღვარგარეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით იაპონიაში-ფუკუშიმას ატომური სადგურზე მომხდარი ავარიის შემდეგ.

მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე, სახელმწიფო სახსრებით ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობა და ძველის გადაიარაღება გათვალისწინებული არ არის. მაღალი ფასები, რომელიც ქართულ ჩაიზე ჩამოყალიბდა, სტიმულს მისცემს კერძო პირებს და მენარმეებს, ხელი მოჰკიდონ ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობასა და ძველის რეკონსტრუქციას.

### ჩაის ექსპორტი- იმპორტი

გარდამავალ პერიოდში ჩაის ექსპორტი მუდმივად მცირედებოდა და საქართველო ნეტო ექსპორტიორი ქვეყნიდან - ნეტო იმპორტიორად იქცა.

2013 წელს საქართველოდან გადაიტვირთა ბოლო წლებში ყველაზე ნაკლები- 1708 ტონა ჩაი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 7036 ათასი დოლარი. იმპორტი თითქმის ერთ დონეზე დარჩა და მან- 1928 ტონა შეადგინა, რომლის ღირებულება 2257 ათასი დოლარი იყო.

საქართველოში ძირითადად დაბალი სტანდარტის ჩაი შემოდიოდა. მიუხედავად მრავალი ტექნიკური და ფინანსური გაჭირვებისა, 1კგ ექსპორტირებული ჩაის ღირებულება 4-ჯერ აღემატება იმპორტირებულს. ხშირია ინფორმაცია 1კგ ქართული ჩაის 45-50 ლარად გაყიდვის შესახებ. ამას წინათ, ერთ-ერთმა ქართულმა ფირმამ, ჩეხეთში, 1კგ ქართული ჩაი 12,5 ევროდ გაყიდა. რა თქმა უნდა ეს ცალკეული შემთხვევებია, მაგრამ ხომ მაგალითებია, რომლის განმეორება მასობრივადაა შესაძლებელი, კარგი პლანტაციების ფლობის პირობებში.

საქართველოში ჩაი ძირითადად იმ ქვეყნებიდან შემოდის, რომლებიც ჩაის მცირე რაოდენობით, ან სულაც არ ანარმოებენ. ასეთებია- აზერბაიჯანი- იმპორტის- 30%, რუსეთი- 10%.

საქართველოში დაფიქსირებულია თურქეთიდან და ირანიდან, 10-15 ცენტად ღირებული ჩაის იმპორტი.

## **ქართული მეჩაიეობის ძლიერი და სუსტი მხარეები ძლიერი მხარეებია:**

-ქართული მეჩაიეობა ახლოსაა პროდუქციის მოხმარების ბაზრებთან. მასზე დიდი მოთხოვნაა რუსეთში, ცენტრალური აზის ქვეყნებში, მონლოლეთში. ქართული ჩაისადმი ინტერესი სერიოზულად იზრდება ევროპის ქვეყნებში.

- ქართული ჩაი გამოირჩევა განსაკუთრებული სურნელებით ბუკეტით, ნაკლები სიმწკლარტით - ტანინების დაბალი შემცველობის გამო.

- საქართველოში, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებთან შედარებით, ნაკლები დანახარჯებით შესაძლებელია უმაღლესი სტანდარტის მწვანე ჩაის წარმოება.

- საქართველოში შემორჩენილია 7-8 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, საიდანაც პერსპექტიულია 6,5 ათასი ჰექტარი. დამატებით, ტიპურ ნიადაგებზე შესაძლებელია 10-15 ათასი ჰექტარი ახალი პლანტაციის გაშენება.

- საქართველოში გამოყვანილი და წარმოებაში დაწერგილია საუკეთესო სამეურნეო და საგემოვნო თვისებების მქონე ჩაის რამდენიმე ჯიში.

- განსხვავებით მეჩაიეობის სხვა კლასიკური ქვეყნების პლანტაციებისაგან, საქართველოში ჩაის ბუჩქებს არ სჭირდება მავნებელ- დაავადებების წინააღმდეგ ქიმიური პრეპარატებით შეწამვლა. ამ ფუნქციას ჩვენში ზამთარი ასრულებს.

- ჩაის პლანტაციების 60% გაშენებულია გორაკებზე და დაქანებულ ფერდობებზე. ჩაის ფესვები ყველაზე კარგად იცავს ნიადაგს წყლისმიერი ეროზისაგან.

- საქართველოში არსებობს ჩაის პლანტაციებში მუშაობის სურვილის მქონე ყველა თაობის ადამიანი, აგრონომი და საინჟინრო პერსონალი, სამეცნიერო კადრები.

-სხვა კულტურებისაგან განსხვავებით, ჩაი ყველაზე ნაკლებად ზიანდება სტიქიური მოვლენებისაგან.

**სუსტი მხარეები:**

-მეჩაიეობის კლასიკური ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში, ჩაი მხოლოდ 6 თვის მანძილზე იკრიფება.

- ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი გადაზრდილია, ხოლო ჩაის ფაბრიკები - გაძარცვული. შემორჩენილია არასრული ტექნოლოგიური ციკლის მქონე, მცირე წარმადობის ჩაის ფაბრიკები.

- განადგურებულია მეჩაიეობის სამრეწველო ინფრასტრუქტურის საწარმოები, საკონსტრუქტორო ბიუროები, ლაბორატორიები.

-მეჩაიეები ფაქტიურად გადაჩვეულნი არიან ნაზი დუყების კრეფას.

- ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაში ტექნიკის, სასუქების, საწვავის სიძვირის გამო, აუცილებელია სახელმწიფოს მონაწილეობა. კერძო მეწარმეები, ფინანსური რესურსების უქონლობის გამო, ამას ვერ შეძლებენ. ამასთან, ჩაის პლანტაციების თითქმის ნახევარი სახელმწიფო საკუთრებაშია. კერძო ინვესტორისათვის მეჩაიეობის დარგი მიმზიდველი არ არის.

- თავიდანაა შესაქმნელი სანერგე მეურნეობების ქსელი.

### **მეჩაიეობა და საზოგადოებრივი მენტალიტეტი**

თანამედროვე რიგითი ადამიანისა და არა მარტო მისი მენტალიტეტი- საბაზროსა და ადრინდელის (საბჭოურის) ნაზავია, რომელშიც ადრინდელი სწარბობს.

ეს, გულისხმობს:

-არ შეიძლება სახელმწიფომ ხალხს ცუდი რჩევა მისცეს;

-განსაკუთრებით კარგია, სახელმწიფო თავისი ინიციატივით თუ რაიმეს გააკეთებს.

-პრობლემა, რომლის გადალახვას ხალხი ვერ ახერხებს- სახელმწიფომ უნდა შეძლოს.

გარდამავალ პერიოდში საქართველოს მეჩაიეობაში განვითარებული მოვლენების ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ აუცილებელია შემუშავდეს დარგის განვითარების ახალი

სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებს მსოფლიო მეჩაიეობაში ჩამოყალიბებულ ტენდენციებს, რაც განპირობებულია ჩაიზე მოთხოვნილებისა და მისი გასაყიდი ფასის ზრდით.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმის შესახებაც, რომ საქართველოში მეჩაიეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას, ნაშრომის ავტორების მიერ, გამოყენებული იყო მეჩაიეობაში არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგები, ანასეულის ინსტიტუტის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში შემუშავებული მეჩაიეობის განვითარების ეროვნული პროგრამა, შპს - „მარტინ ბაუერ თბილისის“ დაკვეთით შესრულებული კვლევა, რომელშიც უცხოელი ექსპერტები მონაწილეობდნენ.

სახელმწიფო- მიზნობრივი პროგრამა - „ჩაის“ მასალები, რომელიც დამუშავებულია სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და ანასეულის ინსტიტუტის მიერ, სამამულო მეჩაიეობის განვითარების კონცეფცია, რომელიც შემუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ- კორესპონდენტის - ლ. ლაზიძევილის მიერ, უცხოური კომპანია „სერმას“ მიერ, ინგლისელი სპეციალისტის მონაწილეობით, ქართული მეჩაიეობის დღევანდელი მდგომარეობის შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევა და სხვა.

### **მეჩაიეობის სარეაბილიტაციო პროგრამის კონცეპტუალური ხედვები**

სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ჩაის პლანტაციებში.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება განსხვავებული იქნება, როგორც ხელის იარაღებით, ისე მობილური მანქანებით ფოთოლსაკრეფ თუ გადაზრდილ პლანტაციებში.

კერძო პლანტაციებში სამუშაოების შესრულება მესაკუთრის განცხადებისა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხდება, რომლითაც იგი იღებს ვალდებულებას პლანტაციის პროფილის შენარჩუნების თაობაზე.

შრომისუუნარო კერძო მესაკუთრის პლანტაციაში სამუშაოები არ შესრულდება, ვიდრე იგი არ გაყიდის პლანტაციას, ან ხანგრძლივვადიან სარგებლობაში არ გადასცემს სხვა ფიზიკურ პირს, კოოპერატივს ან რომელიმე კომპანიას.

სარეაბილიტაციო სამუშაოები საკუთრების არც ერთი ფორმის პლანტაციაში არ ჩატარდება, ვიდრე მისი მესაკუთრე არ გააფორმებს ხელშეკრულებას ჩაის ფაბრიკასთან, ან ჩაის ფოთლის შემსყიდველთან.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ჩაის პლანტაციებში სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარდება მანამ, სანამ იგი ხანგრძლივვადიან სარგებლობაში არ იქნება გადაცემული. ასე-თი პლანტაციის მესაკუთრეს ხელშეკრულება უნდა ჰქონდეს გაფორმებული ჩაის ფაბრიკასთან, ან ჩაის ფოთლის შემსყიდველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან.

მეჩაიერიბის მუნიციპალიტეტებში ერთობლივი ბრძანებით შეიქმნება ჯგუფები, რომლის შემადგენლობაში შევლენ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო- საკონსულტაციო ცენტრების, საზოგადოების წამომადგენლები. მათი მოვალეობაა:

- სარეაბილიტაციო სამუშაოების გრაფიკის შედგენა;
- ჩატარებული სამუშაოების მონიტორინგი;
- ჩაის რეაბილიტაციისას წამოჭრილი სადაო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;

ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში, მიუხედავად მისი რეაბილიტაციის ფორმისა:

-პირველ წელს, სასუქები შეტანილი იქნება სრული დოზით (აზოტიანი და კომპლექსური სასუქები).

-მეორე და მესამე წელს მხოლოდ აზოტიანი სასუქები (სახელმწიფო სახსრებით აზოტიანი სასუქები შეტანილი იქნება ორ წელს).

გადაზრდილ, მძიმედ გასხლულ პლანტაციებში სასუქები შეტანილი იქნება:

- ხელის იარაღებით. მძიმედ გასხლულ პლანტაციებში, აზოტიანი სასუქები შეიტანება ნახევარი დოზით, კომპლექსური- სრული დოზით.

- მეორე და მესამე წელს აზოტიანი სასუქები შეტანილი იქნება სრული დოზით;
- სამექანიზაციო საშუალებით მძიმედ გასხლულ პლანტაციებში, სასუქები პირველ წელს, არ შეიტანება.
- მეორე წელს შეტანილი იქნება აზოტიანი და კომპლექსური სასუქები, სრული დოზით;
- მესამე და მეოთხე წელს შეიტანება მხოლოდ აზოტიანი სასუქები;

რეგიონებში აყენებენ საკითხს ჩაის პლანტაციების გაშენების შესახებ. 1 ჰა ჩაის პლანტაციის გაშენება ჯდება 30-32 ათასი ლარი.

რეგიონს (მუნიციპალიტეტს), რომელსაც ყველაზე ნაკლები სარეაბილიტაციო პლანტაცია აქვს, წელიწადში მიეცემა 10 ჰა პლანტაციის გაშენების ლიმიტი. დანარჩენი რაიონების ლიმიტი განისაზღვრება მინიმალურ ფართობთან შეფარდებით.

მოენტყობა ერთი სანერგე მეურნეობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

მეჩაიერობაში საერაპილიტაციო სამუშაოებისა და მთლიანად მეჩაიერობის დარგის განვითარებისათვის ხელმძღვანელობის მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გათვალისწინებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - „საქართველოს ჩაის“ ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება სააქციო საზოგადოებად.

სსიპ „საქართველოს ჩაის“ ხელმძღვანელს, პრემიერ- მინისტრთან შეთანხმებით, სამუშაოზე დანიშნავს და გაათავისუფლებს, სოფლის მეურნეობის მინისტრი.

გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის განკარგულების მიღება, რომლითაც:

ეთხოვებათ მუნიციპალიტეტების გამგეობებს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ხანგრძლივვადიან სარგებლობაში შეუფერხებლად გადაცემა, სასოფლო კოოპერატივებისათვის უპირატესობის მინიჭებით.

დაევალება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩაის პლანტაციების სახნავი მინის რანგში პრივატიზების შესახებ ბრძანების გაუქმება.

გადაიხედება იმ მესაკუთრეების საკითხი, რომელთაც ჩაის პლანტაციები გადაეცათ სიმბოლურ ფასად და იგი არადანიშნულებით გამოიყენეს, ან დღემდე არავითარი სარეაბილიტაციო სამუშაოების არ ჩაუტარებიათ.

იმ მოქალაქეებს, რომლებიც ხელის იარაღებით მძიმედ გასასხლავ სახელმწიფო პლანტაციებში საკუთარი ძალით შეასრულებენ სარეაბილიტაციო სამუშაოებს (გარდა სასუქის შესყიდვისა), საკუთრებაში გადაეცმა ჩაის პლანტაცია.

ჩაის ფაბრიკებს, რომელთაც სახელმწიფოს წინაშე გააჩნიათ იაფი კრედიტის დავალიანება, განევადოთ მისი დაბრუნება 5 წლით.

იუსტიციის სამინისტროს დაევალება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული პლანტაციის უნებართვოდ ხელყოფისათვის(ამოძირევა, გადაწვა და ა.შ.)კანონმდებლობით პასუხისმგებლობის გამკაცრების შესახებ წინადადების მომზადება.

### **მეჩაიერბის რეაბილიტაციის პერსპექტივები**

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ჩაიზე მოთხოვნის ზრდის პირობებში, მკვეთრად შეამცირა როგორც ჩაის ნარგაობა, ისე პროდუქციის წარმოება. ქართულმა მეჩაიერბამ მხარი ვერ აუბა საბაზო მოთხოვნებს და ამაში არც არავინ დაეხმარა.

მეჩაიერბისადმი არასწორი პოლიტიკის გატარების გამო, უმუშევრად და შემოსავლის გარეშე დარჩა დარგში დასაქმებული 180 ათას ადამიანზე მეტი, რაც 650-700 ათასი ადამიანის სარჩოს გარეშე დატოვების ტოლფასი იყო.

მეჩაიერბისადმი გულგრილი დამოკიდებულების გაგრძელება დაუშვებელია, რადგან მსოფლიოს ქვეყნები ყველა ღონეს ხმარობენ დარგის გასაფართოებლად. ბოლო 20 წელიწადში ჩაის მწარმოებელი ქვეყნების რიცხვი ერთნახევარჯერ და მეტად, ხოლო ჩაის ნარგაობა -100 ათასი ჰექტარით გაიზარდა.

მოსახლეობისა და ჩაის მოხმარების ზრდის გამო, მსოფლიოში 100 ათასი ტონა ჩაის დეფიციტია მოსალოდნელი.

## **ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია**

ოპერატიული მონაცემებით, საქართველოში 57 ათასი ჰექტარიდან (აფხაზეთის გარდა), შემორჩენილია 9-10 ათასი ჰა პლანტაცია, საიდანაც პერსპექტიულია (განახლებას ექვემდებარება) 6,5-7,0 ათასი ჰა. აქედან, ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაშია - 1965 ჰა, ხოლო გადაზრდილი და გატყვევებულია-7710 ჰა.

პლანტაციის რეაბილიტაციის სამუშაოები გათვლილია როგორც ხელით, ასევე სამექანიზაციო საშუალებებით.

ფოთოლსაკრეფი და გადაზრდილი პლანტაციები დაყოფილია ორ ნაწილად - სამუშაოების ხელის იარაღებითა და მექანიზაციის საშუალებებით შესასრულებელ ფართობებად. კერძოდ, ფოთოლსაკრეფ პლანტაციებში ხელის იარაღებით სამუშაოს შესრულება - 1268 ჰა-ზე, ხოლო მექანიზაციის გამოყენებით - 677 ჰა-ზე შეიძლება( გადაზრდილ პლანტაციებში ,შესაბამისად -3824 ჰა-ზე და 3886 ჰა-ზე).

სამუშაოები დიფერენცირებულია სახეების მიხედვით. მაგალითად, ფოთოლსაკრეფ პლანტაციებში გათვალისწინებულია პირველ წელს სასუქის სრული დოზის შეტანა (აზოტიანი-450 კგ,კომპლექსური-300 კგ).

ხელით, მძიმედ და სასხლავ პლანტაციებში პირველ წელს გათვალისწინებულია აზოტიანი სასუქის სრული დოზის ნახევრის, ხოლო კომპლექსურის- სრული დოზით შეტანა (მძიმედ გასხლული პლანტაცია ვერ შეძლებს აზოტიანი სასუქის სრული დოზის ათვისებას).

რეაბილიტაციის პირველ წელს, სახელმწიფოს მიერ ყველა სახის სამუშაოების შესრულებაა გათვალისწინებული, ხოლო მეორე წელს - გადაბარვისა და აზოტოვანი სასუქების შესყიდვისა და ტრანსპორტირებისა. მესამე წლიდან ყველა სახის სამუშაოს პლანტაციის მესაკუთრე (მოსარგებლე) ასრულებს.

გათვალისწინებული არ არის პლანტაციის შემოღობვის სრული ღირებულება, რადგან ღობის სიგრძე დამოკიდებულია ნაკვეთის კონტურზე და მისი წინასწარ დათვლა პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ხარჯებში შეტანილია 100 გრძივი მეტრის ღირებულება.

1 ჰა-ზე გაანგარიშებით დანახარჯები შეადგენს:

-ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში, ხელით სამუშაოების შესრულებისას, პირველ წელს- 4598 ლარს, მეორე და მესამე წელს- 2365 ლარს.

- სამუშაოების მექანიზაციით შესრულებისას, 1 ჰა-ზე სამუშაოების ღირებულება შეადგენს -პირველ წელს-3602 ლარს, მეორე და მესამე წელს- 1550 ლარს.

-გადაზრდილ პლანტაციებში, ხელით სამუშაოების შესრულებისას - პირველ წელს-5544 ლარს, მეორე და მესამე წელს- 1850 ლარს.

-მექანიზაციით სამუშაოების შესრულებისას - პირველ წელს-3212 ლარს, მეორე წელს-1955 ლარს, მესამე და მეოთხე წელს-1496 ლარს.

დანახარჯები რეაბილიტაციაზე სამი წლის მანძილზე, ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში შეადგენს სულ- 9431 ათას ლარს, ხოლო გადაზრდილ პლანტაციაში-33610 ათას ლარს.

სულ, პირველ წელს, რეაბილიტაციაზე დაიხარჯება 43041 ათასი ლარი, რასაც დაემატება სარეაბილიტაციო ტექნიკის შესაძნად და სსიპ „საქართვლეოს ჩაის“ თანამშრომლების ხელფასის ხარჯები- დაახლოებით 6 მლნ. ლარი. ხარჯების მოცულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენი წელზე დაიგეგმება პროგრამის განხორციელება.

ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა დაგეგმილია: ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში, პირველ წელს-1.5 ტონა, მეორე წელს- 2.5 ტონა, მესამე წელს- 3.5 ტონა. გადაზრდილ მძიმედგასხლულ პლანტაციაში- პირველ წელს-0.5 ტონა, მეორე წელს- 2.0 ტონა, მესამე წელს- 3.5 ტონა. სულ წელიწადში საშუალოდ, პირველ წელს-0.7 ტონა, მეორე წელს- 2.0 ტონა, მესამე წელს-3.5 ტონა.

მზა პროდუქციის თვითდირებულება, 1 ჰა-ზე გაანგარიშებით, პირველ წელს იქნება-3000 ლარი, მეორე წელს-8568, მესამე წელს კი-14 994 ლარი.

რეაბილიტაციის პირველ წელს სულ მოიკრიფება-6804 ტონა ჩაის ფოთოლი, მეორე წელს- 19412 ტონა, მესამე წელს-33866 ტონა. გარდა ამისა, პირველ წელს, ხელფასის სახით გაიცემა - 30

მილიონზე მეტი თანხა და ნაწილობრის მეორე წელსაც. მესამე და შემდგომ წლებში, მეჩაიერები მარტო ფოთლის მოკრეფისათვის მიღებენ 85 მილიონზე მეტ ლარს.

მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს პირველ წელს-29160 ათას ლარს, მეორე წელს- 83196, ხოლო მესამე წელს-142560 ათას ლარს.

პირველ წელს პლანტაციაში გაწეული ხარჯები სჭარბობს მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს - 13881 ათასი ლარით, მეორე წელს- შემოსავალი გადამეტებს ხარჯებს- 64015 ათასი ლარით, ხოლო მესამე წელს- 125253 ათასი ლარით.

ნედლეულის გადამუშავების ხარჯი პირველ წელს იქნება-21060 ათასი ლარი, მეორე წელს ხარჯი შეადგენს-64104 ათას ლარს.

მეორე წელს, სულ, ხარჯი იქნება- 79327 ათასი ლარი, ანუ შემოსავალზე 4 მილიონი ლარით ნაკლები, ხოლო მესამე წელს- ხარჯი შეადგენს-120268 ათას ლარს ანუ შემოსავალზე 22292 ლარით ნაკლებს.

ჩაის მკრეფავის ანაზღაურება ჰა-ზე, პირველ წელს, შეადგენს-1750 ლარს, მეორე წელს-5000, მესამე წელს-8750 ლარს.

სრულმოსავლიან პლანტაციაში შესაძლებელია ჰა-ზე 3-3.5 მკრეფავის დასაქმება. ყველაზე პესიმისტური გათვლებით, რეაბილიტირებულ პლანტაციებში დასაქმდება 30-32 ათასი მკრეფავი.

### **მომავლის იმედი**

მეჩაიეობის პროგრამა ფინანსურად, ორგანიზაციულად და ფსიქოლოგიურად ძნელად განსახორციელებელია, მაგრამ იგი უნდა შესრულდეს.

პროგრამა მეჩაიეობის რეგიონის მოსახლეობას არა მარტო გაუჩენს მუდმივ შემოსავლებს, დასაქმების იმედს, არამედ ლირსებას დაუბრუნებს ადამიანებს.

ოჯახებში დაისადვურებს სითბო და ჯანსაღი განწყობა. აჭარლებს, გურულებს, მეგრელებს და იმერლებს გაუჩინდებათ ხუმრობის, ლაღად ცხოვრების სურვილი.

აღდგება სტუმარ- მასპინძლობა, უფროსისადმი პატივის-  
ცემა, ნათესავის სიყვარული და მეგობრის დაფასება.

ხალხი ირწმუნებს ხელისუფლების ზოუნვას, რომლითაც გა-  
ნებივრებული არ არიან.

პროგრამას ექნება სახალხო ხასიათი. იგი არა მარტო სო-  
ციალური და ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური დატვირთვის  
მატარებელი იქნება.

ცხრილი N11

**ჩაის სარეაბილიტაციო პლანტაციები რეგიონების მიხედვით,  
ჰექტრობით (16.09.2014 წ).**

N	სამუშა-ოს დასახელება	აჭარა	სამეგ-რელო	გურია	იმე - რეთი	საქართველო
1	პერსპექტიული ჩას პლანტაცია, აქედან:	1135	3892	3274	1174	9675
2	ფოთოლ - საკრეც მდგომარეობაში	513	640	699	163	1965
3	გადაზირ დილ მდგომარეობაში	622	3252	2625	1211	7710
	ფოთოლ- საკრეცი პლანტაციი დან სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულდება:					
	ა)ხელის იარაღებით	328	260	526	163	1263
	ბ)სამექანიზაციი საშუალებებით	193	380	0	193	671

	გადაზრდი ლი პლანტა ციიდან სარ ებილიტა ციონ სამუ შაოები სრუ ლდება:					
	ა) ხელის იარაღებით	240	1337	2134	112	3824
	ბ) სამექანი- ზაკიონ საშუ ალებებით	382	1915	491	1098	3886

ცხრილი N12

**დანახარჯები 1 ჰა ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში, სამუშაოების  
ხელის იარაღებით შესრულებისას (ლარი)**

N	სამუშაო- ების (მომ- საბურგებს დასახულება	განვა- სება, ლარი	სამუ შაოე ბის პირვე ლი წელი	სამუ შაოე ბის მეორე წელი	სამუ- შაოე- ბის მესა- მე წელი	შე- ნაშ- ვნა
1	პლანტა- ციის შპალე- რული გასხვლა, 1-ჯერ	350	350	350	350	
2	პლანტა - ციის გა დაბარება, 1-ჯერ.	500	500	500	500	
3	აზოტია - ნი სასუ- ქების შექენა, 450 კგ.	0,8	360	360	360	
4	კომპლე - ქსური სასუქის შექენა, 300 კგ.	1,4	420	-	-	
5	სასუქის ღირებუ- ლება		780	360	360	

6	სასუქე- ბის ღირბუ- ლება,ტრა ნსპორტის ჩათვლით		880	410	410	
7	აზოტიანი სასუქის შეტანა, 2-ჯერ	75	150	150	150	
8	კომპლე- ქსური სა- სუქის შე - ტანა,1- ჯერ	75	75			
9	სასუქის ჩათობა, 3-ჯერ	220	660	440	440	
10	პლანტა- ციის სა- რეველე- ბისაგინ გაწმენდა	100	300	300	300	
11.	პლანტაციის შემოლობება, 100 გ/მ	1270	1270			
	დანახარ- ჯები,სულ		4180	2150	2150	
	გაუთვალის წინებელი ხარჯების ჩათვლით 10%		4598	2365	2365	

**დანახარჯები 1 ჰა ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში, სამუშაოების  
სამექანიზაციო საშუალებებით შესრულებისას (ლარი)**

N	სამუშაოების, (მოსახურების) დასახელება	განვასება, ლარი	სამუშაოების პირველი წელი	სამუშაოების მეორე წელი	სამუშაოების მე წელი	შენიშვნა
1	პლანტაციის შეაღერული გასვლა	100	100	100	100	
2	რიგთა-შორისების გაფხვიერება	100	200	200	200	
3	აზოტიანი სასუქების შექმნა	0.80	360	360	360	
4	კომპლექსური სასუქების შექმნა, 300კგ	1.4	420	-	-	
5	სასუქების დირებულება		780	360	360	
6	სასუქების ღირებულება, მსპორტირების ჩათვლით		880	460	460	
7	აზოტიანი სასუქების შეტანა, 2-ჯერ	75	150	150	150	

8	კომპლექსური სასუქების შეტანა, 1-ჯერ	75	75			
9	სასუქების ჩაკეთება, 3-ჯერ	100	300	200	200	
10	პლანტა- ციოს სარე- ველებისა გან გან- შენდა, 3- ჯერ.	100	300	300	300	
11	პლანტა- ციოს შე- მოლობა, 100 გ/მ	1270	1270			
	დანახარ- ჯები, სულ		3275	1410		
	გაუთვა- ლოსწინე- ბელი ხარ- ჯების ჩაფლით, 10%.		3602	1550	1550	

ცხრილი N14  
**დანახარჯები 1 ჰა გადაზრდილ პლანტაციაში, სამუშაოების  
 ხელით შესრულებისას (ლარი)**

N	სამუშ- აოების, (მომსახუ რების) დასახე- ლება	განვა- სება, ლარი	სამუ შაოე ბის პირვე ლი წელი	სამუ შაოე ბის მეორე წელი	სამუ- შაოე- ბის მესა- მე წელი	შე- ნიშ- ვნა
1	ხემცენარე ების მოჭრა და გამოტა- ნა, ჩას ბურქების გასხვლა და ნასხ- ლავის გამოტანა	1500	1500			

2	პლანტა- ციის გა- დაბარვა, 1-ჯერ	500	500	500	500	
3	აზოტია- ნი სასუქე ბის შექე- ნა, 450 კგ	0,8	160	360	360	
4	კომპლექ- სური სასუქების შექნა, 300 კგ	1,4	420	-	-	
5	სასუქების ღირებუ- ლება		780	360	360	
6	სასუქების ღირებუ- ლება, ტრა ნსპორტი- რების ჩათვლით		680	460	460	
7	აზოტია- ნი სასუქების შეტნა, 1-ჯერ	75	75	150	150	
8	კომპლექ- სური სასუქების შეტნა, 1-ჯერ	75	75			
9	სასუქების ჩათოხენა, 2-ჯერ	220	440	440	440	
10	პლანტა- ციის სარე- ველებისა გან გან- მენდა 3- ჯერ	100	300	300	300	
11	პლანტა- ციის შე- მოლობვა, 100 გ/მ	1270	1270			
	დანასარ- ჯები, სულ		5040	1850	1850	
	გაუფა- ლინინე- ბელი ხარ- ჯების ჩათვლით, 10%		5544	2035	2035	

**დანახარჯები 1 ჰა გადაზრდილ პლანტაციაში, სამუშაოების  
სამექანიზაციო საშუალებებით შესრულებისას (ლარი)**

N	სამუშაოების, (მომსახურების) დასახელება	განვასკბა, ლარი	სამუშაოების პირველი წელი	სამუშაოების მეორე წელი	სამუშაოების მესამე წელი	სამუშაოების მეოთხე წელი
1	ტრაქტორის საქცევე ვის მოწყობა	100	100			
2	ხეების მოჭრა და გამოტანა	200	200			
3	ბუჩქების გააფრა 35-40 სმ-ზე	450	450			
4	პლანტაციის განმენდა სხვ ადასხვა ნარჩენებისაგან	50	50	-	-	
5	ჩაის ღეროების გააფრა, 5-10 სმ-ზე	450	450			
6	ჩაის ღერო ების გამოტანა	100	100			
7	აზოტიანი სასუქების შეძენა, 450 კგ.	0,8		360	360	360

8	კომპლექსური სასუქების შეძენა, 300 კგ.	1,4		420		
9	სასუქების ღირებულება	ლარი		720	360	360
10	სასუქების ღირებულება ტრანსპორტით	ლარი		880	460	460
11	აზოტიანი სასუქების შეტანა 2-ჯერ	100		200	200	200
12	კომპლექსური სასუქების შეტანა 1-ჯერ.	100		100	100	100
13	სასუქების ჩახვნა 3-ჯერ	100		300	300	300
14	პლანტაციის სარეველებისაგან განმენდა, 3-ჯერ	100	300	300	200	200
15	პლანტაციის შემოლობება, 100 გ/მ	1270	1270			
	დანახარჯების სულ		2920	1870	1360	1360
	გაუფალის წინებელი სარჯების ჩათვლით, 10%.		3212	1950	1496	1496

ცხრილი N16

**დანახარჯები ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციაზე  
(ათასი ლარი)**

N	პლანტაცია ციის და სახელე ბა	ჰა	დანახარ ჯები I ნელი	დანახარ ჯები II ნელი	დანახარ ჯები III ნელი
1	ფოთოლ- საკრეფი პლანტა- ციები, აქედან, სარეაბი- ლიტაციო სამუშაო- ები სრუ- ლდება:	1966	9431	3816	3816
2	ა)ხელის იარაღე- ბით	1268	7030	2580	2580
3	ბ)სამექა- ნიზაციო საშუალე- ბებით	677	2401	1236	1236
4	გადაზრ- დილი პლანტა- ციები, აქედან სამუშაოები სრულდება:	7710	33610	15359	13571
5	ა)ხელის იარაღე- ბით	3824	21200	7781	7781
6	ბ) სამექა- ნიზაციო საშუალე- ბებით	3886	12418	7578	5790
	დანახარ- ჯები, სულ	9675	43041	19176	17307

ცხრილი N17

**ჩაის ფოთლის მზა პროდუქციის წარმოება (ტონა) და  
ღირებულება ჰა-ზე**

პლა ნტა ციის დას ახე ლება	ფოთ ლის მოსა ვალი ტონა I	ფოთ ლის მოსა ვალი ტონა II	ფოთ ლის მოსა ვალი ტონა III	მზა პროდ. ტონა, პირ- ველი ნები	მზა პროდ. ტონა, მეორე ნები	მზა პროდ. ტონა, მესამე ნები	მზა პროდ. ტონა, ღირე- ბულება I	მზა პროდ. ტონა, ღირე- ბულება II	მზა პროდ. ტონა, ღირე- ბულება III
1. ფოთოლ- საკრეფი	1,5	2,5	3,5	0,357	0,595	0,833	6426	10710	14994
2. გადაზრ- დილი	0,5	2,0	3,5	0,119	0,476	0,833	2142	8568	14994
3. ჩიას პლანტა ცია, სულ	0,7	2,0	3,5	0,167	0,476	0,833	3006	8568	14994

ცხრილი N18

**ჩაის ფოთლის მოსავალი, მზა პროდუქცია (ტონა) და მისი  
ღირებულება (ათასი ლარი)**

N	სამუშაოს დასახელება	I ნები	II ნები	III ნები
1	ჩაის ფოთოლი ფოთ- ოლსაკრეფი პლანტაციიდან	2949	3932	6881
2	ჩაის ფოთოლი გადაზრდილი პლანტაციიდან	3855	15480	26985
	ჩაის ფოთოლი სულ	6804	19412	33866
3	მზა პროდუქცია ფო- თოლსაკრეფი პლანტაციიდან	702	936	1495
4	მზა პროდუქცია გადაზრდილი პლანტაციიდან	918	3686	6425
	მზა პროდუქცია სულ	1620	4622	7920
5	პროდუქციის ღირებულება ფოთოლსაკრეფი პლანტაციიდან	12654	16856	26910
6.	პროდუქციის ღირებულება გადაზრდილი პლანტაციიდან	16506	66340	115650
	მზა პროდუქციის ღირებულება, სულ	29160	83196	142560

### **3.4-მეჩაიეობაში სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობა**

სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების კვალობაზე იცვლება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ფუნქციები. მიზანი, რომლისკენაც ეს სტრუქტურები მიისწრაფიან, არის სამეურნეო ფუნქციებისაგან გათავისუფლება, მეურნე სუბიექტის მიერ დამოუკიდებლად მათი განხირციელების ხარისხის ამაღლების კვალობაზე.

განვლილმა წლებმა დაგვანახეს, რომ აგროსასურსათო სექტორის სხვადასხვა სეგმენტში ეკონომიკური სუბიექტების დამოუკიდებლად ფუნქციონირების პირობები განსხვავებულია და იგი ძირითადად დამოკიდებულია მოცემულ სეგმენტში საბაზრო გარემოს ფორმირების ხარისხისგან. მიუხედავად ამისა, მაინც რჩება ფუნქციების წყება, რომელსაც ყოველთვის სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ დაქირავებული კერძო სტრუქტურა განახორციელებს. ესენია: პოლიტიკა, რეგულირება და კონტროლი.

რაც უფრო დაბალია დარგში საბაზრო პირობების განვითარების დონე, მით უფრო დიდია მართვის ისეთი რგოლის არსებობის აუცილებლობა, რომელშიც სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელებას სამეურნეო ფუნქციებსაც შეუთავსებს.

მრავალი მცდელობის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი მთლიანად ვერ გათავისუფლდა გარკვეული სამეურნეო ფუნქციებისაგან. რაც შეეხება მისი დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და სამსახურებს, უმეტესი მათგანი ამ ფუნქციების მატარებლები არიან. მაგალითად, ვეტერინარიის დეპარტამენტი დარგში პოლიტიკისა და რეგულირების ფუნქციის გატარებასთან ერთად, ახდენს პირუტყვის აცრას სხვა-დასხვა ეპიზოოტიური დაავადებების წინააღმდეგ.

მცენარეთა დაცვის სამსახური ახორციელებს მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონის-

ძიებებს. სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი-ცენტრალური სარწყავი არხების განმენდის, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და დანადგარების სარემონტო და სამშენებლო სამუშაოებს და სხვა.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის განვლილმა წლებმა ისიც დაადასტურეს, რომ დარგში დივერსიფიცირების საკითხი ვერ ხსნის ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოს არსებობის აუცილებლობას. უფრო მეტიც, თუ დამოუკიდებლად ფუნქციონირების ყველა პირობა ჩამოყალიბებული არ არის, შესაძლებელია უარყოფითი შედეგებიც მივიღოთ. განსაკუთებით ჩვენს სინამდვილეში, როცა საბაზრო გარემოში ფუნქციონირება უხდებათ სხვადასხვა სამართლებრივი და ორგანიზაციული სტატუსის მქონე სუბიექტებს, რომლებიც უაღესად ცენტრალიზებული სისტემიდან მოდიან და ახალ გარემოში ფუნქციონირების მწირი გამოცდილება გააჩნიათ. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ბაზრების დაკარგვისა და სხვა უარყოფითი მოვლენების გამო, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა, საბაზრო გარემოს ფორმირების პროცესი აგროსასურსათო სექტორში ძნელად მომდინარეობს და იგი დარგების მიხედვით განსხვავებულია.

საბაზრო გარემოს ფორმირების თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ისეთ დარგებში, როგორიცაა - მევენახეობა - მელვინეობა, მეხილეობა და კონსერვის წარმოება, მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახურული ბაზარზე იყვნენ ორიენტირებულნი.

სხვა დარგებისაგან განსხვავებით, მძიმე მდგომარეობა შეინა მეჩაიეობაში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ჩრდილოეთის მეჩაიეობაა და აქედან გამომდინარე, თვით პროდუქციის წარმოების თავისებურებების გამო, უჭირს კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირება. ასეც რომ არ იყოს, თუ დარგს კარგი სასტარტო საბაზრო გარემო არ გააჩნია (ბაზარი, ცოდნა, საბანკო, სადაზღვევო, საგადასახადო სისტემა, საინოვაციო გარემო და სხვა), შესაძლებელია მოუმზადებლად გატარებულმა რეფორმამ უარყოფითი შედეგი გამოიღოს.

საუკეთესო მაგალითად გამოდგება მეჩაიერების ისეთი კლასიკური ქვეყანა, როგორიცაა შრი-ლანკა. ჩაის საწარმოების მოუმზადებლად განკერძოების შედეგად, მეჩაიერება დალუპვის პირას მივიდა, რის გამოც სახელმწიფო იძულებული გახდა მოეხდინა მათი ნაციონალიზაცია და ემართა იგი, როგორც სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული დარგი, ხოლო აღორძინების შემდეგ, ისევ დაეწყო ხელახალი პრივატიზაციის პროცესი.

საქართველოს მეჩაიერებაში შექმნილი მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სტრუქტურების შექმნის აუცილებლობას, რომელსაც პოლიტიკასა და რეგულირებასთან ერთად ექნება სამეურნეო ფუნქციაც.

დღეს არსებული ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმებიდან აღნიშნული ფუნქციების განხორციელება ყველაზე მეტად შეუძლია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციას. აღნიშნული იურიდიულ- სამართლებრივი ფორმა ყველაზე მეტად შეესაბამება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპს, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს აგროსასურსათო სექტორის ცალკეული სეგმენტის მაგალითზე.

რეგულირების ასეთი რგოლის შექმნით შესაძლებელი გახდება ფინანსური რესურსების მოძიება დარგში პოლიტიკის განსახორციელებლად, რომლის გატარება, როგორც ამას მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, სხვანაირად შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი უნდა იყოს მეჩაიერების დეპარტამენტი - „საქართველოს ჩაი“, რომელიც მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

დეპარტამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, დანიშნავს სოფლის მეურნეობის მინისტრი. დეპარტამენტის საქმიანობას გააკონტროლებს სამინისტრო.

ახალი ორგანოს სტრუქტურა უნდა იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „გაზისა და ღვინის დეპარტამენტ-“, სამტრესტის“ მსგავსი.

სამინისტროს სისტემაში ზემოთ აღნიშნული სტრუქტურის შექმნა მრავალი მიზეზითაა განპირობებული, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

სოფლის მეურნეობის სამინისტროში სახელმწიფო- კომერციული გაერთიანება „საქართველოს სამსახურის“ ლიკვიდაციის შემდეგ (1997), არ არსებობს არა თუ მეჩაიერობის დარგის რაიმე სამსახური, არამედ სპეციალისტიც კი.

მეჩაიერობის პრობლემების გადაწყვეტა (მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს ფინანსური დახმარებები დარგის რეაბილიტაციისათვის) მინდობილი აქვს არაპროფილურ (ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების) სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებაში არსებულ საინვესტიციო სტრუქტურებს.

რაც მთავარია, არსებობს ამ მანკიერი პრაქტიკის გაგრძელების რეალური შესაძლებლება, ხელისუფლების სხვადასხვა შტოდან ლობირების გამო.

მეჩაიერობის განვითარების პრობლემები ყოველთვის სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში იდგა და შესაბამის მმართველ სტრუქტურებს ძლიერი მარეგულირებელი ფუნქციები ჰქონდათ (სახელმწიფო სააქციო საზოგადოება-, „საქართველოს ჩაი“, ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მთავარი სამმართველო, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სახელმწიფო კომიტეტი, სახელმწიფო - კომერციული გაერთიანება - „საქართველოს სამსახურის“);

დარგში საბაზო გარემო იმდენად სუსტადაა ფორმირებული, რომ მეურნე სუბიექტებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ფუნქციონირება.

მსოფლიოში ყალიბდება ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენცია. ნიშანდობლივია, რომ ჩაის ექსპორტში მონინავე პოზიციებს იკავებენ ქვეყნები, რომლებიც ადგილზე წარმოებული პროდუქციის მცირე ნაწილს მოიხმარენ (კენია, საქართველო). ეს ტენდენცია დიდხანს იქნება შენარჩუნებული და მას გამოყენება უნდა.

მეჩაიერობის თითქმის ყველა ქვეყანაში დარგის რეგულირების ფუნქციას მთლიანად ან ნაწილობრივ სახელმწიფო ასრუ-

ლებს. მისი უშუალო ჩარევითა და ხელშეწყობით ხდება კერძო სტრუქტურების ჩამოყალიბება, მეჩაიეობის პრობლემების გა-დაწყვეტა, პროდუქციის ადგილზე მოხმარებისა და ექსპორტის ხელშეწყობა(წარმოების სუბსიდირებით,საგადასახადო შეღავა-თებით,ბაზრის დაცვის მექანიზმის გამოყენებით). მეჩაიეობის ბევრ კლსიკურ ქვეყანაში დარგის განვითარებას კურირებს მა-ლალი რანგის სახელმწიფო მოხელე, თვით პრემიერ- მინისტრის მოადგილის ჩათვლით.

დარგში საბაზრო გარემოს ჩამოყალიბება ცენტრალიზებუ-ლი მართვის რღვევის პირობებში ხდება, როცა დაგროვილი არ არის სათანადო ცოდნა, გამოცდილება, შექმნილი არ არის შე-საბამისი ინფრასტრუქტურა, გადასაწყვეტია ყველაზე რთული ამოცანა- მოსახიებელია ბაზარი.

დარგში საბაზრო გარემოს ფორმირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას უდიდესი სოციალ-ეკონომიკური ,და შეიძლე-ბა ითქვას, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. მეჩაიეობის რეგი-ონში ცხოვრობს 500 ათასზე მეტი ადამიანი, რომელთა ოჯახე-ბის შემოსავლის ძირითადი წყარო მეჩაიეობა იყო და იგი ახლო მომავალში ასეთად უნდა იქცეს.

რამდენადაც ,კანონის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნა შესაძლებელია მასზე სახელმწიფო ქონების მართვაში გადაცემის გზით, შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი სქემის გამოყენება: სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე და-ვალიანებების მქონე ფაბრიკების ქონება (აქციები, წილი,პაი) არსებული კანონმდებლობით ,გადაეცეს სსიპ-ს-დეპარტამენტ „საქართველოს ჩაის“.

ამ შემთხვევაში საწარმოების დავალიანება ბიუჯეტის წი-ნაშე შემცირდება, დაბრუნებული ქონების ტოლი ოდენობით, რადგან იგი გახდება სახელმწიფოს (საჯარო სამართლის იური-დიული პირის) საკუთრება.

ახალი სტრუქტურის ძირითადი ფუნქციები ასე წარმოგვიდ-გენია:

## **აღრიცხვა- ანგარიშგება, ანალიზი, პროგნოზირება**

მმართველობისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობით ჩაის პლანტაციების ინვენტარიზაცია ტიპურ ნიადაგზე გაშენების, ასაკის, ექსპლუატაციისათვის (ხელით და მანქანით კრეფა) ვარგისიანობის, გასატარებელი აგროტექნიკური ღინისძიებების თუ ჩამოწერის დადგენის მიზნით.

ჩაის ფაბრიკების - მოქმედისა და ასაშენებლის, ტექნიკური ინვენტარიზაცია, მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებისათვის ტექნოლოგიური ხაზების შესაბამისობის, გადაიარაღების მიზანშენონილობისა და რეალიზებადი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობების დასადგენად.

ლონისძიებების განხორციელება საერთაშირისო სტანდარტის შესაბამისი საბუღალტრო და სტატისტიკური აღრისხვა-ანგარიშგების დასაწერგად.

მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის განვითარების სისტემატური ანალიზი, წარმოებაზე მოქმედი ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების გამოვლენის მიზნით.

ჩაის ყოფილი ფაბრიკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და წინადადებების შემუშავება მისი განახლების მიზნით.

მეჩაიეობის სეგმენტში მოქმედი საგადასახადო სისტემის ანალიზი, წინადადებების შემუშავება მისი სრულყოფისათვის და ლობირება მთავრობასა და პარლამენტში.

მსოფლიო მეჩაიეობაში მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე საქართველოს ჩაის წარმოების სტრატეგიისა და ტაქტიკის, მათი განხორციელების ეკონომიკურ-ორგანიზაციული სქემების შემუშავება. მეჩაიეობაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა შექმნის ხელშეწყობა და მათთან თანამშრომლობა.

## **ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება**

ანასეულის ინსტიტუტთან ერთად ჩაის აგროტექნიკასა და გადამუშავებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მსოფლიო მიღწევების შესახებ ინფორმაციების მოპოვება და მათი წარმოებაში დანერგვის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სქემების შემუშავება.

ჩაის ახალი ჯიშების, ნერგების გამოყვანის, გაშენების, მოვ-ლა-მოყვანის, ნედლეულის გადამუშავების ახალი ტექნოლოგი-ების გავრცელება, სოფლად აღტერნატიული სამუშაო ადგილე-ბის შექმნის მიზნით.

მექანიზებული წესით ჩაის პლანტაციების მოვლის, ფოთ-ლის კრეფის ტექნოლოგიის შერჩევა, მანქანა- იარაღების წარ-მოებაზე მოთხოვნის გაანგარიშება, მანქანათმშენებლობის სა-წარმოებში მათი გამოშვების ხელშეწყობა.

პროდუქციის შეფუთვის (ერთჯერად პაკეტებში , მცირე განწყობის ყუთებში) პროგრესული ტექნოლოგიების შემოტანა და მათი კორპორაციული გამოყენების ორგანიზაციულ- ეკონო-მიკური ხელშეწყობა.

კონტაქტების აღდგენა ჩინეთის, იაპონიის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების მეჩაიერების ტექნიკის მწარმოებელ ფირმებთან, ჯერ -შეკეთებული ტექნიკის, ხოლო შემდეგ, ახალი მანქანა-იარაღების შემოტანის მიზნით.

### **მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფა**

წარმოების ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ორგა-ნიზებულად შესასყიდად ფინანსური რესუსების მობილიზება, ზენორმატიული ნაშთების ურთიერთხელსაყრელი პირობებით განაწილება. პროგრესული ტექნოლოგიების დანადგარების შე-ძენა, დემონსტრირება, ტექნოლოგიური დანადგარების იმპორ-ტისათვის დაწესებული შეღავათების გამოყენება.

### **მარკეტინგული საქმიანობა, საინფორმაციო უზრუნველყოფა**

ადგილობრივ ბაზარზე და საზღვარგარეთის ბირჟებზე პრო-დუქციაზე მოთხოვნილების პერმანენტული შესწავლა (პრო-დუქციის ხარისხი, შეფუთვა, მიწოდება, ფასი და მისი პროგნო-ზირება). ძველ ბაზრებზე მიმდინარე პროცესების ანალიზი, ახა-ლი ბაზრების მოძიება და მათში შესვლის პირობების შესწავლა.

ევროგაერთიანებასთან ღრმა და ყოვლისმომცველი სა-  
ვაჭრო ხელშეკრულების გაფორმება მისი შესაძლებლობების  
სრულად გამოყენების მიზნით.

სამსახურის აღჭურვა თანამედროვე საოფისე ტექნიკით, ინ-  
ტერნეტით.

მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა ადგილებზე და იქიდან  
მონაცემების მიღება, წედლეულის დამზადების, მზა პროდუქცი-  
ის გამოშვების, რეალიზაციის შესახებ. იგივე ონფორმაციის მი-  
ნოდება სამინისტროსათვის. ინფორმაციის მიღება მეჩაიერების  
გამოფენების შესახებ და მათში მონაწილეობის დაგევმვა.

საქართველოში ანალოგიური გამოფენების ორგანიზება შე-  
საბამის ორგანიზაციებთან ერთად.

### ფინანსები და ინვესტიციები, კადრების მომზადება

პროდუქციის წარმოებაზე განეული ფულად- მატერიალური  
დანახარჯების ანალიზი, პროდუქციის თვითღირებულების, მი-  
სი სტრუქტურის დადგენა, მოგების ნორმის შესახებ რეკომენ-  
დაციის მიცემა, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შენარ-  
ჩუნების მიზნით.

წედლეულის წარმოებისა და გადამუშავების სფეროში და-  
საქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურების დონისა და  
სტრუქტურის ანალიზი, მისი სრულყოფის მიზნით.

დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის ახალი სისტე-  
მების გამოყენებაზე რეკომენდაციების შემუშავება და მისი  
ლობირება. ფულადი შემოსავლების განაწილების შესახებ რე-  
კომენდაციების შემუშავება.

ბიზნეს- წინადადებების და ბიზნეს- გეგმების შედგენა და  
მათი მიწოდება ქართული და უცხოური ფირმების, ბიზნესის  
წარმომადგენლებისათვის, უცხოეთის ინვესტიციების მოზიდ-  
ვის მიზნით.

მეჩაიერებაში უცხოეთისა და ქართული ბანკების კრედიტების  
მოზიდვა, მიკროდაფინანსების სისტემის გამოყენება, წინადადე-

ბების მომზადება მეჩაიერბის განვითარების სპეციალიზებული ფონდის შექმნისა და მისი დაფინანსების წყაროების შესახებ.

დარგის მართვის სტრუქტურის რეორგანიზაციის, სტრატეგიის შემუშავება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბაზაზე, მეჩაიერბის ფინანსური ჰამოყალიბების მიზნით.

სპეციალისტების სწავლების, გადამზადების, დასაქმების მწყობრი სისტემის შექმნა-კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურების შემოღების საფუძველზე.

### კანონშემოქმედებითი საქმიანობა

„ჩაის შესახებ“ კანონპროექტის ახალი ვარიანტის მომზადება, რომლის პროტოპად გამოყენებული იქნება კანონი - „ვაზისა და ლეინის შესახებ“.

ახალი კანონით დეპარტამენტ-„ქართულ ჩაის“ ნება უნდა დაერთოს:

პროდუქციის წარმოების სერტიფიკატის გაცემა, რისთვი-საც უნდა შეიქმნას თანამედროვე ლაბორატორია ან ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენებულიქნას ანასეულის ინსტიტუტის ლაბორატორია.

სანერგეების სერტიფიცირების;

საწარმოების ლიცენზირების;

ნერგის, ფოთლის, მზა პროდუქციის სტანდარტების შემუშავების;

არასტანდარტული ნერგით პლანტაციების გაშენების აკრძალვის;

ტექნოლოგიური დარღვევით ფოთლის კრეფის, გადამუშავების აკრძალვის და სხვა;

ნორმატიული და ქვენორმატიული აქტების მომზადებისა და მათი დადგენილი წესით დამტკიცების;

კანონშემოქმედებითი ინიციატივის.

## **მარეგულირებელი ორგანოს სტრუქტურა**

პრეზიდენტის ბრძანებულებაში, რომლითაც შეიქმნება სსიპ დეპარტამენტი-, „საქართველოს ჩაი“აღნიშნული უნდა იქნას, რომ ყველა სახელმწიფო ღონისძიებას, მათ შორის მეჩაიერების სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს, ახორციელებს აღნიშნული ორგანიზაცია, რომელსაც თანხის გარკვეული ნაწილი გამოყოფა განეული მომსახურებისათვის.

სტრუქტურის შენახვის ძირითადი წყარო იქნება პროდუქტიის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების გარკვეული პროცენტი, აგრეთვე კანონით ნებადართული სხვა მომსახურების ღირებულება. დასაშვები იქნება სხვადასხვა შემოწირულობებისა და დახმარებების მიღება.

დეპარტამენტის ორგანიზაციული სტრუქტურა, საწყის ეტაპზე ,ასე გვესახება:

დეპარტამენტის თავმჯდომარე -1;

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე -2;

ბუღალტერია -2;

საფინანსო- ეკონომიკური სამსახური-2;

ტექნოლოგიების სამსახური-3;

საზღვარგარეთთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური-3;

იურისტი-1;

კანცელარია-2;

სულ- 15 საშტატო ერთეული;

დეპარტამენტთან იქმნება საზოგადოებრივი საბჭო დეპარტამენტის სპეციალისტების, კერძო სტრუქტურების წარმომადგენლების, მეცნიერების მონაწილეობით. საბჭოს უხელმძღვანელებს მისი წევრებისაგან არჩეული პირი.

## თავი IV.ჩაის პლანირების რეაგილიტაციის აგროტექნიკური ღონისძიებები

### 4.1- ჩაის დაბალი მოსავლიანობის გამომწვევი ზოგიერთი მიზეზი

საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ჩაის კულტურის ნორმალური ზრდა- განვითარება განპირობებულია ზონის აგ- როკლიმატური მახასიათებლებით, თუმცა მცენარის ნორმა- ლურ ზრდა- განვითარებას ხელს უშლის რიგი მიზეზებისა, რო- მელთა გათვალისწინება აუცილებლად საჭიროა.

მოვიყვანთ ზოგიერთ მიზეზს, რომელიც ხელს უშლის ჩაის პროდუქტიულობის მაქსიმალურად გამოვლენას და შევეხებით იმ ძირითად ღონისძიებებს, რომელთა ნორმალურად ჩატარებას ძალუძს მცენარის და,შესაბამისად პლანტაციის, ნორმალური პროდუქტიულობის აღდგენა.

ჩაის დაბალი მოსავლიანობის გამომწვევი მიზეზები შეიძ- ლება ორ ძირითად კატეგორიად დაიყოს:ბუნებრივ-ისტორიული და ბიოლოგიური. პირველს ეკუთვნის ნიდაგისა და ჰავის გამო- უსადეგარობა ჩაის მცენარისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა ნიადაგი არ შეესაბამება ჩაის მცენა- რის მოთხოვნებს ან ადგილი მიკროკლიმატური პირობების მი- ხედვით მიუღებელია ჩაის ინტენსიური კულტურის წარმოები- სათვის- ასეთი პლანტაციები ლიკვიდირებული უნდა იქნას და უნდა ვიზრუნოთ მათ შესაცვლელად. ეს მოვლენა იშვიათად, მაგ- რამ მაინც გვხვდება ჩაის გავრცელების ჩრდილოეთ რაიონებში.

ბუნებრივ- ისტორიულ მიზეზებს ეკუთვნის აგრეთვე ნიადა- გის ჭარბტენიანობა, მელიჭვილის ჰორიზონტის ნიადაგის ახლო ზედაპირთან ყოფნა და ძლიერ გადარეცხილი ნიადაგები. ასეთ პლანტაციებში უნდა ვებრძოლოთ დაბალი მოსავლიანობის პირ- ველად მიზეზებს: უნდა მოვაწესრიგოთ წყალმართვი რეჟიმი, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დავშალოთ მელიჭვილის ჰო- რიზონტი -70-80 სმ სიღრმეზე, ჩავატაროთ ღრმა გაფხვიერება,

გავამდიდროთ გადარეცხილი ნიადაგები ორგანული ნივთიერებებით, უზრუნველყოფით ჩაის მცენარის ნორმალური მინერალური კვება და ა.შ.

ამ აგროტექნიკური ღონისძიებებით, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჩაის პლანტაცია ალიდგინება და ნორმალურ მოსავალს მოგვცემს. თუ ეს ღონისძიებები არ განხორციელდება და ასეთ ნიადაგებზე მაინც გაშენდება ხელახლა ჩაის პლანტაციები, შედეგი არადამაკმაყოფილებელი იქნება.

ჩაის პლანტაციის დაბალი მოსავლიანობის ბიოლოგიურ მიზეზებს ეკუთვნის უწინარეს ყოვლისა ჩაის მცენარის ჯიშობრივი არასრულფასოვნება. ჩვენს სუბტროპიკებში ხშირად გვხვდება პლანტაციების გაშენების პრაქტიკა წვრილფოთოლა იაპონური ჯიშებით, რომლებიც ჩვენს პირობებში ყოველთვის დაბალმოსავლიანია.

ჩაის პლანტაციების ასეთი კატეგორია უნდა შეიცვალოს. ასეთ კატეგორიას ეკუთვნის აგრეთვე ჩაის მცენარის ბიოლოგიური დაბერება, რაც ჩვეულებრივად ცუდი მოვლისა და ხანგრძლივი მკაცრი ექსპლუატაციის შედეგია. უკანასკნელ შემთხვევაში, თუ გამოიცადა აგროტექნიკური ზემოქმედების ყველა ხერხი ( განოყიერება, ნიადაგის გულდასმით დამუშავება და სხვა) და პლანტაცია არ გაუმჯობესდა, ის უნდა შეიცვალოს, ხელახლა გაშენდეს.

პლანტაციის პროდუქტიულობის კლების მიზეზთა ბიოლოგიურ კატეგორიას ეკუთვნის აგრეთვე ჯიშების ცუდი სორტიმენტი, რაც აღდგენის ამოცანებისას უნდა იყოს მიღებული მხედველობაში.

### ჩაის პლანტაციის სიმეჩერის მიზეზები

მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად დასახელებულ მოვლენას. მათი კლასიფიცირება მრავალგვარ ლიტერატურაში - მრავალგვარია. რაც არ უნდა ედოს საფუძვლად - ფაქტია შედეგი ანუ ფართობის ერთეულზე მცენარეთა დასაშვებ ნორმაზე ნაკ-

ლები რაოდენობა და მათი მოსავლიანობის კლება. ეს კი უარ-ყოფითად აისახება საბოლოო შედეგზე. მცენარის ბიოლოგიური დაბერების გარდა მრავალია მიზეზი, რაც პლანტაციის გამეჩხ-რებას იწვევს. თვითონ ფაქტი - პლანტაციის გამეჩხრება, რო-გორც შედეგი, შესაძლოა გახდეს სათავე მრავალი თანმდევი მოვლენისა.

მცენარეთა გამოკლება ფართობის ერთეულიდან იწვევს ცარიელი ადგილის გაჩენას პლანტაციაში. ეს უკანასკნელი კი ხდება მიზეზი პლანტაციაში სარეველების მომრავლებისა.

სიმეჩხრითაა გამოწვეული პაერის მასების ინტენსიური მოძ-რაობა მცენარეთა ფესვთა სისტემის გავრცელების სიახლოვეს. ეს უკანასკნელი იწვევს ნიადაგის გამოშრობას. ნაკლებეფაქტუ-რი ხდება მცენარეთა კვების სისტემის დადებითი ეფექტი მცე-ნარეზე, რაც მოსავლის კლების პირდაპირი მიზეზია.

სიმეჩხრის თანმდევი პროცესია ნიადაგის ეროზია და მისი ნა-ყოფიერი ფენის ჩამორეცხვა. ამასთან, თვალსაცემია სასარგებ-ლო ელემენტების გადინება მცენარის რიზოსფეროს ზონიდან.

ჩაის მცენარის გასაშენებელი პლანტაციის პროდუქტიუ-ლობა დიდადაა დამოკიდებული მოსამზადებელი პერიოდის ხა-რისხზე და ეფექტურობაზე. გამომდინარე აქედან, სიმეჩხრის ერთ-ერთი მიზეზი გასაშენებლად შერჩეული თესლების არამე-თოდურ შერჩევაში უნდა ვეძებოთ.

თესლების შერჩევის ყველა პროცედურა ზუსტად უნდა იქ-ნეს დაცული. ეს კი თანაბარი და პროდუქტიული პლანტაციის მიღების საწინდარია.

ლიტერატურაში სიმეჩხრის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად თესლის აღმოცენების დაბალი უნარი სახელდება. როგორც აგ-რონესებით ცნობილია- დასადგენია ვადები თესვისა, რომლის დარღვევა იწვევს სიმეჩხრეს. ამ არასასურველი მოვლენის მი-ზეზთაგანია აგრეთვე ნიადაგურ- კლიმატური პირობების არა-ხელსაყრელი შეთანაწყობა ჩაის მცენარის მოთხოვნებთან.

დიდია სიმეჩხრის გამომწვევ მიზეზთა შორის ნიადაგის წყალმართვი თვისებების როლიც. ჭარბი ტენი უარყოფითად აისახება მცენარის მოვლა- მოყვანაზე.

დიდია ტემპერატურული რეჟიმის ანომალიების უარყოფითი გავლენაც. გვალვა და დაბალი ტემპერატურა შესამჩნევად აფერხებს აღმოცენებას, აღმონაცენის ზრდა- განვითარებას და საბოლოოდ სიმეჩერის მიზეზი ხდება.

საჭიროა მკაცრად დავიცვათ მცენარის მოვლა- მოყვანის აგროტექნიკა. სიფრთხილეა საჭირო ახალი აღმონაცენისათვის მექანიკური ზიანის მიყენების თვალსაზრისით. ჯანსაღი მცენარე სიმეჩერის ლიკვიდირების პრევენციული ზომა.

ლიტერატურაში მრავლადაა ცნობები იმის შესახებ, თუ რა უარყოფითი გავლენა შესაძლოა იქონიოს მავნებლებმა და დაავადებებმა მცენარის მოვლა- მოყვანის პერიოდში. სწორმა და ინტეგრირებულმა ღონისძიებებმა, რაც ტარდება პლანტაციაში აგრონესების შესაბამისად, კარგი შედეგი უნდა მოგვცეს.

ჰერბიციდების სახეებისა და დოზების ოპტიმალური შეთანაწყობა კონკრეტულ ნიადაგურ- კლიმატურ პირობებთან, ქმნის შესანიშნავ ფონს სიმეჩერის პრევენციისათვის. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ჰერბიციდების ახალი თაობის გამოყენების დროს ჩაის ახალგაზრდა და ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში. რეკომენდაციები, რაც დაშვებულია სუბტროპიკული ზონისათვის, აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ჩაის ინტენსიური კულტურის წარმოებისათვის კვალიფიციური მიდგომა მყარი მოსავლის მიღების წინაპირობაა. დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალისტთა კვალიფიკაციის დონეს. ეს ეხება იმ ღონისძიებების წარმატებით ჩატარებას, რაც ჩაის პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაციას ეხება. სიზუსტე და თანმიმდევრობა, რაც ჩაის პლანტაციის პირველადი გაშენების დროს იყო- აქაც უნდა გაგრძელდეს.

უარყოფითად აისახება ჩაის პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაციის გზაზე მცენარეთა გადარგვის ვადების დარღვევა. მკაცრად უნდა იქნას განსაზღვრული ვადები, თუ რა პერიოდში უნდა მოხდეს ახალგაზრდა პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაცია. ჩატარებული ცდები და საწარმოო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ახალგაზრდა პლანტაციის გაშენებიდან სამი წელინადი ის ოპტიმალური ვადაა, რომლის განმავლობაშიც ის უნდა აღმოიფხვრას.

პერიოდი, რომელიც გადაცდება მითითებულს, უარყოფი-  
თად აისახება მოსალოდნელ შედეგზე, რადგან მცენარეთა ასაკ-  
ში შესვლა შესამჩნევად აძნელებს შევსების პროცესს.

### **პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაციის გზები**

პლანტაციიდან მიზეზთა გამო გამოვარდნილი მცენარის  
ჩანაცვლების პროცესს- რემონტი ჰქვია. რემონტისათვის მრა-  
ვალი მეთოდი გამოიყენება. ლიტერატურაში მეთოდთა შორის,  
სახელდება- რემონტი გამოთესვით. ეს, ის შემთხვევაა, როცა  
კონდიცირებული თესლით ხდება სიმეჩერის ლიკვიდაცია.

არის შემთხვევა, როცა რემონტს ატარებენ პლანტაციის  
ასაკის შესაფერისი სტანდარტული ნერგით. ეს უკანასკნელი  
გულისხმობს სანერგიის არსებობას, რაც, ბუნებრივია, უნდა იყოს  
საგანგებოდ მოწყობილი ასეთი შემთხვევისათვის.

პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაცია ხდება მოზრდილი ბუჩ-  
ქების გადარგვითაც. მკაცრადაა განსაზღვრული ასაკი, თუ რო-  
მელი მეთოდი რა ასაკის პლანტაციაში უნდა ჩატარდეს, რადგან  
პლანტაციის თანაბრობა მეტად მნიშვნელოვანია. ეს საჭიროა  
დუყების შემოსვლის ერთდროულობის უზრუნველსაყოფად.

სრულასაკოვანი პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაციისათ-  
ვის გამოთესვით რემონტი გამოსადეგი არაა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მიზეზთა აღმოფხვრას, რა-  
მაც სიმეჩერე გამოიწვია. ამისათვის საჭიროა მცენარის ბიო-  
ლოგისა და მოვლა- მოყვანის პირობების ზედმინევნით კარგად  
ცოდნა. მიზეზის ლიკვიდაციის კვალობაზე რემონტის შესაბამი-  
სი ხერხის გამოყენება მეტად ეფექტურია.

### **პლანტაციის თესლით რემონტის მეთოდი**

ამ მეთოდის გამოყენებას თავისი სპეციფიკა აქვს. რემონტის  
ეს სახე მკაცრადაა ლიმიტირებული ასაკით. მისაღებია მისი გამო-  
ყენება ახალგაზრდა პლანტაციაში, რომლის ასაკიც სამ წლამდეა.

ბუდნაში ჩათესილი 5-6 თესლი იფარება ფხვიერი მიწით. სა-  
სურველია ნათესი ადგილი დაიფაროს მულჩით. საჭიროა ნათე-

სი ადგილი მოვარიდოთ დაზიანებას. ამ მიზნით ბუდნის ცენტრში უნდა ჩავასოთ პალო.

თესვის ვადები ტიპურია, განსაზღვრული მოქმედი აგრონებით (15 ნოემბერი-15 მარტი). უპირატესობა ენიჭება თესლის საშემოდგომო თესვას. სხვა, დანარჩენ შემთხვევაში სიმეჩერის დასაძლევად გამოიყენება ნერგი.

### პლანტაციის ნერგით რემონტი

ამ ღონისძიების გატარებისათვის დღის წესრიგში დგება სა-ნერგის არსებობა.

ნერგის დასარგავად ადგილი წინასწარ უნდა მომზადდეს. საჭიროა ნიადაგის დამუშავება 35-40 სმ სიღრმეზე და შეაქვთ ფოსფორიანი სასუქი. რგვის მომენტში კარგია ბუდნაში ნაკელის ან ტორფის შეტანა. შესაძლოა ბუდნა გამდიდრდეს ტყის მიწით იმ ანგარიშით, რომ ერთი ვედრო მიწა ოთხ ბუდნაზე განაწილდეს.

გადარგული მცენარეების მიმართ ტარდება აგრონესებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. უპირატესობა ენიჭება პლანტაციის რემონტის შემოდგომის პერიოდს. რემონტის ადგილების მონიშვნა ხდება პალოებით. თუ მოსალოდნელ შედეგს გავითვალისწინებთ, უმჯობესია ამ მიზნისათვის გამოვიყენოთ პოლიეთოლენის პარკებში გამოყვანილი ნერგები.

პარკებში ნერგების გამოყვანას თავის ტექნოლოგია აქვს და ამაზე აქ არ შევჩერდებით. დავძენთ იმას, რომ ნერგები უნდა პასუხობდეს წაყენებულ მოთხოვნებს.

ახალგაზრდა აღმონაცენის მიმართ უნდა გატარდეს საგანგებო ღონისძიებები, რაც ახალი აღმონაცენის დაცვაში მდგომარეობს. ახალი აღმონაცენები აპრილ-მაისში მზის პირდაპირი ინსოლაციისა და გვალვის მავნე გავლენისაგან უნდა დავიცვათ. უნდა მოეწყოს სპეცმონტყობილობა ახალგაზრდა აღმონაცენის დასაჩრდილად -დოლბანდი, ჩელტი, ფარი და სხვა.

თუ გამოვიყენებთ ჩელტებს, ისინი სადგარებზე უნდა მოთავსდნენ. საჭიროა სადგარების მოწყობა გარკვეული ექსპოზი-

ციით -სამხრეთის მხრივ -40 სმ და 70 სმ სიმაღლით, ჩრდილოეთი ექსპოზიციით. მათი ასეთი განლაგება ხელს უწყობს აღმოცენების უზრუნველყოფას და ამის შემდეგ ისინი უნდა ავილოთ.

ნერგების ჩამოყალიბების გზაზე ნათესარები გადიან ჩვეულებრივ გზას და ექვემდებარებიან მორწყვას, ბრძოლის წარმართვას მავნებელებისა და დაავადებების წინააღმდეგ.

ზოგჯერ ნებადართულია ზრდის რომელიმე სტიმულატორის გამოყენება -ზრდის დასაჩარებლად. ასეთი ნივთიერების გამოყენება უნდა მივუსადაგოთ მცენარის ზრდა- განვითარების რომელიმე ფაზას. მათი გამოყენება შესაძლებელია 4-5 ნორმალური ფოთლის გამოჩენის ფაზაში. რწყავენ მათ ამონიუმის გვარჯილის 0,5%-იანი და ამონიუმის სულფატის 1%-იანი ხსნარით.

ჩაის ნერგებს წაეყენებათ სტანდარტების მოთხოვნები, რასაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ. ერთი ნლის ნერგი უნდა იყოს 20-25 სმ სიმაღლის. ნერგის შეფოთვლა სტანდარტის გარკვეული მაჩვენებელია. ფოთლის რაოდენობა სტანდარტულ ნერგზე 12-16 ცალი უნდა იყოს.

რაც შეეხება ფესვთა სისტემას, ის უნდა ხასიათდებოდეს ნიადაგთან მოჰიდების კარგი უნარით. მისი გავრცელების ხასიათი უნდა იყოს კარგი. ფესვი ფორმით- ფუნჯა უნდა იყოს, დამახასიათებელი ჯიშისათვის.

ნერგის შტამპის დიამეტრი უნდა იყოს არა ნაკლებ 3-5 მმ-ისა. თუ რომელიმე ნერგი არ პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს- ისინი უნდა ჩავაყენოთ მოვლა- მოყვანის საგანგებო პირბებში.

დადებითი ნერგის პარკებში გამოყვანის მეთოდში ისაა, რომ ადვილია მათი ტრანსპორტირება- მიუხედავად დანახარჯისა. რაც მთავარია, მათთვის გადარგვა - რეგენერაცია არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს და უმტკივნეულოა.

რაც შეეხება ასეთნაირად ნერგების გამოყვანის დანახარჯებს, ის სხვადასხვაა ჯიშის, მცენარის გავრცელების ზონის, გაშენების მეთოდისა და კულტურის ინტენსიური ტექნოლოგიის სახეების მხრივ.

ყველა შემთხვევაში ნერგების ამგვარი გამოყვანა ფინანსურად გამართლებულია და მეთოდიც - აპრობირებული. საჭიროა

სარემონტო ადგილის საგანგებოდ მომზადება, რაც გარკვეული აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას გულისხმობს.

საჭიროა ნიადაგის გადაბარვა 35-40 სმ სიღრმეზე - 40-60 სმ სიგანის ზოლით. სასურველია ნიადაგი გადაბარვისთანავე გამდიდრდეს და შევიტანოთ ფოსფორი-ანგარიშით 50 გრ ერთ კვადრატულ მეტრზე. დარგვის წინ პალოებით მონიშნულ ადგილებში იღებენ ორმოებს.

საჭიროა მკაცრად დავიცვათ ნერგის დარგვის წესი - კოშტი ისე უნდა მოვათავსოთ, რომ მისი ზედა ნაწილი უნდა იყოს 2-3 სმ მაღლა ნიადაგის ზედაპირთან შედარებით. კოშტების ირგვლივ უნდა მოვაყაროთ ფხვიერი მიწა და მივატკეპნოთ.

კარგ შედეგს იძლევა დარგვის ადგილის დამულჩვა სხვადას-ხვა მასალით. ამ მიზნისათვის შესაძლოა გამოვიყენოთ ტორფი, ხმელი ბალახი, ფოთლები, თივა.

უნდა აღინიშნოს, რომ სათესლე და სადედე პლანტაციებში მეჩერი ადგილების რემონტს ატარებენ იმავე ჯიშის ნერგებით და თესლით.

არის რემონტის სხვა სახეც, რომელიც წარმატებით გამოიყენება ამოცანის შესასრულებლად. ამ მეთოდის გამოყენებას ხელს უნდა უწყობდეს მცენარის ფიზიოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა. დიდადა დამოკიდებული მისი ეფექტურობა ჯიშზე, ადგილზე, მცენარის გამრავლების წესზე, აგროტექნიკის დონეზე.

### რემონტი გადაწვენით

ამ ღონისძიებისათვის მცენარე უნდა იყოს მძლავრად განვითარებული, რადგან გადანაწვენი უნდა მივიღოთ მაღალმოსავლიანი ბუჩქებისაგან. ამაში იგულისხმება მედეგობა დაავა-დებისა და ავადმყოფობების მიმართ, პროდუქტიულობა და სხვა მაჩვენებლები.

გადაწვენისათვის გამოყოფენ გაზაფხულზე გვერდით ყლორტებს ბუჩქებიდან, რომლებიც მიმართულია შპალერის რიგის მხარეზე. ასეთ ყლორტებს გაზაფხულზე არ სხლავენ და კრეფას მათზე არ აწარმოებენ.

საგანგებო ღონისძიებაა შესრულების თვალსაზრისით -რე-მონტი მოზრდილი ბუჩქით. მოზრდილი ბუჩქის ამოთხრა მიწის კოშტით სწარმოებს სიფრთხილითა და მომზადებულ ორმოში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიების ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს მცენარის ჯიში, მოვლა- მოყვანის პირობები, ადგილმდებარეობა, მცენარის განვითარების ხასიათი.

პროცესის ჩატარების სიადვილე დიდადაა დამოკიდებული შემსრულებლის კვალიფიკაციაზე. უპირატესობა მეთოდის ჩატარებისას უნდა მიენიჭოს შემოდგომის პერიოდს, რადგან მინასთან კონტაქტი და შემდგომი პერიოდისათვის მომზადება უკეთესად ხდება.

უნდა ჩავატაროთ გადარგული ბუჩქების გასხვლა ფესვის ყელიდან 15-20 სმ სიმაღლეზე. ძალიან დიდია ასეთი მეთოდით გადარგული ბუჩქების გახარების პროცენტი და ის შეადგენს-95-100-ს.

ამ მეთოდის დადებითი არსი ძირითადის გარდა (პლანტაციის რემონტი) ისაა, რომ მისი განხორციელება ხდება მცენარეების შპალერების კიდეებთან, რომელსაც ამზადებენ კომპლექსური მექანიზაციისათვის. ღონისძიებისათვის შესაძლოა გამოვიყენოთ ნერგები ისეთი პლანტაციებიდან, რომლებიც ექვემდებარებიან ჩამოწერას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გადარგულ მცენარეთა მოვლა, რომელიც განსაზღვრულ რეჟიმში უნდა ჩატარდეს. ზაფხულის გვალვების დროს გადანაწვენებს აუცილებლად რწყავენ და ნიადაგი უნდა დაიფაროს მულჩით. დაფესვიანებული ყლორტებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში ფოთლის კრეფას არ აწარმოებენ, ხოლო შემდეგ მას სხლავენ - ახალგაზრდა ჩაის მცენარის ფორმირების საერთო წესის შესაბამისად.

გადარგული მცენარეები ან თესლნერგები მოითხოვენ განსაკუთრებულ მოვლას, რომელიც მდგომარეობს სისტემატურ გამოხელვაში, გაფხვიერებაში, მორნყვაში, სასუქების შეტანაში, წუნდებასა და შერჩევაში.

გამორგული თესლნერგები და ნერგები, ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაში მიყვანამდე, მოითხოვენ ინდივიდუალურ მოვლას.

## **4.2-მიზეზები, რომლებიც იწვევენ ჩაის მცენარის დასუსტებას და საბოლოო ჯამში მოსავლიანობის დაქვეითებას**

**ცუდი აგროტექნიკა-** აგროტექნიკის მაღალი ფონის არსებობაში დიდი დარწმუნება არავის სჭირდება. ბუნებრივია კვების არარაციონალური წარმოება დიდ როლს თამაშობს მცენარეთა დაკნინებაში. მეცნიერული მონაცემებით დადგენილია, რომ ყველა აგროტექნიკური ღონისძიებიდან, რაც ჩაის პლანტაციაში ტარდება- ეფექტის თითქმის ნახევარი სასუქებზე მოდის.

ბოლო პერიოდში ქვეყნად განვითარებული მოვლენების გამო და სოფლის მეურნეობის სტაგნაციის მიზეზით, ბუნებრივია, დაეცა სასუქების ეფექტურად გამოყენება, რამაც დიდი როლი ითამაშა მცენარეთა დაკნინებაში. ამას დაერთო ცუდი აგროტექნიკა და, საერთოდ, აგროტექნიკის როგორც ასეთის არასებობა.

### **ჩაის მცენარის გასხვლის ღონისძიების უგულებელყოფა ან მისი ცუდი შესრულება**

ცნობილია, რომ ჩაის კულტურის მოვლა- მოყვანის ძირითადი მიზანი მისგან ნაზი დუყების მიღებაა. მართალია, მცენარეს ფილოგენური განვითარების გზაზე ჩამოყალიბებული აქვს ზრდა- განვითარების თავისებური ბიორიტმი, მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება მისგან იძულებით გადახვევა.

ჩაის პლანტაციის დაკნინებისა და გადაგვარების ის პროცესი, რაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა, გამოწვეული იყო გაუსხლავად მცენარეების მიტოვების გამო.

ცნობილია, რომ გაუსხლავად მიტოვებული მცენარე ხეხილს ემსგავსება. ჩაის მცენარის ბიოლოგიდან გამომდინარე, მცენარისათვის დამახასიათებელია ზაფხულის პირველი ნახევრის აქტიური ვეგეტაცია. ზაფხულის მეორე ნახევარში მცენარე გადადის რეპროდუქციული ორგანოების განვითარების ფაზაში- ესაა ყვავილობის ინტენსივობა და ნაყოფმსხმოიარობა.

მცენარის სასიცოცხლო ბიორიტმის ჩვენს სამსახურში ჩა-  
ყენება მთავარი სამეურნეო დანიშნულების ამოცანაა. საჭიროა  
მცენარის ყლორტნარმოქმნის პროცესის გაუმჯობესება და  
შესუსტება რეპროდუქციული აქტივობისა. ამ პროცესის რე-  
გულიორებისათვის საუკეთესო მეთოდია გასხვლა. გაუსხლავი  
მცენარე აქვეითებს მოსავალს. რაც მთავარია კნინდება ნორჩი  
ყლორტების ზრდა. როგორც ირკვევა ეს ქირურგიული ოპერა-  
ცია მცენარეზე ყლორტ და ფოთოლნარმოქმნის სტიმულაციას  
ახდენს. რაც მთავარია, გაუსხვლელობის შემთხვევაში მყარდე-  
ბა გარკვეული წონასწორობა მცენარის მიწისზედა და მიწისქ-  
ვეშა ნაწილებს შორის. არის გამოკვლევები იმის შესახებ, რომ  
თუ რა თანაფარდობაა მცენარის მიერ გაუსხვლელობის შემთხ-  
ვევაში ყლორტნარმოქმნისა - გასხლულთან შედარებით. პრო-  
ცენტული შეფარდებით ეს ასე გამოიხატება 20:30%. გასხვლის  
უპირატესობა აშკარაა. თვითონ ჩაის მცენარის დატოტვის ტი-  
პიც იცვლება გასხვლის გამო - მონოპოდიურიდან დატოტვის  
ხასიათი სიმპოდიურით იცვლება.

გაუსხვლელობა აფერხებს ახალი ყლორტების წარმოქმნის  
უნარს. მცენარეში ნელდება ისეთი პროცესი, როგორიცაა რე-  
გენერაცია- მოცილებული ვეგეტაციური ნაწილების სწრაფად  
აღდგენის უნარი. გაუსხლავად დატოვებული ჩაის ბუჩქი 10-15  
დღით ადრე იწყებს ვეგეტაციას, ვიდრე გასხლული. აქ არის  
ერთი მომენტიც - გაუსხლავად დატოვებული ადრე წყვეტს ვე-  
გეტაციას. გასხლული მცენარე კი აგრძელებს ვეგეტაციას ოქ-  
ტომბრის ბოლომდე.

გაუსხლავად დატოვებულ მცენარეში ქვეითდება ფიზი-  
ოლოგიური პროცესები- ფოტოსინთეზი, სუნთქვა და ტრანს-  
პირაცია. გაუსხლავად დატოვებული მცენარე დატოვებულია  
პროფილაქტიკური ლონისძიების გარეშე, რომ არ დაავადდეს  
მცენარე დაავადებებითა და არ დასწებოვნდეს მავნებლებით.  
გაუსხლავად დატოვებული მცენარე დატოვებულია დამატები-  
თი გამოკვების გარეშეც, რადგან განასხლავი მასალა ამდიდ-  
რებს ნიადაგს ორგანული ნივთიერებებით. განასხლავი მასალა

საუკეთესო მულჩია ნიდაგის ტენისა და წყალმართვი პროცესების რეგულირებისათვის.

გასხვლის გარეშე პლანტაციის დატოვება აძლიერებს ისეთ პროცესებს, როგორიცაა სარეველების გამრავლება და სტიმულირდება ეროზია - გადარეცხვის პროცესები. ამრიგად, გაუსხვლელობა მცენარისა, და ზოგადად პლანტაციის, დაკნინების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია - იხშობა ვეგეტაციური ნაწილების ზრდის სტიმულირება. ფერხდება აგრეთვე გენერაციული ორგანოების მოქმედების ინტენსივობა.

გაუსხვლელობა უკარგავს მცენარეს სასურველ ფორმას და ამით აფერხებს პლანტაციაში ხელითა და მექანიზაციის აპარატების მუშაობის შესაძლებლობას. გასხვლის გარეშე პრაქტიკულად იხსნება დღის წესრიგიდან დუყების შემოსვლის ერთდროულობა. ფერხდება აგრეთვე დაავადებებისა და ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობა.

**ჩაის პლანტაციის დაჩაჩანაკების ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე მოსავლის ალების არასინქრონულობა - შემოსული დუყების ალების გრაფიკის დარღვევა, სამუშაოთა დაგეგმვის არაკეთილსამედოობა.**

მეცნიერულადაა დამუშავებული ჩაის ფოთლის კრეფის ბიოლოგიური და თეორიული საფუძვლები, რომელთა გაუთვალისწინებლობასაც მივყავართ არასასურველ შედეგებამდე. კრეფის პროცესი ერთიანი და მწყობრი პროცესია, რომლის წესების გათვალისწინება სასურველია. ის დამუშავებულია ჩაის ბუჩქის მდგომარეობის, ბიოლოგიურ-ჯიშური თავისებურებების, გარემოსა და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. ამ სისტემის ძირითადი მახასიათებელია ჩაის ფოთლის კრეფის განუწყვეტელობა, ტექნიკურად მომწიფებული ფოთლის დროული მოკრეფა. დაგვიანებული მოკრეფა-ჯერ ერთი, იწვევს მოსავლის დაკარგვას და ხარისხის დაცემას. რაც შეეხება შემოუსვლელი დუყების კრეფას, ის მოსავალს ამცირებს და ასუსტებს ბუჩქებს.

ტექნიკურად მომწიფებული ფოთოლი თუ დროზე არ მოიკრიფა, ის უხეშდება, გადასამუშავებლად უვარგისია და წარმოებისათვის დანაკარგი ხდება. გარდა ამისა, გაუხეშება ინვევს ბუჩქების დაკინინებას და ხელს უშლის ფოთლის კრეფის განუწყვეტელობას.

ბუჩქის დაკინინებისა და პლანტაციის შემდგომი მოსავლიანობის დაცემის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე-გასხვლის სახეებთან ფოთლის კრეფის წესისა და სახის მიუსადაგებლობა-

საჭიროა გათვალისწინება იმისა, რომ მძიმედ განასხლავ ბუჩქებზე გვერდითი ტოტების ფოთოლი არ მოიკრიფოს, ვიდრე ისინი ბუჩქის საერთო სიმაღლეს არ მიაღწევენ.

არასასურველი მოვლენების სათავეა მძიმედ გასხლულ პლანტაციებში ფოთლის კრეფის გაუფრთხილებლობა და არა-ბასუხისმგებელი მიდგომა, ფოთლის კრეფაზე ვადების დაცველობა და ნაადრევად კრეფის დაწყება. ამ უკანასკნელმა შესაძლოა გამოიწვიოს ბუჩქის დასუსტება და ზოგ შემთხვევაში- დაღუპვაც კი.

ერთ-ერთ მიზეზად პლანტაციის დაკინინებისა - მიიჩნევა აგრეთვე პლანტაციაში გამოსაყენებული მექანიზაციის საშუალებების არარაციონალური გამოყენება-

მათ მიერ ზოგჯერ მცენარისათვის მიყენებული მექანიკური ზიანი შესაძლოა გახდეს მცენარის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზიც. ნიადაგურ- კლიმატური და ოროგრაფიული პირობების მიხედვით მექანიზაციის საშუალებების არაშეთანაწყობილმა გამოყენებამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს.

დიდი და მძიმე გაბარიტების მქონე მანქანა- დანადგარების გამოყენებამ არადანიშნულებისამებრ, შესაძლოა ისედაც დატენიანებული ჩვენი ნიადაგების დატკეპნა გამოიწვიოს, რაც ნიადაგის წყალმართვი და ფიზიკური თვისებების გაუარესების ერთ-ერთი საფუძველია. ეს უკანასკნელი კი აისახება ბუჩქებისა და პლანტაციის ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე. მექანიზაციის გამოყენებისას მაქსიმალური ეფექტის მისაღებად საჭიროა ხელით საკრეფი, ნიადაგდამამუშავებელი და მძი-

მესასხლავი მოწყობილობებისა და ტრაქტორების მიზანმიმართული გამოყენება.

პლანტაციაში მექანიზებული საშუალებების ეფექტური გამოყენებისათვის და არასასიამოვნო მოვლენების გამოსარიცხად დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაოთა ხარისხიანად ჩატარებას. საჭიროა პლანტაციების წინასწარ მომზადება ასეთი კრეფისათვის და სამუშაოების ჩატარებისათვის. საჭიროა პლანტაციების მეჩერიანობის მინიმუმამდე დაყვანა და გამორიცხვა. საჭიროა შეიქმნას ერთიანი შპალერები ასეთი კრეფისათვის. გასხვლები უნდა ჩატარდეს ერთიან სიმაღლეზე და ხარისხიანად. საჭიროა სათადარიგო გზებისა და ფართობების არსებობა. მექანიზაციის სწორი გამოყენება გამორიცხავს არასასურველ შედეგს და ხელს შეუწყობს პლანტაციის ჯანსაღად შენარჩუნებას.

**პლანტაციის პროდუქტიულობის შემცირებისა და დაკნინების მიზეზი შეიძლება გახდეს ვეგეტაციური ნაწილების ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო ტენის დეფიციტი-**

რაც გამოწვეულია ბუნებრივი პირობებით- ტენის არასაკმარისობის გამო საჭირო დროს, და საერთოდ, ნალექების არა-რაციონალური განაწილებით დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში.

წყლისა და შესათვისებელი ტენის დეფიციტი იწვევს მცენარეები რიგ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მცენარის დაკნინებას. ტენის დეფიციტი იწვევს კვირტის აქტიური ზრდის მდგომარეობაში გადასვლის შეფერხებას, ფარული ზრდის პერიოდისა და დიფერენცირების შეფერხებას.

**მცენარის ზრდა - განვითარების შეფერხების მიზეზი შესაძლოა იყოს ნიადაგური და ჰაერის შეფარდებითი ტენის დეფიციტი-**

რაც დაწვიმებითი მორწყვის შედეგად აღმოიფხვრება. ამრიგად, მორწყვის ეს მეთოდი გარდა იმისა, რომ ტენით უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორია და მოსავლის გაზრდისა, ხელს უშლის მცენარეში დეგენერაციული პროცესების წარმოშობა-განვითარებას.

**არახელსაყრელი კლიმატური პირობები, ცუდი აგროტექნიკა და კვების რეჟიმის დარღვევა-.**

არის მიზეზი ბუჩქებზე ყრუ დუყების წარმოქმნისა, რაც უარყოფითი მოვლენაა. ზოგიერთი მეცნიერი თვლის ამ მოვლენას ჩაის მცენარისათვის დამახასიათებელ ბიოლოგიურ მოვლენად, რაც აღბათ არასწორია. მოვლენა განიხილება, როგორც ბუჩქის დასუსტება- დაკნინების ერთ-ერთი მიზეზთაგანი. მის წარმოქმნა- განვითარებაში მრავალი ფაქტორი ღებულობს მონაწილეობას- ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის დაწყება, ახალი ზრდის ყლორტების განვითარება და სხვა. გარკვეულ როლს თამაშობს მოვლა- მოყვანის ტექნილოგიის წესების დარღვევა (გასხვლის სახეების გამოყენებლობა, კვების რეჟიმის დარღვევა, გვალვისადა სხვა არახელსაყრელი პირობების წინააღმდეგ ღონისძიებების გაუტარებლობა და სხვა).

ცნობილი მეცნიერი ს.ქ. ფირცხალაიშვილი ყრუ დუყების წარმოქმნის ერთ- ერთ მიზეზად თვლის ბუჩქების ცხოველმყოფელობის დარღვევას, განსაკუთრებით ტენისა და საკვებ ნივთიერებათა უკმარისობას. ამის გათვალისწინებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ყრუ ყლორტების წარმოქმნის აღბათობა.

ჩაის ბუჩქის ნორმალური ცხოველმყოფელობის დამრღვევი მიზეზები შემდეგია: 1) ყლორტების წარმოქმნის ტალღისებრი ხასიათი, 2) ტენის დეფიციტი ან სიჭარბე, 3) ჰაერის ტემპერატურის დაცემა ან მკვეთრი რყევა, 4) საკვები ნივთიერების უკმარისობა, 5) ჩაის პლანტაციაში სარეველების, მავნებლებისა ავადმყოფების გავრცელება, 6) ბუჩქის ვარჯის ზედმეტად გადაზრდა მოცულობაში და სიმაღლეზე, 7) ჩინჩხის ტოტების დაბერება, კვანძების წარმოქმნა და წვენთა მოძრაობის შესუსტება, 8) ჩაის ბუჩქის არასწორი ექსპლუატაცია ან ფოთლის ზედმეტად მკაცრი კრეფა.

ბუჩქის დასუსტება და დაჩაჩანაკება, აგრეთვე ყრუ ყლორტების წარმოქმნა, პირდაპირ კავშირშია კრეფის სახეებთან. მისი სწორი დიფერენცირება და მისადაგება ბუჩქის მდგომარეობასთან, მცენარის ჯიშთან, მოვლა- მოყვანის პირობებთან, ნაკვეთის მდგომარეობასთან ძალიან ძლიერი ფაქტორია უარყოფითი მოვლენის გამოსარიცხად. ყრუ ყლორტების წარმოქმნის ინტენ-

სივობა პირდაპირ კავშირშია კრეფის წესთან და პირველ რიგში მკაცრ კრეფასთან. ყრუ ყლორტების მასობრივი განვითარება მკაცრი კრეფის შედეგად განპირობებულია ბუჩქის დასუსტებით. ორგანული ნივთიერების სინთეზი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ახალგაზრდა, ნაზ ფოთლებში, ამიტომ საჭიროა ახალგაზრდა ფოთლების გარკვეული რაოდენობის დატოვება მიმდინარე წლის ნაზარდებზე. მკაცრი კრეფის დროს ნეკზე ტოვებები მხოლოდ თევზა ფოთოლს. დატოვებული თევზა ფოთლები თუმცა კი იჩენენ შესაფერის გააქტივებას, მაგრამ მათი ცხოველმყოფელობა არასაკმარისია ბუჩქების ნორმალური განვითარებისათვის.

ბუჩქების დაკინება - დაჩაჩანაკების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ისეთი ღონისძიებების დროულად ჩატარება, როგორიცაა ფოთლის კრეფის დროულობის დაცვა. დარღვევადისპროპორცია ფოთლის შემოსულ მოსავალსა და ასაღებ პერიოდ შორის უარყოფითი მოვლენის აღმოცენების წინაპირობაა. ფოთლის კრეფის ადრე დაწყება ან დაგვიანება ერთნაირი ზიანის მომტანია მცენარის ზრდა - განვითარებისათვის. მასთან კავშირშია ნედლეულის ხარისხი და რაც მთავარია- აძლიერებს გენერაციულ აქტივობას მცენარისა. ეს უკანასკნელი კი იწვევს ვეგეტაციური მოქმედების დათრგუნვას ბუჩქზე.

ბუჩქის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებას ხელს უწყობს ფოთლის სწორი და დროული კრეფი. ეს ანესრიგებს ახალი ნორმალური დუყების ნარმოქმნის ინტენსივობას და ამცირებს ყრუ დუყების ნარმოქმნის პროცესს. ყრუ ყლორტების რაოდენობასა და ბუჩქის სისუსტეს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. რანაირიც არ უნდა იყოს ეს ურთიერთობა, ის მაინც მიუთითებს ბუჩქის ცხოველმყოფელობის შესუსტებაზე და მიანიშნებს მცენარის კვების გაუარესებაზე. ბუჩქის მდგომარეობის გაუარესების წინააღმდეგ და ყრუ ყლორტის ნარმოქმნის შესაფერხებლად მეთოდების ძიება ძალზე მნიშვნელოვანია. ფაქტია, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მექანიკური კრეფის გზით შეუძლებელია. ამ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს ყრუ

ყლორტების ნარმოქმნის მიზეზები და დაისახოს ამ მოვლენის თავიდან აცილების აგროტექნიკური ღონისძიებების სისტემა. მიზეზთა აღმოფხვრის მეთოდებს ჩვენ ცოტა ქვემოთ განვიხილავთ, მაგრამ დავსძენთ იმას, რომ პლანტაციის განოყიერების სისტემის მოწესრიგება მძლავრი ფაქტორია. ამავე ღონისძიების ნაწილია მორწყვა, დამულჩვა, გაფევიერება, მეჩერიანობის ლიკვიდაცია, მცენარის ვარჯის მოვლა, კვების ნორმალური პირობების დაცვა.

**მცენარეთა დაკანინებისა და გადაგვარების ერთ-ერთი მიზეზია ე.წ. არასტაბილური ჯიშებით პლანტაციის გაშენება -**

ასეთი მცენარეების არსებობა მიანიშნებს, როგორც მემკვიდრულად გამოუთანაბრებულის არსებობაზე და მათში სასარგებლო თვისებების არასტაბილურობაზე. ჩაის სტაბილური სელექციური ჯიშები და მათი ვეგეტაციური ნამრავლი მცენარეები პლანტაციის სტაბილურობის გარანტია. საქართველოში ჰიბრიდიზაციით, კლონური სელექციითა და ვეგეტაციური გამრავლებით მიღებულია ისეთი ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან სტაბილურობით და ნაკლებად ექვემდებარებიან გადაგვარებას.

**პლანტაციის გადაგვარებას იწვევს ცუდი ნიადაგური პირობები-**

რომელიც რაღაც მიზეზის გამო შეირჩა ჩაის გასაშენებლად. არანოყიერი, ნეშმობალით გაღარიბებული, არასტრუქტურული ნიადაგები, ნიადაგის არასაჭირო რეაქციით ჩაისათვის- იწვევს პლანტაციის გადაგვარებას. ამას ,ბუნებრივია, ემატება აგროტექნიკის დაბალი დონე და სახე, რაც ხშირად გვხვდება ჩვენს სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაში.

**ნიადაგის არასტრულფასოვანი შემადგენლობა და არასაკმარისი წყალმართვი თვისებები მცენარის დაკანინების წინაპირობაა.**

ჩაის გასაშენებლად სრულიად გამოუსადევარია ტუტე და ნეიტრალური ნიადაგები. ეს ფაქტორიც არის ერთ-ერთი მიზეზი პლანტაციის დაკანინებისა და მწყობრიდან გამოსვლისა - დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ბიოლოგიური მარკერების არსებობას, რაც საჭიროა ჩაის გაშენების დიაგნოსტიკისათვის( გვიმრა-*Pteridium Tauticum*).

ნიადაგის არის არასასურველი რეაქცია სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია პლანტაციის დაჩარჩანაკებისა. ნეიტ-რალური რეაქციის ნიადაგებზე ჩაის მცენარეები სუსტად იზრდება, ხოლო ტუტე რეაქციის მქონე კარბონატულ ნიადაგებზე, რომლებიც ერთი მეტრის სისქის ფენაში 3%-ზე მეტ  $\text{CaCO}_3$ - შეიცავს- ჩაის მცენარეები უბრალოდ იღუპებიან.

**ჩაის ბუჩქის დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს ტენის დეფიციტი ნიადაგში-**

ისე, როგორც ტენის დეფიციტს, სიჭარბესაც შეუძლია დააკნინოს მცენარე. ჭარბტენიანობა და მისგან გამომდინარე მოვლენები უარყოფითად მოქმდებენ მცენარისა და ზოგადად პლანტაციის მდგომარეობაზე. ჭარბტენიანი ნიადაგი ცივია და მასზე მცენარეები გვიან იწყებენ ვეგეტაციას. ტენის ნაკლებობისას ვეგეტაცია ქვეითდება. ადგილი აქვს ბუჩქებზე ყრუყლორტების წარმოქმნას. ბუნებრივია განსხვავებულია ნიადაგის მექანიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, ოპტიმალური ტენიანობაც, თუმცა მისი ოპტიმუმი უნდა იყოს 80-85%.

**ჩაის მცენარის დაკნინების მიზეზი შესაძლოა გახდეს ნიადაგის მექანიკური შემადგენლობაც-**

ასევე მნიშვნელოვანია კლიმატური ფაქტორების შემადგენლი ელემენტების ოპტიმუმი, რაც გამოიხატება მცენარეთა ნორმალურ ზრდა- განვითარებაში.

კლიმატური ფაქტორებიდან ჩაის მცენარისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია- სითბო, სინათლე, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა, ატმოსფერული ნალექები, ქარები.

თითოეულის მნიშვნელობაზე აქ არ შევჩერდებით, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ატმოსფეროს ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი ელემენტების ოპტიმალური გამოვლენის დარღვევა, გარკვეულ დროს, გარკვეული ადგილისათვის, იწვევს სასიცოცხლო პროცესების დათრგუნვას, რაც საბოლოო ჯამში პლანტაციის პროდუქტიულობის დაცემის მიზეზი ხდება.

**ნიადაგისა და ჰაერის ტენის ოპტიმალური საზღვრების დარღვევა უარყოფითად აისახება ჩაის მცენარის განვითარე-**

**ბაზე** - ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა იმ ზონისა ,სადაც ჩაის ინტენსიური კულტურით არიან დაკავებული არ უნდა იყოს 70-75%-ზე ნაკლები ან მაღალი. ვეგეტაციის მეორე პერიოდისათვის ეს მონაცემები უნდა შეიცვალოს და უნდა იყოს 75-80%-ი. უფრო დაბალი შეფარდებითი ტენი უარყოფითად მოქმედებს ყლორტების წარმოქმნაზე.

ნიადაგისა და ჰაერის ტენის ნაკლებობისას ნაზი ყლორტების ზრდა ძლიერ ნელდება, ყლორტები უხეშდება, წარმოქმნება ყრუ ყლორტების დიდი რაოდენობა, რის შედეგად ჩაის მოსავალი ეცემა და ხარისხი უარესდება.

ჩაის მცენარის ზრდა- განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მოსული ნალექების რაოდენობის არათანაბარი და არა-რაციონალური განაწილება ჩაის კულტურის მოვლა- მოყვანის ზონაში-

თუ ღონისძიებები კარგად არ ჩატარდა, მაშინ ის დადგენილი ნორმა, რაც ჩაის მცენარეს სჭირდება კონკრეტულ პერიოდში (100 მმ ნალექი თვის განმავლობაში)- ფერხდება სასიცოცხლო პროცესები. წელიწადში ჩაისათვის საჭირო ოპტიმალური ნალექების რაოდენობაა- 1200-1300 მმ ნალექი, ხოლო ვეგეტაციის პერიოდში -600-800 მმ.

**უარყოფითი ფაქტორებიდან, რაც აფერხებს ჩაის მცენარის ცხოველმყოფელობის უნარს- ესაა ქარები-**

ისინი უარყოფითად მოქმედებენ ჩაის მცენარის ცხოველმყოფელობაზე. მშრალი და ცხელი ქარები მკვეთრად აქვეითებს ჰაერის შეფარდებით ტენიანობას, რის შედეგად ტენის შემცველობა ჩაის ბუჩქის ნაზი ყლორტებში მცირდება, რაც იწვევს მცენარის ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალური მსვლელობის დარღვევას. ცალკეულ შემთხვევაში- ყლორტები ჭინება, ბუჩქები სუსტდება, მოსავალი მცირდება. არის მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ასეთი პროცესების შედეგად შესაძლოა მოსავლიანობის კლებამ 60 %-ს მიაღწიოს. ქარსაფარი ზოლების მოწყობა იქ, სადაც ეს აუცილებელია, არის ის აუცილებელი ღონისძიება რომლის გამოც მოსავალი ასე ეცემა.

ჩაის მცენარეთა სიჯანსაღის დარღვევის ერთ-ერთი მიზე-ზია აგრეთვე გაუთვალისწინებლობა ისეთი ფაქტორებისა, რო-გორიცაა ნიადაგის საფარის სხვადასხვაობა ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან დაკავშირებით -

ცნობილია, რომ ზღვის დონიდან სიმაღლე გავლენას ახდენს ნიადაგის საფარზეც. მაგალითად, შავი ზღვის სანაპირო დაბ-ლობ სუბტროპიკულ ზონაში- 500 მ სიმაღლემდე გავრცელებუ-ლია ენერი, ალუვიური და ჭარბტენიანი ნიადაგები, ხოლო ბორ-ცვიან, მთისწინა ზონაში გავრცელებულია- წითელმიწები და ყვითელმიწები. ჩაის სანარმოო პლანტაციების გაშენებისას და მისი ინტენსიური კულტურის ნარმოების პროცესში ასეთი ნი-უანსების გაუთვალისწინებლობა იწვევს უარყოფით შედეგებს, რომელთა გამოსწორება შემდეგ ძნელია.

ჩაის მცენარის ფიზიკური და გენერაციული აქტივობა იც-ვლება გასაშენებელი ფართობის ექსპოზიციის მიხედვით. საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ექსპოზიცია, რაც თა-ვის მხრივ პასუხობს ჩაის მცენარისათვის მოთხოვნებს ნიადაგის ტიპზე, წყალმართვ რეჟიმზე და ტემპერატურაზე. ამ პროცესის იგნორირება იწვევს დისპროპორციას ჩაის მცენარის მოთხოვ-ნილებასა და რეალურად არსებულ პირობებს შორის. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, რაც აუცილებელია ჩაის მცენარისათ-ვის- ჩაის გასაშენებელ სამხრეთ ექსპოზიციაზე მეტია, ვიდრე ჩრდილოეთით. მკვეთრად იცვლება აგრეთვე ნიადაგის ტიპიც ექსპოზიციის მიხედვით. ხშირია შემთხვევა, როცა ჩაის სანარ-მოო პლანტაციის გაშენებისას ნაკლები ყურადღება ექცევა ამ საკითხებს და შედეგიც არასასურველი ხდება.

ბუნებრივია, სამხრეთი ექსპოზიციის ფართობებზე ნიადაგი ექვემდებარება მეტი ინტენსივობით გამოშრობას.

ცნობილია, რომ პლანტაციის გასაშენებლად 20 გრადუსამ-დე დაქანებულ ფერდობებს იყენებენ. საუკეთესოდ ითვლება სწორი - 8 გრადუსამდე დაქანებული ფერდობები, რადგან ასეთ ფართობებზე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ შრომატევა-დი პროცესების მექანიზაცია.

გაუთვალისწინებლობა ისეთი მომენტებისა, რასაც ქვემოთ ჩამოვთვლით, დიდად აზიანებს ჩაის ფართობებს და შედეგად ამცირებს მოსავალს. ცუდია გაუთვალისწინებლობა იმისა, რომ ექსპოზიციის მიხედვით იცვლება ნიადაგური პირობებიც. ჩრდილო ფერდობზე ნიადაგის დაბალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის გამო ორგანული მასის დაშლა ნელა მიმდინარეობს და ადგილი აქვს ჰუმუსის დაგროვებას. სამხრეთ ფერდობებზე კი მაღალი ტემპერატურა და ნიადაგის სიმშრალე ხელს უწყობს ორგანული მასის სწრაფ დაშლას, ხოლო მოსული ნალექების ნიალვრისებრი ხასიათი ჰუმუსის ჩარეცხვას. შედეგად ნიადაგები ნაკლებ ნოყიერია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება სამხრეთის ფერდობების ნიადაგები ნაკლებ ნოყიერია. ქარების მასების მოქმედება სამხრეთ ფერდობებზე უფრო ძლიერად არის გამოხატული, ვიდრე ჩრდილოეთისაზე.

ჩაის მცენარის მოსავლის კლების კიდევ ერთ მოვლენაზე უნდა შევჩერდეთ.

**გაუთვალისწინებლობა ფართობის ფორმისა, ზოგჯერ დაბალპროდუქტიულობის მიზეზი ხდება -**

ფორმის მიხედვით ამობურცული ნიადაგები ძლიერ ირეცხება. რამდენადმე ნაკლებად „აწუხებს“ ეს პრობლემა სწორ ნაკვეთებს. რაც შეეხება ჩაზნექილ ფართობებს, ისინი ყველაზე სუსტად ირეცხებიან.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სამხრეთ ფერდობებზე უფრო იზრდება დაქანების შესაბამისად - ე.ი. რაც უფრო ციცაბოა ნაკვეთი, მით უფრო დიდია ის; ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფართობებზე კი- პირიქით.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ექსპოზიციის ფართობებზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მცირდება დაქანებასთან ერთად, მაგრამ ნაკლები სიმკვეთრით - მათში ნაკლებია ტენის მარაგიც. მათი ათვისება გაძნელებულია.

ეროზიული პროცესების შედეგად ერთი ფართობის ფარგლებშიც აღინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხი. მაგალითად, ფერდობების ქვედა ნაწილები გამოირჩევი-

ან უფრო ნოყიერი ნიადაგებით- ფართობის ზემო ელემენტები-დან ჩამონარეცხების დაგროვების შედეგად.

#### 4.3-ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებების სისტემა

ჩაის ინტენსიური კულტურის წარმოებისათვის საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ეროზიულ პროცესებს, რაც თავის მხრივ მოსავლის კლების ძირითადი მიზეზი ხდება. ნიადაგის ფენის გადარეცხვა უაღრესად უარყოფითია და მას სტიქიური ძალები და ადამიანის უარყოფითი სამეურნეო მოქმედება იწვევს. მთის ქანების გამოფიტვის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მაღალი ტემპერატურა და წყალი. ნიადაგის ზედაპირზე ჩამომდინარე წყალი გადარეცხავს ნიადაგს და ეს პროცესი, ბუნებრივია, ცვლის ნიადაგის სახეს.

არის პირობები, რაც წინ ეღლება ნიადაგის ჩამორეცხვის პროცესს. წინასწარი, პრევენციული ღონისძიებების გატარება საფუძველს უყრის ნიადაგის ეროზის შემცირებას ან მის სრულად გამორიცხვას. ერთ-ერთი ხელის შემწყობი ფაქტორი, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიას, არის სილარიბე ზონისა მცენარეული საფარით. მცენარეთა სილარიბის გამო ნიადაგის ზედა ფენა კარგავს ბუნებრივ საფარს. შედეგად უარესდება ნიადაგის სტრუქტურა. ამ პროცესის შედეგად ნიადაგში მცირდება შემცველობა ორგანული ნივთიერებისა. ეროზიული პროცესების ინტენსივობა პირდაპირპროპორციულია ფართობების დაქანების ხარისხისა. რაც უფრო დაქანებულია ფართობი და რაც მეტი სიგრძისაა იგი, მით მეტია ეროზიული პროცესების ინტენსივობა. ჩამორეცხვის ინტენსივობაზე გავლენას ახდენს ნაკვეთის ექსპოზიცია. არის მონაცემები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ სამხრეთისა და დასავლეთის ექსპოზიციის ფართობების ჩამორეცხვის ინტენსივობა მეტია სხვა ექსპოზიციაზე 15-25%-ით. ნიადაგის ტიპის, მცენარის მოვლა- მოყვანის ზონის, აგროტექნიკური ფონის კვალობაზე ეს მონაცემები შესაძლოა შეიცვალოს.

ეროზიული პროცესების მასტიმულირებელი ერთ-ერთი ფაქტორია დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ

ზონაში ნალექების მოსვლის ინტენსივობა და მისი განაწილების არათანაბარი ხასიათი. ჩამოთვლილს მასტიმულირებლად ემატება მეჩაიერობის ზონის რაიონების ფართობების ოროგრაფიული სურათი. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ მდინარე რიონს ყოველ წელს ჩააქვს ზღვაში 10 მლნ. ტონა წყალში შეტივტივებული ნაწილაკები. ოროგრაფიიდან გამომდინარე დასავლეთ საქართველოში შესაძლოა მოინახოს ადგილები, რომლებიც ამ პროცესების შედეგად გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო გამოყენების არეალიდან. ნიადაგის გამორეცხვის შედეგად ჩამონარეცხი მასალის რაოდენობა იცვლება ნიადაგის ტიპისა და დაქანების კვალიობაზე. აგროტექნიკური ფონის შესაბამისად შესაძლოა ეს თანაფარდობა შეიცვალოს. გამოკვლევებით დადასტურებულია (ტ.ყ. კვარაცხელია), რომ ერთჯერადი წვიმის შედეგად 70 წუთის განმავლობაში, ერთი ჰექტარი მიწის ფართობი წითელმიწა ნიადაგიდან ჩამოირეცხა 43 ტონა ნიადაგი, ბუნებრივია, მასში მყოფი საკვები ელემენტებით. არის სხვა მკვლევარის მონაცემებიც.

აკად. მ.კ. დარასელია უთითებს, რომ 14 გრადუსი ქანობის ფართობზე, ჩაის პლანტაციაში, ერთ ჰა-ზე ირეცხება 100 ტონა მასა. არის პერიოდები, რომლის დროსაც ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. ესაა პერიოდი აგვისტოდან ნოემბრამდე.

წყლის მასის დიდი რაოდენობა, რაც მოდის დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში, მისი ხასიათის გამო რეცხავს ნიადაგს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან. საქართველოს ჩაის პლანტაციებში ნალექების გამო ყოველ წელი წადს იკარგება ზედაპირული ჩამორეცხვის კვალიობაზე - 2000 ტ. საერთო აზოტი, ფოსფორი 1000 ტ., ხოლო ჰუმუსის რაოდენობა, ჩამორეცხილ ნიადაგებთან ერთად - 30000 ტონას აღემატება. ჩამონათვალი მიგვითოთებს გარკვეული ღონისძიების გატარებისაკენ, რომელიც თუ არ გამორიცხავს - საგრძნობლად შეამცირებს ნიადაგების ეროზის მავნე მოქმედებას. ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ამ პროცესის შეჩერებისაკენ მოიცავს სამუშაოთა სისტემას, რომლებსაც უნდა აწარმოებდეს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ღონისძიებების მთელი სისტემა

შესაძლოა დაიყოს პრევენციულ და მიმდინარე ღონისძიებებად, რომელთაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ.

არის სამუშაოები, რომლებიც უნდა ჩატარდეს გასაშენებელი ფართობის გამოყოფის პირველივე დღიდან. ტერიტორიის სწორ ორგანიზებას ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მთავარია კულტურ- ტექნიკური ღონისძიებისა და მცენარეთა სწორი გაადგილების ორგანიზაცია. უზუსტობა, დაშვებული ამ ღონისძიებების წარმოებისა და ამოქმედების დროს, ინვესტურყოფით შედეგებს.

ნიადაგის ჩამორეცხვისა და ეროზიის ღონისძიებები იყოფა ორ ჯგუფად: 1) საიუნირო-სამელიორაციო და 2) აგრონომიული. ღონისძიებების პირველი ჯგუფი წმინდა ინჟინირულია და მასში დარგის სპეციალისტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. სამუშაოთა სახეებში შედის წყალსადენი თხრილების, ღარების და სადრენაჟო ქსელის მოწყობა, ფერდობისა და ხრამის ძირების გამაგრება, ტერასების მოწყობა. სფეციფიკურია ეროზიის საწინააღმდეგო მეორე ჯგუფის ღონისძიებების სახე და განხორციელების ხასიათი. ჩაის კულტურაში ეროზიის საწინააღმდეგო აგრონომიულ ღონისძიებებს ეკუთვნის ფართობის გარდიგარდმო დამუშავება, ტყის საფარი ზოლების მოწყობა. ამ უკანასკნელის ეფექტურობა დამოკიდებულია გასაშენებელი ტყის მასივის ჯიშობრივ შემადგენლობაზე, რადგანაც შემაკავებელი ეფექტი სხვადასხვა ჯიშის მცენარისა, სხვადასხვანაირია. დიდი მნიშვნელობა აქვს ფერდობების დაგეგმვის წესებს. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ ეფექტურია ამ ღონისძიებისათვის კონტურული დაგეგმვა. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა კვების არეს. ნაკლები დაშორება მცენარეთა და რიგთაშორის ამცირებს ჩამორეცხვის პროცესს. დიდი მნიშვნელობა აქვს სიდერატების თესვას, აგრეთვე ახალგაზრდა პლანტაციებში ორგანული მულჩის გამოყენებას. ყველაზე შემაკავებელი ფაქტორია მცენარეული საფარი. აქ უპირატესობა ენიჭება სიდერატებს- კერძოდ თეთრ ხანჭკოლას. ის ითესება აგვისტოს ბოლოს რიგგამოშვებით. როდესაც ქანობი 20 გრადუსზე მეტია- სიდერატებს მოთიბავენ და მულჩად ტოვებენ. ნაკლებად დაქანე-

ბულზე კი - ნიადაგში ჩააკეთებენ. ეს პროცესი უნდა ჩატარდეს ხანჭკოლის ყვავილობის დაწყებისას.

გამომდინარე ჩაის რაიონების ოროგრაფიიდან, ჩაის საწარმოო პლანტაციები ჩვენში გაშენებულია ფერდობებზე. ამ ფართობებზე ამგვარ ღონისძიებებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ეროზია, როგორც პროცესი და მის წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იყოს.

ეროზიული პროცესების მავნეობა მკვეთრად ამცირებს სასოფლო- სამეურნეო სავარგულების რაოდენობას არა მარტო ჩაის კულტურის ქვეშ, არამედ ზოგადად, მთელს მსოფლიოში. დანაკარგები სავარგულებისა, რომელიც არ გამოიყენება სასოფლო- სამეურნეო კულტურის- ქვეშ ძალზე დიდია. არის მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მსოფლიოში 50 მლნ. ჰექტარი მიწა ამჟამად მთლიანად გამოუსადევარია.

ჩაის მცენარისადმი უდიერმა დამოკიდებულებამ, რაც ამ ბოლო დროს ჩვენში შეინიშნება, მკვეთრად შეცვალა ფართობების რიცხვი და ზოგიერთი მათგანი მთლიანად გამოიყვანა მწყობრიდან.

ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის კლების ერთ-ერთი მიზეზია მისი დასარევლიანების ხარისხი. საყოველთაოდაა ცნობილი ის მავნეობა, რასაც ეს მცენარეები აყენებენ კულტურულ მცენარეებს. უნდა აღინიშნოს მათი ადაპტირების მაღალი ხარისხი ბუნებაში კულტურულთან შედარებით. ეს მცენარეები ითვისებენ ნიადაგის ხოყიერ ფენებს.

ისინი უარყოფით გავლენას ახდენენ ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე, მათი ჰაერისა და წყლის რეჟიმზე. ისინი ხელს უწყობენ დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებას. ხვიარა სარეველები ხელს უშლიან მცენარეთა მოსავლის აღებას, ანაგვიანებენ ხარისხს. ინტეგრირებული მეთოდების გამოყენება მათ წინააღმდეგ მეტად ეფექტურია და დიდად შეუწყობს ხელს ჩაის მცენარის მოსავლიანობის გაზრდას.

მავნებლობის ხარისხითა და სახით მათი მოქმედება კულტურულ მცენარეზე გამოიხატება პირდაპირი მოქმედებით: ესაა კონკურენცია, რასაც ისინი აყენებენ კულტურულ მცენარეებს-

ართმევენ საკვებ ელემენტებს, აფერხებენ მათ ზრდა- განვითა- რებას და აუარესებენ პროდუქციის ხარისხს.

მათთვის დამახასიათებელია შემგუებლობა ,დიდი ამტანო- ბა და გავრცელების მაღალი ხარისხი.მრავლდებიან სწრაფად და მათი აღმოცენების ენერგია ძალზე დიდია. რაც მთავარია, მათი თესლებისათვის დამახასიათებელია აღმოცენების მაღა- ლი უნარი დიდი ხნის მანძილზე.

არაპირადპირი მავნეობა, რასაც ისინი აყენებენ ჩაის მცენა- რეს ისაა, რომ ისინი ხელს უშლიან მკრეფავებს, მობილურ მან- ქანებს. გამოკვლევებით დადგენილია,თუ რამდენად შეიძლება შემცირდეს მოსავალი დასარევლიანების ხარისხის მიხედვით. ძირეული მიზეზი, რაც ხელს უწყობს სარეველების ასე გავრ- ცელებას ჩვენში- არის დაბალი აგროტექნიკა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიტოვებულ პლანტაციებში დომინირებენ კარგად ადაპტირებული სარეველები, როგორიცაა- გვიმრა- *Pteridium Tauricum*, მაყვალი- *Rubus*, ეკალდიჭი- *Smilax Eqselsa*.

არის მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად მცირდება მოსავლიანობა დასარევლიანების ხარისხთან დამოკიდებულე- ბით (რ. კოპალიანი). პლანტაციის სამი ბალით დასარევლიანე- ბის შემთხვევაში მოსავლიანობა კლებულობს 16%-ით, ორბალი- ანი დასარევლიანებისას-9,5%-ით, ხოლო ერთბალიანი დასარევ- ლიანებისას კი 4,2%-ით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბალები ათვლილია 5 ბალიანი სისტემიდან.

სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები შეიძ- ლება დაიყოს ბრძოლის ქიმიურ, მექანიკურ და ბიოლოგიურ მე- თოდებად.

### ჩაის მცენარის ზრდა-განვითარების ხასიათი ცუდი აგროტექნიკის ფონზე

ჩაის მცენარე ბუნებით ტროპიკულია და ატარებს ფილო- გენური ნიშნების კომპლექსს, რაც მას ისტორიულად საკუთარ სამშობლოში ჰქონდა. მცენარის მოვლა- მოყვანა უკავშირდება

ძვირფას დუყებს, რომლის შემცველობაც და მნიშვნელობაც ცნობილია. მცენარეს, მისი ტროპიკული ბუნების გამო, მიღრეკილება აქვს ზრდისაკენ. ჩაის მოვლა- მოყვანის ზონაში, ანუ ჩვენში, მცენარეს ბუჩქისებრი ფორმა აქვს. ეს იძულებითია და ნაკარნახევია ფოთლის მოსავლის მაქსიმალური მოსავლის გამო. მცენარის ბუჩქისებრი ფორმა ოპტიმალურია და წარმოადგენს მცენარეზე აგროტექნიკური ღონისძიების ზემოქმედების შედეგს.

საქართველოში ჩაის კულტურის ინტენსიურმა ტექნოლოგიამ მიაღწია დონეს, რაც ტოლი იყო ჩაის კულტურის მოყვანის კლასიკური ქვეყნების დონისა. განვითარებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ბუნებრივია თავისი კვალი დაატყო ჩაის მცენარის კულტურის განვითარებას. დარგი დაზარალდა და ეკონომიკაც, ბუნებრივია, ჩავარდა.

კულტურტექნიკური ღონისძიებების დაბალმა დონემ და ზოგჯერ მისმა არარსებობამ, ჩაის მცენარე გააველურა და პლანტაციების გადაგვარება გამოიწვია. ხანგრძლივმა უყურადღებობამ დაარღვია მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ტრადიციული მიმდინარეობა და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ნაზი მცენარე თავისი ბუნებით მოექცა მძაფრ კონკურენციაში საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში გაბატონებულ სარეველებთან და მავნებელ - დაავადებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ სარეველათა უმრავლესობა მათი წარმოშობის მიუხედავად, შესანიშნავადაა ადაპტირებული ჩვენს სუბტროპიკებში. ჩაის პლანტაციის დასარევლიანების ხარისხი რაიონების მიხედვით სხვადასხვაა. ბუჩქებისა და პლანტაციის დასარევლიანების ხარისხი დიდადაა დამოკიდებული ჯიშზე, გაშენების წესზე, რეგიონზე და მოვლა-მოყვანის კონკრეტულ ზონაში აგროტექნიკის დონეზე.

სხვადასხვაა ჩაის პლანტაციების დასარევლიანების ხარისხი ნიადაგის ტიპის მიხედვით. ნიადაგის ტიპი და ნალექების სიუხვე პირდაპირ კავშირშია დასარევლიანებასთან. გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ წითელმიწა ნიადაგებზე გაშენებული პლანტაციები უფრო მედეგნი არიან დასარევლიანებისადმი.

ზონალობა და დასარევლიანების ხარისხი გავლენას ახდენს მცენარის დაჩაჩანაკებაზე.

ნიადაგურ- კლიმატური პირობები და ცუდი აგროტექნიკა, რაც დაკინებისაკენ მიდის, ქმნის შესანიშნავ პირობებს მცენარის გენერაციული აქტივობისათვის, თუმცა პლანტაციის ასეთი მდგომარეობის არსებობის გამო დაბალია თესლის ფიზიოლოგიური და ტექნიკური სიმწიფის მაჩვენებლები.

საბოლოო ჯამში ცუდი აგროტექნიკა, ზრდა- განვითარების შეფერხება, გენერაციული აქტივობის მატება- მიდის პლანტაციის დაჩაჩანაკებისაკენ.

ცუდი აგროტექნიკა ქმნის პირობებს ბურქების ვეგეტაციური ზრდის სტიმულაციისათვის. ბუნებრივია ასეთ პირობებში ნიადაგში არსებული საკვები მარაგის დეფიციტის გამო მატულობს გამოვარდნა მცენარეთა რიცხვებისა და იწყება სიმეჩერე, რომლის გამომწვევ მიზეზებსაც ჩვენ გავეცანით. გვერდითი ყლორტების განვითარების ხასიათი შეიმჩნევა ამ დროს წითელ- მინა ნიადაგებზე გაშენებულ პლანტაციებში.

არსებობს საინტერესო გამოკვლევა, რომლის ავტორია პროფესორი რ. კოპალიანი. ამ ავტორის მონაცემების მიხედვით, გამომსმარი ღეროების რაოდენობა (პირველი და მეორე რიგის ტოტებიდან) საშუალოდ ერთ ბურქზე ეწერმინა ნიადაგებზე შეადგენს - 12,2 ცალს, წითელმინა ნიადაგებზე -10,0 ცალს, ყვითელმინა ნიადაგებზე -14,0 ცალს. პირველი და მეორე რიგის ტოტების საერთო რაოდენობითა და გვერდითი ყლორტების რაოდენობით- უკეთესი მაჩვენებელი ოზურგეთის წითელმინა ნიადაგების პირობებში გაშენებული ჩაის ნარგაობაში შეიმჩნევა. ხავსებითა და ლიქენებით ბურქების დაზიანების ხარისხი ყველა ზონაშია შესამჩნევი, თუმცა ბალური შეფასებით უარესი მდგომარეობა წყალტუბოს ზონის მცენარეებშია. ჩვეულებრივ აგროტექნიკურ ფონთან შედარებით, მკვეთრად შემცირებულია ბურქებზე განვითარებული ფოთლის ფირფიტის საშუალო ფართები და იგი ზუგდიდის პირობებისათვის შეადგენს- 12,2 კვადრატულ სანტიმეტრს, ოზურგეთის პირობებისათვის 14,1 კვად-

რატულ სანტიმეტრს, წყალტუბოს ზონისათვის კი-10,8 კვადრა-ტულ სანტიმეტრს. სხვაობაა აგრეთვე თესლის პარამეტრების ზომებითაც. თესლის საშუალო დიამეტრი 7-8 მმ-ია, ხოლო 1000 ცალი თესლის წონა, ყველა ზონისათვის ორჯერ ნაკლებია.

მონაცემები ცხადყოფენ, რომ ცუდი პირობები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს მცენარის ყველა დადებით მახასიათებელზე. საგანგებო ღონისძიებებით, რომელიც ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციისათვის არის განკუთვნილი, შესაძლებელია მდგომარეობის გამოსწორება, თუმცა სხვა საკითხია მცენარის მდგომარეობის გამოკვლევა, რომელიც დაექვემდებარება აღგენას და ეფექტურობა ღონისძიებისა აზრიანი იქნება.

მოვლის ცუდი პირობები ერთნაირად აზიანებს მცენარის ყველა ორგანოს და, ბუნებრივია, მათი პროდუქტიულობა ეცემა. კორელაცია არსებობს მცენარის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილებს შორის. სურათის დადგენა საჭირო იყო დუყების შემოსვლის ინტენსივობის დასადგენად. თუ ეს ცუდი აგროტექნიკის ან, აგროტექნიკის საერთოდ, არასებობის ფონზე ხდება კორელაცია სხვა სურათს იძენს.

როგორც გამოკვლევები მიუთითებენ, ჩვეულებრივი აგროტექნიკის ფონზე, რიზოსფეროს აქტიური ნაწილი თითქმის ნახევარ მეტრზე არის. ეს ეხება ყველა ღონისძიების წარმატებით ჩატარებას. ძირითადი საკვები ელემენტებით მცენარის მომარაგება უნდა მოხდეს ამ სილრმეზე, მაგრამ როცა აგროტექნიკა ცუდია მცენარის ფესვთა სისტემა მოქცეულია ნიადაგის ზედაპირთან ახლოს. ეს ფაქტორი უარყოფითად აისახება ჩაის მცენარის ზრდა-განვითარებაზე.

მცენარის დაჩაჩანაკებასთან ირიბი დამოკიდებულება აქვს ბუნების სხვა მოვლენებსაც. ატმოსფეროს ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი ელემენტების გამოვლენას გარკვეულ დროში, გარკვეული ადგილისათვის. მხედველობაშია მისაღები ქარების ხასიათი და სიჩქარე, ნალექების ცუდი განაწილება ან უნალექობა.

#### 4.4-მცენარის პროდუქტიულობის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებები

საინტერესოა ჩვენი ცნობილი მეცნიერების დ. პატარავასა და ს. ფირცხალაიშვილის მიერ შემოთავაზებული კვლევა, რომელიც აქტუალობას დღესაც არ კარგავს და რომლის გათვალისწინებაც დიდად წაადგება ჩვენს სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობას და კერძოდ- მეჩაიერობას. ეს მეთოდი სწრაფად აღმოფხვრის იმ მდგომარეობას, რაც ჩვენ დღეს მეჩაიერობაში გვაქვს. საკითხი ჩაის ყლორტების წარმოქმნის აღდგენასა და ძეგლი, დაბალმოსავლიანი პლანტაციის შეცვლის ხერხებს ეხება. ეს ხერხები და მისი არსი დიდად დააინტერესებს მათ, ვისაც ჩაის პლანტაციის რებილიტაცია დაუსახავს მიზნად.

პრაქტიკული მუშაობის პროცესში- ჩაის ბუჩქის გასხვლასა და ფოთლის კრეფაზე დაკვირვებისას, აგრეთვე ფოთოლსაკრეფი მცენარის ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლისას, დადგენილია ჩაის ბუჩქის ყლორტების წარმოქმნის აღდგენის რამდენიმე ხერხი: 1) ყლორტის წარმოქმნის აღდგენა ფოთლის კრეფის დროებითი შეწყვეტის გზით სავეგეტაციო პერიოდის პირველ ნახევარში, 2) ბუჩქის გაუსხლავად დატოვება, 3) ბუჩქის გასხვლის სხვადასხვა სახის მორიგეობა.

ამ საკითხის შესასწავლად ცდები დაყენებულიქნა ანასეულ-ში - უსასუქო ფონზე და NPK აგროტექნიკური დოზების შეტანის ფონზე.

მონაცემებმა უჩვენეს, რომ უსასუქო ფონზე ცდის პირველ სამ ვარიანტში არა აქვს ადგილი ჩაის პლანტაციის მოსავლი-ანობის გადიდებას, ხოლო ნახევრადმძიმე გასხვლის ფონზე, კონტროლთან შედარებით (I ვარიანტი) მიღებულია მოსავლი-ანობის გადიდება 18 %-ით. ეს მონაცემები დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს პრაქტიკისათვის, მაგრამ ზოგიერთი საკითხის თეორიული დასაბუთებისათვის განსაზღვრულ ინტერესს წარმოადგენს. მაგალითად, სასუქის უქონლობის შემთხვევაში ნახევრადმძიმე გასხვლის ხშირად ჩატარება განსაზღვრული ხა-

რისხით, ხელს უწყობს ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის გადიდებას, ყოველწლიურად- მხოლოდ შპალერულ გასხვლასთან შედარებით. უსასუქო ფონზე აგროტექნიკური დოზით, საწყის წელთან შედარებით, ცდის ყველა ვარიანტზე მოსავლიანობა დიდდება 4-5 ჯერ, მაგრამ ამ ფონზეც ბუჩქების ნახევრადმძიმე გასხვლა იძლევა კიდევ უკეთეს შედეგს. კონტროლთან შედარებით მიღებულია მოსავლის გადიდება 17%-ით.

მაშასადამე NPK ფონზე ერთი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ბუჩქების ნეკებზე მე-3 ნორმალური და თევზა ფოთლის დატოვება სავსებით საკმარისია ჩაის ბუჩქის ყლორტების წარმოქმნის აღსაღენად. ნახევრადმძიმე გასხვლის პირველი გამოყენება, ბუჩქის ყოველწლიური შპალერული გასხვლის ფონზე, ჩაის მცენარის ყლორტების წარმოქმნისა და, მაშასადამე, ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის გადიდების უფრო მისაღები აგროტექნიკური ღონისძიებაა.

ცხრილი N19

**ყლორტების წარმოქმნის აღდგენის სხვადასხვა ხერხის გავლენა  
ჩაის პლანტაციის მოსავლიანობაზე (კგ -ობით ჰა -ზე).**

ვარიანტები	უსასუქო			NPKფონზე		
1.შპალერული გასხვლა. ჩაის ფოთლის ურეფა აგროზების მიხდვით კგ/ჰა.....%.....	მოსავლის წინასარი ალრიცხვის წელი	ცდის დაყენების პირველი წელი	10 წლის საშუალო	მოსავლის წინასარი ალრიცხვის წელი	ცდის დაყენების პირველი წელი	10 წლის საშუალო
1.შპალერული გასხვლა. ჩაის ფოთლის ურეფა აგროზების მიხდვით კგ/ჰა.....%.....	767 100	699 100	899 100	1260 100	1570 100	4907 100

2 . ბ უ ჩ ე ბ ი ს გ ა უ ს ხ ლ ა ვ ა დ დატოვება ერთი საცემების ციონ პ ე რ ი რ დ ი ს გამამავლობაში. კრეფის დაწყება მას შემდეგ, რაც პროცესი რიგის ყ ლ ი რ ტ ე ბ ზ ე განვითარდება 7-8 ცოდნლი. შემდეგ წლების შ პ ა ლ ე რ უ ლ ი გასხვლა და ფოთლის კრეფა ა გ რ ი ნ ე ს ე ბ ი ს მიხედვის/პა... %.....	767 100	427 61	934 104	1265 100	568 56	4769 97
3. შ პ ა ლ ე რ უ ლ ი გასხვლა ფოთლის კრეფის დაწყება მას სემდეგ, რაც პროცესი რიგის ყ ლ ი რ ტ ე ბ ზ ე განვითარდება 7-8 ცოდნლი. შემდეგ წლების შ პ ა ლ ე რ უ ლ ი გასხვლა და ფოთლის კრეფა ა გ რ ი ნ ე ს ე ბ ი ს მიხედვით კგ/ პა..... %.....	775 101	325 46	757 84	1267 101	679 43	4697 96
4. ნახევრადმიერ გასხვლა ზედა კ ვ ა ნ ძ ე ბ ი ს ქვემოთ(პირელი წელი, ექვის წლის მანძილზე) - შ პ ა ლ ე რ უ ლ ი გ ა ს ხ ვ ლ ა . მიმდევრი წელს ს პ ა ლ ე რ უ ლ ი გასხვლა მთელი ე რ თ წ ლ ი ა ნ ი ნაზარდის: 4 წლის განმავლობაში შ პ ა ლ ე რ უ ლ ი გ ა ს ხ ვ ლ ა .. კგ/ პა..... %.....	780 102	151 165	1058 118	1267 101	1571 100	5744 117

ჩაის მცენარის პროდუქტიულობის რეგულირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ პროდუქტიულობის აღდგენას და მიჩნეულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად. ესაა ნედლეულის სპეციალური კრეფა. კრეფის დადგენილი წესების კორექტირება ხდება იმ დროს, როცა ანარმოებენ კრეფას განსაკუთრებული დანიშნულებისათვის ან ბუჩქების მდგომარეობას განსაკუთრებული.

თუ წარმოებს ორი და სამფოთლიანი დუყების კრეფა- მაშინ ხარისხი ბუნებრივია მაღალია, მაგრამ ამ დროს შრომის ნაყოფიერება დაბალია და დაბალია მოსავალიც.

ფოთლის ხარისხი და მოსავალი წლის პერიოდების მიხედვით, იცვლება და იცვლება კრეფის წესი ამოცანის შესაბამისად. თუ ამოცანაა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წარმოება-ნედლეული უნდა მოიკრიფოს ივლის-აგვისტოში ერთ-სამფოთლიანი ნორმალური და ერთ-ორთოთლიანი ყრუ ყლორტებიდან, ნეკზე თვეზა ფოთლის დატოვებით.

თუ ბუჩქის მდგომარეობა განსხვავებულია და ის ზრდაში ჩამორჩება- მაშინ კრეფის წესი იცვლება და კრეფას ვიწყებთ 45 სმ სიმაღლის მიღწევის შემდეგ. სრულასაკოვან დაბალ და სუსტ პლანტაციებში კრეფა იწყება, როცა პლანტაციები მიაღწევენ 45 სმ სიმაღლეს და პირველი კრეფის დროს კრეფენ ორფოთლიან დუყებს და ნეკზე ტოვებენ 3-5 და მეტ ნორმალურ ფოთოლს. განსხვავებულია მიდგომა რეგიონების მიხედვით. მაგალითად, იმერეთის რეგიონისათვის კრეფას იწყებენ ბუჩქების 35-40 სმ მიღწევის შემდეგ.

განსაკუთრებულია მიდგომა მძიმედ გასხლული პლანტაციების მიმართ. დაუშვებელია კრეფის დაწყება მანამდე, სანამ ბუჩქები არ მიაღწევენ 45-50 სმ სიმაღლეს. გვერდით ტოტებზე კრეფა წებადართულია მხოლოდ მაშინ, როცა ისინი გაუტოლდებიან სიმაღლით ძირითად ტოტებს. ამ დროს იკრიფება 2-3 ფოთლიანი დუყები იმ ანგარიშით, რომ დარჩეს 4-5 ნორმალური ფოთოლი.

გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ბუჩქების მსუბუქი მოსწორებითი გასხვლა და ფოთლების გაძლიერებული კრეფა მო-

სავლის გაზრდის ცნობილი ხერხია. ამ ხერხის გამოყენებას რიგი მიზეზებისა განაპირობებს, რომელზეც შეჩერება მიზანშეწონილი არაა. ღონისძიება ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გაზრდასა და პლანტაციის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ასეთი ტიპის გასხვლას აქვს რიგი უპირატესობებისა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ დროს მსუბუქად გასხლული ბურქების ნეკებზე რჩება მეტი მზარდი კვირტი, შპალერულთან შედარებით.

მსუბუქი გასხვლასა და გაძლიერებულ კრეფას ერთი მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობაც აქვს- ფოთოლი საკრეფად ადრე შემოდის და მოსავლის უმეტესობა საწარმოო წლის პირველ ნახევარში იკრიფება. ეს კი, რესურსების რაციონალური განაწილებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

მოსავლისა და ბურქების მდგომარეობის რეგულირების ამ ხერხს გამოყენების თავისებური გრაფიკიც აქვს. მისი სისტემატური გამოყენება არ შეიძლება. ამ დროს დიდია ალბათობა ფოთლების დაწვრილებისა და ბურქებზე ყრუ დუყების წარმოქმნისა. დღის ნესრიგში დგას მისი მორიგეობა ბურქების მდგომარეობისა და აგროტექნიკის გათვალისწინებით- ყოველ მეორე-მესამე წელს. საჭიროა გასხვლის სხვა სახეების მორიგეობაც.

მსუბუქი მოსწორებითი გასხვლა წარმოებს ბურქებისათვის ოვალური ფორმის მისაცემად- ბურქების ნეკებისათვის მოუმნიდებელი მწვანე წვერების წაჭრით. ამ დროს ნეკები, რომლებიც უფრო მოკლეა, გაუსხლავი რჩება. გასხვლის აგროვადებია- თებერვალი- მარტი.

ფოთლის კრეფა მსუბუქად გასხლულ ნაკვეთებზე უნდა ვაწარმოოთ გაძლიერებულად. ეს ნიშნავს 3-4 ფოთლიანი ყლორტების განვითარებას ბურქებზე. იკრიფება ამ დროს ორ- სამ- ფოთლიანი ნაზი დუყები და ნეკებზე აპრილში, მაისსა და ივნისში ვტოვებთ ძირითადად ერთ ნორმალურ ფოთოლს, ზოგჯერ კი ნეკზე მხოლოდ თევზა ფოთოლს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღონისძიების ეფექტურობა პირდა- პირ კავშირშია პლანტაციის სიჯანსალესთან.

#### **4.5-რამდენიმე სიტყვა ძველი, მცირემოსავლიანი პლანტაციის შეცვლის შესახებ**

ჩაის პლანტაციის დაბალი მოსავლიანობის შესახებ მრავალი მიზეზია განხილული.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ მათ იმისათვის, რომ დავაკავშიროთ ისინი სხვა საკითხებთანაც. ვთქვით, რომ ისინი შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: ბუნებრივ- ისტორიული და ბიოლოგიური. ბუნებრივ- ისტორიულ მიზეზებს ეკუთვნის ნიადაგისა და ჰავის გამოუსადეგარობა ჩაის მცენარისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგი არ შეესაბამება ჩაის მცენარის განვითარებას, ან ადგილი მიკროკლიმატური პირობების მიხედვით, არ არის შესაფერი ჩაის კულტურისათვის- ასეთი პლანტაციები უნდა იქნეს ლიკვიდირებული და არ უნდა გზრუნავდეთ მათს შეცაცვლელად. ეს მოვლენა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ძირითადად ჩაის გავრცელების ჩრდილოეთ რაიონებში. ბუნებრივ- ისტორიულს ეკუთვნის ასევე ნიადაგის ჭარბტენიანობა, მელიჭვილის ჰორიზონტის ნიადაგის ახლო ზედაპირთან ყოფნა და ძლიერ გადარეცხილი ნიადაგები. ასეთ პლანტაციებში საჭიროა ვებრძოლოთ დაბალი მოსავლიანობის პირველად მიზეზებს: მოვაწესრიგოთ ნიადაგის წყალმართვი რეჟიმი, შესაძლებლობის ფარგლებში დავშალოთ მელიჭვილის ჰორიზონტი-70-80 სმ სიღრმეზე, ჩავატაროთ ღრმა გაფხვიერება, გავამდიდროთ გადარეცხილი ნიადაგები ორგანული ნივთიერებებით, უზრუნველვყოთ ჩაის მცენარის ნორმალური მინერალური კვება და ა.შ. ამ აგროტექნიკური ღონისძიებებით, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჩაის პლანტაცია აღიდგინება და საკმაოდ მაღალ მოსავალს მოგვცემს. თუ ეს ღონისძიებები არ განხორციელდება და ასეთ ნიადაგზე მაინც გაშენდება ხელახლა ჩაის პლანტაციები, შედეგი იქნება არადამაკმაყოფილებელი.

დაბალი მოსავლიანობის ბიოლოგიურ მიზეზებს ეკუთვნის უნინარეს ყოვლისა ჩაის მცენარის ცუდი ჯიშიანობა. ხშირად გხვდება ჩაის პლანტაციები, გაშენებული იაპონური წვრილფო-

თოლა ჯიშებით, რომლებიც ჩვენს პირობებში ყოველთვის დაბალმოსავლიანია. ჩაის პლანტაციების ასეთი კატეგორია უნდა იქნას შესწავლილი პირველ რიგში. ამ კატეგორიას ეკუთვნის ჩაის მცენარის ბიოლოგიური დაბერება, რაც ჩვეულებრივად, ცუდი მოვლისა და ხანგრძლივი, მკაცრი ექსპლუატაციის შედეგია. უკანასკნელ შემთხვევაში, თუ გამოიცადა აგროტექნიკური ზემოქმედების ყველა ხერხი (გაძლიერებული განოყიერება, ნიადაგის გულდასმით დამუშავება და სხვა), მაგრამ პლანტაცია მაინც არ გაუმჯობესდა, ის უნდა შეიცვალოს, ხელახლა გაშენდეს. დაბოლოს, ბიოლოგიურ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ჩაის პლანტაციების შეცვლა ჩაის ბუჩქის სორტიმენტის გაუმჯობესებისა, პირველ რიგში, ჩაის სელექციური ჯიშებით (აკად. ქ. ბახტაძე ).

შესაცვლელი პლანტაციები შესაძლოა აღდგენილიქნას, როგორც თესლის თესვით, ასევე ნერგებითაც. როგორც წესი, შესაცვლელი, დაბალმოსავლიანი პლანტაცია გამოირჩევა მცენარეთა ვარჯის შეუკვრელობით რიგთაშორისებში, სიმეჩერით. პირველ რიგში უნდა გამოირკვეს თესლის თესვის ან , ნერგის დარგის შესაძლებლობა, მძიმე გასხვლის ჩატარების გარეშე, პლანტაციის შეცვლის დაწყების წელს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რიგთაშორისებში არის თავისუფალი გასასვლელი, არა ნაკლებ 70 სმ სიფართისა, ხოლო თუ დაბალმოსავლიანი პლანტაცია უფრო შეკრულია, საჭიროა ნახევრადმძიმე ან კიდევ- მძიმე გასხვლის ჩატარება. ამ შემთხვევაში, გასხვლის ჩატარების შემდეგ, ნასხლავი მასალა საჭიროა გატანილიქნას პლანტაციიდან და შემდეგ ჩატარდეს ნიადაგის გადაბარვა რიგთაშორისებში. გადაბარვა უნდა ჩატარდეს 45-50 სმ სიღრმეზე, აუცილებლად პლანტაჟით ან გადაბარვის მთელ სიღრმეზე შევიტანოთ ფოსფორიანი სასუქის ოთხმაგი დოზა-ფოსფორიტის ფქვილის სახით.

ნიადაგის დამუშავებისას, გადაბარვის მთელ სიგანეზე და სიღრმეზე არსებული შესაცვლელი ჩაის ბუჩქის ფესვთა სისტემა, თავისთავად იგულისხმება, გადაიჭრება. გადაბარვის შემდეგ, აგროწესების შესაბამისად, ტარდება დაგეგმვა და თესლის

თესვა ან- ნერგის რგვა. ახალი ნათესებისა და ნარგავების მოვლა იგივეა, რაც ჩვეულებრივი ახალგაზრდა პლანტაციისათვის. ნასხლავი მასალის ნაწილი გამოდგება ჩაის ნათესარების ან ნარგავების დასამულჩად. მძიმედ გასხლულ შესაცვლელ ბუსქებზე მათი დასუსტების მიზნით, ახალგაზრდა პლანტაციების განვითარების მიხედვით, ტარდება მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი კრეფა-4-5 ნლის განმავლობაში. ამის შემდეგ, როცა საჭირო გახდება ძველი ბუსქების ამოძირკვა-ეს უკანასკნელი ტარდება ნიადაგის პლანტაჟურად 45-50 სმ სიღრმეზე გადაბარვასთან და ფოსფორიტის ფქვილის სახით შეტანასთან ერთდროულად. აგრეთვე ოთხმაგი დოზით- გადაბარვის მთელ სიგრძეზე.

ძველი, დაბალმოსავლიანი პლანტაციების შეცვლის ამ ხერხის გამოყენებისას არსებული პლანტაცია ერთბაშად კი არ ისპობა, არამედ განსაზღვრული დროით გამოიყენება ფოთლის მოსავლის მისაღებად და ამასთან ერთად, თანდათან, აღიზრდება ახალგაზრდა პლანტაციაც.

#### **4.6-ჩაის (*Thea Sinensis L.*,*Thea Assamica L.*) პლანტაციის დღევანდელი მდგომარეობა, დაზიანების ხარისხი მიზეზების მიხედვით და გამოსწორების დიფერენცირებული გზები**

ისტორიულად მოკლე პერიოდის განმავლობაში საქართველოში მეჩაიერება ინდუსტრიულ საფუძველზე გადავიდა და ციკლი- ნედლეულიდან პროდუქციამდე ისეთივე იყო, როგორიც ჩაის მნარმოებელ კლასიკურ ქვეყნებში.

საუბედუროდ მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან დარგი- სადმი დამკვიდრდა მეურნეობრიობის არარაციონალური პრაქტიკა. ბუნებრივია, მას გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზები უძლოდა. პირველსაწყისად ყურადსალებია გეგმების არარაციონალური და არარეალური ზრდა, რაც მაშინ ხდებოდა. გეგმის ზრდის ეს პრაქტიკა სრულებით არ ითვალისწინებდა ჩაის მცენარის ბიოლოგიურ შესაძლებლობებს. გეგმის გამოდევნებამ და ფოთლის კრეფის ჯერადობის ნორმაზე მეტად ზრდამ გამოიწვია ნედლეულისა და შემდგომ -პროდუქციის ხარისხის

დაცემა. ყოველივე ამან მცენარის ბიოლოგიურ აქტივობას გა-  
მოუწოდებელი ზიანი მიაყენა.

ბოლო პერიოდში განვითარებულმა პერიპეტიებმა, ბუნებ-  
რივია, ითამაშა ნეგატიური როლი - დაიკარგა პროდუქციის გა-  
საღების ტრადიციული ბაზარი. შინააშლილობამ კი დარგისადმი  
ყურადღება მოადუნა, რასაც შედეგად მისი სრული კოლაფსი  
მოჰყვა.

მიზეზები და მისი დეტალური კვლევა, ჩვენ სხვა თავში გან-  
ვიხილეთ და მას აქ არ შევეხებით.

ჩაის მწარმოებელ რეგიონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო,  
იმერეთი) ყოფილი საზოგადოებრივი მეურნეობების ტერიტო-  
რიაზე, კერძო მეურნეობების ნაკვეთებზე- დარჩენილია კიდევ  
პლანტაციები, რომელთა რეაბილიტაცია შესაძლებელია და სას-  
წრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ღონისძიებების  
გატარების დაყოვნება, ბუნებრვია, შეამცირებს ფართობების  
რაოდენობას, რომლის რეაბილიტაციასაც აზრი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ მიზეზები ყველგან ერთნაირი იყო  
(რამაც ეს პროცესები გამოიწვია) სხვადასხვა რეგიონის ბუნებ-  
რივ-ეკონომიკურმა პირობებმა, ატმოსფეროს ფიზიკური მდგო-  
მარეობის გამომხატველი ელემენტების სავადასხვა ხარისხით  
გამოვლენამ, მაინც თავისი გავლენა იქნია პლანტაციების და-  
ზიანების ხარისხზე სხვადასხვა რეგიონში. გამომდინარე აქედან,  
პროცესების მართვა და ღონისძიებების გატარება დიფერენცი-  
რებულ მოდგომას საჭიროებს. მეთოდების სწორი შესატყვისო-  
ბა პლანტაციების რეალურ მდგომარეობასთან -გარანტიას იძ-  
ლევა მდგომარეობის გამოსწორებისათვის. მთავარია, გასატა-  
რებელი ღონისძიება ზუსტად იქნას მისადაგებული თითოეული  
ბუჩქის რეალურ მდგომარეობასთან. ბუნებრივია, კონკრეტული  
რეგიონის ბუნებრივ- კლიმატური მახასიათებლების გათვალის-  
წინება კარგი შედეგის საწინდარია.

რეაბილიტაციის მეცნიერულად შემუშავებული მეთოდი-  
კა სახეობების მიხედვით, დაგვიზოგავს დამატებით კაპიტა-  
ლურ დანახარჯებს და მოკლე პერიოდში მოგვცემს სასურველ  
შედეგს, პლანტაციების ხელახლა გაშენებასთან შედარებით.

დროისა და კაპიტალური დანახარჯების დანაზოგი გამოდგება სანერგის მოწყობაზე, რაც აგრერიგ საჭიროა დარგის განვითარებისათვის.

მოკლედ მიმოვიხილავთ ჩაის პლანტაციების დაზიანების ხარისხს მიზეზების გათვალისწინებით, დღეს არსებულ მდგომარეობას და მივუთითებთ გამოსწორების მეთოდებზეც. ეს და ადგილზე გარკვეული პრაქტიკული ხასიათის მანიპულაციების ჩვენება დარგის აღორძინებას დიდად წაადგება.

დამოკიდებულებით დაზიანების ხარისხისაგან და პროდუქტიულობის კლების სახისაგან- პლანტაცია შესაძლებელია იმყოფებიდეს სხვადასხვა მდგომარეობაში: სჭირდებოდეს კულტურ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება, რემონტი თესლით, ნერგით (ზოგჯერ ვეგეტაციურად გამოყვანილი), რემონტი გადაწვენით, იყოს დაბალპროდუქტიული და სჭირდებოდეს ღონისძიებათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია გასხვლასთან და გაახალგაზრდავების ღონისძიებებთან და სხვა.

რეალური მდგომარეობის აღწერა და საჭირო ღონისძიებების გატარება თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტში ( რასაც ადგილზეც გაეცნობიან დაინტერესებულნი), ერთგვარ საგანმანათლებლო ტრენინგ -პროგრამადაც გამოდგება ან, შესაძლოა, იყოს მეთოდურ- პრაქტიკული ხასიათის მითითება დარგით დაინტერესებული პირებისათვის.

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ პლანტაციების მდგომარეობას და იქვე მივუთითებთ კონკრეტულ მდგომარეობაში მყოფი პლანტაციის აღდგენის გზებზე. დანართის სახით დავურთავთ ზოგად ღონისძიებებს, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად.

## 1. ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის დაბალი დონე, გამოწყეული ბუნებრივ -ისტორიული მიზეზით -

ასეთი მიზეზია, როცა ნიადაგი არ შეესაბამება ჩაის მცენარის მოთხოვნებს ან ადგილი მიკროკლიმატური პირობების მიხედვით მიუღებელია ჩაის მცენარისათვის.

### **გასატარებელი ღონისძიება:**

ასეთი პლანტაციების ღიკვიდაცია არის საჭირო და უნდა ვიზრუნოთ მათს შესაცვლელად.

**2.დაბალი მოსავლიანობა,** გამოწვეული მეორე ბუნებრივისტორიული მიზეზით -ესაა ნიადაგის ჭარბტენიანობა, მელიჭვილის ჰორიზონტის ნიადაგის ახლო ზედაპირთან ყოფნა და გადარეცხილი ნიადაგები.

### **გასატარებელი ღონისძიება:**

უნდა მოწესრიგდეს ნიადაგის წყალმართვი რეჟიმი, უნდა დაიშალოს მელიჭვილის ჰორიზონტი -70-80 სმ სიღრმეზე, ჩავატაროთ ღრმა გაფხვიერება, გავამდიდროთ გადარეცხილი ნიადაგები ორგანული ნივთიერებებით, უზრუნველვყოთ ჩაის მცენარის ნორმალური მინერალური კვება.

**3.პლანტაციის ისეთი მდგომარეობა,** როცა დაბალომოსავლიანობა გამოწვეულია ჯიშობრივი არასრულფასოვნებით.

### **გასატარებელი ღონისძიება:**

ჩვენს სუბტროპიკუებში გაშენებულ წვრილფოთოლა იაპონური ჯიშების (რაც ხშირად გვხვდება) შეცვლა, რადგან ისინი ყოველთვის დაბალმოსავლიანია.

**4.პლანტაციის ისეთი მდგომარეობა,** როცა საჭიროა რემონტი თესლით ან ვეგეტაციურად.

### **გასატარებელი ღონისძიება:**

გატარდეს ყველა ღონისძიება, რაც დაკავშირებულია სიმეჩრის ღიკვიდაციასთან. (იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

**5. ჩაის პლანტაციის დასუსტებული მდგომარეობა,** გამოწვეული ცუდი აგროტექნიკით.

### **გასატარებელი ღონისძიება:**

აგროტექნიკის ჩატარება საჭირო ღონებების მოწესრიგება, რადგან ამ უკანასკნელზე ჩაის პლანტაციაში გატარებული ღონისძიებებიდან ნახევარი მოდის.

**6. პლანტაციის ცუდი მდგომარეობა,** გამოწვეული გასხვლის ღონისძიებების უგულებელყოფით ან მისი ცუდი შესრულებით.

### **გასატარებელი ღონისძიება:**

საჭიროა მცენარის ყლორტნარმოქმნის პროცესის გაუმჯობესება და შესუსტება რეპროდუქციული აქტივობისა.(იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

**7.ჩაის ბუჩქის დაჩაჩანაკებული მდგომარეობა, დაკავშირებული მოსავლის აღების არასინქრონულობასთან.**

### **გასატარებელი ღონისძიება:**

ასაღები დუყების მოკრეფის სინქრონულობის დაცვა, დაღლევა მოსავლის აღების დაგეგმვის არასაკმარისობისა.(იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

**8.ჩაის პლანტაციის ცუდი მდგომარეობა, გამოწვეული გასხვლის სახეებთან ფოთლის კრეფის წესისა და სახის მიუსადაგებლობით.**

### **გასატარებელი ღონისძიება:**

(იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

**9.პლანტაციის ცუდი მდგომარეობა და პროდუქტიულობის შემცირება, გამოწვეული ვეგეტაციური ნაწილების ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო ტენის დეფიციტით.**

### **გასატარებელი ღონისძიება:**

ნიადაგისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის დეფიციტის აღმოფხვრა დაწვიმებითი მორწყვის შედეგად.

**10. პლანტაციის დაჩაჩანაკებული მდგომარეობა, გამოწვეული ნიადაგის არის რეაქციით.**

### **გასატარებელი ღონისძიება:**

პლანტაციის გაშენებისათვის საჭირო არის რეაქციის შესწავლა და გათვალისწინება ბიოლოგიური მარკერებისაც (მაგ. გვიმრა -Pteridium Tauricum).გათვალისწინება იმისა, რომ ტუტერეაქციის ნიადაგზე მცენარე ვერ ვითარდება ,ხოლო კარბონა-

ტულ ნიადაგზე, ერთ მეტრი სისქის ფენაში 3%-მდე  $\text{CaCO}_3$  არსებობა, მომაკვდინებლად მოქმედებს ჩაის მცენარეზე.

11. ჩაის მცენარეთა დარღვეული მდგომარეობა, გამოწვეული ნიადაგის საფარის სიჭრელით ზღვის დონიდან.

გასატარებელი ღონისძიება:

გაშენებისას გათვალისწინება იმისა, რომ ინტენსიური კულტურის წარმოებისათვის საჭიროა ნიადაგის სხვაობის გათვალისწინება და მისი ცვლილების პარამეტრებისა ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან დაკავშირებით.

12. ჩაის პლანტაციის დაბალი მოსავლიანობა, გამოწვეული ყლორტნარმოქმნის უნარის დაქვეითებითა და დაბალმოსავლი-ანი პლანტაციის შეუცვლელობით.

გასატარებელი ღონისძიება:

ყლორტის წარმოქმნის აღდგენა ფოთლის კრეფის დროებით შეჩერების გზით, სავეგეტაციო პერიოდის პირველ ნახევარში; ბურქის გაუსხლავად დატოვება; ბურქის გასხვლის სხვადასხვა სახის მორიგეობა.( დეტალურად იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

13. ჩაის პლანტაციის დაბალი მოსავლიანობა, გამოწვეული ბიოლოგიური დაბერებით, როცა ეს უკანასკნელი გამოწვეულია ცუდი მოვლისა და ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად (ეს, ის შემთხვევაა, როცა გამოიცადა ყველა აგროტექნიკური ღონისძიება - გაძლიერებული განოყიერება, ნიადაგის გულდასმით დამუშავება და სხვა).

გასატარებელი ღონისძიება:

პლანტაცია უნდა შეიცვალოს, ხელახლა გაშენდეს.

14. ჩაის პლანტაციის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს ღონისძიებათა სისტემის მთელი კასკადის ჩატარებას, დაკავშირებულს პლანტაციის შეცვლასთან, აგროღონისძიებების გატარებასთან. ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარება საჭიროა მდგომარეობის კარდინალურად შესაცვლელად ან, შესაცვლელი პლანტაციის აღდგენის შესაძლებლობათა ძიებასთან.

გასატარებელი ღონისძიება:

სიმეჩერის აღკვეთის ღონისძიებათა გატარება,პლანტაციის შეცვლის დაწყების წელს ძიება თესლის თესვის ან ნერგის დარგვის შესაძლებლობისა, მძიმე გასხვლის ჩატარების გარეშე. ნიადაგის დამუშავებისა და განოყიერების სისტემის სრულყოფა.მკაცრი კრეფის ორგანიზება, დასუსტების მიზნით,რომ შესაცვლელი პლანტაცია დროებით გამოვიყენოთ ფოთლის საკრეფად.ღონისძიებები დეტალურად იხილეთ პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებებში, როლებიც დაკავშირებულია პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან.

**15. პლანტაციის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს აღდგენის ღონისძიებათა სისტემის კომპლექსურად ჩატარებას.**

#### **გასატარებელი ღონისძიება:**

ისეთი სამუშაოს ჩატარება, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან აღდგენას. საკითხი ეხება პასპორტიზაციას, ჯიშობრივ ანალიზს, განსაზღვრას გაშენების ასაკისა, 30-35 წლის ასაკის მცენარეთა გამოყოფას, აღდგენის ეფექტურად ჩატარებისათვის- მათ გადასაჭრელად - 35-50 სმ სიმაღლეზე. საჭიროა აპრობირებული მცენარეების თესლისა და სარგავი მასალის წარმოების ორგანიზაცია. სადედებისა და სანერგეების მოწყობა მეცნიერულ საფუძველზე. სხვა საკითხების მოგვარება ,რაც ეფექტურია ამ მიზნის გასასაწყვეტად. დეტალურად (იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან, პუნქტი 24).

**4.7-თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ამაღლებასთან**

**( საგანმანათლებლო და პრაქტიკული ხასიათის ტრენინგ-პროგრამის პროექტი)**

**1.თესლით გამრავლება-გამრავლებისათვის თესლის შეგროვებას იწყებენ მაშინ, როცა კოლოფები გახსნას იწყებენ. გა-**

სუფთავებული და დახარისხებული თესლი უნდა იყოს არა ნაკლებ 12 მმ-ისა დიამეტრში. თესლის შენახვის საუკეთესო ხერხია მისი შენახვა ტრანშებში. ეს უკანასკნელი სიგრძით ნებისმიერი ზომისაა, ხოლო სიღრმე 25 სმ-ია. გამოშრობისა და განიავების შემდეგ, თესლს ჩაყრიან 20 სმ ფენად ტრანშეაში და ზემოდან ფარავენ ხმელი გვიმრით. დაყრილი მინა ორმხრივი დაქანებისა უნდა იყოს, რომ მან დრენაჟის ფუნქცია შეასრულოს. თესლის შენახვის ასეთი ხერხი ცვლის სტრატიფიკაციას.

**2. ვეგეტაციური გამრავლება** - ყველაზე გავრცელებულია ჩაის მცენარის კალმით გამრავლება. კალმები ბუჩქის ტოტის, ყლორტისა და ფესვის ამონაყრის მოჭრილი ნაწილია, რომელიც ირგვება გრუნტში დასაფესვიანებლად, დამოუკიდებელი მცენარის მისაღებად. კალმი მდიდარი უნდა იყოს პლასტიკური ნივთიერებით. კალმის დაფესვიანების საუკეთესო პერიოდია შემოდგომა. ყველაზე კარგია ვეგეტაციური გამრავლება მწვანე კალმის დაფესვიანებით.

**3. პლანტაციის რემონტი გადაწვენით-არსებობს ხერხი, რომლის დროსაც ხდება ყლორტის დაფესვიანება. ეს ის შემთხვევაა, როცა ყლორტს ბუჩქიდან რკალისებურად გადაღუნავენ და ნიადაგში კავით დაამაგრებენ. პროცესის ჩატარებისათვის ყლორტს გარკვეული მოთხოვნები წაეყენება. ღონისძიება წარმატებით ტარდება, როცა ყლორტი 55-65 სმ სიგრძისაა. სიგრძის ეს მონაცემები დაახლოებით ემთხვევა ნაზარდების სიგრძეს ერთი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. შემოდგომით კი დაფესვიანებული ყლორტები გადაირგვება პლანტაციაში ან სანერგები. დაფესვიანებულ მცენარეთა გამოსავალი ამ დროს შეადგენს 85-95 %-ს.**

**4. სადედე პლანტაცია-ვეგეტაციურად გამრავლებული ჯიშებისა და კლონების ნერგებისათვის საჭიროა სადედე პლანტაციები და სანერგე. სადედე პლანტაციითა და სანერგით უნდა იყოს გარანტირებული სარგავი მასალის წარმოება და პროდუქტიულობის ზრდა. სადედეში მცენარეების გაშენება ხდება კვების არით  $1,75 \times 0,5$  მ.**

სადედებისათვის იყენებენ ვეგეტაციურად გამრავლებულ ნერგებს, გამოყვანილს პოლიეთილენის პარკებში. დარგვის ვა-დაა სექტემბერ-ოქტომბერი ან, გაზაფხულზე- მარტი-აპრილი.

სადედე პლანტაცია ექსპლოატაციაში შედის მეხუთე- მე-ექვსე წელს. ახალგაზრდა მცენარეთა პირველი გასხვლა სწარ-მოებს დარგვიდან მეორე წელს- 20-22 სმ სიმაღლეზე ფესვის ყე-ლიდან. მეორედ- მომდევნო წელს -35-40 სმ-ზე. კალმებისათვის მწვანე ყლორტების დამზადება ახალგაზრდა სადედეც პლანტა-ციაში იწყება მეხუთე- მეექვსე წელს. სრულასაკოვან სადედე პლანტაციაში შეიძლება დამზადდეს ერთ ჰა-ზე 1,5- 2,0 მილიონი კალამი. მწვანე კალმების აჭრა დასაფესვიანებლად სწარმოებს ერთ-ორ კვირტზე. დასაფესვიანებლად საუკეთესო სუბსტრა-ტია- წითელმინების 0-30 სმ ფენა, შემდეგაა -წითელმინის 30-45 ფენა და ბოლოს- ტორფი. პირველ შემთხვევაში დაფესვიანების პროცენტია-97-98, ხოლო მეორეში-91%-ი.

**5. ჩაის სანერგე-** ადგილია, სადაც გამოჰყავთ სარგავი მასა-ლა პლანტაციის გასაშენებლად, რემონტისათვის და ამრავლე-ბენ ახალ სელექციურ ჯიშებს.

სანერგები თესლის თესვას აწარმოებენ როგორც ლენტისე-ბურად, ასევე ბუდობრივად. ჩვენთან თესვის საუკეთესო ვადაა 15 ნოემბერი-15 მარტი.

აღმოცენებას იწყებენ აპრილ- მაისში. გამოხელვასა და გაფხვიერებას აწარმოებენ ერთწლიანი ნერგების პლანტაციაში -არანაკლებ 5-6 ჯერ, ორწლიანში კი-3-4 ჯერ. 2-3 ფოთლის გა-მოჩენის ფაზაში აწარმოებენ პიკირებას.

თუ სარგავი მასალა გადააქვთ მცირე მანძილზე, მას არ ფუ-თავენ, მაგრამ ფესვებზე მაინც აფარებენ ტენიან ხავსს. ამოთხ-რისთანავე ნერგებს სხლავენ 10-12 სმ სიმაღლეზე.

**6. ჩაის ვაგეტაციური გამრავლების სანერგე** - ადგილია, სა-დაც ფართობის შერჩევას საფუძვლად უდევს სარწყავი წყლის სიახლოვე. ფართობის დაქანება უნდა იყოს რვა გრადუსამდე.

ნაკვეთი იგეგმება ცალკე ბლოკებად -40x18 მეტრი სიდი-დით, რომელიც მოიცავს ექვს სექციას, თითოეულის ზომით -18x 6 მეტრი.

ხელოვნური კლიმატის ბურუსის შესაქმნელად ეწყობა სპე-  
ციალური მოწყობილობა. კალმებს დასაფესვიანებლად რგავენ  
პოლიეთილენის პარკებში, რომელიც შევსებულია მცენარისათ-  
ვის გამოსადეგი ნიადაგით. ერთ კვადრატულ მეტრზე თავსდება  
120 პარკი. ყოველ პარკში ირგვება ერთი კალამი.ჩარგვის სილრ-  
მეა -3-4 სმ. ერთ ჰექტარზე თავსდება- 1.2 მილიონი კალამი. კალ-  
მებს, დარგვიდან 3-4 კვირის შემდეგ, წარმოექმნებათ კალუსი,  
ხოლო ფესვი მასობრივად წარმოექმნებათ- 2 თვის შემდეგ.

მეორე წლის ბოლოს, ნერგები აღწევენ -35-45 სმ სიმაღლეს.  
აქვთ კარგი ფესვთა სისტემა და გამოდგება საწარმოო პლანტა-  
ციის გასაშენებლად.

**7. სასუქების შეტანა ახალგაზრდა და სრულასაკოვან პლან-  
ტაციაში** -ჩაის პლანტაცია მოითხოვს განოყიერებას ორგანული  
და მინერალური სასუქებით. ბუნებრივია, დადგენილია დოზები,  
რომელსაც იყენებენ ჩაის პლანტაციაში.

ორგანული სასუქი შეიტანება ოთხ წლიწადში ერთხელ -50  
ტონა ნაკელი ან 80-100 ტონა ტორფის კომპოსტი.

რაც შეეხება აზოტიან სასუქებს- ის განისაზღვრება ასაკის,  
მოსავლიანობისა და რეგიონის მიხედვით.

1-5 წლიან პლანტაციაში შეიტანება 100 კგ/ჸა- მოქმედი ნივ-  
თიერების სახით. 6-7 წლიანში შეიტანება -150 კგ/ჸა. ასაკით უფ-  
რო ხნიერში- აზოტი შეიტანება მოსავლიანობის მიხედვით.

თუ მოსავლიანობა 50 ცენტნერამდეა, მაშინ შეიტანება 200  
კგ, 50-100 -250,101-150-300,151 და მეტი -350.

რაც შეეხება ახალგაზრდა პლანტაციას (1-4 წელი) -აზოტი-  
ანი სასუქი შეიტანება ლენტის სახით. ფოსფორიანი სასუქი შეი-  
ტანება 150- კგ/ჸა-ზე.

კალიუმიანი სასუქის სრული აგროტექნიკური დოზაა-100  
კგ/ჸა.

**8.მინერალური სასუქის ნორმების გაანგარიშება** - სასუქში  
მოქმედი ნივთიერების გარდა ყოველთვის არის მინარევები. სა-  
სუქის ნორმების გაანგარიშება, როგორც წესი, ხდება მოქმედ ნივ-  
თიერებაზე. სასუქის ნორმის დასადგენად საჭიროა გაანგარიშება.

თუ ერთ ჰექტარზე შესატანია 100 კგ აზოტი. ამონიუმის სულფატი შეიცავს მოქმედ ნივთიერებას -20 %-ს. ამ დროს, სასუქის 100 კგ, მოქმედი ნივთიერების -20 კგ-ია. 100 კგ სასუქი - 20 კგ მოქმედი ნივთიერება, x კგ სასუქი -100 კგ.

$X=100x100:20=500$  კგ. ე.ი ერთ ჰექტარს უნდა მიეცეს 500 კგ ამონიუმის სულფატი.

სასუქის ნორმის გასაანგარიშებლად იყენებენ ფორმულას:

$Y=H \times 1000:\Pi$ , სადაც  $Y$ -ჰექტარზე შესატანი სასუქის რაოდენობაა კგ-ში,  $H$ -საკვები ნივთიერების ნორმა 1 ჰა-ზე კგ-ში,  $\Pi$ -საკვები ელემენტის შემცველობა სასუქში %-ში.

**9. ახალგაზრდა პლანტაციის გასხვლა- ფორმირება-ღონისძიება** იწყება გაშენებიდან მესამე-მეოთხე წელს და მთავრდება მერვე- მეცხრე წელს. პირველი გასხვლა- ფორმირების მიზანია ძლიერი დაბუჩქების გამოწვევა. მეთოდები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. აფხაზეთში, სამეგრელოსა და იმერეთში ღონისძიება ტარდება 15 თებერვლიდან 1 აპრილამდე. აჭარასა და გურიაში- 15 თებერვლიდან 10 აპრილამდე. საჭიროა ბუჩქის ფიზიკური მდგომარეობის კონდიციები, რომ პირველი გასხვლა ჩატარდეს. ამისათვის საჭიროა ბუჩქების 75%-ი უნდა იყოს 30-35 სმ სიმაღლის. საჭიროა ბუჩქებს ჰქონდეთ 2-3 გვერდითი ტოტი. თუ ასეთი მდგომარეობა არაა, საჭიროა გასხვლა გადაიდოს.

პირველი გასხვლა ტარდება ფესვის ყელიდან 10-15 სმ-ზე. ასეთი გადანაჭერი ვეგეტაციის ბოლოს აღწევს- 40-50 სმ სიმაღლეს და კარგი საფუძველია ჩონჩხის შესაქმნელად.

მეორე გასხვლა ქმნის კარგ ჩონჩხს - ვარჯი განზე იზრდება და მკვრივი ხდება. გასხვლა ტარდება სასხლავი მანქანით ან მაკრატლით. გადანაჭერი ჰორიზონტალური უნდა იყოს. ყლორტები, რომლებიც ვერ აღწევს სიმაღლეს -გაუსხლავი უნდა დარჩეს. როგორც წესი - გვერდითი ტოტები არ ისხვლება. თუ რომელიმე მცენარე ვერ აღწევს სიმაღლეს - გაუსხლავი რჩება.

მესამე და შემდგომი გასხვლის მიზანია ბუჩქის გაგანიერება და მათთვის სიმაღლის მიცემა. ეს კეთდება ისეთი გათვლით, რომ 8-9 წლის ბუჩქი სიმაღლით - 60-70 სმ სიმაღლისა იყოს. იმერეთისათვის ეს მონაცემი შეადგენს - 50-55 სმ-ს.

მესამე და შემდგომი გასხვლა ტარდება ყოველ წელს იმავე ვადებში, იმ ანგარიშით, რომ მომდევნო წელს ბუჩქები გაისახალა 5-10 სმ -ით უფრო მაღლა.

**10. სრულასაკოვანი ფოთოლსაკრეფი პლანტაციის გასხვლა-** პლანტაცია 8-9 წლის ასაკში -სრულასაკოვანია. ასეთ პლანტაციაში ტარდება ორი სახის გასხვლა - შპალერული და ნახევრადმძიმე და მძიმე. შპალერული გასხვლა იყოფა სახეებად: მსუბუქი ანუ ზერელე გასხვლა და ჩვეულებრივი გასხვლა - აგრონესებით.

მსუბუქი შპალერული ტარდება მაშინ, როცა ცალკეული ბუჩქის სიმაღლე- 40 სმ-ს არ აღემატება და საჭიროა მათი ამაღლება.

აგრონესებით შპალერული გასხვლა ყველაზე გავრცელებული სახეა, როთაც ბუჩქების ყლორტნარმოქმნის უნარი უნდა გაძლიერდეს და გენერაციული აქტივობა შესუსტდეს. ამ ღონისძიებით ბუჩქს უნდა მიეცეს სასურველი ფორმა.

**11. ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლა - დაკავშირებულია სასიცოცხლო პროცესის დარღვევასთან და პროდუქტიულობის დაცემასთან. ღონისძიების მიზანია ბუჩქის მოპერებული თაღის განახლება.**

ნახევრადმძიმე გასხვლა 1-2 წლიანი ნაზარდების მოცილებით ტარდება მაშინ, როცა ყლორტები დაკნინებულია. გასხვლა ტარდება 5-10 სმ სიღრმეზე ბუჩქის ზედაპირთან.

ნახევრადმძიმე გასხვლა 3-4 წლიანი ნაზარდების მოცილებით - ამ ღონისძიების მიზანია იგივე ამოცანა, მხოლოდ სიღრმეშია განსხვავება და ტარდება 20-25 სმ სიღრმეზე.

ნახევრადმძიმე გასხვლა ფესვის ყელიდან 35-60 სმ სიღრმეზე ტარდება მაშინ, როცა ბუჩქს ცუდად განვითარებული, დეფორმირებილი, მეჩხერი ვარჯი აქვს.

მძიმეა გასხვლა, როცა ის ტარდება ფესვის ყელიდან 35 სმ-ზე უფრო დაბლა. ეს იგივეა, რაც გაისხლას მცენარე ფესვის ყელიდან 10-15 სმ სიმაღლეზე.

გაახალგაზრდავებას მიმართავენ მაშინ, როცა ბუჩქის შტამბი 10-15 სმ-ზე დაზიანებულია, მძიმე გასხვლას აზრი არა აქვს.

ამ დროს, ბუჩქს ბალის მაკრატლით ან ხერხით გადაჭრიან ფესვის ყელთან.

ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლა შესაძლოა ჩატარდეს შემოდგომა- ზამთრის თბილ ამინდებში ან გაზაფხულზე, მარტში, ოლონდ პირველ შემთხვევაში, განასხლავი მასალა ბუჩქზე უნდა დარჩეს.

**12. ჩაის ფოთლის კრეფა** - მის დროულ და სწორ ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელი სეზონის განმავლობაში მისი ერთიანად კრეფა შეუძლებელია ზრდა- განვითარების ცვლილების გამო.

სეზონის მიხედვით ჩაის ფოთლის კრეფა დიფერენცირებულია:

1) კრეფა და მისი ნესები აპრილ- მაისში - ფოთლის შემოსვლის დაგვიანების გამო, კრეფის გეგმა აპრილში ცალკე არ განიხილება და აპრილ- მაისი ერთად იგეგმება. სრულმოსავლიან პლანტაციაში, რომელიც შპალერულად ისხვლება, შემოსულად ითვლება 4-5 ფოთლიანი ნორმალური და 3-4 ფოთლიანი ყრუნაზი დუყები. პირველიდან იკრიფება 2-3 ფოთლიანი ყლორტები კვირტით, ხოლო ბუჩქის ნეკზე რჩება ორ-ორი ნორმალური ფოთოლი, თევზა ფოთლით. მეორიდან იკრიფება 1-2 ფოთლიანი ნაზი დუყები და რჩება ორი ნორმალური ფოთოლი. ამ პერიოდის განმავლობაში კრეფა 4-5 ჯერ მაინც უნდა ჩავატაროთ.

კრეფა ივნისში- ამ დროს, 3-4 ფოთლიანი დუყები მზადაა საკრეფად და კრეფენ 2-3 ფოთლიან ნაზ დუყებს, ხოლო ნეკზე რჩება თითო ნორმალური ფოთოლი და თევზა ფოთოლი.

კრეფა ივნისიდან სეზონის ბოლომდე- ამ კრეფის დროს, ნეკზე რჩება მხოლოდ თევზა ფოთოლი ანუ იკრიფება 2-3 ფოთლიანი ნორმალური და 1-2 ფოთლიანი ყრუ ყლორტიდან იკრიფება 2-3 ფოთლიანი ნორმალური დუყი და 1-2 ფოთლიანი ნაზი ყრუ დუყი.

**13. ფოთლის კრეფა ახალგაზრდა პლანტაციებში-** ფოთლის კრეფა გაშენებიდან მეხუთე წელს უნდა დაიწყოს. ეს ემთხვევა გასხვლა- ფორმირების მეორედ ჩატარების წელს. იკრიფება ამ დროს ისეთი ბუჩქებიდან, რომლებმაც - 45-50 სმ სიმაღლეს მი-

აღნიეს. კრეფის პირველ წლებში გვერდითი ფოთლები არ უნდა მოიკრიფოს.

**14. ფოთლის კრეფა სუსტსა და ზრდაში ჩამორჩენილ ბუჩქებზე-** სანამ, ისინი არ მიაღწევენ 45 სმ სიმაღლეს- კრეფა არ უნდა ვაწარმოოთ. პირველი კრეფისას ორფოთლიანი დუყები უნდა მოიკრიფოს, ხოლო ნეკზე ბუჩქის პირველადი სიმაღლის მიხედვით -3-6 და მეტი ფოთოლი უნდა დატოვოთ.

**15. ფოთლის კრეფა ნახევრადმძიმე და მძიმედ გასხლულ პლანტაციებში-ამ დროს, კრეფა სწარმოებს მაშინ, როცა განვითარდება 6-7 ფოთლიანი ყლორტები. აქედან მოიკრიფება 2-3 ფოთლიანი ნაზი დუყები.**

მძიმედ გასხლულზე დუყები მოიკრიფება მაშინ, როცა ისინი მიაღწევენ 45-50 სმ სიმაღლეს. იკრიფება 2-3 ფოთლიანი ნაზი დუყები. მძიმედგასხლულ ბუჩქებზე გვერდითი ყლორტების ფოთოლი არ უნდა მოიკრიფოს, ვიდრე ისინი არ მიაღწევენ საერთო სიმაღლეს.

**16. გაძლიერებული კრეფა** -ტარდება სრულმოსავლიან, მაღალმოსავლიან პლანტაციაში, მსუბუქი გასხვლის ფონზე. კრეფის ეს სახე შეიძლება ვაწარმოოთ ერთსა და იმავე პლანტაციაში 1-2 წლის განმავლობაში. ასეთი კრეფისას მაის-ივნისში ნეკზე რჩება თითო ნორმალური ფოთოლი და თევზა ფოთოლი. თუ ნეკზე რჩება მხოლოდ თევზა ფოთოლი, ამ კრეფისას არ ელოდებიან 4-5 ფოთლიანი ყლორტების განვითარებას და კრეფას იწყებენ 8-10 დღით ადრე.

**17. ფოთლის მსუბუქად კრეფა** -მიმართავენ სუსტ პლანტაციაში, რომლის სიმაღლე არ აღემატება 45 სმ სიმაღლეს. იკრიფება ასეთნაირად ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლის წელს. აპრილ- მაისში კრეფას იწყებენ 6-7 ფოთლიანი ყლორტებიდან და კრეფენ 2-3 ფოთლიან ნაზ დუყებს, ხოლო ნეკზე ტოვებენ 3-4 ნორმალურ ფოთლოს და თევზა ფოთოლს.

**18. ფოთლის მკაცრი კრეფა** - ასეთი კრეფის დროს 2-3 ფოთლიანი ყლორტებიდან იკრიფება 2-3 ფოთლიანი დუყი და ნეკზე რჩება მხოლოდ თევზა ფოთოლი. მართალია პირველ წლებში

მოსავალი მატულობს, მაგრამ შემდგომ, ბუჩქი სუსტდება და მოსავალი კლებულობს. გამონაკლისია კრეფა ზაფხულში გასასხლავად დატოვებულ პლანტაციაში.

**19. ფოთლის სპეციალური კრეფა -** მიმართავენ განსაკუთრებული ხარისხის ნედლეულისა და პროდუქციის მიღების მიზნით. ასეთი ნედლეული იკრიფება მძლავრ პლანტაციაში, რომელიც განლაგებულია მზიან ადგილებში. კრეფა სწარმოებს ივლის-აგვისტოს თვეში, როცა ორგანოლეპტიკა პიკშია. ამ დროს ნორმალური ყლორტებიდან იკრიფება 1-2 ფოთლიანი ნაზი დუყი კვირტით. ყრუ ნაზი ყლორტებიდან ფოთოლი არ იკრიფება. ფოთოლი იკრიფება დილის ნამის შეშრობის შემდეგ, პატარა სპეციალურ კალათებში და დაუყონებლივ იგზავნება გადასამუშავებლად.

**20. საფოთლე პლანტაციის გაშენება, რემონტი, მოვლა -** ჩაის სამეურნეო პლანტაციების ბორდიურული წესით გაშენებისას თესლი ბუდნაში ითესება  $1,75 \times 0,35$  მ ან  $1,5 \times 0,35$  მ კვების არით. ბუდნები ეწყობა ერთმანეთისაგან  $0,35$  მ დაშორებით, რომელიც თესვის წინ ფხვიერედება  $5-10$  სმ სიღრმით და მასში  $4-6$  სმ სიღრმეზე ითესება  $5-6$  ცალი თესლი. ბუდნის შუაში ასობენ პალოს და იფარება ორგანული ნარჩენით. წუნდება- გამოხშირვის შემდეგ, ბუდნაში რჩება  $2-3$  მცენარე.

**21. 1-3 წლიანი პლანტაციის რემონტი -** ტარდება გამოთესვის ან ბუჩქის გადაწვენით. გამეჩხრებული პლანტაციის რემონტი სათანადოდ მომზადებულ ბუდნაში  $5-5$  ცალი თესლის ჩათესვით ხდება.

**22. ხნიერი პლანტაციების რემონტი პოლიეთილენის პარკებში გამოყვანილი ნერგებით -** ბუდნაში რგავენ თითო ნერგს და უხვად რწყავენ. ნერგებით რემონტის საუკეთესო ვადაა სექტემბერი-ოქტომბერი.

**23. სრულმოსავლიანი პლანტაციის რემონტი ბუჩქების გადაწვენით-მოცდენილ ადგილზე გაზაფხულზე იღებენ ორმოს სიღრმით  $40$  სმ, შეაქვთ ნაკელი -  $10-11$  კგ და სუპერფოსფატი. ამის შემდეგ, გადააწვენენ მეზობელი ბუჩქიდან ერთნლიან**

ტოტს და ჯოხით ამაგრებენ შეესებულ ორმოში - 15-20 სმ სიღ-  
რმეზე. ორმოს ავსებენ ნაკელშერეული მიწით და ტკეპნიან. გა-  
დანაწვენს ქვედა მხარეზე დანით სერავენ, დაფესვიანების დაჩ-  
ქარების მიზნით.

**24. ჩაის პლანტაციის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მო-  
ითხოვს ლონისძიებათა სისტემის მთელი კასკადის ჩატარებას,  
დაკავშირებულს პლანტაციის შეცვლასთან, აგროდონისძიებების  
გატარებასთან. ლონისძიებათა კომპლექსის ჩატარება საჭიროა  
მდგომარეობის კარდინალურად შესაცვლელად ან, შესაცვლელი  
პლანტაციის აღდგენის შესაძლებლობათა ძიებასთან.**

შესაცვლელი პლანტაციები შესაძლოა აღდგენილიქნას,  
როგორც თესლის თესვით, ასევე ნერგებითაც. როგორც წესი,  
შესაცვლელი, დაბალმოსავლიანი პლანტაცია გამოირჩევა მცე-  
ნარეთა ვარჯის შეუკვრელობით, რიგთაშორისებში სიმეჩრით.  
პირველ რიგში უნდა გამოირკვეს თესლის თესვის ან ,ნერგის  
დარგვის შესაძლებლობა, მძიმე გასხვლის ჩატარების გარეშე,  
პლანტაციის შეცვლის დაწყების წელს. ეს შესაძლებელია მხო-  
ლოდ იმ შემთხვევაში, როცა რიგთაშორისებში არის თავისუ-  
ფალი გასასვლელი, არა ნაკლებ 70 სმ სიფართისა, ხოლო თუ  
დაბალმოსავლიანი პლანტაცია უფრო შეკრულია, საჭიროა ნა-  
ხევრადმძიმე ან, კიდევ- მძიმე გასხვლის ჩატარება. ამ შემთხვე-  
ვაში, გასხვლის ჩატარების შემდეგ, ნასხლავი მასალა საჭიროა  
გატანილიქნას პლანტაციიდან და შემდეგ ჩატარდეს ნიადაგის  
გადაბარვა რიგთაშორისებში. გადაბარვა უნდა ჩატარდეს 45-50  
სმ სიღრმეზე, აუცილებლად პლანტაჟით ან - გადაბარვის მთელ  
სიღრმეზე შევიტანოთ ფოსფორიანი სასუქის ოთხმაგი დოზა-  
ფოსფორიტის ფქვილის სახით.

ნიადაგის დამუშავებისას, გადაბარვის მთელ სიგანეზე და  
სიღრმეზე არსებული შესაცვლელი ჩაის ბუჩქის ფესვთა სისტე-  
მა, თავისთავად იგულისხმება, გადაიჭრება. გადაბარვის შემ-  
დეგ, აგრონექსების შესაბამისად, ტარდება დაგეეგმვა და თესლის  
თესვა ან- ნერგის რგვა. ახალი ნათესებისა და ნარგავების მოვ-  
ლა იგივეა, რაც ჩვეულებრივი ახალგაზრდა პლანტაციისათვის.

ნასხლავი მასალის ნაწილი გამოდგება ჩაის ნათესარების ან ნარგავების დასამულჩად. მძიმედ გასხლულ შესაცვლელ ბუჩქებზე, მათი დასუსტების მიზნით, ახალგაზრდა პლანტაციების განვითარების მიხედვით, ტარდება მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი კრეფა-4-5 ნლის განმავლობაში. ამის შემდეგ, როცა საჭირო გახდება ძველი ბუჩქების ამოძირკვა-ეს უკანასკელი ტარდება ნიადაგის პლანტაჟურად - 45-50 სმ სიღრმეზე გადაბარვასთან და ფოსფორიტის ფქვილის სახით შეტანასთან ერთდროულად. აგრეთვე ოთხმაგი დოზით- გადაბარვის მთელ სიგრძეზე.

ძველი, დაბალმოსავლიანი პლანტაციების შეცვლის ამ ხერხის გამოყენებისას არსებული პლანტაცია ერთბაშად კი არ ისპობა, არამედ განსაზღვრული დროით გამოიყენება ფოთლის მოსავლის მისაღებად და ამასთან ერთად, თანდათან, აღიზრდება ახალგაზრდა პლანტაციაც.

#### **4.8-ჩაის მცენარის პროდუქტიულობის აღდგენა - პლანტაციის მოსავლიანობის გაზრდის გარანტი (გასხვლის სახეების ფონზე)**

პლანტაციების დღევანდელი მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია ღონისძიებათა გონივრული მორიგეობითა და მათი ჩატარების დროულობით. მიზეზთა გამო ყურადღებას მოკლებული პლანტაციების აღდგენა გულისხმობს ამოცანების შესრულებას, რომელთა შორის ძირითადი ყურადღება გასხვლა-ფორმირებას უნდა მიექცეს. მოსალოდნელი პროდუქტიულობა მცენარეებისა დიდადა დამოკიდებული გასხვლის სახეების შერჩევაზე და მის შემდგომ გასატარებელ აგროლონისძიებებზე. აღნიშნული აუცილებელია პლანტაციის აღდგენისათვის.

გასხვლის სხვადასხვა სახის გამოყენების მიუხედავად, ამოცანა მხოლოდ ერთია- უნდა შეიზღუდოს ისეთი პროცესი, როგორიცაა ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობისაკენ მიდრეკილება და გააქტიურდეს ბუჩქის ვეგეტაციური აქტივობა.

რაღაც მიზეზის გამო დაკარგული ნაწილის აღდგენა- მცენარისათვის ძალზე რთული ფიზიოლოგიური პროცესია, რომელიც ყურადღებას მოითხოვს.

გასხვლის სხვადასხვა სახე- ნახევრადმიმე, მძიმე და შპალერული- სხვადასხვა სახის დაზიანებას აყენებს მცენარეს.

დაკარგული ნაწილის აღდგენა კი დიფერენცირებულ მიღომას საჭიროებს.

დაკარგული ნაწილების აღდგენის პროცესის სიჩქარე და-მოკიდებულია ნიადაგის საკვები ელემენტებით გაჯერების ხარისხზე, მცენარის ფესვთა სისტემის მდგომარეობასა და კვების ინტენსივობის გაძლიერებაზე.

დიდადაა დამოკიდებული აღდგენის პროცესის სიჩქარე ჯიშობრივ თვისებებსა და მოვლა-მოყვანის ზონის ნიადაგურკლიმატურ პირობებზე.

მძიმე გასხვლის მიზანების მილობრივობა დიდადაა დამოკიდებული ჩაის მცენარის სტადიურ განვითარებაზე, რადგან თუ მცენარე სტადიური მობერების სტადიაშია, მაშინ მძიმე და ნახევრადმიმე გასხვლის სახეების ჩატარება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული.

არის მონაცემები, რომლის მიხედვითაც გასხვლის სახეების მიხედვით აღდგენის პროცესი ნარიმართოს სხვადასხვა სახით:

**1. გასხვლა ბუჩქებისა-40-45 სმ სიმაღლეზე.**

**2. გასხვლა -18-20 სმ სიმაღლეზე.**

**3. გასხვლა- გაახალგაზრდავება ფესვის ყელზე.**

რეკომენდებულია ნასხლავი მასალის გატანა პლანტაციიდან და მწკრივთაშორისების დამუშავება -15-20 სმ სიღრმეზე. საჭიროა ინტენსიური გამოკვება მცენარეებისა ფოსფორიანი, კალიუმიანი და აზოტიანი სასუქით. მიზანებინილია სასუქების გაზრდილი დოზების გამოყენება.

სასუქების შეტანა საჭიროა და უპირატესობა ეძლევა მათ შეტანას ადრე გაზაფხულზე.

როგორც მონაცემები მიუთითებს - გასხლულ ბუჩქებზე, გასხვლის სახეების მიხედვით, კვირტების გაღვიძების დრო სხვადასხვანაირია. ეს, კი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან მომავალი მოსავლის ფორმირება დიდადაა და-მოკიდებული მასზე.

გასხვლის სხვადასხვა სახის ფონზე- ვეგეტაციის დასაწყისი სი სხვადასხვანაირია და ვადებს შორის არსებითი განსხვავება შეინიშნება.

ყველაზე ადრე იწყება ვეგეტაცია ნახევრადმძიმე გასხვლის ფონზე და ის ივნისის პირველი დეკადისათვის იწყება. რაც შეეხება მცენარეების ვეგეტაციის საწყისს მძიმედ გასხვლის ფონზე- აქ, ვეგეტაცია ივნისის თვის მესამე დეკადას ემთხვევა.

სხვარადა საკითხი, როცა მცენარეები გასხლულია ფესვის ყელზე. ამ დროს მცენარეთა ვეგეტაცია იგვიანებს და ის იწყება ივლისის პირველი დეკადის დასასრულსა და მეორის დასაწყისში.

მცენარეზე არსებული მძინარე კვირტების გაღვიძების ხასიათი დამოკიდებულია, როგორც მცენარის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, ასევე გასხვლის სახეებზე. ფესვის ყელზე მცენარეთა გადაჭრის შემთხვევაში მცენარეთა ვეგეტაცია იგვიანებს.

გასხვლის სახეების პირველ ორ ვარიანტში ყლორტები ძირითადად მეორე-მესამე რიგის ტოტებიდან იწყებენ განვითარებას, რადგან ისინი ასაკით უფრო ახალგაზრდანი არიან და ადრე შედიან ვეგეტაციაში.

რაც შეეხება ფესვის ყელთან არსებულ კანწვეშა მძინარე კვირტებს, ისინი გამერქნებული არიან და მათი ვეგეტაციაში შესვლა რთულია. მორფოლოგიის მიხედვით ფესვის ყელიდან გამოსული ყლორტები უფრო იუვენილურ ხასიათს ატარებს-გრძელი მუხლთსორისებით, მსხვილი ღეროებითა და ფოთლის დიდი ზომის ფირფიტებით.

საინტერესოა რეგენერაციის ხასიათი გასხვლის სახეების მიხედვით. ყლორტის რაოდენობა სხვადასხვაა და ის პირდაპირ კავშირშია გასხვლის ხასიათთან.

თუ ბუჩქები გაისხვლება 40-45 სმ სიმაღლეზე, მაშინ - გასხვლის პირველ წელს ყველაზე მეტი რაოდენობით ყლორტები ნარმოიშობა. გასხვლის წელს ყლორტების მცირე რაოდენობა აღინიშნება - გასხვლისას ფესვის ყელზე.

ბიომეტრული მაჩვენებლები ყლორტისა (ყლორტის სიგრძე, ფოთლების რაოდენობა, ფოთლის ფირფიტის საშუალო ფართი) უფრო იპირატესი მაჩვენებლებით ხასიათდება ფესვის ყელთან გასხვლის შემთხვევაში.

უპირატესობა ამ შემთხვევაში, ასეთი გასხვლისას , მაინც მისაღები არაა რეაბილიტაციისათვის, რადგან ფესვის ყელიდან ბუჩქების რეაბილიტაცია ძნელად მიმდინარეობს, კვირტების გაღვიძების დაგვიანების გამო (ზოგჯერ 2-3 თვით).

დროის ამ პერიოდში დიდია პლანტაციების დასარევლიანების რისკი, რომლებიც თავის მხრივ კონკურენციას უწევენ ყლორტებს.

ამ დროს, თავს იჩენს აგრეთვე პირუტყვის უარყოფითი მოქმედების ფაქტორიც -ისინი ეტანებიან ნაზ, იუვენილურ ყლორტებს.

გასხვლის ეს სახე კონტროლირებულ პირობებს მოითხოვს (უნდა იყოს დაცული აგროლონისძიებების კომპლექსის შესაბამისობა) და ის უნდა ჩატარდეს სათანადო დაცულობის პირობებში.

მიზეზთა გამო მიტოვებული პლანტაციების რეაბილიტაციისათვის საჭიროა უპირატესობა მიეცეს ნახევრად მძიმე გასხვლისა და მძიმე გასხვლის სახეებს.

სათანადო ყურადღების ღირსია ბიოლოგიურად ხანდაზმული პლანტაციების აღდგენის პროცესისას თანდმევი პროცესები.

როცა გვიხდება ხანდაზმული პლანტაციების აღდგენა (60-70 წლის ასაკისა) შესაძლოა მძინარე კვირტების ვეგეტაცია ვერც განხორციელდეს. ამ დროს, შესაძლოა ბუჩქები გახმეს ან განივითაროს სუსტი ამონაყრები.

როცა საკითხი ახალგაზრდა პლანტაციებს ეხება- ეს პროცესი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, რადგან პლანტაციების 20-30 წლის ასაკი პროდუქტიულია და ჭრილობების მიმართ რეგენერაციის პროცესიც უმტკივნეულო.

სასურველი შედეგის მისაღწევად საჭიროა დაცულიერების კვების განსაკუთრებული რეჟიმი და აგროტექნიკის ყველა ღონისძიება.

ნიადაგის ყოველწლიური გაფხვიერებითა და მინერალური სასუქების აგროლონისძიებებით შეტანით, სარეველებთან ეფექტური ბრძოლით- გასხვლიდან მეოთხე წელს შესამჩნევია ბუჩქის აღდგენის ტენდენციები.

**პირველი ოთხი წლის განმავლობაში უნდა ჩატარდეს მხოლოდ მსუბუქი კრეფა, რაც ბუჩქის აღდგენისათვის მეტად საჭიროა.**

**პირველი 4-5 წლის განმავლობაში ყოვლად დაუშვებელია ბუჩქების მკაცრი ან გაძლიერებული კრეფა.**

გასხვლის მიზანია მცენარემ აღიდგინოს მიწისზედა ვარჯი.

გასხვლის პირველ წელს ფოთოლი საკრეფად სავეგეტაციო პერიოდის მეორე ნახევარში შემოდის. ცდის მესამე ვარიანტში-ში- ფოთლის კრეფა მიზანშეწონილი არ არის. დანარჩენ წლებში ბუჩქის მსუბუქი გასხვლა და ფოთლის კრეფაა საჭირო აგრონე-სებით.

რეაბილიტაციის პირველ წლებში მოსავლიანობა ძალზე მცირეა, თუმცა შემდეგ, ყოველ წელს აღინიშნება მოსავლიანობის ყოველწლიური ზრდა.

ყველაზე ინტენსიურად ეს პროცესი შეინიშნება იმ ბუჩქებზე, რომლებიც გასხლულია 40-45 სმ სიმაღლეზე. ფესვის ყელ-თან გასხვლის შემთხვევაში პროცესი ნელა მიმდინარეობს და დიდი დრო სჭირდება სრულყოფილი ვარჯის ჩამოყალიბებას.

აღნიშნულ ვარიანტზე, გასხვლის მეხუთე წელს, პირველ ვარიანტთან შედარებით, ორჯერ ნაკლები მოსავალი მიიღება.

მეორე ვარიანტს შუალედური ადგილი უჭირავს, თუმცა სრულმოსავლიანი ვარჯის ჩამოყალიბებას აქაც დიდი დრო სჭირდება.

აღსადგენი პლანტაციებისათვის ფესვის ყელთან გადაჭრა არაა საიმედო შედეგის მომცემი. ეს ეხება მცენარეთა ბიოლოგიურ მხარეს და ღონისძიების უკონომიურ მხარესაც.

ფოთლის მექანიკური შემადგენლობის მიხედვით უპირატესობა მძიმედ გასხვლის ვარიანტს ეძლევა, რადგან იუვენილური ყლორტებიდან უფრო ნაზი ყლორტები მიიღება.

თვეების მიხედვით ფოთლის მექანიკური შემადგენლობა ასეთია-ის იცვლება კრეფის ჯერადობის მიხედვით. ნაზი ფრაქციის უფრო მეტი რაოდენობა მაისშია, ივნისში კლებულობს, ივ-ლის-აგვისტოში - ისევ იზრდება.

რაც შეეხება სექტემბერ-ოქტომბრის თვეს- მნიშვნელოვნად იზრდება მოუხეშო და უხეში ფრაქციების ხვედრითი წილი.

თუ გასხლულ პლანტაციებში პირველი რიგის ღეროების ძირითადი რაოდენობა დაფარული იყო ხავსებით, მეოთხე- მეხუთე წელს მათზე ხავსების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება.

საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა პირველ ვარიანტში

შეადგენს-7500 კგ-ს, მეორეში-5000 კგ-ს, ხოლო ბოლო ვარიანტში-3600 კგ-ს.

რაც შეეხება ნიადაგის მოვლისა და განოყიერების სისტემას, ის იგივეა, რაც სრულმოსავლიანი პლანტაციისა.

#### 4.9 - ჩაის პლანტაციების აღდგენის ღონისძიებათა სისტემა

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისათვის- ყურადსალებია შემდეგი ღონისძიებების ჩატარება:

1) მოწყოს დეტალური პასპორტიზაცია პლანტაციის მდგომარეობისა საქართველოში და დადგინდეს ზუსტი რაოდენობა პლანტაციებისა, რომელიც ექვემდებარება რეაბილიტაციას.

2) ჩაის გავრცელების რაიონებისა და ზონების მიხედვით მოწყოს ჯიშობრივი ანალიზი ჩაის პლანტაციების მდგომარეობისა- გაშენების წესის, აგროტექნიკის სახის დეტალური კვლევით.

3) რეაბილიტაციის მიზნით საჭიროა განისაზღვროს ჩაის მცენარის გაშენების ასაკი და ფიზიკური მდგომარეობა და ამის შემდეგ ჩატარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოს სახე. რეაბილიტაციის ღონისძიები (ბუჩქების მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლა) არ იძლევა სასურველ შედეგს. პროცესის ეფექტურობა კარგად წარიმართება შედარებით ახალგაზრდა პლანტაციაში, რომლის ასაკიც 25-35 წელიწადია. ძალზე ეფექტურია გადაჭრა მცენარეთა 35-50 სმ-ზე (ნასხლავი მასალის მულჩად გამოყენებით).

4) გამოკვლევათა შედეგები გვიჩვენებს, რომ მძიმე გასხვლა ნაკლებეფექტურია.

5) რეაბილიტაციის ორგანული ნაწილია ჩაის აპრობირებული ჯიშების თესლისა და ნერგების წარმოების ორგანიზაცია.

მასშტაბური გამოკვლევები, ზონების მიხედვით იძლევა იმის გარანტიას, რომ გამოიყოს სადედე მცენარეები თესლებისა და კალმების მისაღებად. ისინი უნდა ჩავაყენოთ მოვლა-მოყვანის შესაფერის პირობებში.

6) სადედე პლანტაციებში მცენარეთა მოვლის პირობები უნდა შეესაბამებოდეს ჩაის მცენარისათვის საჭირო მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ სადედეებად გამოყოფენ საკვლევი ორგანიზაციის ნაკვეთებზე არსებულ ჯიშ - კლონებს. სიზუსტე ამ სფეროში რეაბილიტაციის სწორი ორიენტირია. საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი პარამეტრები: ვეგეტაციური ნაწილების განვითარების ერთდროულობა, გამოთანაბრებულობა, ფოთლის შემოსვლის ოპტიმალური ვადების უზრუნველყოფა, მყარი მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი. საჭიროა სადედე პლანტაციებზი გაშენდეს ერთი ჯიშის ან კლონის, ვეგეტაციურად გამრავლებული ნერგებით.

7) ამ ღონისძიებების წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა ყველა მითითებისა და ინსტრუქციის მკაფირად ჩატარება, რაც რეაბილიტაციისათვის არის განკუთვნილი.

**Тамаз Кунчулия Шота Кикелишвили Зураб Букия**  
**„Грузинское чаеводство (недавнее прошлое)"**

**Резюме**

Общеизвестно, что чай народная культура и по доходу и трудоустройству людей не имеет конкурентов.

В исторически короткое время, усердием правительства, чаеводство перешло на индустриальной основе и производственный цикл – от сырья до готовой продукции, стал таким, каким в классических странах производства чая.

К сожалению в начале 70-ых годов двадцатого столетия, правительством было принято неверное решение – увеличение плана производства продукции, без увеличения насаждений чая, что вызвало резкое ухудшение качества сырья и продукции ,биологическое угнетение кустов.

Из-за низкого качества продукции, в процессе перехода на рыночной экономике, меньше стало потребителей на грузинский чай, что вызвало потерю традиционного рынка. У Грузинского чаеводства отошли хозяйствственные, производственные и финансовые опоры, в результате чего отрасль перестала функционировать.

Труд посвящен одной из ведущей отрасли Грузинской экономики ,в недавнем прошлом- чаеводству, отрицательным явлениям, развивающим в отрасли за последние 25 лет и причинам вызвавшим их.Вычленены заслуги правительства и частных структур в деградации отрасли.

Книга состоит из введения и четырех глав, из которых три главы посвящены- исследованиям проблемных вопросов экономики отрасли, а четвертая глава посвящена необходимым агротехническим мероприятиям реабилитации чайных плантаций.

В первой главе – „Современные тенденции развития чаеводства“- в условиях тенденции долгосрочной потребности на чай, что олицетворено в мире ростом насаждении производства продукции и ростом числа стран, потребителей чая. Отмечено о том, что из чаеводческих стран- Грузия оказалась единсвенной ,кото-

рая резко сократила как насаждения чая, также производство продукции. Рассмотрены причины ,вызвавшие экономический кризис в отрасли, в том числе те проблемы, в возникновении которых виновато государство.

Во второй главе –,, Проблемы адаптирования чаеводства к рыночным условиям“- на примере опыта других стран доказана ведущая роль государства в развитии отрасли, особенно в условиях экономических реформ. Проанализованы оказанная помощь Государством, в переходный период и ошибки, допущенные в этом процессе. Сказано о том, что у Грузии есть всякие почвенно- климатические есловия, для возвращения на мировую сцену чаеврдства. Представлены методы добывания инвестиции в отрасли.

В третьей главе –,,Институциональные и структурные изменения в чаеводстве“ - рассмотрены программы реабилитации чаеводства и мешающие причины их реализации. В первые рассмотрено постановление правительства, принятое 16 января 2016 года N20 - „О реабилитации чайных плантаций в Грузии“, который вместо больших ожиданий, не принесло нужный результат .Сказано о том ,что лучше программу реабилитации продлит долгое, чем оставить без какого либо обязательного мероприятия

Заострено внимание на обязательность ,в современных условиях , создания структурной единицы управления и о функциях, которые должны произойти в звене управления.

Четвертая глава посвящена агротехническим мероприятиям, проведение которых обязательны для реабилитации чайных плантаций. Примечательно, что характер реабилитационных работ и время их проведения дифференцированы, исходя из положений чайных кустов.

**Tamaz Kunchulia Shota Kikalishvili Zurab Bukia**  
**“Georgian Tea-Growing (The latest past)”**

**Resume**

It is widely and universally known that Tea is a public culture with no competitor in terms employment and income.

Historically in short period of time with a State effort Tea-growing went into industrial basis and production cycle from raw material turns into production in such way as it was in Tea Industry in classical countries.

Unfortunately, at the beginning of the 20<sup>th</sup> century -'s 70-s Government made a wrong decision- without expansion of Tea plantation, about increasing the production plans several times, caused the sharp decline in quality first in raw material then in production, the biological weakening of the bush.

Due to poor quality of the production, moving on the market economic, Georgian Tea suffered the loss of its consumers that caused the loss of traditional market. Tea growing lost agricultural, manufacturing and financial support, due to the fact the field has stopped functioning.

The work is dedicated to one of the leading field in Georgian economic - Tea growing in recent past, especially the negative events developed within 25 years in it and its causing reasons. It is clear that State and private sector had the contribution of the degradation of this field.

The book contains the introduction and four chapters, the three out of them dedicated to the study of the economic problems of the mentioned field, while the fourth chapter is devoted to Tea Plantation rehabilitation necessary agro-technique events.

In the first chapter –“Modern tendency of Tea growing Development – within the condition of long-term demand on Tea, that is reflected in the growth of Tea –Growing in the world, its production, among Tea-Growing countries –Georgia appears the only country which reduces Tea-growing and production significantly. It has been discussed the causing reasons of economic crisis in the field the cause of which has been the merit of the State.

In the second chapter –“Tea-growing market adaptation problem towards the environment”- it is reasoned on the example of the other

countries' Tea-growing experiences, the leading role of the State to developing the field, especially in the condition of economic reforms. It has been analyzed that the assistance provided to the Tea-growing and the mistakes having made in the process. It is said that Georgia has any soil-climate conditions to come back on the Tea-growing stage. It has been offered the ways to attracting the investments.

It has been explained in the work, that the economic reforms made in Tea-growing has proved once more that it in the other equal conditions, the efficient development of the production are the opportunities and not the aim. In the case of absence of market environment, the diversity of producing and production realization, that is inevitably follows the economic reforms, gives the reverse effect. It has been appeared on the tea example very obviously.

In the third chapter – “The institutional and structural changes in tea-growing”, the worked out programs have been discussed for the rehabilitation of Tea-growing and the preventing reasons of their realization.

In 2016 on January 16, it was discussed the first time by Georgian government the adopted decree N 20 – “About tea plantation rehabilitation in Georgia” that in spite of great expectation did not give the proper result. They say that it would be better to drag out the time of the Tea-growing rehabilitation program than to be omitted or lack the importantly performed/ completed/ events.

It has been paid a great attention to necessarily create in modern conditions the field management structural unit and on those functions that to be performed in a field managing link.

The fourth chapter is dedicated to agro-technique events that to be performed for Tea-growing rehabilitation. It is worth noting that the character of rehabilitation works and it performing time is differentiated according to tea bush condition.

## **ლიტერატურა**

### **I.ოფიციალური მასალები**

- 1.1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება N877,9დეკემბერი,93 წელი.-,,რესპუბლიკაში ჩაის,საკონდიტრო, საკონსერვო, ხორცისა და რძის ნაწარმის,ლუდის, მინერალური წყლების,უალკოჰოლო სასმელების ნარმოებაზე სახელმწიფო ლიცენზირების წესის შესახებ“.
- 1.2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება N326,5 ივნისი ,95 წელი.-,,რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მიწოდების შესახებ“.
- 1.3. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება N291,28 ივლისი,1995 წელი.-,,1993-1994 წლებში გამომუშავებული ჩაის პროდუქციის რეალიზაციის ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ“.
- 1.4. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N192,27 თებერვალი, 1996 წელი.-,,საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემისა და სხვა საწარმოების მიერ თურქმენეთისათვის მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებისა და ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადახდის გადავადების შესახებ“.
- 1.5. საქართველოს კანონი,N197- IIს,19 აპრილი,1996 წელი.-,,დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ“ და „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონებში დამატებებისა და ზოგიერთი დარგის საწარმოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე.

- 1.6. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N472,22 ივ-ლისი, 1996 წელი.-თურქმენეთში მწვანე ბაიხის ჩაის მიწოდების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.
- 1.7. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N177,10 აპ-რილი, 1997 წელი.-„მეჩაიეობის დარგის გადარჩენისა და რეაბილიტაციისათვის ფინანსური დახმარების შესახებ“.
- 1.8. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N267,8 ივნისი, 1997 წელი.-,,თურქმენეთში 1994-1995 წლებში გაგზავნილი ჩაის პროდუქციის ღირებულების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის შესახებ“.
- 1.9. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანება,N2-449,23 დეკემბერი,1997 წელი.-,მეჩაიეობის დარგის აღდგენისა და რეაბილიტაციისათვის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან 1998 წლისათვის სუბსიდიის სახით გამოყოფილი სამი მილიონი ლარის მაღალეფექტიანად გამომყენებელი ორგანიზაციის შესარჩევად ტენდერის გამოცხადების შესახებ“.
- 1.10. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანება,N2-57,30 ივნისი,1998 წელი.-,,სახელმწიფო- კომერციული გაერთიანება,,საქართველოს სალიკვიდაციო კომისიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ“.
- 1.11. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N109, 30 მარტი,1998 წელი.-,,საქართველოს მოსახლეობაში იოდის, სიცოცხლისათვის აუცილებელი მიკროელემენტებისა და ვიტამინების ნაკლებობით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკის, მკურნალობის და მათი შემდგომი ლიკვიდაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.
- 1.12. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N266,,25 აპ-რილი, 1998 წელი.-,,მეჩაიეობის დარგის აღდგენის და რეაბილიტაციის ღონისძიებათა შესახებ“.

- 1.13. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N419,4 ივლისი, 1999 წელი.-,,საქართველოს პრეზიდენტის საინვესტიციო პროგრამით მეჩაიეობის დარღის პრიორიტეტული განვითარების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 აპრილის N134 ბრძანებულების თაობაზე.
- 1.14. საქართველოს პარლამენტის დადგენილება,N2187- IIს,22 ივნისი,1999 წელი.-,,მეჩაიეობის აღორძინების სახელმწიფო პროგრამის (2000-2003 წლების პერიოდისათვის) შესახებ“.
- 1.15. Постановление Правительства РФ от 5 октября 1999 года – „О мерах по профилактике заболеваний, связанных с дефицитом йода“.
- 1.16. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანება,N2-97,9 ივნისი,2000 წელი.-,,მეჩაიეობის რაიონებში ჩაის პლანტაციების იჯარით გაცემისა და მეჩაიეობის დარგში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“.
- 1.17. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N265,6 აპრილი , 2001 წელი.-,,ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ“.
- 1.18. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანება,N73,12 აპრილი,2001 წელი.-,,ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ტენდერის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.
- 1.19. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N891,1 ივლისი, 2002 წელი.-,,ქართული ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ“.
- 1.20. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N336,27 მარტი , 2003 წელი.-,, მეჩაიეობაში საბაზრო გარემოს ფორმირების ხელშეწყობი პირობების შექმნის შესახებ“.

## **II.არაოფიციალური მასალები**

- 2.1. ხურციძე გ.,მოჰაჯიტ სენი.-,,საქართველოს ჩაის სექტორის მოდერნიზაციის საშუალოვადიანი გეგმის მონახაზი“,თბილისი,2000 წელი.-30 გვ.(ხელნაწერის უფლებით).
- 2.2. სახელმწიფო- მიზნობრივი პროგრამა „ჩაი“, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2003 წელი (ხელნაწერის უფლებით).-40გვ.
- 2.3. ლაზიშვილი ლ.,მახარობლიძე რ.-,,სამამულო მეჩაიეობის აღდგენა- განვითარების კონცეფცია“, თბილისი,2003 წელი (ხელნაწერის უფლებით).-35 გვ.
- 2.4. „კავკასიური ჩაის“ მიერ წარმოდგენილი ქართული, ხელით დამზადებული ჩაის ჩვენება“. - შემაჯამებელი შეფასება, ნაიგელ მელიკანი, 6 აპრილი, 2004 წელი (ხელნაწერის უფლებით).-10გვ.
- 2.5. „ქართული ჩაის შეფასება უცხოელი ექსპერტების მიერ“. - 6 იანვარი,2004 წელი (ხელნაწერის უფლებით).-5 გვ.
- 2.6. „საქართველოს მეჩაიეობის მიმოხილვა“, „სერმა“, თბილისი, 2003 წელი (ხელნაწერის უფლებით).- 25 გვ.
- 2.7. „ჩაის ბაზარი გაერთიანებულ სამეფოში“ - მოკლე მიმოხილვა, საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო, თბილისი,2000 წელი (ხელნაწერის უფლებით).-7 გვ.

## **II.ნიგნები და სტატიები**

- 3.1. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის ანგარიში.- „აგრარული რეფორმა და 1191-1995 წლებში საქართველოს აგროსამრენველო კომპლექსი მიმდინარე ცვლილებების ანალიზი და შეფასება“, თბილისი, 1996 წელი.

- 3.2. ავალიშვილი ნინო -გასხვლის სხვადასხვა ფონზე ხარისხოვანი ფოთლის კრეფის ინტერვალების გავლენა ჩაის მცენარის პროდუქტიულობაზე.- საკანდიდატო დისერტაცია.-100 გვ.
- 3.3. ანდლულაძე რ.-საბაზრო ურთიერთობანი და აგრარული მეცნიერება, ჟურნ. „ეკონომიკა“, N2-3, გვ.24-27, 1993 წელი.
- 3.4. ზურაბ ბუკია, ნოდარ ბერიძე-ჰიბრიდიზაცია, ნუცელარული სელექცია და მუტაცია მანდარინის - (Citrus Reticulata Bl.) ზოგიერთი ნაგალა ჯიშის ფორმათნარმოშობის მართვაში.-გამომცემლობა,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2010 წელი.-311გვ.
- 3.5. ზურაბ ბუკია, შოთა ლამპარაძე-მცენარის მორფოლოგის, ბიოლოგისა და სელექცის ზოგიერთი საკითხი.-გამომცემლობა,,ალიონი“, 2011 წელი.-420 გვ.
- 3.6. ზურაბ ბუკია, ციცინო ათამაშვილი, ნუნუ გოგია.- მცენარის ბიომორფოლოგია და სელექცია მედიცინის სამსახურში, გამომცელმლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2016 წელი.-გვ.424.
- 3.7. ბურგაძე ვ.-მეურნეობრიობის მრავალფეროვნების ეკონომიკური შინაარსი, ჟურნ., „ეკონომიკა“, 1991 წელი, N3, 12-20 გვ.
- 3.8. ბასარია რ., მესხია ი.-გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები, თბილისი, 1995 წელი.-325 გვ.
- 3.9. გამსახურდია გ.-საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, მერიდიანი, 1995 წელი.-241 გვ.
- 3.10. გიორგობიანი ო.-საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები, ჟურნ., „ეკონომიკა“, N4.
- 3.11. გიორგობიანი ო.-კვების მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, თბილისი, 1993 წელი.-246 გვ.

- 3.12. გოგოხია რ.-საბაზრო ეკონომიკა, თბილისი - „საქაპროფ-გამი“,1996 წელი,145გვ.
- 3.13. ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპის პროგრამა, თბილისი,1997 წელი.
- 3.14. ელიზბარაშვილი ზ.-აგრარული რეფორმა და საბაზრო ეკონიმიკა,ჟურნ.,ეკონომიკა“,1991 წელი,N5,15-22 გვ.
- 3.15. ვაშაკიძე ო.,ლაჭვებიანი თ.-აგრარული კრიზისის დაძლევის გზები, ჟურნ „ეკონომიკა“,1996 წელი,N7-8.
- 3.16. თეთრაული ა.-საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში,თბილისი,1993 წელი,44 გვ.
- 3.17. თოფურია დ.-კვების მრეწველობაში ეკონომიკური რეფორმის პროგრამის საკონსატვის- ჟურნ.,„ეკონომიკა“, 1993 ,N4-5,19-20 გვ.
- 3.18. კაკულია რ.-მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება აგროსამრეწველო კომპლექსში.-თბილისი,საქართველო, 1998 წელი.-281 გვ.
- 3.19. კოპალიანი რ.-ჩაის კულტურის რეაბილიტაციის მეცნიერული საფუძვლები საქართველოში.-თბილისი,ზექარი,2003 წელი.-206 გვ.
- 3.20. კუნძულია თ.-აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელი საწარმოებისა და ნედლეულის მწარმოებელთა ინტეგრირების, სააქციო და კოოპერაციულ საზოგადოებებად გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ.-თბილისი,რეფორმა,1995 წელი.-15გვ.
- 3.21. კუნძულია თ.-სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკა-ზე გადასხვლის სტრატეგია.-ჟურნ.,„ეკონომიკა“,1993 წელი,N8-9,47-52 გვ.

- 3.22. კუნძულიათ.-საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზ-რო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები,თბილისი,მეც-ნიერება,1997 წელი.-139 გვ.
- 3.23. კუნძულიათ., იმედახეთ.-საბაზრო ურთიერთობებისადმი მეჩაიეობის ადაპტირების ძირითადი მიმართულებები სა-ქართველოში,თბილისი,1999 წელი.-91 გვ.
- 3.24. კოლუაშვილი პ.-საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, სადოქტორო დისერტაცია, 2003 წელი.-280 გვ.
- 3.25. მესტვირიშვილი გ. და ავტორები.-მენეჯმენტის საფუძვ-ლები,თსუ,1997 წელი.-406 გვ.
- 3.26. მექვაბიშვილი ე.-საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, თსუ,1991 წელი.-120 გვ.
- 3.26. მსოფლიო ბანკი.-საქართველოს სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის მიმოხილვა,ტომი პირველი და მეო-რე,თბილისი,1995 წელი.-163 გვ.
- 3.27. პაპავა გ.-სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა-ტომი პირველი და მეორე, თბილისი, სამშობლო,1998( ტო-მი პირველი-159გვ.,ტომი მეორე-514 გვ.).
- 3.28. პაპავა ვ.-საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვ-ლის კონცეფცია.-თბილისი,1991 წელი.-100გვ.
- 3.29. პაპავა ვ.- საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასხვ-ლის საფუძვლები,თბილისი,1991 წელი.-187 გვ.
- 3.30. როგავა გ.-მეჩაიეობის აგროსამრეწველო კომპლექსის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ოპტიმალური გან-ვითარების პერსპექტივები საბაზრო ეკონომიკის პირო-ბებში,2001 წელი, საკანდიდატო დისერტაცია.-146 გვ.
- 3.31. სახელმწიფოს როლის შესახებ აგროსამრეწველო კომპ-ლექსის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გარდამა-

- ვალ პერიოდში.- სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები,თბილისი,1994 წელი.
- 3.32. საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია,თბილისი,1996 წელი.
- 3.33. საქართველოს აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსი-მიმდინარე პროცესები, შედეგები, ამოცანები,თბილისი, სამშობლო,1998 წელი.-222 გვ.
- 3.34. საღარეიშვილი ო და სხვ.-აგროსამრეწველო ინტეგრაცია და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი,1989 .-120 გვ.
- 3.35. საღარეიშვილი ო.-გარდამავალი პერიოდის აგრარულ ურთიერთობათა კონცეფცია. - ჟურნ. ეკონომიკა,1995 წელი,N7-9.
- 3.36. საღარეიშვილი ო., ხარაიშვილი ე.-ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და ანალიზი, ნაწ.I,თბილისი, დავითი,1994 წელი.
- 3.37. საღარეიშვილი ო., ხარაიშვილი ე.-ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და ანალიზი, ნაწ.II, თბილისი, დავითი, 1995 წელი. - 130 გვ.
- 3.38. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“,თბილისი,1997 წელი.
- 3.39. საქართველოს კანონი „სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, თბილისი, 1996 წელი.
- 3.40. ქარქაშაძე ნ.-მსოფლიო სოფლის მეურნეობა, თბილისი, 1993 წელი. - 558 გვ.
- 3.41. ქარჩავა ლ.-როგორ გავხდეთ ბიზნესმენი, თბილისი,1993 წელი.-175 გვ.
- 3.42. ქეშელაშვლი ო.-მოსაზრებები აგრარული რეფორმის შესახებ, ჟურნ „ეკონომიკა“,1991 წელი,N11.-19გვ.
- 3.43.ქეშელაშვლი ო.-ბიზნესის ორგანიზაცია, თბილისი,1995 წელი.-291 გვ.

- 3.44. ყუფუნია გ..გაშაკიძე ო.-სასურსათო პრობლემის გადაჭრა უპირველესი ამოცანაა, თბილისი, 1998 წელი.-155 გვ.
- 3.45. ჩიქავა ლ.-ეკონომიკის მართვის რადიკალური გარდაქმნა, ჟურნ. „ეკონომიკა“, 1989 წელი, N1.
- 3.46. ჩიქავა ლ.- საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, მერიდიანი, 1995 წელი.-196 გვ.
- 3.47. ჩხაიძე გ., მიქელაძე ა.-მეჩაიეობა, გამომცემლობა „განათლება“ 1989 წელი.-366 გვ.
- 3.48. ჩხარტიშვილი ივანე.-მცირე და საშუალო მენარმეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებანი, 2002 წელი, საკანდიდატო დისერტაცია.-149 გვ.
- 3.49. ძელაძე ნანი.- სხვადასხვა სახის შავი ბაიხის ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ტექნოლოგიური პარამეტრები, 2004 წელი, საკანდიდატო დისერტაცია.-114 გვ.
- 3.50. ჭითანავა ნ.-შერეული, მრავალწლიანი სიციალურადორიენტირებული ეკონომიკა, თბილისი, 1996 წელი.-36 გვ.
- 3.51. ჭითანავა ნ.-საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემები, თბილისი, 1993 წელი.-224 გვ.
- 3.52. Абалкин Л.- Радикальная реформа от концепции к практическим действиям Жур., „Вопросы экономики“, 1990, N1 стр 14-19.
- 3.53. Абалкин Л.- Рынок: без мифов и иллюзии. М., Экономика и жизнь”, 1990, N22.
- 3.53. Аграрная программа, состояние и тенденции развития агропромышленного производства. М., 1992, стр.30.
- 3.54. Адамов В. Попытка освобождения цен: первые итоги и предвидимые последствия. жур. Российский экономический журнал. 1992. N3 .стр .55-60.

- 3.55. Беридзе Т. О роли государства в современной экономике. жур . жур. „Росийский экономический журнал“. 1992.№6 .стр .88-92.
- 3.56. Грузинов ВЮ Экономика предприятия и предпринимательство юМ. Софит. 1994, стр, 496.
- 3.57. Голик В. Приватизация, права собственности и мотивация. Жур., Вопросы Экономики“, 1991, N6, стр. 133-137.
- 3.58. Добрынин В. Сельские промышленные предприятия в экономике сельского хозяйства. М :МСХА .1996 ,стр .335.
- 3.59. Журавенний Е. приватизация в развивающихся странах вос- тока .жур. ЭКЮ, 1992,N 3 стр 45-52.
- 3.60. Зайцев Н. Экономика промышленного предприятия. М. Инфра- М .1998. стр. 335.
- 3.61. Карлофф Б. Деловая стратегия .М., Экономика. 1991. Стр. 239.
- 3.62. Ключак В., Клочко Л., и другие.- Рекомендации по применению маркетинга в сфере производства, заготовки, переработки сельско - хозяйственной продукции. М.: 1995. Стр. 163.
- 3.63. Концепции аграрной политики и продовольственного обе- спечения Российской Федерации. М. 1995. Стр. 30.
- 3.64. Кузнецов Ю. Государственное регулирование инвестиции: акцент смешаемости на микроуровень. Жур. „Вопросы Эко- номики „,1992,N 9 ,стр. 19-22.
- 3.65. Лапуста М., Шаршукова Л. Риски предпринимательской деятельностию М., 1998. стр. 225.
- 3.66. Мартинов А., Федотов А. Рыночные механизмы структур- ной и научно -технической политики. Жур. „Вопросы Эко- номики „,1991,N 11 ,стр. 24-29.
- 3.67. Меекон М., Альберт., М Хедоури Ф. Основы менеджмента. М., Дело .1992. стр. 700.

- 3.68. Морозов Ю. Рыночная адаптация системы сельско -хозяйственного кредита. Жур., „Экономические науки“, 1996, N 2 стр. 19-23.
- 3.69. Никитин Г., Стрижкова Л. К вопросу о структурной перестройке отечественной экономики. Жур., „Российский экономический журнал“, 1992, N 7 ,стр. 3-14.
- 3.70. Новечкина Л. структурные преобразования и инвестиционная политика в странах с рыночной экономикой. Жур., „Вопросы экономики“ 1991, N 1. стр .28-34.
- 3.71. Питкин А. Иностранные инвестиции- резерв экономического роста. Жур., „Вопросы экономики“, 1992, стр .55-60.
- 3.72. Попов С. Внешнеэкономическая деятельность фирмы. Особенности менеджмента и маркетинга. Ось- 89 1997. Стр. 175.
- 3.73. Романова Л. Реформирование собственности предприятий. Жур. АПК., экономика, управление, 1992, N 2 стр. 42-50.
- 3.74. Треиси М. Сельское хозяйство и продовольствие в экономике развитых стран. Пер. с англ. Санкт- Петербург. „Экономическая школа“, 1995. Стр. 431.
- 3.75. Хайнэ П. Экономический образ мышления. М.:Наука 1991, стр .165
- 3.76. Шамманник В. Новые формы хозяйствования в условиях развитых рыночных отношений. Жур., „Экономика с- х и перераб. Предприятии“, 1991, N 9, стр. 18-19.
- 3.77. Экономика предприятия. под ред. Проф. Волкова О .М. Инфра – М. 1998. Стр. 415.
- 3.78. Эрхард Л. Благосостояние для всех. М., 1991. Стр. 332.

## სარჩევი

შესავალი.....6

### თავი I.

#### მეჩაიეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

1.1. საქართველოში ჩაის ( <i>Thea Sinensis L.</i> , <i>Thea Assamica L.</i> ) გაერცელების მოკლე ისტორია და მეჩაიეობის დარგის ცნობილი მოღვაწეები .....	10
1.2. მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენციები. ....	13
1.3. საქართველოს მეჩაიეობა ეკონომიკური რეფორმების პერიოდში....	22
1.4.გარდამავალ პერიოდში მეჩაიეობაში ჩამოყალიბებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები.....	31
15. გარდამავალ პერიოდში მეჩაიეობაში განვითარებული ფინანსური კრიზისის მიზეზები .....	35

### თავი II.

#### მეჩაიეობის საბაზრო გარემოსადმი ადაპტირების პრობლემები

2.1. მეჩაიეობის საბაზრო გარემოსადმი ადაპტირების აუცილებლობა ..	43
2.2. ქართული მეჩაიეობის რეაბილიტაციის ხელშემწყობი პირობები.....	45
2.3. მეჩაიეობისადმი განხორციელებული სახელმწიფო დახმარებები....	52
2.4. მეჩაიეობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები.....	61

### თავი III.

#### ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებები მეჩაიეობაში

3.1. სახელმწიფო- მიზნობრივი პროგრამა-,,ჩაი“ .....	73
3.2. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა-,,ქართული ჩაი“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ, 2016 წლის 16 ივნისს N20.....	79
3.3-მეჩაიეობის რეაბილიტაციის პროგრამა საქართველოში.....	86

3.4-მეჩაიეობაში სახელმწიფო - მარეგულირებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობა .....	110
<b>თავი IV.</b>	
<b>ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის აგროტექნიკური ღონისძიებები</b>	
4.1-ჩაის დაბალი მოსავლიანობის გამომწვევი ზოგიერთი მიზეზი .....	120
4.2-მიზეზები, რომლებიც იწვევენ ჩაის მცენარის დასუსტებას და საბოლოო ჯამში მოსავლიანობის დაქვეითებას.....	129
4.3-ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების სისტემა .....	141
4.4-ჩაის მცენარის პროდუქტიულობის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებები .....	149
4.5-რამდენიმე სიტყვა ძველი, მცირემოსავლიანი პლანტაციის შეცვლის შესახებ.....	154
4.6-ჩაის ( <i>Thea Sinensis</i> L., <i>Thea Assamica</i> L.) პლანტაციების დღევანდელი მდგომარეობა, დაზიანების ხარისხი მიზეზების მიხედვით და გამოსწორების დიფერენცირებული გზები .....	156
4.7-თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ამაღლებასთან (საგანმანათლებლო და პრაქტიკული ხასიათის ტრენინგ-პროგრამის პროექტი) .....	162
4.8- ჩაის მცენარის პროდუქტიულობის აღდგენა-პლანტაციის მოსავლიანობის გაზრდის გარანტი (გასხვლის სახეების ფონზე) .....	172
4.9-ჩაის პლანტაციის აღდგენის ღონისძიებათა სისტემა .....	177
რეზიუმე რუსულ ენაზე .....	179
რეზიუმე ინგლისურ ენაზე .....	181
ლიტერატურა.....	183

ტექნიკური რედაქტორი:

თინათინ ყარანაშვილი

მხატვარი:

მაგდა თუთბერიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ზურაბ ბუკია

დამპაკადონებელი:

თამარ ტყაბლაძე



დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71